



N18 (517)

6/V-12/V-2010

ფასი 1 ლარი

ქართული პროზის საბანკური

ტომი №10
დავით კლდიაშვილი

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

ტომი იოსელიანი

**ვის მიუძღვნა
ლევან
წულაძემ
სერენადა**

**ქათა თოფურიას
გარემოება
დაუფუნეს**

**თამუნა ამონაშვილი
ოჯახურ პრობლემებს
რუსეთში გაეძვრა**

მამაკაცები ქართველ
სტრინგიზიმორს ოსნების
კოჟაკებს უგებენ



**„მოსეპვანავე ვარ,
არა — მემკვიცი“...**

კრიმინალური წარსულის
მქონე მორჩილის
აღსარება



**სახსრული, რობელის
მამა ანდრიაშვილი მოახდინა**

ავტობიუსის
უდებოდ ეგლს
მიჯაჭვული
ახალგაზრდა



**გიგი დედლაშვილი
სხანის მგზავრება „მონაგლა“**



**„ეგლი ფესხაშვილის
მამიერობას მიწვას“**

გილოცავთ გიორგიშის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ISSN 1987 - 5029







9 771987 502009



„ქართული პროზის საგანძური“

თქვენთვის

და თქვენი შვილებისთვის!



ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან“ ერთად შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები

ტომი №10 - **დავით კლდიაშვილი**

წიგნის ფასი **3!** დიას, სამი ლარი!



ეს ფასი, მეათე ტომისთვის, ძალაშია მხოლოდ

6-დან - 13 მაისამდე!

გამოიწერეთ და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „**გზასთან**“ ტელ: 38 26 73; 38 26 74

სპეციალური პირობები სკოლებისთვის

თუ თქვენ გამოგრჩათ „ქართული პროზის საგანძურის“ რომელიმე ტომი, შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში.



ბრიტანული ცენტრი
BRITISH CENTRE

www.britishcentre.ge



**შეისწავლეთ ინგლისური მეოთხედ დროში!
დაზოგბეთ დრო, ენერჯია და გიუჯაბი!**

ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსურველისთვის!

რა არის ქალანის მეთოდი

ქალანის მეთოდი არის სწრაფი, მხიარული და იოლი გზა ინგლისური ენის შესასწავლად, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების სმენისა და სასაუბრო უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად.

ბრიტანული ცენტრი არის ამ მეთოდზე დაფუძნებული პირველი სკოლა საქართველოში.

რაბომ არის ეს მეთოდი მსოფლიოში ასეთი ჰოვულარული და ეფექტური

ის დაფუძნებულია ორ უმთავრეს კრიტერიუმზე, განმეორებასა და სწრაფ ტემპზე, რაც არის წარმატების გარანტი ინგლისური ენის შესწავლისას.


სტუდენტებს ეხარებათ ნაკლები დრო და ფული, რადგან ისინი ინგლისურს შეისწავლიან 4-ჯერ უფრო სწრაფად სხვა მეთოდებთან შედარებით.

თუ თქვენ სწავლობთ ინგლისურს ბრიტანულ ცენტრში:

ისწავლით ინგლისურ ენაზე მოსმენას და მეტყველებას ჩვეულებრივ სასაუბრო ტემპში: ისწავლით აზროვნებას და საუბარს პირდაპირ ინგლისურად თარგმნის გარეშე; ისწავლით პრაქტიკულ, საჭირო სიტყვათა მარაგს და გრამატიკულ სტრუქტურებს; ყოველდღე გაიუმჯობესებთ გამოთქმას, ინტონაციას და გრამატიკულ უნარ-ჩვევებს; სალაპარაკო გამოცდილებას ჯგუფური მუშაობის მეთოდით; ჯგუფი შედგება არაუმეტეს 12 სტუდენტისა. სკოლის მუშაობის მოქნილი გრაფიკი საშუალებას გაძლევთ, ჩაირიცხოთ როგორც დილის, ისე შუადღისა და საღამოს ჯგუფებში.

ექვსი საცდელი გაკვეთილი

სკოლაში ჩარიცხვამდე თქვენ შეგიძლიათ, უფასოდ დაესწროთ ექვს საცდელ გაკვეთილს.



მის: რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
 აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
 ვალიაშვილის 60; ტელ: 221 915
 ვაჟინის 9; ტელ: 332 557; 514 143

როდენი - წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!
 მისი დროული მიღება თავიდან აგახილებთ წონაში მატებას

როდენი

- ახლოობიჩხად სუფთა, ბუნებრივი ჰილოჯი
- ხელს უშლის ნახშირწყობის სნიებაში ბადასვლას
- ხელს უწყობს სნიებას ბოლომდე დაწვას
- აქვეითებს მადან ანეხიის მომახების ფონზე
- წოხებად დაწყავს სიბნელის ჰოხომონი დახბინი
- და ქოდასბიხინი
- ოხბანიხომიდან ბამონავს ზადებასი სითხე და შინაბები
- ანახიბებს საჭმლის მომნეობად სისბებას



მოგვაპითხეთ მისაბართუბა:
 თბილისი, რუსთაველის ბაგზ. №28
 ან მიბართეთ „წოფარმის“ და
 „ჰი ჰი სის“ სააფთიამო ძსაღს,
 როგორც თბილისში, ასევე
 შუთაისსა და ბათუბში.
 დაგვიკავშირდით ტაღ. ნომბრზე
 99 00 14; 895308405;
 893 668318; 899 21 02 32
 e-mail - promoita@mail.ru
nikosanitd@mail.ge

მიღების წინ ბაეცანით ინსტრუქციას, გვირდითი მოვლენების შესახებ დებალური ინფორმაციის მისაღებად მიბართეთ ამის

სანო-სტუდია და გოგი ხარაბაძე
წარმოგიღბანთ: აუდიო წიგნს



ქოეზის

10 CD დისკი - რჩეული ლექსებით

მსთღდ „ბიბლუსის“
წიგნის მადახიათა ქსეღში

ფასი 28 ლარი

პოსტსმინვო, გაისსენვო

პოეზიის სიბკოი!...

წიგნები მისაბართუბა მიბანით. ტაღ: 38-26-74; 14-09-91 ..ელვა.ჰი"



პოლიტოლოგი ენათმეცნიერული და ფილოლოგიური კიბეებით ერთობა

„ადრე ვიცოდით, რომ პაპა ქაქუცასთან ერთად წავიდა საქართველოდან. ემიგრაციაში ყოფნა ძალიან უჭირდა; სამშობლო, ცოლი, 3 ვაჟიშვილი ენატრებოდა. ნაპოვნ წერილებში სულ ამაზე წერს... ისიც ვიცოდით, რომ 1946 წელს საქართველოში დაბრუნება გადაუწყვეტია“.

7

სახე



მუსიკოსი მსახიობის საინტერესო სხოვრება

„თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლის პირველი წელი, ცხოვრებაზე დაკვირვების პერიოდი იყო ანუ ადამიანებს გულდასმით ვაკვირდებოდი — როგორ უხაროდათ, სძულდათ, მფოთავდნენ... ამას თეატრალურშიც გვავალებდნენ“.

18



ცხოვრება

სასწაული, რომელიც უკრაინაში მოღვაწე მამა ანდრია მოახდინა



„მრუდე გზით სიარულის გამო, საყვარელ ადამიანებს თავი შევებაძულე, ჩემი დანახვა არავის უნდოდა, მაგრამ მე მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ვფიქრობდი და სხვების წუხილს არად დაგიდედით“.

26

მამა გენილები

„ამოფართხილი“ და „პატიოსანი“ მკარსველები ანუ გივი, გაილიქია!




„სურათებსაც დასტყობია დროის მსახვრალი ხელი. გაყვითლებულ და გაცრეცილ სურათებზე ძლივს არჩევ ულამაზეს ქალ-ვაჟს. მათი თვალები ბედნიერებასა და სიყვარულს ასხივებს... წლები გავიდა და მათ კი მაინც ისე უყვართ ერთმანეთი, ფოტოზეც ვერ დაშორებიან ერთმანეთს... ყველაფერს დასტყობია დრო...“

76

- **მინიატიურები** 5
 - მიშას „პაეზკა“ გაუტკბა, „ხითხითი“ კი — დასჯაღია
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **პროექტი** 7
- **პოლიტიკა** 8
- **თეილა** 12
- **პერსონა** 15
- **ამაღა** 18
 - მოსკოვში პრობლემების პირისპირ დარჩენილი ქართველი მომღერალი და ახალი ეტაპი თამუნა ამონაშვილის ცხოვრებაში
- **მსახიობი** 20
 - ხუმრობა-ხუმრობით არჩეული პროფესია და მუსიკოსი მსახიობის საინტერესო ცხოვრება
- **ფანჯარა** 22
 - თბილისის სამხატვრო აკადემიის პროექტის მექსიკელი გამარჯვებული
- **თაობა** 23
 - სიმღერაზე შეყვარებული 16 წლის ბიჭი და პირველი სოლო კონცერტი
- **პარსკაღაღები** 24
- **მადლი** 26
 - „თემი“ — დიდი სახლია, სადაც ყველა ერთმანეთზე ზრუნავს...
- **ჩემი სხოვრების გზა** 28
 - სასწაული, რომელიც უკრაინაში მოღვაწე მამა ანდრია მოახდინა
- **სამართალი** 31
 - როგორ მივიღოთ კუთვნილი ქონება
- **მინირომანი** 34
 - შემთხვევა ტბაზე

■ ზემოქველი	36
არქიტექტორის „კრიმანჭული“ ანუ „შრომით დაღლილ ხელებზე უკეთესი სანახავი არაფერია“	
■ ეს სამყაროა	38
■ ფანჯრული	40
„ლექსების გამოფენა“ ბათუმში და ასსიტყვიანი მოთხრობების კონკურსი	
■ საკითხავი ქაღვიბისათვის	41
როგორ მივიღოთ კომპლიმენტი	
■ ისტორიის ლაბირინთები	43
1918-1919 წლების სოჭის კონფლიქტი	
■ ავტო	46
■ ბაქარი	48
■ ჯანმრთელობა	50
■ სულის სიფაქიხა	52
„გაუცინეთ სამყაროს და ამით ცხოვრება უკეთესი გახადეთ“...	
■ პროფესია	54
გულუხვი, სიმპათიური ქართველი მამაკაცები ქართველ სტრიპტიზიორს ოქროს კოშკებს ჰპირდებიან	
■ თინეიჯერული პოეზია	57
„მიმბაძველი“, ჯიუტი, მაგრამ საოცრად განათლებული თაობა	
■ წვეთი პოეზია	60
■ ავტოპორტრეტი	61
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)	
■ ფანტასტიკური დეზაქტივი	65
ცალთვალა ეშმაკი (გაგრძელება)	
■ რომანი	69
სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი ქალი (გაგრძელება)	
■ რეალური	73
ULTRIX (გაგრძელება)	
■ გზავნილები	76
■ ყველა ერთისათვის	80
■ მოგილი-ზასია	82
■ შეუხმობელი	86
■ მეგამოგონება	90
■ ერულიტი	92
■ გასართობი	94
■ ასტროლოგია	96
■ სკანდორდი	97
■ საფირმო კოსმორდი	98

სამყარო




ოპირასია — შიშველი ხელებით

ქირურგიული ოპერაციები 1-დან 10 წუთამდე გრძელდება. ამ დროს პაციენტი არანაირ დისკომფორტს არ განიცდის, სხეულზე იარები არ რჩება. ხილერები კატარაქტასაც მკურნალობენ, ნაღვლის ბუშტიდან ქვებსაც იღებენ და სიმსივნესაც კვეთენ.

36

ადამიანი



„გაუსინეთ სამყაროს და ამით ცხოვრება უკეთესი გახადეთ“...

„ძნელია, გვერდით ყოველთვის გყავდეს ადამიანი, რომელიც კიბეზე ასვლაში დაგეხმარება. ხშირად მეკითხებიან, — რა შეცვალა მომხდარმა ჩემს ცხოვრებაში? პიროვნულად არ შევცვლილვარ“.

52

ბიზლუსი



ამის გაფიქრება იყო და ეკრანზე წარწერაც გამოჩნდა:
— ხა-ხა-ხა! ვითომ თავად ვერ ხვდები!..
— ამით რისი თქმა გინდა, მონსტრო?
— საფეთქლებზე ხელები მთელი ძალით მოვიჭირე და

ჩაფიქრდი.

— ღმერთო ჩემო! — წამოვიყვირე უცბად. — სოფიკო, ჩემი ყოფილი ცოლიც ხომ უღალთმიანი იყო!..

60

ტაიმ-აუტი



ადგილები, სადას პირასდროს მოხვდებით

ისეს დიდი ტაძარი მზის ღმერთის — ამატერასისადმი მიძღვნილი იაპონიის ყველაზე დიდი სინზინდუა. ტაძარი ყოველ 20 წელიწადში ერთხელ ინგრევა და ისევ აღდგება.

86

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირავი ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯავია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**
დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი,**
რეზო თხილიშვილი
მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

მიშას „წაებდეს“ გაუცხნა, „ხითხითი“ ჟი - დასჯადია



შესავლის ნაცვლად

ყველაფერში პირველ-
ბი რომ ვართ, ამის

მტკიცებით უკვე მეც დავილაღე და ჩვენი პრეზიდენ-
ტიც. მაგრამ მიშამ კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა
— ამდენ ხანს გადაბმულად არც ერთი ქვეყნის არც
ერთი პირველი პირი არ ყოფილა საზღვარგარეთ. არა,
ისტორიაში კი წერია, რომ II საუკუნეში, ქართლის
მეფე ფარსმან ქველი მთელი თავისი სახლობით, სამი
თვე დარჩა რომში, იმპერატორთან სტუმრობისასო
(ერთი მაგდონიც გზაში დასჭირდებოდა „ტუდა-ობრატნი“),
მაგრამ მერე რა — ისიც ხომ ქართველი იყო?!

ისე, ჩვენ ვხუმრობთ და მართლა, ამდენ ხანს იყო
ის ბიჭი დაკარგული? არ ვიცი, არ ვიცი... გადამრია
სიზმრებმა სანამ ჩამოვიდოდა...

თანაც ასეთ დროს — ვედარ აუღის ეს გიგი ამდენ
საქმეს: იქით — თონე, აქეთ — ბანკი, ის ტაქსი რომ
იქირავა, იმის ფული — ყოველდღე შესატანი; „სვარკის“
ელექტროდებია საყიდელი; „კალონკაზეც“ რიგი დად-
გა — ყველას ჩქარა უნდა ჩასხ-
მა, მოვა მერე ვილაც უზრდე-
ლი და თან უნდა მოემსახურო
და თან ნერვები გიშალოს (კიდევ
კარგი, 10 ლარზე მეტი არ
ჰქონდა და მალე წავიდა)...
ჰოდა, იმას ვამბობდი, მიშა
დროზე რომ ჩამოსულიყო —
დიდი კი არაფერი, მაგრამ მს-
ნეობას შემატებდა და თან იმ
„უზრდელმა ბიჭმა“ რომ თქვა,
სადაც წავლენ უგულავა და
საკავშილი, იქ მივაკითხავთ და
„ჩავაშხამებთო“, — იქნებ მიშ-
აზე „გადართულიყვნენ“ და
ამისთვის ეცლიათ მუშაობა.
თორემ განერვიულებულმა, ან
ხორცის საჭრელი ცული რომ
ჩაირტყას ხელში, ან „მანტიროვკა“ ამოუვარდეს ვულ-
კანიზაციაში „პაკრიშკის“ დაშლისას, ან „სვარკის“ ნა-
პერწკალმა დაწვას... ღმერთმა დაგვიფაროს, „გასა-
კეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“ და ვინ გაგვიკეთებს —
კუკავა?!



ჰო, მართლა — კუკავა რომ ჟირინოვსკისთან იყო,
ეგ არაფერი, მაგრამ კვესიტაძის გადაცემაში რომ
ილაპარაკა, ეგ იყო მაგარი! ილაპარაკა რა, კვესიტაძე
ვის დააცდიდა ლაპარაკს (გამომივიდა გვეც „ინგა
გრიგოლია-2“, ლაპარაკის „არდაცდის ამბავში“), მა-
გრამ რაც მოასწრო კუკავამ, მაგარი თქვა: თავიდან
არ იყო „სიტუაცია“, მაგრამ ბოლოს ხომ მაინც ჩამო-
ვართვით ხელი ვოლფოვიჩისო!

დავითაშვილმაც სერიოზული „შედეგი დადო“ მოსკ-
ოვური „პაუზდკის“ შემდეგ: რუსები, განსაკუთრებით
კი ყურნალისტი ლეონტიევი, მზად არიან, მხარში
დაგვიდგნენ ქვეყნის გაერთიანების საქმეში, ოლონდ
ამისთვის ჩვენც რაღაც უნდა გავაკეთოთო! ეს „რაღაც“

კი ყოფილა: რუსი პოლიტიკოსები თბილისში უნდა
დაპატიჟო, პატივი სცე, აქეიფო (განსაკუთრებით „ნა
ვერნელე“ „ნაყვარებათ“); თუ არ ეცლებათ, მოსკოვში
უნდა ჩაუტანო ელარჯი და საცივი (პრასი არ უნდათ
— აქეთ!) და ასე „დაიმუხტებიან დადებითი ემოციე-
ბით“ (ასე თქვა კობამ)!

თქვენი არ ვიცი და, მე უკვე აღარც მეცინება ასეთ
რალაცებზე და სერიოზულადაც ვფიქრობ, რომ ზოგი-
ერთი იმიტომ ჰყავს ხელისუფლებას ოპოზიციაში
„შეშტირლიცებული“, რომ იმათ ფონზე ანგელოზად
გამოჩნდეს...

ახლა სამშაბათია და უგულავა „კურიერში“ მეტროს
ვაგონს „აშლიფოვებს“... რა მაინტერესებს, იცით?
დღევანდლამდე რაც დავთვალე, ათი თუ თერთმეტი
სხვადასხვა სპეცტანსაცმელი გამოიცვალა და სად მი-
აქვს ხოლმე?.. შინ თუ ეზიდება, მაგარი გარდერობი
ექნება მაგას ამ თვის ბოლოსთვის.

ჰო, მართლა: გიორგობას და პოლიციის დღეს გილო-
ცავთ! პირველს — სერიოზულად, მეორეს — არასერ-
იოზულად და ხითხითით...

სხვათა შორის, ხითხითი
შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს
ერთ ჩემს ტელეკოლეგას:
„კავკასიის“ პირდაპირ ეთერ-
ში შენი სტუმარი აუგად რომ
მოიხსენიებდა ჰომოსექსუ-
ალებს, შენ ხმა როგორ არ
ჩააკმენდინე და მასთან ერ-
თად როგორ „ხითხითებდიო“
(თუ „ხორხოცებდიო“, ზუსტად
აღარ მახსოვს)?! — ადგა ვი-
ლაც „მოცისფრო“ რესპონდენ-
ტი და „ჟურნალისტთა ქარ-
ტიაში“ უჩივლა...

ძალიან მეწყინა, რომ ამ
ქარტიაზე ხელი არ მაქვს
მონერილი: ცოტნე დადიანო-
ბაზე თავს არ ვდებ, მაგრამ

სიამოვნებით ვიქნებოდი ალექო ელისაშვილთან ერ-
თად, მოპასუხის როლში, რადგან, რალა დაგიმალოთ
და, ბალერინას „იუბკაში“ გამოკობტავებული ელტონ
ჯონის ყურებისას, მეც მაგრად „ვხითხითებ“ ხოლმე.
ადგენ ახლა და მიჩვილონ პედერასტებმა!..

P.S.

შესავალში ფარსმან ქველი ვახსენე
და ჩვენს მიშკოს შევადარე — რა
ვიცი, იქნებ ვინმე ვერ მიხვდეს, რომ
ვხუმრობდი და მათთვის ვიტყვი: ფარს-
მან ქველმა ისე მოაჯადოვა რომაელები, კეისრის
ბრძანებით, ცხენზე მჯდომი ქართველი მეფის ძეგ-
ლი დადგეს მარსის მოედანზე! მიშას ძეგლის
პროექტი კი რატომღაც, არ მახსოვს „ქველი ვაშ-
ინგტონის ახალი სიცოცხლის“ გენერალურ გეგმაში...

პროვოკატორი



ინჟოვიჩის დასაბამ პროსაბჭოს ბენერალური მდივანი საპირფარეოში არ შეუშვა



ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტორბიორნ იაგლანდი უკრაინის პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის დაცვის თანამშრომლებმა ევროსაბჭოს რესტორნის საპირფარეოში არ შეუშვეს. სადილობამდე, ინჟოვიჩი ხელის დასაბანად

საერთო სარგებლობის საპირფარეოში შევიდა და ამ დროს მისი დაცვის თანამშრომლებმა შესასვლელი გადაკეტეს. როგორც გაზეთი „უკრაინისკაია პრავდა“ წერს, მათთან სოლიდურად ჩაცმული მამაკაცი მივიდა და საპირფარეოში შესვლა მოითხოვა, ინჟოვიჩის დაცვის თანამშრომლებმა კი ხელით ანიშნეს, რომ უკან გაბრუნებულიყო. გაცემული ევროპელი ვერ მიხვდა, თუ რა ხდებოდა. „მე გენერალური მდივანი ვარ!“ — უმეორებდა ის უკრაინის პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლებს, რომლებმაც ინგლისური არ იცოდნენ. მათ მხოლოდ მოგვიანებით გაარკვიეს, რომ სოლიდურად ჩაცმული მამაკაცი, ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტორბიორნ იაგლანდი გახლდათ და ინჟოვიჩი ვახშამზე სწორედ მისი მიწვეული იყო.

მაჰმუდ ახმადინეჯადა და ჰილარი კლინტონმა „დუელი“ გააპართეს



ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ ახმადინეჯადასა და აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს შორის „დუელი“ ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინაში მიმდინარე ბირთვული იარაღის გაუფრცვლებლობის შეთანხმების კონფერენციის პირველივე დღეს გაიმართა. ირანის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „აშშ ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც ბირთვული იარაღი გამოიყენა. ახლა ის სხვა ქვეყნებს, მათ შორის ირანსაც ემუქრება. ვაშინგტონმა ბოლო ათწლეულების განმავლობაში არაერთხელ დაიწყო ომი ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგ. ამერიკული დაზვერვის სამსახურები მხარს უჭერენ მძლავრ ტერორისტულ ქსელებს“. ამ განცხადებით აღშფოთებულმა აშშ-ის დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციების წევრებმა სხდომათა დარბაზი დაუყოვნებლივ დატოვეს. მოგვიანებით ჰილარი კლინტონმა თავის მხრივ, ბრალი დასდო ირანს ბირთვული იარაღის გაუფრცვლებლობის შეთანხმების შეუსრულებლობაში და ურანის გამდიდრებაში. ჟურნალისტებთან საუბრისას კი განაცხადა, რომ არ ენდობა ირანის პრეზიდენტს, როდესაც ის „ბირთვულ გაცვლასთან“ დაკავშირებით საუბრობს, რადგან თეირანი აღნიშნულ თემას ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში დათანხმდა, მაგრამ შემდეგ ახალი პირობები წამოაყენა. ირანის პრეზიდენტი ამბობს, რომ ის თანახმაა, დაბალგამდიდრებული ურანი გაცვალოს ბირთვულ სანვაზე რუსეთთან და საფრანგეთთან, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ მისთვის მიუღებელია აშშ-ის ორმაგი სტანდარტი მსოფლიო ბირთვული უსაფრთხოების საკითხების განხილვისას და ეს სისტემა კარდინალურად უნდა შეიცვალოს.

მოგზაურობა მომავალში...

შავი ხვრელების თეორიის ავტორის, სტეფან ჰოუკინგის აზრით, მოგზაურობა მომავალში შესაძლებელია. მან კაცობრიობას სპეციალური კოსმოსური ხომალდის აგება შესთავაზა, რომლის სისწრაფე სინათლის სიჩქარეს გაუთანაბრდება. ასეთი ხომალდი ადამიანებს საშუალებას მისცემს, ათასობით წელიწადს გადალახონ. დროში მოგზაურობის იდეას მეცნიერები აქამდე ნონსენსად მიიჩნევდნენ. „ამ თემაზე საუბარს წლების მანძილზე თავს ვარიდებდი, მაგრამ ახლა აღარ გავჩემდები“, — აცხადებს ჰოუკინგი. დროში მოგზაურობის თეორიის შესახებ ის საკუთარ დოკუმენტურ კვლევაში — „სტეფან ჰოუკინგის სამყაროში“ წერს.



კვლევის შესახებ სამეცნიერო ტელეარხი — Discovery ფილმის გადაღებას აპირებს. მეცნიერის ვერსიით, კოსმოსური ხომალდი წლიდან წლამდე გაზრდის სისწრაფეს და ბოლოს მზის სიჩქარეს მიაღწევს. მის ბორცზე მყოფი ადამიანებისთვის ერთი დღე-ღამე ერთი წლის ტოლფასი იქნება. გალაქტიკის ირგვლივ მოგზაურობას კი 80 წელი დასჭირდება. სტეფან ჰოუკინგი 1942 წელს ინგლისში დაიბადა. თეორიული ფიზიკა კემბრიჯის უნივერსიტეტში შეისწავლა. საყოველთაოდ ცნობილი კი „შავი ხვრელების“ თეორიის წყალობით გახდა.

ჩინეთის ხელისუფლება პატიმართა შინაგანი ორბანოებით ვაჭრობს

„ჩინეთის ხელისუფლება სულ უფრო მეტ პატიმარს ხოცავს, რათა მათი შინაგანი ორგანოები საზღვარგარეთ გაყიდოს. თუ დღემდე მხოლოდ აკრძალული, ფსევდობუდისტური ორგანიზაცია „ფალუნგუნის“ წევრებს სჯიდნენ სიკვდილით, ახლა ეს პრაქტიკა ტიბეტელებზე, ქრისტიანებსა და უიგურ-მუსლიმებზეც ვრცელდება“, — გაზეთის — The Washington Times — ინფორმაციით, ეს განცხადება რამდენიმე დღის წინ კაპიტოლიუმში გამართულ პრესკონფერენციაზე ადამიანის უფლებათა დამცველებმა გააკეთეს. კონკრეტული ფაქტები ევროპული ორგანიზაცია „ბიი ბრიტის“ წარმომადგენელმა, ადვოკატმა დევიდ მეიტსამა და ად-

ამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის წევრმა, იტან ჰატმენმა გამოამხეურეს და აღნიშნეს, რომ გამოძიების შედეგად, ორგანოებით ვაჭრობის არაერთი შემთხვევა გამოამჟღავნა: „ფალუნგუნის“ 9 ათასამდე წევრი იმ მიზნით დასაჯეს სიკვდილით, რათა მათთვის შინაგანი ორგანოები — ფილტვები, ღვიძლი და თირკმლები ამოეჭრათ... ექსპერტთა აზრით, ასეთ ფაქტებს გარკვეულწილად, შინაგან ორგანოებზე დიდი მოთხოვნა განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ ჩინეთში 70 მლნ „ფალუნგუნის“ მიმდევარი ცხოვრობს. ჰატმენის ინფორმაციით, ციხეებში ამ მოძრაობის 1 მლნ-მდე წევრი იმყოფება.

რუბრიკა მოამზადა ხათუნა პახტურიძემ



ქვეყანა

„ჩვენ აბერ სანვაში არა გვაქვს, ყანა ვერ მოგვიხნავს და „პარადებს“ ვმართავთ?“

„პალიტრა L“-ისა და ჟურნალ „გზის“ პროექტს, „ქართული პროზის საგანძურს“ ერთ კვირაში „მრგვალი თარიღი“ შეუსრულდა — დღის სინათლე უკვე X ტომმა იხილა, „იუბილარი“ მწერალი კი ბევრისთვის საყვარელი კლასიკოსი დავით კლდიაშვილი აღმოჩნდა...

ირმა ხარშილაძე

გუშინ ცნობილმა მწერალმა, ბატონმა ბესიკ ხარანაულმა მითხრა, — თქვენი პროექტი ალორძინებაო, — და, რაღა დაგიმალეთო, ძალიან მესიამოვნა. ისიც ხომ სასიამოვნოა, სკოლის მოსწავლეების მშობლები გაოცებითა და მადლიერებით რომ გვეუბნებიან, — ნიგნი შინ მივიტანე თუ არა, ბავშვმა გადაშალა და კითხვა დაიწყო. შეიძლება, იმ მწერლის ნაწარმოებები შინაც ჰქონოდა, მაგრამ ახალგაზრდულ წიგნს, როგორც ჩანს, სხვა სურნელი აქვს და... გემოც. ეს მშობელმაც კარგად იცის და რაკი წიგნის იაფად ყიდვის საშუალება მიეცა, შნსი არ გაუშვა ხელიდან. დაუფასდა კიდევ... მომდევნო ხუთშაბათს „საგანძურის“ კიდევ ერთ ტომს მიიღებთ. ამჯერადაც, ვიცო, ძალიან გასიამოვნებთ: X ტომი თქვენთვის საყვარელი მწერლისა და პიროვნების — ბატონი ოტია იოსელიანის რომანის — „ქალი გამოვიდა სალაღატოდ“ — და რამდენიმე ნოველის ნაკრების საშუალებას მოგცემთ. ბატონ ოტია „მკვანე შეძახილით“ ბევრჯერ უცდია ჩვენი შეფხიზლება. ვინ იცის, რამდენი გაუნაწყენება და რამდენისთვის გულიც მოუფხანია, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, გუნდრუკი არავისთვის უკმევი.

გახეთ „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთი ბოლო ნომრის მის „სარედაქციო გვერდში“ ბატონი ოტია წერს: „ჩემო ქართველებო, მართალია, დალხინებული არასოდეს ვყოფილვართ, მაგრამ ვიცოდით, რაც გვჭირდა და რაც შეგვეძლო, ვებრძოდით, ახლა არ ვიცით, რა გვჭირს და რას ვებრძოდით? ეროვნული გამოთავაზება დაგვემართა. ამ ბოლო დროს ალარ ვაკეთებ განცხადებებს, იმიტომ, რომ არავითარი აზრი არა აქვს. მე რა მინდა შენგან? ქვეყანას ნუ დააქცევ, შვილო, შენთვის გელაპარაკები ამას, მინდა, საუკეთესო იყო და ქვეყანა იყოს კარგად. თუ ვხედავ შენს სიგლახს და თვალს ვხუჭავ, მე ვცოდავ

მაშინ. მოგიწოდებ გონიერებისკენ, გაფრთხილებ, არ გესმის თუ არ გინდა გეიგო? რომ გამოდიხარ და მეუბნები, ვაშენებ ქვეყანასო, კი, მაგრამ მე ისეთი შტერი ვარ, ვერ დევიანხე ეს აშენებული ქვეყანა? ამაზე მეტი შეურაცხყოფა რაღა გინდა? ახლა ამას რომ ვწერ, ვიცო, მაინც არ ექნება შედეგი, კაცი უდაბნოში რომ მოხვდება, ყვირის, მიშველეთო, კი იცის, ვერაფერ ვერ უშველის, მაგრამ მაინც ყვირის, დალუპვის შიში აყვირებს. სწორედ ასე ვარ ახლა მეც, კი ვიცო, ამით რომ არ ეყურებათ, მაგრამ მაინც ყვირი, ქვეყნის დალუპვის შიში მაყვირებს...“

ოტია იოსელიანი წყალტუბოში, თავისი ხელით აგებულ ოდა-სახლში ცხოვრობს. სახლის მეორე სართულზე მოწყობილია ლიტერატურული სალონი, რომელსაც საქართველოს სცენარისტთა კუთხიდან სმირად სტუმრობენ და სადაც ძალიან საინტერესო ლიტერატურული საღამოები ეწყობა...

მართალია, ჩვენს „საგანძურში“ მწერლის მხოლოდ ერთ რომანსა და რამდენიმე ნოველას შემოგთავაზებთ, მაინც შეგახ-

სენებთ, რომ ბატონი ოტია საბავშვო მოთხრობების: „ცხრა მთას იქით“, „დაჩის ზღაპრები“, „ცა გამთენია“ და ა.შ.; რომანების: „ვარსკვლავთცენა“, „ტყვეთა-ტყვე“, „შავი და ცისფერი მდინარე“, „იყო ერთი ქალი“ და ა.შ.; პიესების: „სანამ ურემი გადაბრუნდება“, „როცა სიყვარული მოვა“, „ადამიანი იბადება ერთხელ“, „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ და მხატვრული ფილმების: „მალე გაზაფხული მოვა“, „ჩქარი მატარებელი“, „თეთრი ქალიშვილი“ სცენარების, ასევე, ბევრი ნოველის ავტორი გახლავთ...

ერთხელ მეც მერგო პატივი, ჩვენი ჟურნალისთვის ბატონ ოტიასთან ინტერვიუ ჩამენერა. მახსოვს, ქართველ ახალგაზრდობასა და ჩვენს ზნეობა-უზნეობაზე ლაპარაკობდა:

— ვჩხუბობთ, ახალგაზრდობა არ გვივარგა-თქო! რას ჰქვია, არ გვივარგა? როგორც გაზარდე, იმნარიო, რას ერჩი ახალგაზრდობას?! კეთილი გენება და დაგვეენებინა გზაზე. ისინი ჩვენგან გაუბედურებული ახალგაზრდები არიან და ახლა არ მოგწონს? „ცემა გამართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი!..“ იმისთანა წყალნაღებული ერი ვართ, ყოველ გაზეთს აიღებ თუ ჟურნალს, დაუბეჭდე შიგ ილიას „მედნიერი ერი“ და დაინახავ, რაცა

მ უ რ ა დ ლ ე ბ ა !

გსურთ, ისწავლოთ ერთ-ერთი პრესტიჟული, სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული უნივერსიტეტის მაგისტრატურაში?


ნუ გაუშვებთ შანსს!!!

გინვევთ თბილისის საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის სასწავლო უნივერსიტეტში სპეციალობაზე — ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე, მხოლოდ 25 ადგილზე, სწავლის საფასური — მხოლოდ 1700 ლარი.

სტაჟირება მე-2 კურსიდან.
წარჩინებული დანაქმდებიან.

სააუთენტიკაციო მიღების გოლო ვადაა 10 მაისი.
ტელ: 96-36-41

ვართ!.. ვივინყებთ ამას ჩვენ. „ბაკულას ლორები“ გაიხსენე, დავით კლდიაშვილის მოთხრობები. თუ არ წაიკითხავ არაფერს, არ გააცნობიერებ — ვერაფერს გაიგებ... გაუნათლებელია ერი და ქვეყანა — ამაშია საქმე! განათლება გასართობად კი არაა — აზროვნებისთვის არის!.. გაზაფხული გავიდა, ყანა დაუთესავია, აღარც მჭადი გვაქვს



ოტარი იოსელიანი
„ალი ჯანოშია სადალაპოლი“
11

საკუთარი და აღარც — ყანა. რავარც კი გუნებაში ჩაიდებ — ვინცხას შევეფარები და მომიტყუავს პურსო, — მათხოვარი ხარ! მათხოვარს კი ზნეობა არა აქვს, მათხოვრები ქვეყანას არ აშენებენ, ისინი — მათხოვრობენ. მაგას ვტირი და ვჭივი — ეს დაგვლუპავს. დაღუპულებიც ვართ... მათხოვრობა, ხელგაშვრილობა შეურაცხყოფელია. ძალიან მდიდრები შეიძლება, არ ვიყავით, მაგრამ ქე გვქონდა პატივმოყვარეობა. წაიკითხეთ დავით კლდიაშვილი — უბრწყინვალესი მწერალი იყო — ნახეთ, როგორა აქვს გადმოცემული...

— **„კუდაბზიკობა და გამძაფრებული თავმოყვარეობა...“**

— დავანებოთ მაგას თავი. ისიც დავკარგეთ. გაგვიშვრია ხელი... მაგას იკადრებენ ახლა, დავით კლდიაშვილის გმირები?! უნდა გაახილო თვალი. ჩვენ აგერ სანვაევი არა გვაქვს, ყანა ვერ მოგვიხნავს და „პარადებს“ ვმართავთ... რისი ღირსიც არის ქვეყანა, იმნაირი მთავრობა ჰყავს. ის შენგან ამოტივტივდა, ხომ?.. მინა წავართვით გლეხს, გადავჩვიეთ. რომ უყვარდა, იმიტომ უვლიდა. პაპანაქება სიცხეში, მზე რომ ზენიტში იყო, თოხი ეჭირა ხელში. ისე, ტყუილად რომ დადგე და ხელიც გაანძრიო, დაგარტყამს მზე და წაგაქცევს — ის კი, თან თონინდა!.. ამაში იყო მინის სიყვარული! სიყვარული ყველაფერზე მაღალ დაგას, ყველაფერზე ძლიერია. ეს მოიშალა — ვინ დადგება ახლა თოხით ხელში მზეზე?! შენ ახლა ყანაში უნდა იღებდე ჩემგან ინტერვიუს. გალაკტიონმა ხომ თქვა: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე, რაა მამულიო?“ — მე კიდევ გუუბნებთ: მინა თუ კოჭებამდე მაინც არ შემოიყარე ფეხებზე, ისე ვერ გაიგებ, მამული რა არის!

ყველაზე სანდო მერობის კანდიდატი და თბილისალების გასაჭირი

წინასაარჩევნო მარათონის დაწყებისთანავე, მერობის მსურველებმა წაირ-წაირ, ერთმანეთზე უკეთესი დაპირების გაცემა დაიწყეს: გიგი უგულავა დედაქალაქის კიდევ უფრო გაღრმავებისა და უფრო მეტი საქმის კეთების პირობას დებს; გოგი თოფაძე ოჯახიდან მინიმუმ ერთი კაცის დასაქმების გარანტიას იძლევა; გაა ქანტურია უფასო წყლით, გაზსა და დენზე დაბალი ტარიფების შეთავაზებით ცდილობს ამომრჩევლის გულს მოგებას; ირაკლი ალასანია უფრო ზოგადი დაპირებით შემოიფარგლება და ამბობს, რომ სერიოზულ ცვლილებებს განახორციელებს; ზვიად ძიძიგური ბრძოლის დაწყებას აპირებს, თანაც — დღესვე... პარის სპეციალისტების აზრით, ყველაზე მიმზიდველი და მომგებიანი სლოგანი უგულავას აქვს, ყველაზე ნეგატიური კი — ძიძიგურს... რატომ არის ყველაზე მომგებიანი, უგულავას სლოგანი, რა არის ნეგატიური ძიძიგურის ლოზუნგებში, ვის უფრო სანდოდ მიიჩნევენ ამომრჩეველი და რეალურად, თუ არის შესაძლებელი მერობის კანდიდატთა დანაპირების შესრულება? — ამ კითხვებით პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს მივმართეთ.

— **სათუნა ბახტურიძე**

— ჩემი აზრით, ყველაზე უპრეტენზიო, ეფექტური და დამაჯერებელი სლოგანი გიგი უგულავას აქვს. როგორც ჩანს, ამ ადამიანის პიარზე სერიოზულმა პროფესიონალებმა იმუშავეს. უგულავა ამბობს, რომ გასაკეთებელი ძალიან ბევრია; ვერაფერს შეედავები... სხვების სლოგანები ძირითადად, დაპირებებს შეიცავს. რიგითმა მოქალაქემ უკვე იმდენი დაპირება მოისმინა და თანაც იმდენჯერ, რომ ნებისმიერს, რაც უნდა რეალისტური იყოს ის, უნდობლად უყურებს. შეგახსენებთ, რომ არცთუ ისე შორეულ წარსულში ხელისუფლების მიერ დაპირებული ერთი მილიონი სამუშაო ადგილი და ასი საავადმყოფო ბლეფი აღმოჩნდა. ასევე არ გამართლდა ოპოზიციის ლოზუნგები... სხვათა შორის, წინასაარჩევნო დაპირებები პოლიტიკაში განსაკუთრებულ „ჟანრს“ მიეკუთვნება და უნდობლობას, მხოლოდ მრავალჯერ მოტყუებულ ქართველებში კი არა, სხვა, მდიდარი ქვეყნების მოქალაქეებშიც კი იწვევს. როგორც ჩანს, უგულავას შტაბმა ეს ფაქტი გაითვალისწინა და დაპირებას თავი აარიდა.

— **„თბილისი კიდევ უფრო გაღრმავდება“ — ეს ხომ დაპირებაა!..“**

— კი, მაგრამ ეს ერთადერთი დაპირებაა, თანაც, მისი სიტყვების ქეშმარიტებაში ეჭვიც არავის ეპარება: ვერავინ უარყოფს, რომ თბილისში მართლაც, ბევრი რამე გაკეთდა, ბევ-

რიც კეთდება და ბევრის გაკეთებაც უკვე რეალურად იგეგმება. ყურადღება მიაქციეთ უგულავას მიერ ნათქვამ ფრაზას — „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“. ადამიანი ამ სიტყვების მოსმენისას იფიქრებს, — უგულავა გასაკეთებელ საქმეებში იმასაც გულისხმობს, რაც მე მანუხებსო. თბილისელებს, სოციალური პრობლემების გარდა, ძალიან ბევრი ისეთი რამეც აწუხებთ, რაზეც დღეს ხმაიანა არავინ ლაპარაკობს.

— **რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ დღეს საქართველოს დედაქალაქი ერთ დიდ საცობად გადაიქცა; იმას, რომ თბილისის ქუჩებში მოძრავი ავტომანქანების 80% 15 წლის წინ ან კიდევ უფრო ადრეა გამოშვებული და გარემოს სასტიკად აბინძურებს...

— **ამ საკითხზე პარლამენტში უკვე იყო მსჯელობა, მაგრამ კანონმდებლები იძულებული გახდნენ, გაეთვალისწინებინათ ის ფაქტი, რომ საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას ახალი, ძვირად ღირებული ავტომობილის შეძენის საშუალება არა აქვს.**

— ძველი ავტომობილების რაოდენობა ცოტათი მაინც უნდა შეიზღუდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით. კარგი, ვთქვათ, ამ საკითხის მოგვარება სოციალურ უკმაყოფილებას იწვევს; ის მაინც ხომ შეიძლება, რომ ნაგვის მანქანებმა



„თეატრი, მუსიკა, სპორტი, პორტრეტი, ფილმი მესხიერებაში“

უნიკალური მასალები. როგორც ყველა უნდა ნახოს

პროექტი „მესხიერება“ უკვე 6 თვეა, რაც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში გადის. მაცურებელს საშუალება აქვს, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანების შესახებ ბევრი საინტერესო რამ შეიტყოს. ეს ყველაფერი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სხვადასხვა თაობის ჟურნალისტების დამსახურებაა, რომლებიც 54 წლის მანძილზე, ქვეყნის საამაყო შედეგებთან ინტერვიუებს წერდნენ. მართალია, მათი გადაცემების ქრონოლოგიაში გამო, ბევრი უნიკალური კადრი ეთერში არ სვდებოდა, მაგრამ ახლა ტელემაყურებელი ამ ფასდაუდებელ მასალებს, 35-წუთიანი ფილმის სახით, ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) ეცნობა...

განა რამიშვილი, პროექტ „მესხიერების“ ავტორი და ხელმძღვანელი:

— დაახლოებით 15 წელია, რაც ტელევიზიაში ვმუშაობ. ბოლო 3 წლის განმავლობაში 3 პროექტზე — „ნიტელი ზონა“, „საუკუნის პორტრეტები“ და „დიდი ათეული“ — ვიმუშავე. გადაცემების მოსამზადებლად, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საარქივო მასალებს ვეცნობოდი. მოგეხსენებათ, ჩვენი ტელევიზია 1956 წელს შეიქმნა ანუ უკვე 54 წელია, რაც საარქივო მასალები გროვდება: ტელეფილმები, ტელესპექტაკლები, საფონდო ჩანაწერები... მოკლედ, ყველაფერი, რასაც სხვადასხვა თაობის ჟურნალისტები ქმნიდნენ. ამ უნიკალური ჩანაწერების ნახვისას, გოცმებისგან ბევრჯერ ფეხზე წამოვმდგარვარ, აღფრთოვანებულს ტაში დამიკრავს, მტირი... იდეა გამიჩნდა, ამ საოცარი კადრების ხილვის საშუალება ტელემაყურებლებს სთავსო მთელი.

— არ გაგიჭირდათ მოფიქრება — უამრავი და მართლაც უნიკალური მასალა ტელემაყურებლისთვის როგორი ფორმატის გადაცემის საშუალებით მიგწოდებინათ?

— მე, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური პროდიუსერი, გიორგი გაჩეჩილაძე და გენერალური დირექტორი, გია ჭანტურია ვისხედით და ვფიქრობდით. ბოლოს გადავწყვიტეთ, ენ. „ოქროს ფონდი“ გავხსნათ და მაცურებელს „პირველი არხის“ „არაჩვეულებრივი გამოფენა“ შევთავაზოთ-თქო. შემდეგ პროექტის სახელწოდებაზე — „მესხიერება“ („მესხიერებაში“ დალექილი გამოჩენილი ადამიანების მონათხრობი) შევთანხმდით.

— როგორ არჩევთ — უამრავი მასალიდან მაცურებელმა რა უნდა ნახოს?

— ეს მართლაც რთული საქმეა, რადგან ყველაფერი ძალიან საინტერესოა, თან — ყველა თაობის მაცურებლისთვის. მასალები დავახარისხეთ და 5 სფეროდ დავყავით: თეატრი, მუსიკა, სპორტი, პორტრეტი და ფილმები (ტელევიზიაში ტელეფილმების სტუდია 50-იან წლებში შეიქმნა). უკვე 6 თვეა, რაც შაბათ-კვირის გარდა, გადაცემა



„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში ყოველდღე, 19 საათსა და 5 წუთზე გადის.

— საინტერესოა, თქვენი გადაცემების გამრეების შთამომავლებს როგორი რეაქცია აქვთ, როცა თავიანთ დიად ნინაძერებს ეკრანზე ხედავენ? გადაცემების ეთერში გასვლის შემდეგ გიკავშირდებიან ხოლმე?

— რა თქმა უნდა, გვიკავშირდებიან და აღფრთოვანებული არიან. „მუსიკა მესხიერებაში“ — ამ ფორმატით ტელემაყურებელმა ლიანა იასაკაძე ბიჭვინთის ტაძარში, ცნობილ ფესტივალზე (1986 წელს) იხილა. მას-ოცს, გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ, თავად ლიანა ისაკაძემ დაგვირეკა და გვითხრა: შოკში ვარ, ეს კადრები სად მოძებნეთო?! საერთოდ, იმ ადამიანების სატელეფონო ზარები ძალიან მინიშნელოვანია, ვინც ჩვენი პროექტის საშუალებით, ეთერში გასული მასალების ფასი იცის! ნებისმიერ სატელეფონო პროექტს თავისი მაცურებელი ჰყავს, მაგრამ „მესხიერებას“ სხვა ღირებულება აქვს — ის ერის „ინტელექტუალური საკუთრებაა“ და ყველამ უნდა იხილოს! მიხარია, რომ ჩვენი გადაცემის ფასი ბევრმა იცის: ჟურნალისტები სწორად ამბობენ, — ისე დაგვლოცეს, მთელი ცხოვრება გვეყოფაო (ილინის).

— პროექტ „მესხიერებაზე“ მომუშავე ადამიანებზე რას გვეტყვით? მაგალითად, ჟურნალისტები როგორ შეარჩიეთ?

— „მესხიერებაზე“ 2 არაჩვეულებრივი რეჟისორი — გიორგი მოლოდინაშვილი

და ბესო შარაშიძე მუშაობენ. ჟურნალისტებს რაც შეეხება, ყველა მათგანი თავის სამუშაო სფეროში კარგად ერკვევა: მაგალითად, ორშაბათის გადაცემას — „თეატრი მესხიერებაში“ — ია შერაზადიშვილი ამზადებს, რომელიც თეატრმცოდნეც გახლავთ, „მუსიკას მესხიერებაში“ — მუსიკისმცოდნე ელისო შენგელია, „სპორტს“ — სპორტული კომენტატორი ზურა უსუფაშვილი, „ფილმს“ — ნინო ბინაძე (მან ტელეფილმების შექმნის ისტორია ძალიან კარგად იცის), „პორტრეტს“ — თამუნა ჩიხლაძე, რომელიც ძალიან ჭკვიანი, გამოცდილი ჟურნალისტია. გადაცემები ასე დაყვავით: საარქივო მასალა — 80%, თხრობა — 20%. ზოგჯერ მთხრობელი არ

გვყავს — საკუთარ ამბებს თავად დიდი ადამიანები გვიყვებიან, მაგალითად: 1912 წელს გადაღებული „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ — უნიკალური ფილმი: აკაკის სახე სწორედ მან შემოგვინახა. რეჟისორ ვასილ ამაშუკელთან ჩვენი არხის ჟურნალისტ ინტერვიუ აქვს ჩანერილი, რომელშიც ვასილ ამაშუკელი ფილმზე მუშაობის დეტალებს თავად გვიყვება. შეუძლებელია, ამ ჩანაწერს ემოციის გარეშე უყურო! წარმოუდგენელია, არ აღფრთოვანდეს, როცა ივანე ჯავახიშვილს უსმენ, რომელიც ამბობს: რაც შემეძლო, ის გავაცეთე; მე ჭიანჭველა ვარ, ჩემზე დიდი წარმოდგენა ნუ გაქვთო. სწორედ ვიმეორებ, — ეს ჩანაწერი ქართველმა პოლიტიკოსებმა უნდა ნახონ-მეთქი (ივინის).. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ყველა კოლეგას, რომელიც დღეს უკვე ფასდაუდებელ მასალებს ფირზე ინერდა და ინახავდა. ასევე მადლობას ვუხდით საარქივო ფონდს, რომლის წარმომადგენლებიც ფუტკრებივით შრომობენ. არქივიდან სწორად გვირეკავენ და გვეუბნებიან, — იცით, რა მასალა ვიპოვეთო?! ჩვენი მივდივართ და მერე იწყება — ტირილი, ტაშის დაკვრა, ფეხზე წამოდგომა... რაც ეს პროექტი დაიწყო, სხვა არაფერი მანიჭრესებს! წარმოდგენით, რა უნიკალური ჩანაწერია: კონსტანტინე გამსახურდია საკუთარ კაბინეტში თავისი ბიოგრაფიის, რომანების შესახებ მოგვითხრობს... „მესხიერებას“ მთელმა ოჯახმა უნდა უყუროს და გადაცემის დასრულების შემდეგ, ოჯახის წევრებს შორის, ერთგვარი პოლემიკაც კი უნდა გაიმართოს!..

— ეთერში უკვე რამდენი გადაცემა გასული. კიდევ რაიმე სიახლეს ხომ არ გეგმავთ?

— ეთერში უკვე 130 გადაცემა გავიდა. მაცურებლები ძალიან აქტიურობენ: გვირეკავენ და გვეუბნებიან, რომ ესა თუ ის ადამიანი არ დავგავიწყდეს — გადაცემა მასზეც გავაკეთოთ. არაფერი დავგავიწყდება — უამრავი მასალა გვაქვს! მიუხედავად იმისა, რომ „მესხიერების“ ხილვა ჩვენს საიტზე ყველას შეუძლია, მომავალში დისკების სახით გამოცემასაც ვაპირებთ. ასე რომ, ადამიანებს საშუალება ექნებათ, უნიკალური მასალები შინ ჰქონდეთ. ■



დასაწყისი იხ. გვ. 8

დღისით არ იარონ ქალაქის ქუჩებში და დისტრიბუტორებმა სუპერმარკეტები დილის 5 ან 6-ზე თუ არა, 7 საათზე მაინც მოამარაგონ (როგორც ეს ევროპაში ხდება)?! მე ძალიან მანუხებს ის ფაქტიც, რომ თბილისში ავტომობილების სადგომები პირდაპირ ცენტრალურ ადგილებშია მოწყობილი. მსოფლიოს ვერც ერთ ნორმალურ ქალაქში (დედაქალაქზე აღარ მაქვს საუბარი) უკვე 30 წელია, ასეთი სადგომები საერთოდ, აღარ არსებობს. ერთი სიტყვით, როდესაც უგულავა ამბობს, — გასაკეთებელი კიდევ ბევრიაო, — მე ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან, ამ პრობლემებსაც მიხედავს; ზოგი ფიქრობს, რომ ქალაქს მანანნალა ძაღლებისგან „განმენდენ“...

— ისე, ალასანიაც ამბობს, რომ ბევრი რამ შესაცვლელია. სომ შეიძლება, ამომრჩეველმა ამ შემთხვევაშიც იფიქროს, — ალასანია სწორედ იმის შეცვლას აპირებს, რაც მე არ მომწონსო?!

— დიას, შესაცვლელი ნამდვილად, ბევრია და ეს სლოგანიც სწორადაა შერჩეული. მაგრამ უგულავას უპირატესობა ის არის, რომ მას შეუძლია თქვას, — ბევრი რამე უკვე გავაკეთეთო.

— პიარის სპეციალისტები ფიქრობენ, რომ უგულავას სერიოზულ მეტოქეობას გაუნეწვს გია ჭანტურია, იმის გამო, რომ ის მოსახლეობას დაბალ ტარიფებს სთავაზობს. მისი დანაპირების რეალურად განხორციელება რამდენად შესაძლებელია?

— გამიჭირდება რაიმის თქმა. როდესაც გია ჭანტურია ამ საკითხზე საუბრობს, პირადად მე მისი არგუმენტები ძალზე დამაჯერებელი მეჩვენება, მაგრამ საინტიერესოა, როგორ დაასაბუთებს ის თავის სიმართლეს, როდესაც კონკურენტის წინაშე დაჯდება და უფრო არგუმენტირებულად მოუწვევს თავისი სიმართლის დამტკიცება?! დიდი იმედი მაქვს, რომ მ მათს ტელედეისკუსიები დაიწყება და მერობის კანდიდატები, როგორც ერთმანეთს, ისე ფართო საზოგადოებას დეტალურად აუხსნიან, თუ როგორ და რა ფორმით აპირებენ თავიანთი დანაპირების შესრულებას. ახლა ვისაც რა უნდა, იმას ამბობს; ცალ-ცალკე ყველა მართალია, აი, ერთმანეთის პირისპირ რომ დასხდებიან, მერე ვნახოთ, რა იქნება. დარწმუნებული ვარ, ტელედებატები დიდ გავლენას მოახდენს ამომრჩევლის საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

— თქვენი აზრით, ოპოზიციას საკრებულოში მოსახვედრად როგორი შანსები აქვს?

— რეიტინგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საკრებულოს უმრავლესობაშიც „ნაციონალები“ იქნებიან.

— ქრისტინა-დემოკრატები დავით გამყრელიძის წინადადებას რომ დათანხმდებიან, მერის კანდიდატურაზე ალასანიასთვის დაეჭირათ მზარი და სანაცვლოდ, „ალიანისგან“ მათ, საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენებისას მიელოთ მხარდაჭერა, ძალთა ბალანსი გარკვეულწილად, სომ არ შეიცვლებაო?

— არა, სიმართლე რომ გითხრათ, გამყრელიძის შეთავაზება არასერიოზული იყო: ასეთი გადაწყვეტილე-

ბების მიღება უკვე ძალიან დაგვიანებულია. არჩევნებამდე ერთი თვეც აღარ არის დარჩენილი — რალა დროს ახალი შეთავაზებებია?! პარტიებსა და კანდიდატებს უკვე ჩამოყალიბებული აქვთ თავიანთი პროგრამები, დაფინანსებაც გათვლილი აქვთ. მთელი ამ სტრუქტურის დამსხვრევა და ახალი კონსულტაციების დაწყება არასერიოზულია. მით უმეტეს, საქართველოში პარტიებს შორის კონსულტაციები სულ ცოტა, 7 ან 8 თვე მაინც გრძელდება ხოლმე. ქრისტინა-დემოკრატები ამ შემთხვევაზე რომ დათანხმებულიყვნენ, ეს საწყალი ელექტორატი სულ გადაირეოდა. ხალხის ნერვებზე თამაშს არავის ვურჩევ, ისედაც გაცოფებული და განაწყენებულია იმის გამო, რომ ოპოზიციის ერთ კანდიდატზე ვერ მორიდდა...

— ფიქრობთ, რომ ოპოზიციის ნოლიდელის გამორჩენის შემდეგ, საზოგადოება ისევ გაერთიანების მომხრე იყო?

— არა. ნოლიდელმა თავისი გაუთვლელი სვლებით კიდევ უფრო არია სიტუაცია. ძალიან ბევრი დრო დასჭირდება იმისთვის, რომ ქართველ ხალხს მასზე ჩამოყალიბებული წარმოდგენა შეაცვლევინოს. მან საზოგადოების იმ მცირე ნაწილის მხარდაჭერაც დაკარგა, რომელსაც სჯეროდა, რომ მოსკოვთან დიალოგით შესაძლებელი იყო ტერიტორიული პრობლემების მოგვარება.

— ის ფაქტი, რომ მერობის კანდიდატები ტერიტორიულ პრობლემებზე საუბარს თავს არიდებენ და ძირითად აქცენტს სოციალურ საკითხებზე აკეთებენ, ადგილობრივი არჩევნების სპეციფიკითაა განპირობებული თუ სხვა მიზეზითაა?

— უკვე მთელ მსოფლიოში აღიარეს, რომ ადგილობრივ არჩევნებში პოლიტიკოსები უმთავრესად, სოციალურ საკითხებზე აკეთებენ აქცენტს. დარწმუნებული ვარ, საპარლამენტო და შემდეგ, საპრეზიდენტო არჩევნებზე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი ძალზე მწვავედ დადგება და „ნაციონალების“ კანდიდატები ისე არხეინად და დარწმუნებით ვეღარ იტყვიან, — ბევრი რამე უკვე გავაკეთეთო, როგორც დღეს გიგი უგულავა ამბობს. მართალია, სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, თემურ იაკობაშვილი გვარწმუნებს, — ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად 10 წელი გვჭირდებაო, — მაგრამ ხალხი 2-3 წელიწადშიც მიხვდება, მართლა არიან თუ არა რამის გამკეთებლები ამ თვალსაზრისით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ აცხადებს:

კონკურსს საუკეთესო სტატიისთვის საპროცესო შეთანხმების თემაზე

გამარჯვებული დაჯილდოვდება პრიზით **\$600 ოდენობით.**

უპირატესობა მიენიჭება სტატიებს, რომლებიც ორიგინალურ წვლილს შეიტანენ საპროცესო შეთანხმების თაობაზე მიმდინარე საზოგადოებრივ დისკუსიაში.

კონკურსისთვის მისაღება როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი სტატიები.

გთხოვთ, გამოაგზავნოთ საკონკურსო სტატიები შემდეგ ელ-მისამართზე: alekos@transparency.ge არა უგვიანეს **21 მაისისა.**

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ გვერდი: www.transparency.ge



კომპანია „კალი ჰსო თრაჰელი“ „ბათუმი ექსპო 2010“-ს უმასპინძლებს



გამყვანი ტურიზმი — ანუ ყველა ის მიმართულება, რომელიც ამ სფეროს განვითარებას ემსახურება. საერთაშორისო ტურისტული გამოფენის მიზანზე უფრო კონკრეტულად, კომპანია „კალიჰსო თრეველის“ დირექტორი **ინგა მალაშჩიხაძე** ისაუბრებს.

დახვეწილი, გემოვნებიანი, უცხოეთში მრავალგზის აპრობირებული მეთოდების გამოცდილებაზე ორიენტირებული, თუმცა მაინც თავისებურად ორიგინალური, რომელიც თავის განუმეორებელ ხელწერას ყოველთვის ტოვებს, — ასეთია კომპანია

„კალიჰსო თრეველის“ მუშაობის სტილი, რომელიც ამჟამად საქართველოს უღამაზეს საკურორტო ქალაქში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას მასპინძლობს. „ბათუმი ექსპო 2010“-ზე 7-9 მაისს, ქალაქ ბათუმში, ევროპის მოედანზე მთელი საქართველოს კუთხეები და ქართულ თუ უცხოურ ტურისტულ პროდუქტზე ორიენტირებული უამრავი კომპანია იქნება წარმოდგენილი. გამოფენის მთავარი თემებია — საერთაშორისო (შემოყვანით), საკრუიზო, რეგიონული და

— ბათუმის საერთაშორისო ტურისტული გამოფენა წელს მესამედ ტარდება. „კალიჰსო თრეველი“ კი მისი ორგანიზატორის რანგში პირველად შარშან წარდგა. მიმაჩნია, რომ საერთოდ, „ბათუმი ექსპო“-ს იდეა და ჩვენი მიზანი, ისეთი სივრცის შექმნაა, რომელიც ხელს უწყობს ბიზნესპარტნიორების, საინტერესო წინადადებებისა თუ ინვესტიციების მოპოვებას ტურიზმის სფეროში და, რაც მთავარია, საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შექმნას. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ კი ამის საჭიროება ნამდვილად შეიქმნა... თუმცა ვითარება მალევე გამოსწორდა და შარშან, როცა თბილისის საკენების ქალაქად იყო ქცეული და ერთი შეხედვით, საკმაოდ არასახარბიელო ვითარება იყო, კომპანია „კალიჰსო თრეველის“ ორგანიზატორობით პირველი საერთაშორისო გამოფენა მოეწყო. იმდენად დაძაბული ვითარება იყო, პარტნიორებთან შეხვედრაც კი გვიჭირდა, თუმცა მართლაც, თავდაუზოგავად

ვიშრომეთ და შედეგად „ბათუმი ექსპო 2009“-ში 95 კომპანია მონაწილეობდა... რაც შეეხება 7-9 მაისისთვის დაგეგმილ საერთაშორისო გამოფენას, მისი მიზანია, ხელი შეუწყნოთ რეგიონის ტურისტული და საკურორტო რესურსების პოპულარიზაციას, ადგილობრივი მომხმარებლისთვის უცხოური მიმართულებების შეთავაზებასა და ზოგადად, შავი ზღვისპირა ქვეყნების საკრუიზო მარშრუტების პოპულარიზაციას. სიამოვნებით მიიღებთ ალენიშნო, რომ წელსაც ამ საქმეში უამრავი მხარდაჭერი კომპანია

გვყავს. აქტიურად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ქვეყანაში აკრედიტებულ საქართველოს საელჩოებთანაც, რომლებიც ვიზიტორების მოძიებასთან დაკავშირებით გვეხმარებოდნენ. ჩვენი მთავარი მედიასპარტნიორია „აჭარის ტელევიზია“, გენერალური სპონსორია კომპანია „მათეიკომი“, სტუმრები დაბინავდებიან „უმალესი დონის სასტუმრო „ინტურისტ პალასში“ და ამ სამი დღის განმავლობაში ისინი ძალიან საინტერესო, ინფორმაციულად და საქმით დატვირთულ დროს გაატარებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოფენა დაზღვეულია სადაზღვევო კომპანია „აი-სი ჯგუფის“ მიერ... გამოფენაში მონაწილეობს 107 კომპანია, მათ შორის, აქტიურად არის ჩართული სომხეთი და აზერბაიჯანი, მაგრამ მთავარ სტუმარ ქვეყნად წარმოდგენილი იქნება თურქეთი. უკვე 6 მაისიდან, თურქეთიდან სხვადასხვა სფეროში, მათ შორის საინვესტიციო პოტენციალით დაინტერესებული კომპანიები და 500-მდე პროფესიონალი ვიზიტორი აპირებს შემოსვლას.

ერთი სიტყვით, სამი დღის განმავლობაში „ბათუმი ექსპო 2010“-ის პავილიონი ნამდვილ ტურისტულ ბიზნესცენტრად გადაიქცევა. ამ გრანდიოზული პროექტის განხორციელებაში, რა თქმა უნდა, მხარში ამოგვიდგნენ: ბათუმის მერია, თბილისის მერია, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული

საინვესტიციო სააგენტო, კომპანია „ბაკური“. ასე რომ, „კალიჰსო თრეველი“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან ერთად, გეპატიჟებათ ბათუმში ტურისტული სეზონის გახსნაზე. ჩვენი მიზანია, ტურიზმის სფეროში „ბათუმი ექსპო 2010“ ბიზნესკომუნიკაციების კვანძად იქცეს.

მომამზადა
ლალი პაპუასკირაძე



ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისათვის

საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც თანამედროვე სამყაროს წინაშე დგას, ჩვენც ხშირად ვუთმობთ ყურადღებას. ის, რაც ევროპის ან გნებავთ, ნებისმიერი სხვა კონტინენტის მოქალაქეებს ანუხებს, ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დიდი ინტერესით გავეცანით ინტერვიუს გერმანულ საზოგადო მოღვაწესთან, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას ესება, და დავთანხმდით ცოტნე გამსახურდიას წინადადებას — ეს ინტერვიუ „გზის“ მკითხველისთვის გაგვეცნო.



ტილო ბოდე ბავარიელია. მიღებული აქვს სოციოლოგიური და ეკონომიკური განათლება. 1986 წლამდე საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა პროგრამაში იყო ჩაბმული, მერე კი რამდენიმე წლის განმავლობაში სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა. ამის შემდეგ, Greenpeace-ში დაინიშნა საქმიანობა. 1989 წელს სათავეში ჩაუდგა ჯერ Greenpeace-ის გერმანულ ფილიალს, შემდგომ კი ამ საერთაშორისო ორგანიზაციის თავაჯი გახდა. 2001 წელს ტილო ბოდე, ქვეყნის წინაშე დამსახურებისთვის, „საპატიო ჯვრით“ დააჯილდოეს.

— ბატონო ბოდე, თქვენ გეკუთვნით ფრაზა: „მე ძალა იმისთვის მჭირდება, რომ შევძლო ადამიანებისა და მოვლენების ბედზე ზეგავლენის მოხდენა. კარგია, როცა ძალა გაქვს“. მაინც როდის არის არასამთავრობო ორგანიზაცია ძლიერი?

— როდესაც ადამიანებს სწორი, საჭირო ბოროტო საკითხით დაინტერესებს. არასამთავრობო ორგანიზაციის მიზნებმა საზოგადოებაში გამომავლობა უნდა პოვდეს, მაშინ აქვს გავლენა. ადამიანებმა უნდა თქვან: „ეს იდეა მომწონს. აქ პოლიტიკური ეშელონები არ იცავენ ჩემს ინტერესებს“. არასამთავრობო ორგანიზაცია მით უფრო ძლიერია, რაც მეტი მხარდამჭერი ჰყავს. თუ მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, მაშინ უკვე პოლიტიკური ძალებიც იწყებენ წამოჭრილ პრობლემებზე ზრუნვას.

მაგალითად?

— მაგალითად, ავიდით გარემოს დაცვა. ყველანი კარგად ვხედავთ, რომ ეკოლოგიურმა პრობლემებმა სამოქალაქო საზოგადოებიდან დიდ პოლიტიკაში გადაინაცვლა. თავიდან ინიციატივა ცალკეული მოქალაქეებისგან წამოვიდა, შემდეგ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ინყეს ეკოლოგიის თემაზე მასალების გავრცელება, საბოლოო ჯამში კი საკმაოდ სერიოზული მოძრაობა ჩამოყალიბდა. „მწვანეთა“ პარტიის სახით, ის ბუნდესტაგშიც კია წარმოდგენილი.

— თქვენს პერიოდში Greenpeace-მა რამდენიმე შთამბეჭდავი სანახაობრივი აქცია ჩაატარა. გავისენოთ თუნდაც, ზღვაში მიტოვებული, ნავთობმომპოვებელი პლატფორმის დაკავება. დღესდღეობით, როდესაც კლიმატის გადარჩენის თემა მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემად იქცა. ბოლო დროს კი თვით გარემოს დაცვის ორგანიზაცია გარკვეულწილად,

თითქოს დავიწყებას მიეცა. საკითხების პოლიტიკურ განზომილებაში გადანაცვლება ფუნქციას ხომ არ აკარგინებს საკუთრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს?

— დღეს კლიმატის დაცვა, ფაქტობრივად, საერთაშორისო შეთანხმებების შემადგენელ ნაწილად და გლობალური კონფერენციების მსჯელობის საგნად იქცა. სანამ ასე იქნებოდა, Greenpeace-სა და მსგავს ორგანიზაციებს გაცილებით მეტი სამუშაო ჰქონდათ. მაგრამ არასწორი იქნება იმის თქმა, რომ უკვე ყველაფერს მივალწიეთ. ამ ორგანიზაციების წინაშე კვლავ მრავალი ამოცანა დგას, უბრალოდ, დღეს აქცენტები იცვლება. XXI საუკუნეში უკვე აღარავის სჭირდება იმის ახსნა, რომ ბუნებას დაცვა სჭირდება, რომ ბიოლოგიურ სახეობათა რაოდენობა სულ უფრო მცირდება და კლიმატის ტემპერატურა მატულობს. რამდენიმე შეშლილის გარდა, ამაში აღარავის ეპარება ეჭვი. ჩვენ აღარ გვჭირდება საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა. მაგრამ რჩება აუცილებელი ზომების მიღების პრობლემა. გაცილებით მეტი ძალისხმევა დღეს გარემოს დამცველ ორგანიზაციებს ღობიზმთან ბრძოლაში ესარჯებათ, რაც ბევრად უფრო რთულ და სკრუპულოზურ მუშაობას მოითხოვს, ვიდრე გლობალურ პრობლემების მსოფლიო გამოშვებაა. თუმცა ბუნებრივია, ზოგიერთ ავტორიტარულ ან თითქმის ავტორიტარულ სახელმწიფოში საზოგადოების ინფორმირების პრობლემა დღესაც აქტუალურია.

— რაც მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება არსებობს. როგორ ფიქრობთ — აუცილებელია თუ არა დემოკრატიული გარემო არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობისათვის?

— არა, ასე არ არის. არასამთავრობო ორგანიზაციებს სწორედ ავტორიტარულ სახელმწიფოებში აქვთ მისია და ასე ვთქვათ, შანსიც, წამოაყენონ იმგვარი მოთხოვნები, რომელთაც ავტორიტარული რეჟიმიც კი ვერ უგულვებელყოფს. მაგალითად, მოითხოვენ გამჭვირვალობა მოქალაქეთა უფლებების უკეთ დასაცავად, როცა საქმე არაჯანსაღ საკვებს პროდუქტს ეხება. გამჭვირვალობა ხომ ავტორიტარული რეჟიმის პირველი მტერია!.. ამრიგად, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეაქვთ არაპირდაპირი, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი საზოგადოების დემოკრა-

ტიზაციაში. გავისენოთ, რომ ეკლესიის შემდეგ, განსაკუთრებით, სწორედ გარემოსდაცვითმა ორგანიზაციებმა შეუწყვეს ხელი ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რეჟიმის დაშლას: ეკოლოგიური პრობლემების გამოშვებით, მათ სახელისუფლებო დეფიციტი დააფიქსირეს. არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბება დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვას ნიშნავს.

— თუ შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული საზოგადოებისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა იმდენად მნიშვნელოვანი აღარ არის?

— არავითარ შემთხვევაში! მათი არსებობა აუცილებელია. არასამთავრობო ორგანიზაციები მოქმედი დემოკრატიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. რა იქნებოდა დემოკრატია სამოქალაქო საზოგადოების გარეშე? — სახლი, რომელსაც საძირკველი არა აქვს. დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებობს სფეროები, რომლებსაც პარლამენტის მუშაობა სრულად ვერ მოიცავს და ეს დემოკრატიისათვის დამახასიათებელია, სადაც მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობა აუცილებელია. ასეთია, მაგალითად, სოციალური პროექტები თუ გარემოსა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა. სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებში თანამშრომლობის პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ პატარა-პატარა კერძო წამოწყება ხშირად უფრო ეფექტურია, ვიდრე დიდი პროექტი. ამავე დროს, ის რაღაც საზრუნავისგან სახელმწიფოს გამოთავისუფლებასაც უწყობს ხელს. ამრიგად, ხელისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს.

— ადრე Greenpeace-ის აქტივისტი იყავით, ამჟამად კი თქვენ და თქვენი ორგანიზაცია — Foodwatch-ის საკვები პროდუქციის სიჯანსაღის კონტროლის ხარტ დაკავებულნი. რამდენად მჭიდროდაა დაკავშირებული კვების საკითხი სამოქალაქო საზოგადოების სფეროსთან?



როგორ დაისჯება კანონის დამრღვევი პროკურორი და გამომძიებელი?

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე მერაბ ჯორბენაძე) ცოტენ გამსახურდიას 9 წლითა და 6 თვით აღუკვეთა თავისუფლება. ამ განაჩენს ბრალდებულზე უდანაშაულოდ აცხადებს და გამართლებას ითხოვს. გამოტანილი განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა.

— ვვიკრობ, საკმარისი და ჯანსაღი კვება — მოქალაქეობრივი უფლებაა. უბრალოდ, ადამიანური ღირსების საკითხია, რომ ყველას საკმარისი საკვები ჰქონდეს. თუ ადრე მხოლოდ საკვები პროდუქციის ჰიგიენის საკითხი იდგა, დღეს საკვებში სხვადასხვა დანამატის, სასუქისა და მომწამლავი ნივთიერების არსებობის წინააღმდეგ ბრძოლა გვინევს. სწორედ კვებასთან დაკავშირებით იჩენს თავს ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი პრობლემები: შიმშილი მესამე ქვეყნებში და სიმსუქენი — ჩვენში, ვაჭრობის გლობალიზაცია და მომხმარებლის ინტერესების დაცვა, გარემოს დაბინძურება, ასევე — ნესიერი, უფრო სწორად, უნესო ვაჭრობის საკითხი. ასე რომ, სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს და საქმე მხოლოდ საკვები პროდუქტების დახარისხებას როდღე ეხება. მართალია, პოლიტიკოსები ამ თემას ჯერჯერობით, საკმარისი სერიოზულობით არ ეკიდებიან, მაგრამ ჩვენ სწორედ ამ დამოკიდებულების შეცვლა გვსურს.

— სომ არ გაიზრდება არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედების ეფექტიანობა, თუ ისინი უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებენ ერთმანეთთან? ალბათ კარგი იქნებოდა, Foodwatch-ი რომ Greenpeace-ის ფილიალი ყოფილიყო.

— არა, მომხმარებელთა უფლებები და გარემოს დაცვა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კიდევ ერთმანეთს, თანაც — მათი თემატიკა აბსოლუტურად განსხვავებულია. ჩვენ თანაბრად კრიტიკულად განვიხილავთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური ჩარევის შედეგად მიღებულ პროდუქციას. რაც შეეხება გენური ინჟინერიის თემას, Foodwatch-ი მიიჩნევს, რომ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს არჩევანი ჩვეულებრივ და გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს შორის, გარემოს დამცველი ორგანიზაციები კი პრინციპულად ეწინააღმდეგებიან გენურ ტექნოლოგიებს. გარდა ამისა, კვების სფეროში არსებობს არაერთი საკითხი, რომელსაც გარემოს დაცვასთან პირდაპირი შეხება არა აქვს. ასეთებია, მაგალითად: გაფუჭებული ხორცისგან დამზადებული საკვები პროდუქციის უსაფრთხოებისა და ხარისხის კონტროლის პრობლემები.


— მომავალში თუ კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნას გადაწყვეტთ, მაინც რომელი სფერო გახდება თქვენი ყურადღების ობიექტი?

— პირდაპირ გეტყვით, რომ ეს იქნება ფინანსური სფერო. ჩემი აზრით, ნამდვილი ტრაგედიაა, რომ ჩვენში არ არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრიობას მიანდვის ობიექტურ ინფორმაციას საბანკო კრიზისის შესახებ და კრიტიკულად დააკვირდება, თუ როგორ ახორციელებს ფინანსური სამყარო საკუთარ ინტერესებს საერთო კეთილდღეობის ხარჯზე.



მუხლის 1 ნაწილის თანახმად, საექსპერტო გამოკვლევისთვის ნიმუში შეიძლება აიღოს ექვმიტანილისა და ბრალდებულისაგან, — ნათქვამია დადგენილებაში. გირკვა — გამსახურდიას არანაირი სტატუსი არ ჰქონდა, როცა ექსპერტმა ნიმუში აიღო. „2009 წლის 27 ოქტომბერს, წინასწარი გამოძიება თბილისში, გალის ქუჩა №18-ში მცხოვრებ დავით ბაგელიძის სხეულის დაზიანების ფაქტზე დაიწყო. იმავე დღეს, ნიმუშის აღების შესახებ ოქმის მიხედვით, 20 საათიდან 20.05 საათამდე დროის მონაკვეთში ძველი თბილისის სამმართველოს მე-3 განყოფილების გამოძიებელმა შორენა ჯომიდავა ნიმუშის აღების შესახებ

ლაბორატორია „დნმ-დიაგნოსტიკა“ პჯრ (PCR) — მეთოდი



1. გენომური დაქტილოსკოპია (სადავო მამობის დადგენა);
2. მეგკვიდრული დაავადებების დიაგნოსტიკა;
3. ონკოლოგიური და გენეტიკური დაავადებებისადმი მიდრეკილების განსაზღვრა;
4. სქესობრივი გზით გადამდები ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების დიაგნოსტიკა:
 - ორვე სქესის პაციენტთა გამოკვლევა ქორწინებამდე;
 - ორსულობის შეწყვეტისა (თვითნებური აბორტი) და ნაყოფის სიმახინჯეების გამოწვევი მიზეზების დიაგნოსტიკა;
 - საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების გამოწვევი ყველა მაღალი ონკოგენური ტიპების პაპილომაჯირუსის გამოვლენა;
 - B, D და C ჰეპატიტების დიაგნოსტიკა;
 - C — ჰეპატიტის გენოტიპირება.

კონსულტაცია უფასოა

ქ. თბილისი, ა.ყაზბეგის გამზ. 14ბ, ტელ: (995 32) 18-37-84; (899) 55 61 97; (877) 94 94 13; dna_diagnostics@hotmail.com

ჟურნალი Deutschland, 3/2009
გერმანულიდან თარგმნა
ცოტნე გამსახურდიას
(2010 წ. მარტი.
გლდანის მე-8 საპრობილე)



ოქმი შეადგინა, რომლის თანახმადაც, ცოტნე გამსახურდიას მარჯვენა და მარცხენა ხელის ანაწინედები აიღეს. თუმცა ცოტნე გამსახურდია ეჭვმიტანილად ცნეს და ეჭვმიტანილის სახით დააკავეს 2009 წლის 28 ოქტომბერს, 01.30 წუთზე, ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობა კი 29 ოქტომბერს მიეცა. ამდენად, ნიშუშის ალექსის მომენტი-სა და ოქმის შედგენისას, ცოტნე გამსახურდია არ წარმოადგენდა პირს, რომლისგანაც შეიძლება ნიშუშის ალექსა, რაც საპროცესო ხელმძღვანელობის განმხორციელებელმა პროკურორმა ზურაბ კუპატაძემ ყურადღების მიღმა დატოვა. ყოვე-

ლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმჩნია, რომ პროკურორმა კუპატაძემ და გამოძიებელმა ჯომიდავამ სს საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1 ნაწილის მოთხოვნები დაარღვიეს; — ვკითხულობთ განჩინებაში. სასამართლომ დაადგინა:

„ყურადღება მიექცეს ცოტნე გამსახურდიას სს საქმეზე ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზურაბ კუპატაძისა და ძველი თბილისის სამმართველოს მე-3 განყოფილების გამოძიებელ შორენა ჯომიდავას დაშვებულ კანონის მოთხოვნათა დარღვევას. შემდგომში მსგავსი დარღვევების აღმოსაფხვრელად ქმედ-

ითი ზომები მიიღოთ და მიღებული ზომების და გატარებული ღონისძიების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სს საქმეთა კოლეგიას ერთი თვის განმავლობაში ეცნობოს. კერძოდ დადგენილება რეაგირებისთვის თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორის და საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციას გადაეგზავნოს“, — ნათქვამია განჩინებაში, რომელსაც მოსამართლე მერაბ ჯორბენაძე აწერს ხელს. ვნახოთ, რა ზომებს მიიღებენ და როგორ დაისჯებიან კანონის დამრღვევი ძალოვნები. ■

27 აპრილს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მშობლების საჩივარი განიხილა. ქალბატონი ირინა ენუქიძე სიცოცხლის ბოლო წუთამდე უდანაშაულო შვილის მკვლელობაში მონაწილე პირების დასჯას ითხოვდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ბრძოლას ბატონი გურამი აგრძელებს. „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ“ — ასე დარეგისტრირდა საბოლოოდ აღნიშნული საქმე და ოჯახი სახელმწიფოსგან მორალური ზიანისთვის 300.000 ევროს ითხოვს.

ევროსასამართლო საქმეებს უმეტესად, მხარეების მონაწილეობის გარეშე იხილავს, მაგრამ ამ შემთხვევაში, გირგვლიანების შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქმის განხილვაში გურამ გირგვლიანი და მისი ადვოკატები — შალვა შავგულიძე და დავით ჯანდიერი მონაწილეობდნენ.

სტრასბურგში საქმე ზეპირი მოსმენით განიხილეს და მხარეებს თავიანთი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მიეცათ. ხელისუფლების ინტერესს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინათინ ბურჯალიანი და ევროპის სასამართლოსთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, ლევან მეცხორაძე იცავდნენ. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება სავარაუდოდ, ერთ თვეში გახდება ცნობილი. სტრასბურგიდან დაბრუნებული დაზარალებულის ადვოკატი დარწმუნებულია, რომ სასამართლო მათ სასარგებლო ვერდიქტს გამოიტანს.

შალვა შავგულიძე:


— მიგვაჩნია, რომ ჩვენი პოზიცია სრულფასოვნად იყო წარმოდგენილი. ფაქტობრივად, სასამართლოს ყველა კითხვას ამომწურავი, არგუმენტირებული პასუხი გავეცით. ჩემი აზრით, მთავრობის პოზიციას დამაჯერებლობა და დასაბუთებულობა აშკარად აკლდა.

ხელისუფლებამ რა არგუმენტები წარმოადგინა?

— მათი ძირითადი პოზიცია იყო, რომ ამ შემთხვევაში დანაშაული ჩადენილია ფიზიკური პირების მიერ — მართალია, ისინი შს სამინისტროს თანამშრომლები არიან, მაგრამ როგორც ფიზიკური პირები, ისე მოქმედებდნენ, შესაბამისად, სახელმწიფო პასუხისმგებელი არ უნდა გახდეს მათ მიერ

სანდრო გირგვლიანის ოჯახი სტრასბურგიდან საბოლოო პერდიქტს ელოდება

ჩადენილ ქმედებაზე. თითქოს ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს ვალდებულება — ობიექტური გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ჩატარებით ამოიწურა, რაც, ჩვენი აზრით, დაუსაბუთებელი პოზიციაა. ჯერ ერთი, აღნიშნული პირები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით მოქმედებდნენ. საქმის მასალებიდან დგინდება, რომ გამოყენებულია ოპერატიული მანქანა, რომელითაც ბიბლიურიძე შემთხვევის ადგილზე მივიდა. პირდაპირ ამბობს ის თავის ჩვენებაში და სხვა მონაწილეებიც ადასტურებენ, რომ მისი უშუალო უფროსი, გერონტი ალანია დაუკავშირდა და დაავალა, გამოცხადებულიყო ლესელიძის ქუჩაზე, თან ტაბელური იარაღი უნდა ჰქონოდა, ვინაიდან გარკვეული პირები შეიძლება, დასაკავებელი გამხდარიყვნენ. ამის შემდეგ ბიბლიურიძე შს სამინისტროში გაემართა, იქიდან ოპერატიული ავტომანქანა გამოიყვანა, თან ჰქონდა ტაბელური იარაღი. სანდრო გირგვლიანის და ლევან ბუხაიძე როცა გააჩერეს, წარუდგინენ, როგორც სამინისტროს თანამშრომლები. სატელეფონი ზარებიც ხორციელდებოდა სუფრაზე მსხდომ შს სამინისტროს მაღალი რანგის მუშაკებსა და აღმსრულებლებს შორის. შესაბამისად, პასუხისმგებლობა თითონ სახელმწიფოს ეკისრება. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, როგორი არასრული და არაობიექტური იყო წინასწარი და სასამართლო გამოძიება. ის არგუმენტიც კი, რომ მთავრობამ განახორციელა სრულფასოვანი გამოძიება და მას უნდა მოესწინა პასუხისმგებლობა, დაუსაბუთებელია. პოზიციის დასაბუთებისას ჩვენ ყოველთვის ვუთითებდით საქმეში არსებულ კონკრეტულ მტკიცებულებებს, რაც ნამდვილად, ვერ მოვიხმინეთ მთავრობის წარმომადგენლებისგან. წელიწადზე მეტხანს გვექონდა ევროსასამართლოსთან კომუნიკაციის საშუალება და დეტალურად დავასაბუთეთ, თუ რატომ არის სწორედ სახელმწიფო პასუხისმგებელი ყველა იმ მუხლის დარღვევისათვის, რომლის აღიარებასაც სასამართლოსაგან ვითხოვთ. ხელისუფლების ყველა შტო მოცემულ საქმეში ჩართული იყო. საქართველოს პარლა-



მენტმაც კი, კონკრეტულად ამ საქმესთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო, რათა პასუხისმგებლობა და მდგომარეობა შემსუბუქებოდათ კონკრეტულ ბრალდებულებს. ანუ საკანონმდებლო ხელისუფლებაც ჩართული იყო და ბოლოს ყველაფერი პრეზიდენტმა დააგვირგვინა, როცა მსჯავრდადებულები შეინყაღა. სტრასბურგში სწორედ ეს პრეტენზიები დაყავნეთ სახელმწიფოს მიმართ.

სასამართლო განსაკუთრებულ აქცენტებს რაზე ამახვილებდა?

— მოსამართლეებმა კითხვები დასვეს. აქცენტი კეთდებოდა იმაზე, თუ რატომ მიგვაჩნდა, რომ ადმინისტრაციული რესურსი იყო გამოყენებული. ჩვენ მიგუთითეთ კონკრეტული ჩვენებები, საქმეში არსებული კონკრეტული მტკიცებულებები, რაც ამას ადასტურებს.

საჩივარში რაიმე ცვლილება ხომ არ შევიდა? 300.000 ევროს მოთხოვნა ძალაში დარჩა?

— ბატონი გურამი მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 300.000 ევროს ითხოვს. ძალაში დარჩა იმ მუხლების დარღვევა, რომელსაც ვაფიქსირებდით. საქმე ევროსასამართლოში კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევაზე გავასაჩივრეთ: სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. ვნახოთ, სასამართლო როგორ შეაფასებს ამ ყველაფერს. ■



პოლიტოლოგი ანათოცხნიერი და ფილოლოგიური ძიებებით ერთობა

ადამიანი, რომელიც არასდროს ერთობა, იშვიათად სძინავს, ჭამისა და სიარულის დროს კი თავდაცვის სტრატეგიებსა და საერთაშორისო ურთიერთობებზე ფიქრობს — ასეთი შთაბეჭდილება პოლიტოლოგ ანდრო ბარნოვზე მასთან ორსაათიანი საუბრის შემდეგ ჩამომიყალიბდა. თავადაც გულახდითად მიიხრა, — ბევრი საქმის ერთად კეთება მიყვარს და ხანდახან იმდენ რამეს წამოვიკიდებ, ფიზიკურადაც კი მიჭირს გაძლებაო.

სათუნა პახპურიძე

მისი მეგობრები ამბობენ, რომ წონასწორობას არასოდეს კარგავს, ყოველთვის შეუძლია, სიტუაციაში მშვიდად გაერკვეს და რაციონალური გადაწყვეტილება მიიღოს. ჰყავს მომხიბვლელი მუღღლე — ლიკა დიმიტრიადი, რომელიც ძალიან უყვარს, მაგრამ თავისუფალ დროს ვერც მისთვის პოულობს. სხვათა შორის, ამის გამო ძალზე წუხს და ამბობს, რომ სიტუაცია სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს, ოღონდ არ იცის, ამას როგორ მოახერხებს... როგორც მიიხრა, მის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ბავშვობაში, დედულეთში ყოფნის დროს, საკუთარ წინაპარზე გაგებულმა ერთმა ძალიან საინტერესო ამბავმა: დედამისის პაპა — შალვა ჯავრიშვილი თურმე ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმის“ წევრი ყოფილა... ამ ინფორმაციის შეტყობის შემდეგ, დღემდე, წინაპრების წინაშე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძობს და ცდილობს, თავისი ქვეყნის ცხოვრებაში პატარა წვლილი მაინც შეიტანოს.

— ბატონო ანდრო, როგორ იყო თქვენი პაპის ამბავი, რომელმაც თქვენზე ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა?

— უფროსები ამ ამბავს გულმოდგინედ გვიმალავდნენ. კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში ორსართულიანი სახლი გვეონდა, რომლის მეორე სართულზე ერთი ოთახი სულ დაკეტული იყო, ბავშვებს იქ არასოდეს გვიშვებდნენ. ერთხელ ჩემმა ბიძაშვილმა, რომელიც ჩემზე 8-9 წლით უფროსია (მაშინ დაახლოებით 6-7 წლის ვიქნებოდი) ამ ოთახის გასაღები იპოვა... მხოლოდ ერთი საწოლი და ძველებური კომოდი იდგა, ერთ-ერთ უჯრაში კი გაყვითლებული წერილებით სავსე რკინის ყუთი იდო. ეს წერილები სულ ახლახან დავასკანერე, მინდა, რომ გავამრავლო. ამ წერილით მივხვდით, რომ პაპა „შეფიცულთა“ აქტიური წევრი იყო. სურათიც მაშინ ვნახეთ... მას არასდროს დავივიწყებთ, მთელი ჩვენი ცხოვრება გათავისებულ გვექნება ის ღირებულებები, რომლისთვისაც ჩვენი დიდი პაპა იბრძოდა. რამდენიმე დღის წინ ოკუპაციის მუზეუმის თანამშრომელმა ლევან ურუშაძემ შალვა ჯავრიშვილის დაკითხვის ოქმი და განაჩენიც გადმომცა, რომელიც არქივში ყოფილა დაცული...

— დაკითხვის ოქმიდან რა შეიტყვეთ?

— ადრე ვიცოდით, რომ პაპა ქაქუცასთან ერთად წავიდა საქართველოდან. ემიგრაციაში ყოფნა ძალიან უჭირდა; სამშობლო, ცოლი,



3 ვაჟიშვილი ენატრებოდა. ნაპოვნი წერილებში სულ ამბავს წერს... ისიც ვიცოდით, რომ 1946 წელს საქართველოში დაბრუნება გადაწყვეტიდა. ომის შემდგომ საბჭოთა ხელისუფლებამ ემიგრანტების რეაბილიტაცია გამოაცხადა, მაგრამ პაპაჩემი „ვაგონსაც“ ვერ გამოსცდა — ჩამოსვლისთანავე დააპატიმრეს. დედა და მეუღლე სადგურზე კალათით ხელში ელოდნენ, მაგრამ მისი ნახვაც ვერ მოახერხეს; შინ დაბრუნებულეს დახვდათ უწყება, რომ შალვა ჯავრიშვილი დაპატიმრებული იყო. მის შესახებ ამის მეტი არაფერი ვიცოდით, აქ წყდებოდა ყველა ძაფი. ახლა გავარკვეეთ, რომ ციმბირში, 25-წლიანი გადასახლება მიუსჯიათ, მაგრამ იქ ჩაყვანილსთანავე სამკაცინი ტრიბუნალი მოუწყვიათ და ადგილზევე დაუსჯერებიათ.

— თქვენი გვარის ისტორიასა და მამის წინაპრებზე რას იტყვით?

— ჩემს გვართან დაკავშირებით, რამდენ-

იმე ვერსია არსებობს. ზუსტად ვიცი, რომ წარმოშობით მესხები ვართ. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ადრე ბარნაველები ყოფილ-ვართ. ორი ძმა, რომელიც სასულიერო პირი ყოფილა, XVI საუკუნის ბოლოს, სამხრეთ საქართველოდან თურქებს გამოირიდებია და ქართლში დაასახლეს. როგორც ჩანს, მათმა შთამომავლებმა ბარნაველების საცვლესიო დინასტია შექმნეს, თუმცა მეცნიერების აზრით, დაბოლოება „ელი“ ნიშნავს, რომ მანამდე, სულ მცირე, ციხოვანი აზნაურები უნდა ყოფილიყვნენ. არსებობს ასეთი გადმოცემა: ამ გვარის ყველა მამაკაცი ოჯახებიანად, ვახტანგ VI-ეს გაჰყვა რუსეთში და გვარის დაბოლოებაც იქ შეიცვალა. საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ბარნოვები, გენერალ თარსან-მოურავთან ერთად დაბრუნებულან, კასპთან, სოფელ ახალციხეში დასახლებულან და ისევ სასულიერო მოღვაწეობა გაუგრძელებიათ. იქვე, ფაგლენიშვილების საგვარეულო ეკლესიის ეზოში, რომელსაც ფაგლენის ეძახიან, ბარნოვების მრავალი საფლავია; ერთ-ერთი, ეკლესიის შესასვლელშიც კია დასაფლავებული. სოფელ ახალციხეში, სადაც ჩემი ფესვებია, ნახევარი სოფელი — ბარნოვები არიან, რუსეთში კი ეს გვარი არ არსებობს. ზოგი ვარაუდობს, რომ გვარი „ბარნაველი“ ბანას ეკლესიის სახელს უკავშირდება; ისიც გამიგონია, აბუსერიძეების შტოაო... დარწმუნებით არაფრის თქმა არ შემიძლია. ერთი კი ვიცი — ეტრატზე დახატული საგვარეულო ხე ჩვენს ერთ ნათესავს კომუნისტების შემოსვლისას ემიგრაციაში წაუღია: აქ ამას ვერ მოვუვლითო... ვიცი, რომ პარიზშია, ისიც ვიცი — ვისთან; ერთხელაც მოვახერხებ და მოვიძიებ.

— ძველი გვარის დაბრუნებას არ აპირებთ?

— სხვათა შორის, ბევრმა ჩემმა ნათესავმა დაიბრუნა ძველი გვარი. შვილი რომ მეყოლება, ალბათ მეც ბარნაველზე დაწნურ.

— ვასილ ბარნოვი თქვენი რა იყო?

ტყავის სამეშალები 2300 ლარი

შარტა არჩივანი

კაპისიშარი
ბრადისიშარი
შაპისიშარი

www.classica.com.ge

ალ. ყაზაგვის გამზ. 14ა
პაჭა-ფშაველას გამზ. 25

38 88 11
37 11 11

— ვასილიც ამ შტოს ეკუთვნის, მაგრამ ჩემი უმუშალო წინაპარი არ გახლავთ. ვასილის მამაც სასულიერო პირი იყო, კოდაზე მსახურობდა. ასე რომ, ეს შტო იქ გაგრძელდა. ამის მიუხედავად, ვისაც ვიცნობ, ყველას ნათესავად მივიჩნევ.

— თქვენი პროფესიული არჩევანი რამ განაპირობა?

— პირველი პროფესიით, კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი ვარ. გადამწყვეტილი მქონდა, მთელი ცხოვრება ამ სფეროსთვის მიმეძღვნა თავი. უნივერსიტეტში მუშაობის დროს ჩემი ხელფასი სულ 27 ლარს შეადგენდა. რამდენიმე ხანს კი გავუძელი, მაგრამ... მერე სწავლის გასაგრძელებლად, საბერძნეთში წავედი. მაშინ პოლიტიკა საერთოდ არ მაინტერესებდა, ვინმეს რომ ეთქვა, ამ სფეროსთან რაიმე შეხება გექნებაო, სიცოცხლის მოგვედებოდა. ენათმეცნიერება, სემიოტიკა, ფილოსოფია — მხოლოდ ასეთი რამეები მაინტერესებდა. პოლიტიკისადმი დამოკიდებულება საბერძნეთში ყოფნის დროს სრულიად შეიცვალა. საქართველოში არსებულ სიტუაციას გარედან რომ შევხედე, კინაღამ გული გამისკდა. ვიფიქრე — მთლად განზე დგომა სწორი არ იქნება-მეთქი და გადავწყვიტე, მეც რამე გამეკეთებინა. როდესაც თბილისში დაბრუნდი, გავიგე, რომ ჯარში მინვედნენ, მამაჩემს კი გადავადებდა ვაუკუთებია. წავედი კომისარიატში, გადავადებინა ფურცელი მოვითხოვე და დავხიე. კომისარი კინაღამ გადაირია, ჯარში გამიწვიე-მეთქი, რომ ვუთხარი.

— ასე რატომ მოიქციეთ?

— ამ ფორმით ჩემი პროტესტი გამოვხატე იმ ყველაფრის მიმართ, რაც მაშინ ხდებოდა. ჯარიდან თავის არიდება დიდ უზუნობად მიმაჩნდა. ისე, ყაზარმაში არასდროს მიცხოვრია. მაშინ „თავდაცვაში“ კადრების დიდი დეფიციტი იყო. რომ გაიგეს, რამდენიმე ენა ვიცოდი და განათლებაც მქონდა, სამინისტროში დამტოვეს.

— რამდენი ენა იცოდა?

— სხვადასხვა დროს 6 ენა მაქვს ნასწავლი. „მკვდარი“ ენები უკვე დამავიწყდა; ძველი ბერძნული ცოტა მახსოვს, იმტომ, რომ ახალი ბერძნული ვიცო; ლათინურში ძალიან ცუდად მაქვს საქმი, გერმანულიც ბოლომდე ვერ მივიყვანე... დამრჩა ინგლისური, ბერძნული და რუსული.



„შეფიცულები“ (შუაში — შალვა ჯავრიშვილი)

— იმ პერიოდში თავდაცვის სისტემაში როგორი სიტუაცია იყო?

— მაშინ თავდაცვის სამინისტრო ფაქტობრივად, არც არსებობდა, ყველაფერი სანაყის ეტაპზე იყო. უწყებას არანაირი ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა არ ჰქონდა. საერთაშორისო თანამშრომლობის მთავარ სამმართველოში, სადაც მე ვმუშაობდი, სულ ერთი კომპიუტერი იყო და ისიც დღეში რამდენჯერმე ფუჭდებოდა. რაც ყველაზე მთავარია, მთელ სისტემაში მხოლოდ ერთმა ადამიანმა იცოდა კომპიუტერთან მუშაობა; მოგვიანებით, რამდენიმე თანამშრომელმაც ავითვისეთ. მაშინ ნადიბაძეს მინისტრის თანამდებობა ახალი დატოვებული ჰქონდა. მე თევზაძის დანიშნვიდან ერთ კვირაში დავიწყე მუშაობა. ის პირველი პროდასავლური მინისტრი გახლდათ და ჩვენც შემართებით ვმუშაობდით. გარკვეული პერიოდის შემდეგ სამინისტროდან წამოვედი. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ უკან დავბრუნდი, მაგრამ ამჯერად — გენშტაბში ანუ სტრატეგიული დაგეგმვის მთავარ სამმართველოში. 2 წელი კახა კაციტაძესთან ერთად, საკმაოდ ნაყოფიერად ვიმუშავე და ბევრ რამეშიც გავრკვიე. კახას ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის დროს ვიცნობდი, ჩემი დიპლომის რეცენზენტი იყო და იქიდან აწეყო ურთიერთობა. ორწლიანი მუშაობის შემდეგ, პარლამენტში — თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის აპარატის უფროსად გადავედი.

— რამდენად ეთანხმებით კახა კაციტაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დღეს თავდაცვის სამინისტროს არც უსაფრთხოების კონცეფცია აქვს შემუშავებული და არც მოსალოდნელი საფრთხეები — გათვლილი?

— არა ვარ დარწმუნებული, რომ ყველამ იცის, თუ რა ხდება „თავდაცვაში“. ექსპერტთა უმრავლესობა ზოგადი კრიტიკით იფარგლება და კონკრეტულს ვერაფერს ამბობს.

— აგვისტოს ომის დროს სომხეთში გაირკვა, რომ თავდაცვის სისტემაში მართლაც სერიოზული ხარვეზები იყო?

— შეცდომები ნამდვილად იყო, მაგრამ... უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ქვეყანა, ფაქტობრივად, ახლა შენდება. ალბათ იცით, რომ რუსეთში ფლოტი პეტრე პირველმა შექმნა. როდესაც რუსებმა შევადებთან პირველი შეტაკებისას კატასტროფული მარცხი განიცადეს, პეტრემ თქვა: ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მეზღვაურები საჭეს მაინც პოულობენო!.. ყველაფერს სჭირდება დრო, გამოცდილება, ტრადიცია...

— ეი. ქართველებს სამხედრო ტრადიციები არ გვაქვს?

— მეფის რუსეთის დროს, ჩვენ ძლიერი სამხედრო ტრადიციების პატრონი ვიყავით. იმპერატორის გვარდიის გენერლებს შორის, ბევრი ქართველი იყო. სამწუხაროდ, ტრადიცია ნელ-ნელა დაიკარგა, შემდეგ კი სულ გაწყდა. ახლა ყველაფერი თავიდანაა დასაწყები. პეტრე პირველი ტყუილად არ მისხენებია. როდესაც რაიმე ახალს ქმნი, გინდა თუ არა, ცხვირში რამდენჯერმე მაგრად მოგხვედება, მთავარია, ამას არ შეეპოო და მუშაობა გააგრძელო.

— თქვენი აზრით, მაღალჩინოსან

სამხედროებს საბედისწერო შეცდომებისთვის პასუხი რატომ არ აგებინეს?

— რისთვის უნდა ეგოთ პასუხი? იმის გამო, რომ საპერო თავდაცვის სისტემა არ გვექონდა, რუსეთმა კი „ხალიჩისუბრი“ ცეცხლი დაგვიმინა და ჯარი გავგინადგურა?..

— მარცხის მიზეზი მხოლოდ ეს იყო? მაღალჩინოსანმა სამხედროებმა სტრატეგიული შეცდომები არ დაუშვეს?

— რა თქმა უნდა, შეცდომები იყო, მაგრამ ეს შეცდომები ზოგიერთმა სამხედრო ექსპერტმა არაბოძებულად განსაჯა. დღეს სომხეთში ყველაფერი პოლიტიზებულია. ჩემი თვალით ვხედავ, რომ თავდაცვის სისტემაში მუშაობა მიმდინარეობს, სტრატეგიული აზროვნება ღრმავდება...

— სამხედრო ექსპერტები ყველაზე ხშირად „თავდაცვის“ საკადრო პოლიტიკას აკრიტიკებენ თავად ჯარისკაცებზე ამბობენ, რომ უწყებებიდან არაერთი მაღალკვალიფიციური კადრი გაუშვეს.

— საერთოდ, „თავდაცვაში“ კადრები ძალიან გვიჭირს. იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ მაღალკვალიფიციური კადრებიც გაუშვეს, მაგრამ ასეთი რამ ძირითადად, წინა წლებში ხდებოდა.

— ოქრუაშვილის მინისტრობის პერიოდს გულისხმობთ?

— დიახ. მაგალითად, გიორგი თავდგირიძე ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციური კადრია და სამწუხაროა, რომ ის დღეს „თავდაცვაში“ არ არის.

— თუ ეს მხოლოდ ოქრუაშვილის შეცდომა იყო, დღეს რატომ არ აბრუნებენ ასეთ ადამიანებს სისტემაში?

— ახალია ამ გადაწყვიტა, ძველი მინისტრების მიერ მიღწეული გადაწყვეტილებები არ გადასინჯოს. ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვა კიდევც, — ყველამ საკუთარ გადამწყვეტილებასზე აგოს პასუხი.

— თქვენ რატომ გადახვედით თავდაცვის სისტემიდან პარლამენტში?

— გენშტაბში მუშაობის პარალელურად სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლეს კურსებზე ვსწავლობდი, რომელიც „რენდ კორპორეიშენის“ მიერ იყო ორგანიზებული. მაშინ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ. წარმოიდგინეთ, 14 „მარაფტი“ (სამშენი ვერსია) გვექონდა და არც ერთი არ ვარგოდა. ამერიკელების ინიციატივით, რამდენიმეჯგუფიანი დელეგაცია გერმანიაში, მარშალის ცენტრში წავედით ამ საკითხებზე მსჯელობისთვის. იქ რამდენჯერმე სიტყვივითაც გამოვედი... როგორც ჩანს, ირავლი ბათიაშვილს ჩემი მოსაზრებები მიუწონა, იმიტომ, რომ არც კი მიცნობდა, ისე შემომთავაზა აპარატის უფროსად მუშაობა. მაშინვე დაეთანხმა, რადგან გენშტაბში მუშაობა უკვე დროის კარგვას ემსგავსებოდა. იქ მხოლოდ წერა-კითხვით ვიყავით დაკავებული, რესურსი არ გვექონდა იმისთვის, რომ რაიმე კონკრეტული განხორციელებულიყო. თავდაცვის ბიუჯეტი მხოლოდ 18 მილიონს შეადგენდა, ჩვენ წინაშე უკვე პოლიტიკური პრობლემები იდგა. არმიას დაფინანსება სჭირდებოდა, პარლამენტი კი სწორედ ის ადგილი იყო, საიდანაც ამ საკითხების მოგვარება შეიძლებოდა. ირავლის თავიდანვე ვუთხარი, —



თუ თავდაცვის პრობლემებისთვის ბრძოლას აპირებ, მაშინ ნამოვალ-მეთქი.

ამ პრობლემების მოგვარება შექმლით?

— ვვიქრობ, ნაყოფიერად ვიმუშავე. საკმაოდ სქელტანიანი გამოკვლევები გავაკეთეთ კორუფციაზე. თავდაცვის შესახებ სრულიად ახალი კანონი დაწერეთ, რომელიც ნატოს ყველა სტანდარტზე იყო მორგებული. კონსულტაციებს საერთაშორისო ექსპერტებთან გავდიოდი. ისე აქტიურად ვიყავი ამ სფეროს პრობლემებში ჩაფლული, რევილუცია რომ მოხდა, გამიკვირდა კიდევ (იკინის). როდესაც მივხვდი, რაღაც ხდებოდა, რამდენიმე მეგობართან ერთად, გარეთ გავდვი; კორიდორებს ვაკეთებდით, რომ რაიმე ექსტრასი არ მომხდარიყო. პარლამენტის კარშიც ვიდექი, სანამ არ მიხსრეს, — დროა, გახსნათ და შემოგვივით. ოღონდ დარბაზში არ შევსულვარ, ჩემს კაბინეტში ავედი, შემთხვევით რაიმე დოკუმენტაცია რომ არ დაკარგულიყო. ერთი სიტყვით, პარლამენტში კარგად ვიმუშავე... რევოლუციის შემდეგ, სასწავლებლად ამერიკაში წავედი. თავიდან მხოლოდ თავდაცვის ანალიზის შესწავლას ვაპირებდი, მაგრამ დასაწყისშივე მივხვდი, რომ ეს ჩემთვის საკმარისი არ იქნებოდა და ეროვნული უსაფრთხოების ფაქულტეტზეც დავინწყე სწავლა. ორი ფაკულტეტი ერთად დავმთავრე, ძალიან მაღალი ქულეები ავიღე და ორმაგი მაგისტრის ხარისხით (თავდაცვის პოლიტიკასა და ეროვნულ უსაფრთხოებაში) დავბრუნდი.

რევოლუციის შემდეგ, მაღალ თანამდებობებზე ძირითადად, უცხოეთში განათლებამიღებულ ახალგაზრდებს ნიშნავდნენ. თქვენ რატომ არაფერი შემოგთავაზეს?

— ჩამოსვლისთანავე, მაშინდელ უშიშროების საბჭოს მდივანს, გელა ბუჭუაშვილს დაუურვე და ვუთხარი, თუ რაიმე დაგჭირდებით, აქ ვარ-მეთქი. უშიშროების საბჭო ყოველთვის ძალიან მიზიდავდა მაშინ ალბათ ამისთვის ვერ მოიცალეს. „სთენდი“ — სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტი რამდენიმე მეგობართან ერთად ჯერ კიდევ ამერიკაში წასვლამდე დავაჯერებ და გადაწყვიტე, მის განვითარებაზე მებრუნე.

თავდაცვის სამინისტრო თქვენს რეკომენდაციებს თუ ითვალისწინებს?

— ხან კი, ხან — არა. მაგრამ მისარია, რომ თანამშრომლობას მხარს უჭერენ. სამინისტროსთან სისტემატური კონტაქტი მაქვს; ბოლო დროს ისე არ მიუღიათ რაიმე სტრატეგიული დოკუმენტი, რომ ჩემი მოსაზრებითაც არ დაინტერესდნენ.

უსაფრთხოების დღევანდელ სტრატეგიასთან დაკავშირებით თქვენ აზრი როგორია და ჩვენი ქვეყნის უმთავრეს საფრთხედ რას მიიჩნევთ?

— ძალიან რთული სიტუაციაა. ჩვენი ქვეყნისთვის უმთავრესი საფრთხე — რუსეთია, რომელიც ცდილობს, უხეში კონტროლის მექანიზმები აიღოს ხელში. მაგრამ „რთული“ არ ნიშნავს „უიმედოს“. ვვიქრობ, მალე ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადავალთ: ერთი მხრივ, მოსკოვი მიხვდება, რომ ქვეყნის სამინაო საქმეებში ხელის ფათურით ვერაფერს მიაღწევს, მეორე მხრივ —

საერთაშორისო ასპარეზზე განხორციელდება გარკვეული ცვლილებები.

ამის იმედს რა გაძლევთ, მაშინ, როდესაც მოსკოვმა საშინაო საქმეებში ხელის ფათური უკვე მიაღწია სასურველ შედეგს ყირგიზეთში, ნაილობრივ — უკრაინაშიც და შესაძლოა, პოლონეთშიც რუსეთისთვის სასურველი სცენარით განვითარდეს მოვლენები.

— კი, მაგრამ საქართველო არც ყირგიზეთია და არც უკრაინა, ჩვენი გაცილებით ნინ ვართ წასულები სახელმწიფოებრივი მშენებლობის თვალსაზრისით. ყირგიზეთს კორუფციის ჭაობში ჩაძირული ხელისუფლება ჰყავდა, რომელიც ქვეყანაში დაუნდობელ რეპრესიებს ასორციელებდა.

ფიქრობთ, რომ ქართველი ხალხი თავისი ხელისუფლებით კმაყოფილია?

— არა, მაგრამ არც ისეთი უკმაყოფილოა, რომ ქუჩაში გამოვიდეს და ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით დამხოვა მოინდომოს.

იქნებ ამის მიზეზი უბრალოდ, ის არის, რომ საზოგადოებას აღარც ოპოზიციის სჯერა?

— ოპოზიცია ძალიან სუსტია, ხელისუფლება კი დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ცდილობს; ნდობის მანდატი გარკვეულწილად დაიბრუნა კიდევ — ბოლო რეიტინგები ამის თქმის უფლებას ნამდვილად მაძლევს. უკრაინაში სრულიად განსხვავებული სიტუაციაა. იქ რუსული გავლენა იმიტომ გაძლიერდა, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტი ძალიან სუსტი იყო, დემოკრაფიაც გასათვალისწინებელია...

თქვენც ამბობთ, რომ დღეს საქართველოსთვის ყველაზე დიდი საფრთხე — რუსეთია. ასეთ დროს, ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების 700-კაციანი კონტინგენტის გაგზავნის ფაქტი რამდენად მართებულიად მიგაჩნიათ?

— საერთაშორისო მისიებში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. იმის მტკიცება, რომ 700-ით მეტი სამხედრო საქართველოში ყოფნა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, დემაგოგია. ქვეყნის უსაფრთხოება მაშინ უფროა დაც-

ული, როდესაც საერთაშორისო კოალიციასთან ვთანამშრომლობთ, მეგობრები და პარტნიორები საზღვარგარეთაც გყავს. თუ ჩვენს ნაჭუჭში ჩავიკეტებით და სანგრების თხრას დავინწყებთ, ასე ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფთ.

როგორც ვიცი, ავღანეთში თქვენც იყავით ჩასული.

— კი, ექსპერტის სტატუსით ვიყავი ჩასული. მინდოდა, გარკვეული დრო ჩვენს ჯარისკაცებთან ერთად ყოფილიყავი, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. 8 დღე ქაბულსა და ყანდალარში გავატარე და ვნახე, თუ რა ხდება იქ ახალი სტრატეგიის პირობებში. ვნახე ის ტერიტორია, სადაც ჩვენი ასული დგას.

გართობისთვის დროს საერთოდ ვერ პოულობთ?

— ვერა. უკვე 2 წელია, იმას განვიცდი, რომ ოჯახისთვის დრო არ მრჩება...

აბა განტვრთვას როგორ აქვრებთ?

— რთული და დატვირთული სამუშაო დღის შემდეგ ვერთობი ყველაფრით, რაც რაიმე ტიპის კვლევასა და ანალიზს უკავშირდება. ხანდახან უახლოეს მეგობრებთან და მეუღლესთან ერთად, ბილიარდს ვთამაშობ ან რესტორანში მივიდვარ. მაგრამ დროის უქმად ხარჯვა ყოველთვის მენანება. ამ ეტაპზე ჩემთვის უმთავრესი — თავდაცვის პოლიტიკაა, ენათმეცნიერული და ფილოლოგიური ძიებები კი — განტვირთვის საშუალება.

აი თუ მართლა ერთობით?

— აბა, რა! ხანდახან ეს საქმე ისე მიტაცებს, შეიძლება, ერთ თვეში ერთი წლის გასაკეთებელი საქმე გავაკეთო.

ლივას გაცნობა როდისღა მოახერხებთ?

— ლივა საბერძნეთში სწავლის დროს გავიცანი. ქალაქ პატრაში კარნავალზე წავედი და იქ ვიპოვე. თავიდან გარეგნობით მომწონა, შემდეგ კი მისი ხასიათითაც მოვიხიბლე.

რამდენი ხანია, რაც დაქორწინებული ხართ?

— უკვე 7 წელს გადავციდით...

ქართველისა და ბერძენის თანაცხოვრება როგორია?

— მთლად ბერძენიც არ არის (იკინის) — საქართველოში გაზრდილი ბერძენია: 17 წლის იყო, აქედან რომ წავიდა, მე კი ისევ უკან დავაბრუნე...

პრაქტიკული ფსიქოლოგიის
სენტრი „პიკი“

გთავაზობთ ფსიქოლოგიურ დახმარებას:

- ინდივიდუალურ და ჯგუფურ ფსიქოლოგიურ კონსულტირებას
- საჭიროთი თერაპიის გავრცელების
- სასწავლო ტრენინგ-კურსებს

მისამართი: თბილისი, ბარნოვის 71.
 ტელ.: 895 28 60 40; 890 246 777

www.piki.ge



სახსე

მოსკოვში პრობლემაზის პირისპირ დარჩენილი ქართველი მომღერალი და ახალი ებაჰი თამუნა ამონაშვილის სხოვრებაში



ლალი ფასია

— 2007 წლის ბოლოს, მე და რეზიკოს რალაც ერთდროულად მოგვინდა ცხოვრების შეცვლა. თან, პერიოდულად დავგიდგა ისეთი, რომ აქ შემოქმედებითად ვერაფერს ვაკეთებდით, რასაც გარკვეული ოჯახური პრობლემებიც დაერთო და საზღვარგარეთ გამგზავრება გარდაუვალი გახდა. მაგრამ იმის გამო, რომ უცხო ენა, კონკრეტულად, ინგლისური იმ დონეზე არ ვიცოდით, რომ რომელიმე ევროპულ ქვეყანაში ან ამერიკაში წულიდან დაგვეწყო ცხოვრება, გადავწყვიტეთ, ნავსულიყავით იმ ქვეყანაში, რომელსაც მეტ-ნაკლებად ვიცნობდით და რომლის ენაც ვიცოდით. ამრიგად, რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში გავემგზავრეთ.

— კი, მაგრამ მოსკოვში ცხოვრება ადვილი რომ არ არის?

ცოტა ხნის წინ, ვაკის აუზზე, ავთანდილის ჩვენებაზე, მომღერალ თამუნა ამონაშვილს შევხვდი, რომელიც საქართველოში მოსკოვიდან სულ რამდენიმე დღის დაბრუნებული იყო. მას იქვე შევუთანხმდი ზრცელ ინტერვიუზე და გასულ კვირას შინ ვენვიე... თამუნა რუსეთში მუუღლესთან — რეზიკო არჩვადესთან ერთად, თითქმის ორწელიწად-ნახევრის წინ გაემგზავრა... თბილისში მისის ბოლოს, რეზიკოც ჩამოვა. ზაფხულში კი ისინი კვლავ ერთად გაემგზავრებიან ქვეყანაში, რომელშიც, როგორც თამუნა ამბობს, წყვილი ოჯახურმა პრობლემებმა ჩაიყვანა...

— კი და იქ მალევე შევეჯახეთ მეგაპოლისში ცხოვრების თავისებურებებსა და სპეციფიკას, რაც ურთულესი აღმოჩნდა. ბევრი ვინვალეთ, მაგრამ მოსკოვში ბევრი მეგობარი გყავს, რომელიც გვერდით დაგვიდგა. ვისაც რა შესაძლებლობა ჰქონდა — მორალური, ფიზიკური, მატერიალური — გვეხმარებოდნენ. თავიდან, ცოტა ხანს, რეზიკოს ნათესავთან ვცხოვრობდით. შემდეგ ბინა ვიქირავეთ... ამ პერიოდს ეკონომიკური კრიზისი დაერთო და საშინელ სიტუაციაში ვიყავით. ჩვენ კი არა, ადგილობრივ მოსახლეობასაც უჭირდა. როგორც ყველა ქვეყანაში, იქაც ბევრი უმუშევარია. ვერც შოუბიზნესის წარმომადგენლები აკეთებდნენ რამეს. კრიზისი რომ დაიწყო, პირველ ახალ წელს, ცნობილი მომღერლებიც კი სახლში ისხდნენ და კონცერტებს ვერ ატარებდნენ. რალაცნაირად ყველაფერი გაიყინა... წელს კი, საახალწლოდ, სიტუაცია ცოტათი გამოცოცხლდა.

— რეზიკო რას საქმიანობდა?

— სამსახურს თავიდან ვერც ერთი ვმოულობდით. მას მცირე ბიზნესის დაწყება უნდოდა და ამისთვის ემზადებოდა, რაშიც საკმაოდ დრო გავიდა. იქ უცბად არაფერი ხდებდა. მაგრამ რეზიკოს საქმეში ხელი არ მოემართა. სახლში ჯდომა ვეღარ შევძელი და მუშაობა ჩემი პროფესიით დავიწყე.

— რესტორანში მღეროდი?

— არა, რესტორანში ვერ ვიმღერე, არადა, ამის შანსი მქონდა. მიწვევაც მივიღე — ერთმა ცნობილმა ქართველმა ფეშენებელური რესტორანი გახსნა და მთხოვდა, იქ მემუშავა, მაგრამ შინაგანად რალაც ვერ გადავლახე. მგონი, ჩემი რეპერტუართაც არ შევფერე რესტორნის სპეციფიკას... ამით შეურაცხყოფას არ ვაყენებ იმ მომღერლებს, რომლებიც იქ მღერიან; უბრალოდ, მე ვერ გადავლახე რალაც ზღვარი...

— მინც რა გინდოდა, რომ გაგკეთებინა?

— მინდოდა, კლუბებში მემღერა, რადგანაც ჩემი მუსიკა უფრო კლუბურია. იმ პერიოდში, როცა ვერაფერს ვმოულობდით, სახლში ვიჯექი და რეპერტუარზე სერიოზულად ვმუშაობდი. დრო მაქსიმალურად გამოვიყენე — ბევრი სიმღერა მოვამზადე, ვისწავლე და აღმოვაჩინე, რომ თურმე სიმღერა ყველა ჟანრსა და მიმართულებაში (როკის გარდა) არაჩვეულებრივად გამომდის.

— როკს ბოიკოტი რატომ გამოუცხადე?

— ეს მიმართულება არ მომწონს. ის არც ჩემი ხმის სტილისტიკასთან არის ახლოს და რეპერტუარში ამ ჟანრის ნამუშევრები არ შემიტანია... გავაკეთე ინგლისური, ფრანგული, ბრაზილიური სიმღერები. ამასთან, ახლობლის ოჯახში გავიცანი 95 წლის ბოზა ქალბატონ-



ნი — ოლგა სტეპანოვნა, კომპოზიტორი, რომელიც წლების მანძილზე ბოშური თეატრის წამყვანი მსახიობიც ყოფილა... მოკლედ, ერთმანეთი ახლობლის ოჯახში გავიცანით, სადაც ორივენი ვიყავით მიწვეულები და ვიმღერეთ. გაგიჟდა, ისე მოეწონა ჩემი ხმა და მითხრა, — ბოშური სიმღერების შესრულება შესანიშნავად გამოგივა, დავინწყოთ მუშაობაო, — მეხვეწებოდა. ჩემს სახლთან ახლოს ცხოვრობდა და მასთან მართლაც დავინწყე სიარული. როიალზე ფანტასტიკურად უკრავს. ოლგამ 6 სიმღერა მასწავლა და ისინი სტუდიაში რომ ჩამენერა, ამისთვის თანხაც კი მომცა. როიალზე თვითონ უკრავდა. სიმღერები დისკებზე ჩავწერე და ქალბატონ ოლგას ვაჩუქე, სისარულისგან დაფრინავდა. მას მევიოლინე მისმვილები ჰყავს, წარსულში მეც ხომ მევიოლინე ვიყავი! ჰოდა, ყველამ ერთმანეთს კარგად გავუგეთ. ჩემი ნამღერით კმაყოფილები იყვნენ.

— მოკლედ ახალი რეპერტუარით კლუბებში დაინწყე მუშაობა, ხომ?

— კი, კლუბებში და კრებით კონცერტებშიც ვმონაწილეობდი და ახლა, სანამ საქართველოში წამოვიდოდი, რამდენიმე თვით ადრე, შევხვდი ადამიანებს, რომელთა წრეშიც კარგად გავიარე, თუ საერთოდ რისი გაკეთება მინდა...

— რისი გაკეთება გინდა და ვინ არიან ეს ადამიანები?

— ეს საპროდიუსერო ჯგუფი — „ეფემჯი“ გახლავთ. ბევრი ცნობილი მომღერალი და ჯგუფი ჰყავთ აყვანილი, რომლებთანაც მუშაობენ. ჩემი ჩანაწერები მოისმინეს და ერთადერთი სიმღერა აღმომაჩნდა ისეთი, რომელიც მათ განსაკუთრებულად მოეწონათ. ეს ჯაზის ჟანრში შესრულებული, საკმაოდ ძველი ჩანაწერი გახლავთ. შემდეგ ის ნამუშევარი ცოცხლადც მამღერეს. გამიხარდა, რომ ჩემი ნამუშევარი სწორედ ამ ჟანრში მოეწონათ, რადგანაც თავიდან

არენაზე გამოსვლა კლასიკური მუსიკითა და შემდეგ ამ სტილით დავინწყე (თბილისში ჯაზის სკოლა კოლია ქაშაკაშვილთან გავიარე). ისე, თვითონაც უმეტესად, ჯაზურ მუსიკას ვუსმენ, მაგრამ წლების განმავლობაში მასისთვის სხვა მუსიკას ვმღეროდი; ასეთი იყო მსმენელის მოთხოვნა.

— მოკლედ, გაგიხარდა, რომ მოგეცა საშუალება, დაუბრუნდე რთულ და სერიოზულ მუსიკას, რასაც ჯაზი ჰქვია.

— დიას, ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. თან, თანამშრომლობა თავად შემომთავაზეს. ახლა საპროდიუსერო ცენტრს გეგმაში აქვს, მონაწილეობა მივიღო კორპორაციულ საღამოებში; მეყოლება ცოცხალი ბენდი (სხვათა შორის, ორკესტრის ბიჭები ქართველები არიან). საპროდიუსერო ცენტრი ყველა საორგანიზაციო საკითხს თვითონ მომიგვარებს, ჩემი მოვალეობა მხოლოდ სიმღერა იქნება...

— საქართველოში ახლა რატომ ჩამოხვედი?

— დიდი ხანია, არ ვყოფილვარ; თან, ახალ პროექტში აქტიურად რომ ჩავერთებო, შესაძლოა, ჩამოსასვლელად თავისუფალი დროც ვეღარ გამოგონახო. ამასთან, ოჯახის წევრები ამდენი ხანი არასდროს დამიტოვებია, უცხოეთში ამდენ ხანს არასდროს ვყოფილვარ. ამიტომ, დამიგროვდა ოჯახური პრობლემაც... ჩემები მომენატრნენ. მომენატრნენ მეგობრებიც, ჩემი ქვეყანა, თბილისი, აქაური სუნი... ჩემს კახეთშიც, დედუღეთში — ყვარელში, სოფელ შილდაშიც უნდა ჩავიდე. ძალიან მიყვარს იქაურობა, მთელი ბავშვობა იქ მაქვს გატარებული. თბილისში სკოლიდან რომ დამითხოვდნენ, მთელ ზაფხულს იქ ვატარებდი. ჩემი სოფლის ჰაერი ჩემზე საკურნებლად მოქმედებს...

— რეზიკო იქ ამჟამად რას საქმიანობს?

— რეზიკოც იმ საპროდიუსერო ცენტრში ჩვენთან ერთად არის დაკავებული...

— თამუნა, ის უმძიმესი პერიოდი, როდესაც 2008 წელს, აგვისტოში საქართველოში ომი დაიწყო, როგორ გადაიტანეთ?

— იმ პერიოდის გახსენება არ მინდა. აქ ხომ საშინელება ტრიალებდა, მაგრამ არანაკლები, თუ მეტი არა, გაცდა გვერდს და იქ მყოფ ქართველებს. წარმოიდგინეთ, იმყოფები ქვეყანაში, რომელმაც შენი ქვეყანა დაანგრია... გარეთ



2007 წლის ბოლოს რაღაც ერთდროულად მოგვინდა ცხოვრების შეცვლა



ქართველები მოსკოვში ქართულ „გუსოკეპს“ მაინც ვაწყობთ

ხუმრობა-ხუმრობით არჩეული პროფესია

და მუსიკოსი მსახიობის საინტერესო სხოვრება

ჯგუფი „მგზავრების“ სოლისტი — **ბიზი დედალაშვილი** პროფესიით მსახიობია. ცოტა ხნის წინ გადაღებულ ქართულ ფილმში — „ოცნების ქალაქში“ მონაწილეობს, სადაც არა მარტო გიგი, ჯგუფის ყველა წევრი თამაშობს. ჩემმა რესპონდენტმა მიუხედავად იმისა, რომ მსახიობია, საზოგადოებას თავი მუსიკოსობით გააცნო...



ელენე ბასილიძე

— კი, 25 წლის განმავლობაში ჩვენს ტაძრებში ვგალობდი. ისე, სულ თავიდან, სანამ ესტრადაზე გამოვიდოდი, თეატრალურ ინსტიტუტში რომ ვსწავლობდი, გალობა სიონის ტაძარში დავინწყე... მგონია, რომ ღმერთმა ამის გამო ჩემთვის წყალობა გამოიმეტა, რადგანაც სულ მალე ანსამბლ „ივერიაში“ ამიყვანეს. არადა, ესტრადა მაშინ ჩემგან შორს იყო, რადგან როგორც უკვე ვთქვი, კლასიკურ მუსიკას მივდევი... ასე რომ, მოულოდნელად საესტრადო სფეროში ბუმბერაზი მუსიკოსების გვერდით აღმოვჩნდი... ვგალობდი ასევე უნივერსიტეტის დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარშიც...

— თამუნა, საუბრისას ქართველი მეგობრები ახსენებ, რომლებიც მოსკოვში ცხოვრობენ. კონკრეტულად ვინ იგულისხმებ?

— თემურ თათარაშვილი, აჩიკო მეფარიძე, აჩი ფურცელაძე, მანანა თოდაძე, მისი შვილი — ლეილა, ია ნინიძე, ჯგუფ „ფრეის“ ბიჭები, რომლებიც ძალიან პოპულარულები არიან. მათ შეკრებაზე ცნობილი რუსი მომღერლები მოდიან ხოლმე. ბიჭები, გარდა იმისა, რომ მღერიან, მოდელეობაც ქმნიან. მათი ნამუშევრები რუს მომღერლებს აცვიათ. „ფრეის“ ბიჭები საკმაოდ ძვირად ღირებული არიან. მათ „ტუსოვკაზე“ სოფიკო შევარდნაძეც ბევრჯერ მინახავს. სასიამოვნო ის არის, რომ ქართველები მოსკოვში ქართულ „ტუსოვკებს“ მაინც ვაწყობთ, რომელიც ხანდახან დაბადების დღის საბაბითაც იმართება ხოლმე. სანამ წამოვიდოდი, თემურ თათარაშვილს ჰქონდა დაბადების დღე და მის საღამოზე გადაჭედული იყო დარბაზი...

— თემური რესტორანში მღერის?

— კი და ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. მის დაბადების დღეს ისეთი კარგი დრო გავატარეთ... ისეთი ბედნიერები ვიყავით — სულ ქართველები შევიკრიბეთ. მაყურებელიც ქართველი იყო და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თბილისში, ერთ-ერთ კლუბში, საღამოზე ვიყავი... შოუბიზნესის წარმომადგენლების გარდა იქ ჩემი სხვა მეგობრებიც არიან, რომელთაც არაჩვეულებრივი ოჯახები აქვთ, ასევე არიან ფეხბურთელები, რომლებთანაც ვმეგობრობთ... მოკლედ, გასაჭირს ერთმანეთს ვატანინებთ. დამიჯერეთ, ქართველსთვის ძნელია სხვა ქვეყანაში ცხოვრება. ამდენი ხნით არასდროს დამიტოვებია ჩემი ქვეყანა და მიმანია, რომ წასული არც ახლა ვყოფილვარ. უბრალოდ, ჩემმა ოჯახურმა პრობლემამ ცოტა ხნით იქ „გადამაგდო“. ამიტომ, ახლა მოსკოვში დროებით ვიმყოფები. მაგრამ ჩემი იქ ყოფნით ერთი ადამიანისთვის თუ მაინც შეეძლება იმის ახსნას, ვინ ვართ ქართველები, ბედნიერი ვიქნები! ჩემს ქვეყანას თუ რამეში დავჭირდები, უკან არასდროს დავიხევი. ■

— მსახიობობა ბავშვობიდან ნამდვილად, არ მნდომებია... თავიდან „გუპეიში“ ჩავაბარე. 18 წლის ვიყავი, როდესაც ჩემმა მეგობარმა, გიორგი ახვლედიანმა ერთ დღეს ხუმრობით მითხრა: — მოდი, თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბაროთო. არადა, მაშინ უკვე „გუპეიში“, იურიდიული ფაკულტეტის II კურსზე ვსწავლობდი. ხუმრობა-ხუმრობაში, ნავედი და თეატრალურ უნივერსიტეტში მართლა ჩავაბარე. გიორგიმ კი ამტეხა, მაგრამ თვითონ ჩემთან ერთად არ ჩაუბარებია (ილიმის). ყველაფერი სპონტანურად მოხდა... წლების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ მაშინ სწორი გადაწყვეტილება მიმიღია. რომ არა თეატრალური უნივერსიტეტი, დღეს ჯგუფი „მგზავრები“ არ იარსებებდა. იქ სწავლისას, ბევრ რამეზე სრულიად სხვანაირად დავიწყე ფიქრი, გავიცანი მეგობრები, რომლებიც დღეს ჩვენს ჯგუფში უკრაინე... „მგზავრები“ მსახიობებისა და „გუპეიშინიკებისაგან“ გახლავთ დაკომპლექტებული.

— ტექნიკური უნივერსიტეტი რატომ არ დაამთავრე?

— რას ამბობ?! როგორ არ დავამთავრე?! 2 უნივერსიტეტში ერთდროულად ვსწავლობდი...

— რა შეიცვალა შენში მას შემდეგ, რაც თეატრალურ უნივერსიტეტში ჩააბარე?

— მსახიობები ყველაფერს განსხვავებულად აღიქვამენ, სხვანაირადაც აზროვნებენ და ცხოვრებას გაფართოებული თვალებით აკვირდებიან. თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლის პირველი წელი, ცხოვრებაზე დაკვირვების პერიოდი იყო ანუ ადამიანებს გულდასმით ვაკვირდებოდი — როგორ უხაროდან, სძულდათ, შფოთავდნენ...

ამას თეატრალურშიც გვავალბდნენ და ამისათვის ხალხმრავალ ადგილებში (მეტროში, ბაზრობაზე) ხშირად დავდიოდით. თეატრალურმა უნივერსიტეტმა ჩემი ცხოვრების რიტმი მთლიანად შეცვალა, საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობდი... სხვათა შორის, ჩემი ჯგუფი, რომელის წევრებთან ერთადაც უნივერსიტეტში ვსწავლობდი, საბოლოოდ ძალიან წარმატებული გახდა. ჩვენი ხელმძღვანელი, რეჟისორი ნუკრი ქანთარია გახლდათ. ჯგუფში ბევრი ისეთი ადამიანიც იყო, რომელიც ჯერჯერობით არ არის ცნობილი, მაგრამ მოვა დრო და ქართულ კინოსა და თეატრში საკუთარ სიტყვას იტყვის.

— მაგრამ საზოგადოებამ როგორც მუსიკოსი, მაინც ისე გაგიცნო.

— ასე მოხდა (ილიმის). ადრე მხოლოდ მსახიობობა იყო ჩემი ძირითადი პროფესია, დღეს კი მსახიობობასა და მუსიკოსობას დროს თანაბრად ვუთმობ. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თეატრალურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი და აქტიურ თეატრალურ ცხოვრებაში ვიყავი ჩართული, რეჟისორები მირეკავდნენ და მთხოვდნენ: — იქნებ „მგზავრებს“ ჩემი ფილმისათვის მუსიკა დაგწერათო?! სიმართლე გითხრათ, თავიდან ის, რომ რეჟისორები ფილმში როგორც მუსიკოსს, ისე მიწვევდნენ, ძალიან მწყინდა... ახლა უკვე ამაზე არც ვფიქრობ. ძნელია, საზოგადოებამ როგორც თეატრის მსახიობი, ისე გაგიცნოს. გენიალურ თეატრის მსახიობებსაც კი ქუჩაში ბევრი ვერ ცნობს. სერიალში კი თუნდაც სულ პატარა როლი რომ ითამაშო, მთელი საქართველო მაშინვე გაგიცნობს. საერთოდ, კასტინგზე სიარული არ მიყვარს...

— რატომ?



— იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში, მსახიობები ამა თუ იმ როლისთვის უკვე არჩეული ჰყავთ და კასტინგს ზრდილობისთვის ატარებენ. ეს ფაქტი მსახიობისთვის გულდასაწყვეტია. უამრავი ნიჭიერი ადამიანია, რომელიც ვიცი, რომ მსგავს გაუგებრობაში მოხვდა... არადა, ბევრი მსახიობი დიდ გასამრჯელოს არ ითხოვს, მისთვის მთავარია, რომ იმუშაოს! მხოლოდ მსახიობთა შორის შეგიძლიათ, აღმოაჩინოთ ისეთი ადამიანები, რომლებსთვისაც შრომას მნიშვნელობა არ აქვს. მათთვის მთავარი საქმის კეთებაა...

— დღეს „მგზავრები“ რამდენ მსახიობია?

— 5 მსახიობი და ერთი — კინორეჟისორია... თითოეულს საერთო ინტერესები გვაქვს, ერთ საქმეს ვაკეთებთ, რომელიც ძალიან გვიყვარს. ისე, პიროვნულად ერთმანეთისაგან კი განვსხვავდებით, მაგრამ საყვარელი საქმე ნამდვილად გვაერთიანებს (ილიმის).

— შენი პირველი როლი თუ გახსოვს?

— რას ამბობ, მაგას რა დამავინწყებს (იციანის)?! მეორე კურსზე ვიყავი, როდესაც კლდიაშვილის „სოლომან მორბელაძე“ დავდგით, სადაც ბესარიონის როლი ვითამაშე... შემდეგ იყო სპექტაკლი — „თინეჯერები“... სულ 10 როლი მექნება ნათამაშები... სასწაული გრძნობა გუფლდება, როდესაც სცენაზე გამოდისხარ! სცენის მტვრით „მონამელა“ „სამინელაა“. მისგან თუ ერთხელ „მოინამლე“, მერე ვეღარ „განიკურნები“ — სულ სცენაზე გინდა ყოფნა... მე გამიმართლა, თუ სცენაზე არ ფიანვარ, როგორც მსახიობი, მაშინ როგორც მუსიკოსს, ისე მინევს ასევე. ასე რომ არ იყო, დეპრესიაში ჩავვარდებოდი...

— კინოში „ოცნების ქალაქმდე“ ხომ არ ვითამაშე?

— კი, ადრე ერთ მოკლემეტრაჟიან ფილმში ვითამაშე და ახლა კი — „ოცნების ქალაქში“ (ილიმის), სადაც ჩემს თავს ვასახიერებ! მასში „მგზავრები“ ვითამაშობთ და თითოეული საკუთარ თავს ასახიერებს. მთავარი გმირის (აჩიკო სოლოლაშვილი) მეგობრები ვართ.

— ადვილია ფილმში საკუთარ თავის თამაში?

— როდესაც შენს თავს თამაშობ, თავის გამოვლენის საშუალება არ გაქვს. მე სახასიათო როლები უფრო მიყვარს. გამიმართლა, რომ დღემდე, განსაკუთრებული ადამიანების როლები მაქვს შესრულებული (ილიმის).

— მსახიობთა ცხოვრებაში თუ გეხმარება?

— კი, ბევრ რამეში მეხმარება... ხშირად მეუბნებიან: — მსახიობები აფერისტები ხართ და ნებისმიერ სიტუაციაში შეგიძლიათ, ითამაშოთო. არადა, დამიჯერეთ, ცხოვრებაში თამაში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია... მსახიობობა კერძოდ იმაში მეხმარება, რომ ადამიანების

ბუნება უკეთესად გამოვიცნო... მარჯანიშვილის თეატრში მიხელოვანი ჯავახიშვილის მოთხრობის მიხედვით სპექტაკლი — „შერცხვენილი“ დაიდგა. სოფლის მამასახლისის ვთამაშობდი და ბევრი ისეთი რამის გათავისება მინევდა, რომელიც ცხოვრებაში არ მქონდა განცდილი.

— როგორია, იყო ერთდროულად მუსიკოსიც და მსახიობიც?

— კარგია... ერთი პროფესია მეორეს ეხმარება და ორივეს კი — სცენა აერთიანებს... რთულია, როდესაც სცენაზე გადისარ მუსიკოსი და მსახიობური მონაცემები არ გაქვს. ამიტომ როდესაც სცენაზე სიმღერით მინევს გასვლა, მსახიობობა მეხმარება... დარბაზში ერთი კაციც რომ იჯდეს, მხოლოდ მისთვის უნდა იმღერო და თან ისე, რომ არაფერი დააკლო! ხშირად ჩავგიტარებია კონცერტი, როდესაც დარბაზში ცოტა მსმენელი მჯდარა, მაგრამ სწორედ იმ 5 კაცისთვის ვმღეროდი და იმავე მუხტს გადავცემდი, რაც 500 კაცისთვის გადავცემა. თუ შენი საქმე გიყვარს, სცენაზე ერთი ადამიანისათვისაც გახვალ და ბოლომდე დაინარჯები... ცხოვრება სცენის გარეშე არ შემიძლია...

— დღეს როგორც მსახიობს, რომელ თეატრში გინებს მუშაობა?

— ჯერჯერობით არსად. ერთი თვის წინ რუსთაველის თეატრში სპექტაკლში „ასტეროიდი“ ვითამაშობდი, რომელიც ვატო ჯულელმა დადგა... ვატო სამომავლოდ კიდევ აპირებს სპექტაკლზე მუშაობას, ვნახთო, იქნებ კიდევ მომცეს როლი (იციანის).

— ვფიქრობ — მუსიკოსმა გიგიმ, მსახიობი გიგი ერთგვარად ჩაძირა არ მეთანხმები?

— კი, მართალი ხარ... ბევრ რეჟისორს არც უნდა, როლი მომცეს, რადგან საზოგადოება როგორც მუსიკოსს, ისე მიცნობს. ახალი სახეები სჭირდებათ.

— მომავალში საკუთარ თავს სად წარმოიდგენ?

— სადაც ცხოვრება წამიყვანს, იქ ვიქნები (ილიმის). საქართველოში წინასწარ ვერაფერს

დაგეგმავ, აქ ყველაფერი სპონტანურად ხდება (ილიმის). საზღვარგარეთ, როცა რალაცას მიაღწევ, საკუთარი ცხოვრების წინასწარ დაგეგმვა უკვე შეგიძლია... საბედნიეროდ, ერთი თვეა, გამოჩნდა ადამიანი, რომელიც შემოქმედებით საკითხებს გვიგვარებს.

— შევითქვით, რომ „მგზავრები“ მაისში კონცერტის ჩატარებას გეგმავთ...

— 16 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სოლო კონცერტი გვექნება, რისთვისაც მონდომებით ვემზადებით. ვცდილობთ, რომ კარგი პროგრამა გავაკეთოთ, რომელიც თეატრალური ელემენტებით იქნება გაჯერებული. ძალიან ვენერვიულობთ, 2200-კაციან დარბაზში ჯერ არასოდეს გვიმღერია (ილიმის). ადრე ყოველთვის ვუფრთხოდით ფილარმონიის დარბაზს, მაგრამ ალბათ მოვიდა დრო, რომ იქაც ჩავატაროთ კონცერტი და ამისათვის ძალებს არ ვიშურებთ. ამ კონცერტის შემდეგ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გეგმის განხორციელება გეგმავს. გვინდა, რომ კონცერტი აფხაზეთის ან ოსეთის საზღვართან ჩავატაროთ. იმედია, ამ სურვილს ავისრულებთ (ილიმის)...

თავარ ათავსავილი

„ქარაბადინი“


საღმრთო საკუთარო ჩაბეაბეი

ფასი: 7 ლარი

ქართულ ცნატიციულ მუღიციინაზე დაყინობით მუქმნილი ძველი ხაღხური ჩეციუბციები

იუიდავა ნიბნის მალაზიბავა და საბაზათო ჯიხურაბეი

ნიბნის საღმრთო მიბანა: 38 26 73; 38 26 74





თბილისის სამხატვრო აკადემიის პროექტის მემსიკელი გამარჯვებული

თბილისის სამხატვრო აკადემიის პროექტი — „რომუალო დელ ბიანკოს ფონდის თბილისის საერთაშორისო ფესტივალი 2010“ ახლახან დასრულდა. პროექტში „ვორკშოპებს“ ქართველი და უცხოელი პროფესორები ხელმძღვანელობდნენ. ორასამდე სტუდენტს ნამუშევრების ენ. სხარტი პრეზენტაციით წარმოდგენის საშუალება ჰქონდა. ფესტივალში მონაწილე ახალგაზრდებმა სხვადასხვა პრიზი მიიღეს, გრან-პრი კი მექსიკელ — დუნქან თონათიუს გადაეცა...

ეთო ყორღანაშვილი

ნანა იაშვილი, „რომუალო დელ ბიანკოს ფონდის“ ექსპერტი, პროექტის ლიდერი:

— ფესტივალზე გრან-პრი პარსონის უნივერსიტეტის დიზაინის ახალი სკოლის სტუდენტმა — დუნქან თონათიუს იალო. მან თავისი ნამუშევარი (თემაზე — „კომიქსი“) ილუსტრაციის სახითა წარადგინა და ეკრანზე გვიჩვენა. დუნქანმა კომიქსი თავის პირად ცხოვრებაზე „გაათამაშა“. ის წარმომოხატა მექსიკელი გახლავთ და მისი ნამუშევარი მექსიკურ კულტურაზე, ყოფა-ცხოვრებაზე აგებული. რაც მთავარია, მისი პროფესიონალიზმი გამოჩნდა! დუნქანს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, რომ მის ნაშრომს ქართველები გაგებთ მოუკიდნენ. გამარჯვებას არ ელოდა, ძალიან გახარებული იყო!

გიორგი გიორგაძე, ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის II კურსის მაგისტრანტი:

— ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი გახლდით. ჩემი ჯგუფი გერმანელ პროფესორთან — ფრანკ გრისმანთან მოხვდა. სამუშაოდ, ვულკანის ამოფრქვევის გამო, ბატონმა გრისმანმა საქართველოში გამოგზავნა ვერ მოახერხა, მაგრამ ინტერნეტის საშუალებით, სტუდენტებს კონსულტაციებს მაინც გვინებდა. ჩვენი სამუშაო თემა იყო — ლოკალური დიზაინი გლობალურ ასპექტში. საპრეზენტაციო მასალა ვიდეორგოლის სახით წარმოვადგინეთ — „კუბი, როგორც კულტურების დამაკავშირებელი ობიექტი“.

ანანო მებრაღიშვილი, სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ბაკალავრი:

— გიორგის ჯგუფში ვიყავი, 3 დღის განმავლობაში მხოლოდ იდეაზე ვმუშაობდით, ნამუშევარი ბოლო ღამეს დავასრულეთ — ეს არქიტექტორების „სენია“ (იცი-ნის)!

— პროექტში მონაწილე უცხოელი სტუდენტების ნამუშევრებს როგორ შეაფასებთ?

გიორგი:

— საკმაოდ კარგად მუშაობენ. მათი ხედა ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

ანანო:

— მიმანია, რომ ახალგაზრდებისთვის ამ პროექტში მონაწილეობა დიდი სტიმულია!

გიორგი:

— გვსურდა, ჩვენი ნამუშევარი გუნდური მუშაობის პრინციპით შეგვესრულებინა. ეს ნამდვილად მოვახერხეთ!

ნათო ღავითაშვილი, მედიახელოვნების ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი:



— პროფესორ გრისმანის „ვორკშოპში“ ვმონაწილეობდი. ჩვენი ჯგუფი პირველ ადგილზე გავიდა!

— **გიორგავთ! რა დავალება გქონდათ?**

— საკმაოდ ბევრ თემას შორის, „სხეულის ენა“ ავირჩიეთ და ქართული ცეკვა წარმოვადგინეთ. ამასთან დაკავშირებით, მაყურებელს ვიდეორგოლი ვუჩვენეთ და ქართული კულტურა, რელიგია გავაცანი.

— **როგორც შეიტყვე, ვიდეორგოლი კონკრეტულ დროში უნდა ჩაგვტიათ. ამის მოხერხება არ გაგიჭირდათ?**

— ნამუშევარი დაახლოებით 5-ნუთიანი უნდა ყოფილიყო. მუშაობა ძალიან გაგვიჭირდა. ერთგვარი კვლევები ჩავატარეთ

— ღამეებს ვათენებდით... რაც მთავარია, შრომა დაგვიფასდა!

ბაბა ზაქარაშვილი, სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის მაგისტრი:

— ფესტივალზე ჩემი სადილობო ნამუშევარი წარმოვადგინე. ეს კლასიკური ანიმაცია გახლდათ, რომელმაც ნომინაციაში — „საუკეთესო ანიმაციური ფილმი“ გაიმარჯვა. ნამუშევარი კავებს „მეტამორფოზის“ მოტივებზე შექმენი, მასზე 7-8 თვე ვმუშაობდი. ფილმის გმირი მისაბაძი ადამიანი არაა, მას ბევრი სუსტი მხარე აქვს... ფილმზე მუშაობა საკმაოდ შრომატევადი იყო — ათასობით კადრი შექმენი. ფესტივალზე „რომუალო დელ ბიანკოს ფონდის“ სპეციალური სიგელი და ფულადი პრიზი დავიმსახურე.

ბაბა ძოიავა-ყიფიანი, თბილისის სამხატვრო აკადემიის საერთაშორისო პროექტების კოორდინატორი:

— „რომუალო დელ ბიანკოს ფონდი“ ფლორენციაში არსებობს. მისი დევიზია — „კულტურული დიალოგი და საერთაშორისო ინტეგრაცია“. სამხატვრო აკადემიამ ამ ფონდთან თანამშრომლობა დაახლოებით 5 წლის წინ დაიწყო: მასთან შემორანდუმი ჯერ მედიახელოვნების ფაკულტეტმა გააფორმა, შემდეგ — მთელმა აკადემიამ. „რომუალო დელ ბიანკოს ფონდის თბილისის საერთაშორისო ფესტივალი 2010“ სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისა და ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის ჩატარდა. მასში ქართველი და უცხოელი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ, რომლებმაც საბაკალავრო და სამაგისტრო ნამუშევრები ენ. სხარტი პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს. აღსანიშნავია, რომ პროექტში ტექნიკური, თეატრისა და კინოს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტები და კონსერვატორია ჩაერთო. სამუშაოდ, ვულკანის ამოფრქვევის გამო, ფონდის 10-კაციანი დელეგაცია და კიდევ ბევრი უცხოელი სტუმარი საქართველოში ვერ ჩამოვიდა, მაგრამ „სკაიპის“ საშუალებით, ფონდის პრეზიდენტმა კონფერენციაზე კულტურული ტურიზმის შესახებ მოხსენებაც კი წაიკითხა. ფესტივალის მონაწილეებისთვის ფულადი და საიუბილეო პრიზები მედიახელოვნების ფაკულტეტმა დაანება — აღნიშნულ ფაკულტეტს წელს 5 წელი შეუსრულდა! გრან-პრი — 1.500 ლარი მექსიკელმა სტუდენტმა მიიღო. ■



სიმღერაზე შეყვარებული 16 წლის ბიჭი და პირველი სოლო კონცერტი

ნიკუშა ცერცვაძე ჯერ მხოლოდ 16 წლისაა, მაგრამ ასაკის მიუხედავად, წარმატებას უკვე ბევრ მუსიკალურ კონკურსზე მიაღწია, ერთ-ერთი — „ვერდინოტეს“ ფესტივალზე მიღებული გრან-პრი გახლავთ. ახლახან ნიკუშამ (რომელიც მიაა დათუნაშვილისა და „ქართული ხმების“ სტუდიების მოსწავლე გახლავთ) სოლო კონცერტი გამართა და ფართო აუდიტორიის წინაშე, ქართული კლასიკური სიმღერები შესრულა.



— არა, მაგრამ სტიმული ამანაც მომცა.

— შენი მშობლებიც მუსიკის სფეროში საქმიანობენ?

— ამ სფეროში ოჯახის არც ერთი წევრი არ საქმიანობს. ჩემი მეგობრებიდან, თითქმის ყველა მღერის. გადავწყვიტე, მეც მემღერა. მგონი, გამომდის (ილინის). 7 წლის განმავლობაში ცეკვაზე დავდიოდი — „სუსხიშვილების“ მთავარმა მოცეკვავემ — სოსო დეკანოიძემ „გამზარდა“. შემდეგ, ეზოში თამაშისას, შემთხვევით, თვალი დავიშავე. ექიმმა ცეკვა ამიკრძალა — თვალისთვის დატვირთვა არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული პრობლემები შეგექმნებაო. მოკლედ, ცეკვას თავი დავანებე და შეიძლება ითქვას, რომ შრომა წყალში ჩამეყარა!

— მუსიკალური ნიჭი როდის გამოავლინე?

— ცეკვის პარალელურად, ვმღეროდი კიდევ: მართალია, ბაბუაჩემმა, აკადემიკოსმა — თენგიზ სანიკიძემ სიმღერა არ იცოდა, მაგრამ მ თვის ვიყავი, როცა ძილის წინ „გულიდან“ მიმღეროდა: „შენ გიმღერ, შენ გიგალობ“... როგორც მშობლები მეუბნებიან, თურმე ბაბუას ბანი მივეცი (იციინის). მას მერე ვმღერი და ვმღერი...

— ყველაზე კომფორტულად თავს რა ფანრის სიმღერების შესრულებაში სსს გრძნობ?

— საესტრადო. „ქართული ხმების“ სტუდიაშიც დავდივარ და ხალხურ სიმღერებსაც ვსწავლობ, მაგრამ ყველაზე მეტად საესტრადო სიმღერების შესრულება მომწონს.

— „ქართულ ხმებში“ როგორ მოხვდი?

— შემთხვევით. მე და ჩემმა ბავშვობის მეგობარმა — გიორგი ჩხაიძემ განცხადება ვნახეთ — „ქართული ხმები“ ბავშვების მიღებას აპირებდნენ. სტუდიაში გიორგის ბაბუამ მიგვიყვანა (მშობლებისთვის არც მითქვამს) — იქნებ, მიგილონო. მას შემდეგ, „ქართულ ხმებშიც“ ვმღერი.

— კონცერტზე ბევრი დეილი შესრულე ვინც სცენაზე პარტნიორობა გაგინია, ყველა, მიაა დათუნაშვილის სტუდიის მოსწავლეა?

— ერთის გარდა ყველა მაიკოს მოსწავლე იყო. ერთ-ერთი დეიტი პატარა რუსოსთან ერთად შევასრულე. ეს გოგონა სერიოზული „ძალაა“ — ძალიან ნიჭიერი ადამიანი! უამრავ შემსრულებელთან მიმღერია, მაგრამ

„ეთო ყოვლანაშვილი“

— ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სოლო კონცერტი გამართა. ისე, „სოლო კონცერტი“, ცოტა ხამალალი ნათქვამია — ეს უფრო „გამოცდა“, ჩემი პირველი ნაბიჯი იყო. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რაც მიაა დათუნაშვილის და სოსო ლალიაშვილის დამსახურებაა. მათ დიდ მადლობას ვუხდით. შემიძლია ვთქვა, რომ მუსიკალური თვალსაზრისით, ძალიან „გავიზარდე“.

— აღნიშნული კონცერტის გამართვა ვინ გადამწყვიტა?

— უპირველეს ყოვლისა, ჩემმა მასწავლებლებმა. თავდაპირველად, არ ვთანხმდებოდი, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ეს ჩემთვის დიდი პრაქტიკა იქნებოდა.

— კონცერტისთვის რეპერტუარი ვინ შეარჩია?

— თითოეული სიმღერა მიაა დათუნაშვილის მიერ იყო შერჩეული.

— ალბათ, შენს გემოვნებასაც შეესაბამებოდა.

— აბსოლუტურად! მაიკოს გემოვნებას ვწინდობ: უკვე მეოთხე წელია, რაც მის სტუდიაში ვსწავლობ. კონცერტზე ანუკა კაცაძესთან ერთადაც ვიმღერე. ჩვენ იტალიაშიც გახლდით და დიდი შრომის შედეგად, ფესტივალზე — „ვერდინოტე 2008“ გრან-პრი ავიღეთ. სიმღერა იტალიელმა კომპოზიტორმა დაგვიწერა. ჩვენც მოვამზადეთ და დუეტში შევასრულეთ. კონკურენტისას სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები გვინწევდნენ, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ.

— როგორც შევითქვეთ, შენს სოლო კონცერტზე სიმღერის — „ბათუმს ქათქათას“ შესრულებისას, დიდი ძალისხმევა დაგჭირდათ, რომ არ გაგცინებოდათ.

— ამ სიმღერაში ასეთი ფრაზაა: „ასე მგონია, ამირანი ხარ“. სიმღერი-

სას ამ ფრაზამდე რომ „მივდივართ“, მე და ანუკა სიცილს ვერ ვიკავებთ ხოლმე. კონცერტზე ვცდილობდი, სცენისკენ არ გამეხედა, რადგან ახლობლების სიცილ-კისკისი მესმოდა. როცა სერიოზული აუდიტორია გისმენს, თავი უნდა შეიკავო — კონცერტზეც რომ გამცინებოდა, მსმენელს არ მოეწონებოდა!

— სცენაზე უხერხულ სიტუაციაში ჩაყარდნობარ?

— არა... შეიძლება, პატარა ხარვეზები არის ხოლმე, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველაფერი კარგად გამოდის.

— სოლო კონცერტის მოსამზადებლად რა დრო გქონდა?

— ყველაფერი 1 თვით ადრე დავგეგმეთ. რეპეტიციას დღეში ორჯერ (ზოგჯერ — სამჯერაც) გავდიოდი, ბევრს ვმეცადინებოდი. მამა შემპირდა: კონცერტს თუ კარგად ჩაატარებ და ხალხიც კმაყოფილი დარჩება, ამსტერდამში გაგიშვებ ან თავად წაგიყვანო. ამსტერდამში ჩემი შეყვარებული ცხოვრობს და სწავლობს. ის ქართველია. ერთმანეთი საქართველოში გავიცანით. უკვე ერთ წელზე მეტია, რაც საზღვარგარეთ იმყოფება... იმედი მაქვს, რომ მამა დანაპირებს შესრულებს და ჰოლანდიაში გავემგზავრები (იციინის).

— კონცერტის გამართვისთვის სტიმულის მომცემი შენთვის შეყვარებულის სანახავად გამგზავრება იყო?



ყოველთვის ვამბობ: სიმღერისას, როცა პარტნიორობას გიორგი ჩხაიძე მინევს, თავს ყველაზე კომფორტულად მაშინ ვგრძნობ-მეთქი!

— ნიკუშა, კიდეც რას საქმიანობ?

— სკოლაში ვსწავლობ. უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად ვემზადები.

— სად გინდა, რომ სწავლა განაგრძო?

— იურიდიულ ფაკულტეტზე.

— შენთვის სიმღერა პოზია?

— არა, ამ საქმის სერიოზულად გაგრძელებას ვაპირებ, მაგრამ მინდა, სხვა პროფესიაც მეონდეს, მოგვიანებით, კონსერვატორიაში სწავლასაც ვაპირებ.

— იურისტობა რატომ გადანიჭე?

— ჩემს ოჯახში ყველა იურისტი: დედა, მამა, ბები... მეუბნებოდნენ, — შვილო, ეს პროფესია არ აირჩიო, განვალდებო, მაგრამ იურისტობა ბავშვობიდანვე მთელი გულით მინდა...

— მუსიკა ბევრ დროს არ გართმევს?

— კი, მაგრამ ვცდილობ, დღის განმავლობაში, სიმღერისთვის 2 საათით მაინც მოვიცალო. მუსიკა ჩემთვის ყველაფერია — სიცოცხლეზე მეტად მიყვარს!

— „ვერდინოტეს“ გარდა, კიდეც რომელიმე კონკურსში თუ მონაწილეობდი?

— უამრავში. ჩემი ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯი გოგი დოლიძის სახელობის ფესტივალში მონაწილეობა იყო, სადაც მათა დათუნაშვილი გავიცანი, შემდეგ კონკურსში — „ხმა საქართველოდან“ გავიმარჯვე და ა.შ. ამ ხნის განმავლობაში, ჩემი მშობლე-

ბი ყოველთვის მხარში მედგნენ — ფინანსური თუ სხვა სახის პრობლემებს ერთად ვაგვარებდით, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით.

თორნიკე ბაროშვილი, ნიკუშას მეგობარი:

— 4 წელია, რაც მე და ნიკუშა ვმეგობრობთ. ერთმანეთი „ქართულ ხმებში“ გავიცანით. ის არაჩვეულებრივი პარტნიორია — სიმღერისას ერთმანეთს კარგად ვწყობით, „შეთამაშებული“ ვართ. მე, ნიკუშამ, გიორგი ჩხაიძემ და აჩიკო აბაშიძემ გადაწყვიტეთ, რომ კონცერტზე კვარტეტში გვემღერა. ეს აზრი ოთხივეს მოგვწონდა და ჩანაფიქრი ავასრულეთ: „საყვარელო ჩემო თბილის-ქალაქო“ და „თვალისჩინო“ ვიმღერეთ.

მაია დათუნაშვილი:

— ნიკა როცა გავიცანი, ძალიან პატარა იყო (მაშინ სტუდია არ მეონდა). მეგობართან ერთად, გოგი დოლიძის სახელობის პირველ ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად მოვიდა. არც კონცერტმეისტერი ჰყავდა, არც ფონოგრამა ჰქონდა. რუსუდან სეხისკვერაძის ერთ-ერთი სიმღერა შეასრულა. მივხვდი, რომ კარგი მუსიკალური სმენა, ხმა ჰქონდა და რაც მთავარია, სიმღერა ძალიან უყვარდა! მის მშობლებს ვთხოვე, ბავშვები მეორე ტურისთვის მოემზადებინათ. კონკურსისთვის ბიჭებმა საოცარი დუეტი „მოიტანეს“ (კომპოზიტორს არ დავასახელებ): დუეტი ქალსა და მამაკაცს უნდა შეესრულებინა, მაგრამ ბიჭები მღეროდნენ (იკინის). სიმღერა სასწრაფოდ „გავაუქმეთ“. მას შემდეგ, ნიკამ ბევრი რამე ისწავლა. პირველ წარმატებას გოგი დოლიძის სახელობის ფესტივალზე მიაღწია. რა თქმა უნდა, ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა. ნიკას სოლო კონცერტი კიდეც ერთი ნაბიჯია იმისკენ, რომ უფრო თავდაჯერებული იყოს. თავის პედაგოგთან — სოსო ლალიაშვილთან ერთად ბევრი იშრომა, რომ მღელვარება დაეძლია და კონცერტი წარმატებით ჩატარებულიყო. მცირე ასაკის მიუხედავად, ნიკას აქვს თვისება — რასაც მიზნად დაისახავს, აუცილებლად შეასრულებს, ძალიან ნიჭიერი ბიჭია!

სოსო ლალიაშვილი, ვოკალის პედაგოგი:

— მუსიკალური თვალსაზრისით, ნიკუშა „ღრმა“ ადამიანია, ქართულ ხალხურ სიმღერებზეა შეყვარებული! უკვე 3 წელია, რაც მაია დათუნაშვილის სტუდიაში სწავლობს. როცა ჩვენი სტუდიის მოსწავლეები გარკვეულ დონეს აღწევენ, მათ სოლო კონცერტს ვმართავთ. პირველად ელენიკო ქაჩლიშვილის კონცერტი ჩავატარეთ, მეორედ — რუსო ბარლიანის (მაშინ გოგონები 14 წლის იყვნენ), მესამედ — ნიკუშასი. მსგავს პროექტებს კიდეც ვგეგმავთ.

— წარმატებას გისურვებთ. ■



პირველი ვარსკვლავი, ვინც, ორსულობის პერიოდში, პოპულარული ჟურნალის გარეკანზე მოხვდა, დემი მური იყო. ასე რომ, ამგვარი გადაღებების მოდა დემი მურმა დაამკვიდრა. მისი ფოტოსურათის გამოქვეყნებიდან 8 წლის შემდეგ ლეგენდარულმა სუპერმოდელმა — სინდი კროუფორდმა (ჟურნალი W Magazine, 1999 წელი, ივნისი) ამ ერთგვარ ტრადიციას მეორე სურთქვა შთაბერა და შვილის მოლოდინში თავს სახალხოდ გაშიშვლების ნება მისცა.

2004 წელს, ექვსი თვის ორსულმა მონიკა ბელუჩიმ იტალიური ჟურნალისთვის Vanity Fair გაიხადა. ორსული ანა ნიკოლ სმიტი კი ჟურნალ Vanity Fair-ის გარეკანზე მკითხველმა 2006 წლის მაისის ნომერში იხილა.

კრისტინა აგილერა მისი ორსულობის შესახებ გავრცელებულ ხმებს დიდხანს უარყოფდა, მაგრამ ჟურნალ Marie Claire-ის 2007 წლის იანვრის ნომერში ფოტოსურათი გამოქვეყნდა, რომელზეც ფეხმძიმი კრისტინა გამოსახული.

2007 წელს მსახიობმა მილა



მაია დათუნაშვილთან ერთად



ორსული პარსკვლავები ჟურნალების პირველ გვერდებზე



იოვოჯინა ორსულობის დროს საქველმოქმედო აქციისთვის Clothes Off Our Back Journal Jane-ს ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

კიდევ ერთი ცნობილი მოდელი ჰაიდი კლუმი ჟურნალისთვის Vitals გაშიშვლდა. ორსულმა ლამაზმანმა მსოფლიოს ძალზე თამამი ფოტოსურათები წარუდგინა, რომლებიც, მისი თქმით, ხაზს უსვამს ნებისმიერი ფეხმძიმე ქალის სილამაზეს.

დასახელებულ ვარსკვლავებს არც ჯგუფის ბებრ სოლისტი — **იულია ვოლკოვა** ჩამორჩა. რვა თვის ორსულმა მომღერალმა თამამ ფოტოსესიაში 2007 წელს მიიღო მონაწილეობა.

ხოლო ნახევრად შიშველმა ტინა კაროლმა ლამაზი მუცელი ჟურნალ Viva-სთვის ჩატარებულ ფოტოსესიაში გამოაჩინა.

ლამაზ და მოდურ სამოსში გამონყობილი პოლი ბერი კი ჟურნალისთვის InStyle პოზირებს.

ბრაზილიელმა სუპერმოდელმა ალესანდრა ამბროზიომ კეთილშობილება გამოიჩინა და „ორსული“ ფოტოსურათებით ფულის შოვნა არ მოისურვა. პოდუშმის ვარსკვლავმა მოდური ჟურნალებისთვის პოზირების ნაცვლად, პირადი ფოტოსესიის ჩატარება გადაწყვიტა და რამდენიმე სურათი საკუთარ ვებ-საიტზე გამოაქვეყნა.





ცხოვრება

„თემი“ — დიდი სახლია, სადაც ყველა ერთმანეთზე ზრუნავს...

„თემი“ ტიპურ ბავშვთა სახლს არ ჰგავს. ის ნებისმიერი ასაკის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანებს აერთიანებს. ამ სახლის თითოეული მოზინადრე ერთმანეთზე ზრუნავს. „თემი“ საკუთარ სახელს ამართლებს. აქ მცხოვრებთ დიდი მეურნეობა აქვთ, რომელსაც თავადვე უვლიან, ჩამოსულ მოხალისეებთან ერთად. ბავშვთა სახლში უცხოელების სიმრავლემ გამაკვირვა. თურმე წლის ნებისმიერ დროს, აქ ბევრი უცხოელი მოხალისე იყრის თავს, რომლებიც პატარებს ხატვას, ხელსაქმეს, მუსიკას, სკოლის საგნებსა და უცხო ენას ასწავლიან. ბავშვთა სახლის დამაარსებელი ნიკა პაპაა. მას დიდი და პატარა სახელით მიმართავენ.

უკვე 20 წელია, რაც ნიკა პაპამ „თემი“ დააარსა, 19 წლის წინ კი ბავშვთა სახლმა გრემში დაიდო ბინა. „მხედროვნების“ თარეშისას, მაშინ, როდესაც „თემელებს“ ყველაზე მეტად უჭირდათ ფინანსურად, ნიკა პაპამ ბავშვთა სახლის მოზინადრეები თბილისში, საკუთარ სახლში დააბინავა.

ელენე ბასილიძე

ბავშვთა სახლში, ზოგიერთი საკუთარი ფეხით მივიდა, ზოგიერთი სახელმწიფომ მიიყვანა, ბევრიც — მშობლებმა და ახლობლებმა. გრემის მოსახლეებს ერთხელ კატაც კი მიუყვანიათ ნიკა პაპასთვის, — გვეცოდება და იქნებ თქვენ მოუაროთო...

როდესაც „თემის ჩამოყალიბება დაიწყო, ნიკა პაპამ იცოდა, რომ იმ ადამიანებს...

ის ცხოვრების მოწყობა, რომელთაც მეურვის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ, იოლი არ იქნებოდა. „თემის“ წევრები ცდილობენ, უკეთესი პირობები შექმნან როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე გარშემო მყოფებისთვის. აქ ისეთი ადამიანებიც ცხოვრობენ, რომელთაც დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიათ და მეურვე სჭირდებათ. მათგან რამდენიმე ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. რაც მეტი სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე ადამიანია „თემში“, მით უფრო ხალისიანია ცხოვრება, როგორც მათთვის, ასევე ჩვენთვისო, — მითხრა ნიკა პაპამ. იგი სინაულით

აღნიშნავს, რომ მოხალისეების უმეტესობა უცხოელია. ყოველწლიურად ჩადიან ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების სტუდენტები. ნიკა პაპა „თემში“ ქართველი მოხალისეების ნაკლებობას, მათი გარე სამყაროსთან ურთიერთობის დეფიციტით ხსნის: ქართველმა ახალგაზრდებმა ჯერჯერობით არ იციან, რომ არც ამერიკის მოქალაქეობის მიღებასა და არც მალი-

ბუს სანაპიროზე ნამოჭიმულ ვილას ბედნიერება არ მოაქვს. ჯერ უნდა დარწმუნდნენ, რომ იქ სამოთხე არაა, სადაც მათ ჰგონიათ, — მითხრა სინაულით... თურმე ქართველი ახალგაზრდები „თემს“ ხშირად იმიტომ სტუმრობენ, რომ უცხოელები გაიცნონ და მათი საშუალებით უცხოეთისკენ გაიკვლონ გზა...

ნიკა პაპა წუხს, რომ უამრავი ადამიანი სარგებლობს ამ თუ იმ ბავშვთა სახლის სახელით. თურმე „თემის“ სახელითაც არაერთი ადამიანი ითხოვს მონყალებას დედაქალაქში და საჭიროების შემთხვევაში სპეციალურ საბუთსაც წარადგენენ, პიროვნების დასადასტურებლად. მათ პასუხს არავინ სთხოვს და თუ ვინმე ჩვენი სახელით მოგაკითხავთ მონყალების სათხოვნელად, იცოდეთ, რომ იგი ჩვენი წარმომადგენელი არ იქნება, — მითხრა მან.

„თემში“ მცხოვრებ თითოეულ ადამიანს ძალიან საინტერესო ცხოვრებისეული ამბავი აქვს. ძნელია, ამდენ ადამიანში რომელიმე გამოარჩიო, მაგრამ ბავშვთა სახლში 9 წლის დათუნა ერთადერთი პატარაა, რომელიც ინვალიდის ეტლით გადაადგილდება. მიუხედავად ამისა, მას ფეხბურთის თამაშშიც კი არ ეშლება ხელი: დათუნა მეკარეა და მისთვის გოლის გატანა არც ისე იოლი საქმეა. დათუნას ნდობის მოსაპოვებლად დიდი ძალისხმევა დაეჭირდა. ბოლოს კი ინტერვიუც ჩავენერეთ.

დათუნა ვალიზილი:

— უკვე 4 წელზე მეტია, „თემში“ ვცხოვრობ. აქ ირმა დეიდამ, ჩემმა ექიმმა მომიყვანა. ადრე კასპის ბავშვთა სახლში ვცხოვრობდი, რომელიც დაიხურა და მას შემდეგ აქ გადამოვედი. ის სახლი „თემს“ ვერც შეედრება. აქ უკეთესი სიტუაციაა, საკუ-



„თემელები“ ყინულის მოედანზე

ვისწავლეთ, თუ როგორ ფიქრობენ და ამროვნებენ პატარები, რა უხარიათ, რა სწყინთ (დათუნა და პაბლო)



თარ სახლში მგონია თავი...

— დათუნა, თავისუფალ დროს როგორ ერთობი?

— ხანდახან ვხატავ, კროსვორდებს ვავსებ, ფაზლესაც ვაწყობ, წიგნების კითხვაც მიყვარს, ოღონდ უკეთესია, თუ ვინმე წამიკითხავს, მე კი — ვუსმენ (იციინის). ამ ყველაფერს მაშინ ვაკეთებ, როცა გარეთ ცუდი ამინდია და მინდორზე სათამაშოდ ვერ გავდივარ. თუ კარგი ამინდია, ძმაკაცებთან ერთად ფეხბურთს ვთამაშობ. ახლა არდადეგები გვაქვს და თავისუფალ დროს სულ ვერთობით. სკოლის საგნებიდან, ყველაზე მეტად ინგლისური მიყვარს. ადვილია და იმიტომ. ნუ მიყურებ გაკვირვებული სახით, ინგლისური ყველაზე მეტად მიადვილდება და ამიტომაც მიყვარს ყველაზე მეტად.

— დიდი რომ გაიზრდები, ვინ უნდა გამოხვიდე?

— ნარუტო ოძიმაკი (მულტფილმის გმირი). ვსურვებ, მაგრამ ძალიან მინდა, ნარუტოსნაირი ჩხუბი ვიცოდეს! ხელის გადაწვევაში კი ვარ მაგარი. ომის დროს ძალიან მინდოდა, ჯარისკაცი ვყოფილიყავი და გორში მებრძოლა. ოოოჰ, რას ვუზამდი იცი, რუსებს?! სულ კუდიტ ქვას ვასროლინებდი!

— ფეხბურთის გულშემბატონი ხარ, არა?

— ჰო, „ბარსას“ ფანი ვარ (ილიმის). მაგ გუნდში ყველაზე მეტად, მესი მიყვარს.

— ძმაკაცები ახსენე წელან. ვინ არიან ისინი?

— (მუშტს მიჩვენებს) აი, ეს მუშტია ჩემი ძმაკაცი (ილიმის). დღეს ჩემს ძმაკაცს, დათოს ვეჩხუბე და გაბრაზებული ვარ მასზე. ეგ არაფერი, მალე გამოვიღის.

ზურა ნიკა პაპას მოადგილეა და ბავშვთა სახლის სამეურნეო-სამეურვეო საქმეებს მუშაობს ერთად უძღვება. მომავალი მუშაობა „თემში“ გაიცნო, დაქორწინდნენ და ახლა ორ შვილთან ერთად ბავშვთა სახლში ცხოვრობენ.

ზურა ლუარსაბიშვილი:

— მე და ნატომ ოჯახი 2004 წელს შექმენით. შეუღლების შემდეგ ჩემთან, გრემში ვცხოვრობდით, მაგრამ ოროჯახიანობა ძალიან რთული ყოფილა: ჩვენი აქ არყოფნით საქმეს ბევრი რამ აკლდებოდა და გადავწყვიტეთ, „თემში“ გადმოვსახლებულიყავით.

— ზურა, ვნახე, რომ „თემს“

ძალიან დიდი მეურნეობა აქვს...

— კი, გვყავს ქათმები, ძროხები, გვაქვს ინკუბატორი, მინას ვამუშავებთ, ბოსტანს ვუვლით, ფუტკრებიც გვყავს. სულ მალე, მარანის გაკეთებასაც ვაპირებთ. სამკურნალო მცენარეების ბაღის გაშენება გვინდა. ვცდილობთ, ნატურალური პროდუქტი მოვიყვანოთ. მინას ყოველთვის ბუნებრივი სასუქით ვანოყიერებთ...

— „თემს“ საკუთარი თავის შენახვა შეუძლია?

— სამწუხაროდ, არა. ვცდილობთ, მეურნეობა გავაფართოვოთ, რომ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შევძლოთ. გვინდა, დამოუკიდებელ თემად ჩამოვყალიბდეთ. დღეს ჩვენი მოთხოვნების ერთ მესამედს სახელმწიფო აფინანსებს, ერთი მესამედი — შემოწირულობები, ხოლო ერთი მესამედი — ჩვენივე შემოსავალი. გვაქვს სადურგლო, სადაც ნებისმიერი სახის ავეჯს ვაკეთებთ და შეკეთებასაც კი ვიღებთ. ვაკეთებთ კარ-ფანჯრებს, მერხებს, მაგიდებსა და სკამებს, ჭერსა და იატაკს, ვიტრაჟებს... ყველაფერი გვეხერხება (ილიმის).

— როგორია ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახის ცხოვრება?

— პატარებს ვასწავლეთ, რომ თუ რაიმეს გააკეთებენ და საქმეში მოგვხმარებენ, საკუთარ თავს არგებენ. ჩვენთან „ჩემი“ და „სხვისი“ საქმე არასოდეს კეთდება. საქმე ყოველთვის საერთოა. როდესაც კასპის ბავშვთა სახლიდან ახალგაზრდული ბავშვები სამზარეულოში, მორიგების სიაში ჩაწერეთ, გაკვირვებულები კითხულობდნენ, — კი, მაგრამ, რა დავაშავეთო?! საერთო საქმისთვის შრომა დასჯად მიაჩნდათ.

— მე ვნახე, რომ პატარები საერთო საქმეს ხალისით აკეთებენ...

— კი, დღეს მართლაც ასეა, რაც ძალიან მახარებს (ილიმის).

— „თემში“ რამდენი სამეურვეო ადამიანი ირიცხება?

— 22 სკოლის მოსწავლე გვყავს, 6 — ბაღის ასაკის პატარა და 35 — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. მათგან 21 სახელმწიფოს დახმარების პროგრამაშია ჩართული, დანარჩენები — არა. ჩვენთან ბევრი ისეთი ბავშვია, რომლებიც ოჯახებიდან მოვიდნენ. შესაბამისად, სახელმწიფოს მათ შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია და დახმარებასაც არ იღებენ. ხშირად, როცა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანებს „თემში“ ვიღებთ, მათ სახელმწიფო დახმარებას უწყვეტს, რადგან მათზე უკვე „თემი“ ზრუნავს. სამწუხაროდ, ბევრი ადამიანის მიღება არ შეგვიძლია, რადგან მატერიალური მდგომარეობა შესაძლებლობას არ გვაძლევს. დღეს ჩვენთან მუდმივ მაცხოვრებლად, 86 ადამიანი ითვლება.

— რამდენიმე დედა ვნახე,



რომელიც თქვენთან მცირეწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრობს.

— ისინი მარტონელა დედები არიან, რომელიც „თემში“ შეიფარა. გვყავს დოჯახებული წყვილიც, რომელსაც უკვე 2 შვილი ჰყავს.

— იმ 2 პატარას გარდა, „თემში“ თუ დაბადებულა ბავშვი?

— ნინიკო, რომელიც უკვე 16 წლისაა, — ჩვენთან დაიბადა.

— „თემს“ სკოლაც აქვს, ხომ?

— კი, მაგრამ მიუხედავად მაღალკვალიფიციური პედაგოგებისა, სკოლა სრულყოფილი არაა. ქიმიის პედაგოგი არ გვყავს და ლიცენზიაც არ გვაქვს. შესაბამისად, პატარებს ატესტატს ვერ ვაძლევთ.

— ზურა, როგორც ვხედავ, ძალიან ხშირად გასტუმრობენ უცხოელებიც.

— დღესაც სუზანა ჩამოვიდა გერმანიიდან, რომელიც 10 წელია, ყოველ წელს გვსტუმრობს. მთელი წლის განმავლობაში ბავშვებისთვის საჩუქრებს აგროვებს და დატვირთული ჩამოდის. სუზანა ბავშვებით ცხოვრობს. უნდა ნახოთ, როგორ ელიან პატარები მის ჩამოსვლას. იციან, რომ სუზანა მათ ხან მთაში წაიყვანს, ხანაც — პიკნიკზე. არ გეგონოთ, მილიონერი იყოს. თეატრში მუშაობს, გამწაფებლად, მაგრამ თუ ადამიანს უნდა, კეთილ საქმეს მაინც გააკეთებს.

— წარმატებებსა და ბედნიერებას გისურვებთ.

უკვე 7 თვეა, რაც მილანი და პაბლო „თემში“ ცხოვრობენ. გერმანელ მოხალისეებს წინასწარ უჭირთ იმის წარმოდგენა, რომ სულ რამდენიმე თვეში სამშობლოში დაბრუნება მოუწევთ და პატარებს ვეღარ ნახავენ.

პაბლო შვილცა:

— ჩვენ, მე და მილანი ერთ გერმანულ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ და მისი მუშაობით შეგველით აქ ჩამოსვლა. ვმუშაობთ პატარებთან, ასევე — ბოსტანშიც, „თემელებს“ მოსავლის მოყვანაში ვეხმარებით.



ხანდახან ვხატავ, კროსვორდებს ვავსებ, ფაზლესაც ვაწყობ, წიგნების კითხვაც მიყვარს



სიკვებებით იმის გამოხატვა, რასაც ამ ბავშვთა სახლში ვგრძობთ, შეუძლებელია

მარებით. ის, რასაც აქ ვაკეთებთ, გერმანიაში არასოდეს გაგვიკეთებია. მართალია, ეს საქმიანობა ჩვენი უცხოა, მაგრამ მუშაობა არ გვიჭირს. რაც მთავარია, ცოტ-ცოტა ქართული ვისწავლე და როგორც ხედავთ, ვლაპარაკობ კიდევ (ილიმის).

— პაბლო, სტუდენტი ხარ?

— არა, მხოლოდ სკოლა მაქვს დამთავრებული. როცა საქართველოდან გავმგზავრები, უნივერსიტეტში ჩავაბარებ.

— კიდევ თუ აპირებ ჩამოსვლას?

— კი, რა თქმა უნდა. არდადეგებზე აუცილებლად ჩამოვალ. ბავშვებს ძალიან შევეჩვიე, მათთან ერთად ცხოვრება და მუშაობა დიდი ბედნიერება ყოფილა. ვისწავლე, თუ როგორ ფიქრობენ და აზროვნებენ პატარები, რა უხარიათ, რა სწყინთ. მათი ენა ვისწავლე და ძალიან გამიჭირდება მათ გარეშე ცხოვრება.

გილან ალუში:

— მე და პაბლო 7 თვეა, რაც აქ ვართ. ერთმანეთი მაშინ გავიცანით, როდესაც საქართველოში ჩამოსასვლელად ვმზადდებოდით. ძალიან მომწონს აქ ცხოვრება. აქ ერთი დიდი ოჯახია, სადაც უამრავი ადამიანი ცხოვრობს. რაც მთავარია, ერთმანეთის გვერდით ბედნიერად გრძობენ თავს. სიტყვებით იმის გამოხატვა, რასაც ამ ბავშვთა სახლში ვგრძნობ, შეუძლებელია (ილიმის)! ეს უნდა ნახოთ, აქ უნდა ჩამოხვიდეთ და გარკვეული დროის განმავლობაში იცხოვროთ.

— გერმანიაში დაბრუნების შემდეგ რას აპირებ?

— უნივერსიტეტში ჩავაბარებ. საშედიცინო ფაკულტეტზე ვაპირებ სწავლას. ძალიან მინდა, მომავალში მსგავსი სახლი მეც მქონდეს და ერთი „თემი“ გერმანიაშიც ჩამოვაყალიბო. ჯერ არ ვიცი, ამას როგორ მოვახერხებ, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს (ილიმის).

— საქართველო მოგწონა?


— ძალიან მაგარი ქვეყანაა, ლამაზი სამშობლო გაქვთ. მე და პაბლო, ამ შაბათ-კვირას, ვაშლოვანის ნაკრძალის დათვალიერებას ვაპირებთ. უკვე მთელი კახეთი მოვიარეთ, თბილისიც დავათვალიერეთ, ქუთაისიც... დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე თქვენმა ქვეყანამ!

— როგორც ვიცო, შენმა მშობლებმაც მოინახულეს „თემი“...

— მშობლებმა იცოდნენ, რომ ჩემთვის საქართველოში ჩამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და აქ ცხოვრება ბევრ რამეში დამეხმარებოდა, მაგრამ მაინც ძალიან გაუჭირდათ ჩემი გამოშვება. ერთი თვის წინ, მშობლები „თემში“ ჩამოვიდნენ და მთელი თვე იცხოვრეს აქ. ძალიან მოუნონათ აქაურობა, ქართულმა კულტურამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. სულ რამდენიმე დღის წინ გავაცილე ისინი. არ მინდა აქაურობის დატოვება. იმედი მაქვს, რომ შესაძლებლობა მომეცემა და ისევ ჩამოვალ საქართველოში.

სასწაული, როგორც უკრაინაში მოღვაწე მამა ანდრია მოახდინა

მონა ღვთისა ნიკოლოზი — ასე უწოდებს საკუთარ თავს ადამიანი, რომლის შესახებაც მინდა, გაიმბოთ. 16 წელი აზერბაიჯანის ციხეში შეუძრულა. მაშინ მოზარდისთვის 17-წლიანი პატიმრობა უნდა მიესაჯათ, მაგრამ ღვთისა და მამაო კახაბერის (ტაბატაძე) წყალობით, სატუსალოს თავი ორწელიწად-ნახევარში დააღწია. ამის შემდეგ სტიქაროსნის სამოსი მოირგო და ყველას ეგონა, რომ უფლის გზას დაადგებოდა, მაგრამ ყმანვილს ნებისყოფამ უღალატა, ყოფილმა მეგობრებმა ისევ შეძლეს მისი წუმპეში ჩათრევა და ნიკოლოზი კიდევ ორჯერ აღმოჩნდა ციხეში. „მრუდე გზით სიარულის გამო, საყვარელ ადამიანებს თავი შევაძულე, ჩემი დანახვა არავის უნდოდა, მაგრამ მე მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ვფიქრობდი და სხვების წუხილს არაფერი დავიდედით“, — აღიარებს ის და ამ საქციელს ძალიან ნანობს...



ლიკა ქავიაი

როცა მიხვდა, რომ საქართველოში არ დაედგომებოდა, გადარწმუნდა, უკრაინაში გამგზავრებულიყო. იქ ერთი ნაცნობიც კი არ ეგულებოდა: „ალბათ, უფალს უნდოდა, რომ მამა ანდრიასთან შევეხვედრებინე. ამ ღვთის კაცმა, თავისი ქადაგებითა და სწავლებით ჭეშმარიტებისკენ შემომაბრუნა, შემცვალა და მადლობა უფალს, რომ ისეთი ცხოვრებით აღარ ვცხოვრობ, რომლითაც წლების განმავლობაში ვიმძიმებდი სულს“.

— ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხები, რა შეიძლება იყოს ისეთი ცუდი, რაც გაკეთებული არ მაქვს? — ალბათ, ყველაფერი გავაკეთე, რაც ცოდვილს შეეძლო გაეკეთებინა, მაგრამ მადლი უფლისა უფრო დიდია. იცით, პირველად აზერბაიჯანში დამიჭირეს; 16 წელი ციხეში შემისრულდა. ზრდასრულთა საკანში მოვხვდი, სადაც ლამის შემჭამეს, — ქრისტიანი ხარო. იქ შედამხედველებისგან უამრავი დამცირება გადავიტანე, მაგრამ ყველაზე მეტად ის მტანჯავდა, რომ თავისუფლება დაკვარე. მაშინ ამ განსაცდელის დაძლევაში მამა კახაბერი, ჩემი მოძღვარი დამეხმარა. დედაჩემს წერილი მივწერე, — ეკლესიაში მიდი და ილოცე, რომ აქედან გამომიშვან, თორემ 17 წელს მომისჯიან-მეთქი... დედა ეკლესიაში ტი-

რილით წასულა. მაშინ პირველის გადაწერაც კი არ იცოდა. მამა კახაბერს უკითხავს, რა გატირებთო? დედაჩემს მისთვის ყველაფერი დაუფარავად მოუყოლია. ამის შემდეგ მამამ აზერბაიჯანში ჩამომაციხთხა, ლოცვანი, ხატები ჩამომიტანა და მასწავლა, თუ როგორ უნდა მელოცა. მამა კახაბერი უძვირფასესი პიროვნებაა. ის ამჟამად დეკანოზი გახლავთ. სულიერად გამაძლიერა, მხარში ამომიდგა...

— ასეთი რა დააშავეთ, 17 წელი რომ უნდა მოესაჯათ?

— ერთი გავლენიანი კაცი მყავდა გატაცებული, თავისივე მანქანით. მართალია, ნეიტრალური ზონა გადავლახე, მაგრამ აზერბაიჯანში დამიჭირეს. სამართალდამცველებმა მანქანის სავარძლის ქვეშ იარაღიც იპოვეს. ის კაცი საზღვარზე მართოს გადამყავდა, მაგრამ საქმეში ნახევარი საქართველო და აზერბაიჯანი იყო ჩარეული. მე ე.წ. შემსრულებელი ვიყავი.

— რამ გაიძულათ, 16 წლის ასაკში ასეთი ბინძური საქმე ჩაგვდინათ?

— იმ პერიოდში საქართველოში არეული სიტუაცია იყო, მე კი რუსთაველი ვცხოვრობდი. ქალაქში, რომელიც ერთი დიდი ზონა გახლდათ. იქ ყველა ქურდობდა, მაიმუნობდა, ყაჩაღობდა. „ძველ ბიჭებს“ თავი ძალიან მაგარი გვეგონა და „ვბლატაობდით“ (აბა, სულ სააკაშვილი



კი არ იყო ხელისუფლებაში, ისეთ ხალხთან მქონდა ურთიერთობა, რომელიც მხოლოდ სიბინძურეს სჩადიოდა და ცხადია, უნებისყოფო მოზარდი ჩამითრიეს...

ციხიდან გამოსვლის შემდეგ მამა კახაბერმა თავისთან, სტიქაროსნად წამიყვანა, ხელს აღარ მიშვებდა და მეც, სასულიერო სემინარიაში ჩავაბარე. ცოტა ხანს ჭკვიანად ვიყავი. სამების ტაძარი რომ აკურთხეს, მაშინ სტიქაროსანი გახლდით და მთელი პროცესი უწმინდესის გვერდით ვიდექი, საკურთხეველში ვიყავი. მოკლედ, მიხელა მადლი მეღირსა, რაზეც ხალხი მთელი ცხოვრება იცნებობს... მაგრამ ისევ გადავუხვიე გზიდან...

ნიკოლოზი ისევ ძველმა „მეგობრებმა“ აიყოლიეს. მას შემდეგ, ძალიან დიდხანს, დიდსა და პატარას, ნაცნობსა თუ უცნობს მისი დანახვაც კი არ უნდოდა, ყველამ ზურგი აქცია. ამბობს, რომ ისინი მართლები იყვნენ, რადგან არავის უნდა ცუდ ადამიანთან ურთიერთობა.

— ჩემზე ყველა, როგორც ხელიდან წასულ ადამიანზე, ისე ლაპარაკობდა. მართლაც, არაფერი დავაკელი საკუთარ თავს. ბევრი ფული ვიმოგე, მაგრამ მას მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ანუ იმ სიბილნის შესამჩნად ვხარჯავდი, რასაც სამწუხაროდ, დღეს ბევრი ადამიანი ჰყავს საკუთარ მარნუხებში მოქცეული... მაშინ ქარი მიქროდა თავში და „მაიმუნური“ ცხოვრება უფრო პრესტიჟულად მიმაჩნდა, ვიდრე წესიერება, სუფთა გზაზე სიარული. საერთოდ, რაც მეტად მიდიხარ უფალთან, ეშმაკი მეტად ძლიერდება და მის მიერ დაგებულ მახეს გვერდი უნდა აუარო. მამა კახაბერი ენამა იმისათვის, რომ ჩემგან კაცი გამოეყვანა, მაგრამ იმედი ვერ გავუმართლე... ამიტომაც, მის ნახვას ახლაც, როცა ისევ უფლის გზას დავადექი, ვერ ვბედავდი, მისთვის თვალეში ჩახედვისაც კი მრცხვენოდა...

ისინი მაინც შეხვდნენ ერთმანეთს. მანამდე კი ნიკოლოზი კიდევ ორჯერ იჯდა ციხეში... სხვათა შორის, ცოლი პირვე-

ლად 18 წლის ასაკში, აზერბაიჯანის ციხიდან გამოსვლისთანავე შეირთო.

— ცოლი ციხიდან გამოსვლის მესამე დღესვე მოვიყვანე. მას მანამდეც ვიცნობდი, ვიდრე დამიჭერდნენ. საცოლეს ციხიდან წერილებს ვწერდი და ისიც მიგზავნიდა სასიყვარულო ბარათებს. კურთხევის როლს დედაჩემი ასრულებდა...

შეყვარებულებმა მხოლოდ 1 წელი გაატარეს ერთად. რამდენიმე ხნის შემდეგ, ნიკოლოზი ისევ დაოჯახდა, მაგრამ ეს ქორწინებაც უიღბლო აღმოჩნდა.


— ერთმანეთს მალევე დავშორდით, რადგან მივხვდი, რომ ის ჩემი დიდი სიყვარული არ იყო. უბრალოდ, ერთმანეთით გატაცებულმა წყვილმა ოჯახის შექმნა გადაწყვიტეთ და სულელური ნაბიჯი გადავდგით... შეილები არც ერთთან არ მყოლია.

მესამედ აზერბაიჯანელი გოგონა შეირთო, რომელმაც მის გამო ყველა და ყველაფერი მიატოვა, საქართველოში გამოჰყვა და მართლმადიდებლური წესითაც მოინათლა.

— ის ფაქტობრივად, მოვიტაცე. მუსლიმანი იყო. უზომოდ განათლებული, თბილი, ღვთიური ადამიანი გახლდათ... ჩონულა ბაიარაფოვა ახლობლის დის ქორწინებაში გავიცანი. მამამისი ქარხნების დირექტორი გახლავთ, დედა — მეტროპოლიტენის უფროსი. მოკლედ, ძალიან მდიდრები არიან... ქორწინება ყველას მიესალმა, ჩემ გარდა. მეგობარს ვკითხე, — ეს გოგო ვინაა-მეთქი? მიპასუხა: — მაღალი საზოგადოების წარმომადგენელია და ჯობია, მასზე არც იოცნებო... ჩონულას დიდხანს ვედიე, მოსვენებას არ ვაძლევდი; მისთვის განმავლობაში, ყოველდღე, დილას და საღამოს სამსახურში ყვავილებს ვუტოვებდი და ბოლოს, როგორც იქნა, შეხვედრებზე დავითანხმე, მაგრამ ისევ მარიდებდა თავს... 27 დეკემბერს ჩონულას დაფურევე და საშინელი ტყუილი ვუთხარი: ქალი, რომელთანაც ქირით ვცხოვრობ, გარდაიცვალა; აქ შენ გარდა არავის ვიცნობ და ვიდრე ამ ქალის ახლობლები მოვლენ, სახლის მილაგებაში დამეხმარე-მეთქი. შევეცოდე და მეგობრებთან ერთად მომადგა. მერე კი აღარ გავუშვი. 3 დღე მემუქრებოდა: უნდა გიჩვილო, შეგჭამ, მოგკლავო, მაგრამ საბოლოოდ, დარჩენა გადაწყვიტა.

— მეგობრებმა როგორ მიატოვეს?

— ვერაფერი მოახერხეს, მათ კარი მიკუხურე... ჩონულამ ჩემ გამო ბევრი რამ გადაიტანა, მე კი არ დავუფასე. არა მგონია, ქმრის გამო რომელიმე სხვა ქალმა იმდენი



საქართველოში უზომოდ შეყვარებული, საოცრად თბილი და გულსხმიერი ადამიანია, ნამდვილი ღვთის კაცი

მსხვერპლი გაიღოს, რამდენიც ჩონულამ გაიღო. მან ყველაფერი უარყო იმისათვის, რომ მე ვყოფილიყავი კარგად — სარწმუნოება შეიცვალა, მშობლები, ნათესავები, საყვარელი ადამიანები მიატოვა. აქ ჩამოსული ჩვენს საცხოვრებელ პირობებს ვერ ეგუებოდა, მაგრამ ყველაფერს უსიტყვოდ იტანდა; საჭმელს მე მაჭმევდა, თავად კი შეეძლო, მთელი დღე მშვიერი ყოფილიყო. როცა ოპერაცია გავიკეთე — სასიკვდილოდ დამჭრეს, დანა რვაჯერ დამარტყეს, — პალატაში არ ტოვებდნენ და ამიტომაც, 18 დღე საავადმყოფოს კიბეზე იჯდა, თავს მევლავებოდა... ფეხზე წამომაყენა, მაგრამ ამავე არ დაეფუფასე. ჩვენ, ადამიანები ყველაზე საშინელი ცხოველები ვართ. საყვარელი ადამიანის ფასს მაშინ ვიგებთ, როცა ვვარგავთ.

გოგონამ მეუღლესთან ერთად 3 წელიწადი იცხოვრა, მერე კი მისი მიტოვება განიზრახა და წავიდა კიდევ.

— მას დღემდე მივტირი. მასთან დაშორების შემდეგ, ჩემს ცხოვრებაში სხვა ქალი ვერ შემოვიდოდა, ახლოს არავის ვიკარებდი. წავიდა და ჩემი სულიც თან წაიღო.

ამ ამბის შემდეგ, ნიკოლოზი დიდხანს იტანჯებოდა, მერე კი გადაწყვიტა, ისეთ ადგილას წასულიყო, სადაც არავის იცნობდა და ბედმა უკრაინაში ამოაყოფინა თავი. ხან კიევის ბაზარში ეძინა, ხან — ქუჩაში. ერთი პერიოდი, მშობიარე ქალების კვლევითი ცენტრის საყარაულოში ეძინა — ყარაულს დაუმეგობრდა. „ის მოხუცი კაცი იყო, მასთან არაყი, სასმელ-საჭმელი მიმქონდა და ალბათ, ამიტომაც შემიფარა“. ბოლოს, ერთ უკრაინელთან, რომელიც საყარაულოში იყო შესული, ჩხუბი მოუხდა.

— ქართველებსა და საქართველოზე ცუდად ილაპარაკა. ვერ მოვიტომინე და ხელი მოვუქნიე, მან კი მცემა. ასე, ნაცემი წამოვდი და უცნობ გზას გავუყევი. ჯიბეში მხოლოდ ხურდა ფული მიჩხრიალებდა. ამ თანხით ოდესაში ჩავედი, საჭმელი ვჭამე და გავიფიქრე, — ახლა სად უნდა წავიდე-მეთქი?... გამიჩნდა იდეა, ზღვის სანაპიროზე ჩავსულიყავი. იმედი მქონდა, რომ იქ ვინმე ქართველს გადავეყრებო-



ჩონულას დიდხანს ვედიე, მოსვენებას არ ვაძლევდი; 8 თვის განმავლობაში, ყოველდღე, დილას და საღამოს სამსახურში ყვავილებს ვუტოვებდი



დი, რომელიც დახმარების ხელს გამოიმინვდიდა. გზას ფეხით გაუყუყვი, ზღვისკენ. დავინახე ეკლესია და სურვილი გამიჩნდა, შევესულიყავი.

თურმე, იმ პერიოდში პირველად ალარ ინერდა, უფლის რცხვენოდა და იმიტომ! როგორც ამბობს, ყოველთვის სწამდა, რომ უფალი ჩვენთან იყო, მაგრამ რატომღაც, მისგან შორს იდგა, აღვირა ხსნილმა ცხოვრებამ ყველაფერი დაავიწყა.

— როგორღაც გავბედე და ტაძარში შევედი. ბოლო კაპიკებით სანთელი ვიყიდე და ლოცვა დავიწყე. სანთლის გამყიდველი ქალი მომიახლოვდა და მკითხა: ქართველი ხარო? — კი-მეთქი. — გეტყობა, რაღაც გიჭირს, პრობლემა გაქვს; აქ ერთი არქიმანდრიტი გყავს, უძვირფასესი ადამიანი, ბერი, რომელიც ილია წინასწარმეტყველის სახელობის მამათა მონასტერშია; მიდი მასთან და აუცილებლად დაგეხმარებაო. მადლობა გადაუხადე და ტაძრიდან გახარებული გამოვედი, მაგრამ მონასტერს ვერ მივაგენი.

დიდხანს იხეტიალა აღმა-დაღმა, ბოლოს კი დაინახა თეთრწვერიანი მოხუცი ბერი, რომელმაც მონასტრამდე მიიყვანა, მამაოს მიჰგვარა და უთხრა, — ეს ბიჭი გეძებო.

— მამაომ თავის კელიაში ამიყვანა. ისე შემხვდა, გეგონება, უკვე იცოდა, რომ უნდა მივსულიყავი. ის საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, საოცრად თბილი და გულისხმიერი ადამიანია, ნამდვილი ღვთის კაცი. ყველაფერი უზამბე და მას შემდეგ, ჩემთვის „ხელი არ გაუშვია“. არ ვიცი, ამ კაცმა როგორ მომაქცია, მაგრამ მერწმუნეთ, თავისი ლოცვებით, ქადაგებით ნამდვილი სასწაული მოახდინა. მანამდე ჩემზე ასეთი გავლენა არავის მოუხდენია. ერთი წუთითაც არ მივუტოვებია, ზედ გადაწყვა და ოპერაციის გაკეთებაშიც დამეხმარა — სამჯერ მომიხდა კისტის ამოკვეთა... მოკლედ, მონასტრის შემოწირულობა დამახარჯა. სულ იმას გაიძახის, მღვდელს ფული რად

უნდა, ბერს ფული რად უნდაო?! რომ მოინდომოს, საათში მილიონ დოლარს იშოვის, მაგრამ ფეხსაცმლიდან წინდები მოუჩანს... მან ბევრი ინვალა, რომ მეუფისგან კურთხევა აეღო, რათა შევემოსეთ. შემოსვა ნიშნავს პირველ ნაბიჯს მორჩილებისკენ, დიაკვნობისა და ბოლოს, ბერად აღკვეცისაკენ — ანუ ახლა გამოსაცდელი პერიოდი მაქვს, მერე კი, თუ უფლის ნება იქნება, შესაძლოა, ბერიც გავხდე... სხვათა შორის, უკრაინიდან საქართველოში წმინდა ნაწილები სწორედ მამა ანდრიას (ოსიაშვილი) ჩამოაქვს. ახლახან ჩამოვებრძანე ანდრია პირველწოდებულის, სიმონ კანანელისა და იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილები, რომლებიც სამების საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული.

მამა ანდრია ნიკოლოზი 2 თვეში, ღვთის გზაზე დააყენა, ღვთის მოშიში გახდა. ახლა მონა ღვთისას წარსული ეზიზღება და თავს უბედნიერეს ადამიანად მიიჩნევს, რადგან მხოლოდ უფალს უნდა ემსახუროს და ცოდვების მონანიების საშუალება მიეცეს.

— გეგმაში მაქვს, IV საუკუნეში აგებული, უკვე თითქმის დანგრეულ მონასტერში — გორის ჯვარში, რომელიც დუშეთში მდებარეობს, კელიები ავაშენო და ერთი წელიწადი მაინც იქ ვიყო.

— ეს გამოსაცდელი პერიოდი რამდენ ხანს გრძელდება?

— არ ვიცი, ეს უფლის ნებაა. როცა მეუფე მიხედება, რომ ღვთიური გზისთვის მზად ვარ, როცა მამაო გამიწვევს რეკომენდაციას, სულიერების გამოცდასაც მაშინ ჩავაბარებ, ეს კი შეიძლება 6 თვეში ან სულაც, 10 წელიწადში მოხდეს.

— ადრეც ცხოვრობდით ეკლესიურ ცხოვრებით, სტიქაროსანი იყავით, მაგრამ ამ გზას გადაუხდით. ახლა რატომ ხართ დარწმუნებული, რომ წარსულს არ დაუბრუნდებით?

— იმიტომ, რომ მიხვდი, რა არის

ჭეშმარიტება. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, პირიქით, ყველას მადლიერი ვარ. მამა კახაბერმა ჩემს მოსაბრუნებლად ბერი რამე გააკეთა, ჩემს სულში პირველი ცერცვის მარცვალი სწორედ მან ჩააგდო (მოგესხენებათ, ყველაზე პატარა თესლი მდოგვს აქვს, მაგრამ მისგან ყველაზე დიდი ხე აღმოცენდება). მხოლოდ მამა ანდრია შეძლო, ჩემთვის გახელილი თვალებით დაენახებინა, თუ რა არის უფალი. ვხედავ, ვგრძნობ, როგორ ელაპარაკება ეს ადამიანი უფალს. ის კელიიდან თითქმის არ გამოდის, 24 საათი ლოცულობს... მადლობა უფალს იმისათვის, რომ ასეთი პიროვნება გვყავს ქართველ ხალხს, მრევლს. ის საქართველოს დიდი მოამაგეა.

წელანაც აღვნიშნე: რაც უფრო ახლოს მიდიხარ უფალთან, ეშმაკი მით მეტ საცდურს გიგზავნის-მეთქი. ოდესიდან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მეც უამრავი საცდური მქონდა, იყო მილიონი შემთხვევა იმისა, რომ ღვთის გზას ავცდენოდი, მაგრამ ნებისყოფა მეყო, ეშმაკმა ვერ მაცდუნა — მადლობა უფალს ამისათვის! 3 წელი გავიდა, რაც არაფერს გავკარებია, ყველანაირ ხორციელ სიამოვნებაზე უარს ვამბობ და ამით ბედნიერი ვარ... სხვათა შორის, რუსთაველიც ალარ ჩავდივარ: არ მინდა, ძველ ნაცნობებს, ე.წ. „კოლეგებს“ შევხვდე.

— ვფიქრობ, პირიქით უნდა იქცეოდეთ. თქვენ უნდა გქონდეთ სურვილი იმისა, რომ ისინი სწორ გზაზე დააყენოთ...

— უფლის წყალობით, მოვა დრო, როცა სულიერად ისე გავსლიერდები, რომ ამასაც შევძლებ. ახლა კი წილკნის ეპარქიის ერთ-ერთ ეკლესიაში დავდივარ. ეს ტაძარი წლების მანძილზე უპატრონოდ იყო მიგდებული, იქ სალოცავად თითქმის არავინ შედიოდა. აღდგომის ღამეს მამაოსგან კურთხევა ავიღე და სოფლის მოსახლეობას ლოცვები წავუკითხე. კარდაკარ დავდიოდი, ვქადაგებდი, რათა მოსახლეობა ეკლესიაში მოსულიყო.

მონა ღვთისა ნიკოლოზი ჩვენთან იმიტომ მოვიდა, რომ სურდა, საზოგადოებისთვის ბოდიში მოეხდა საკუთარი წარსულის გამო.

— ერთხელ უწმინდესმა იქადაგა: წყალი რომ ადიდდება, ის კალაპოტს აუცილებლად შეიცვლის, მაგრამ ბოლოს, მაინც თავის ადგილს დაუბრუნდება. ერთხელ, დედაჩემმა ქვემო ქართლის ეპისკოპოსს, მამა ათანასეს შესჩვილა: ჩემი შვილი ეკლესიაში მოვიდა, მაგრამ მერე ისევ აურიო. მეუფემ უპასუხა: ღმერთმა თუ გამოარჩია, იხტუნებს, იხტუნებს და მაინც აქ მოვაო!.. მინდა, ყველას მოეუხადო ბოდიში იმ საქციელისთვის, რასაც ჩავდიოდი. მაპატიოს ყველამ, თუკი რაიმე ცუდი გამიკეთებია. როცა ჩემ მიერ განვლილ გზას ვიხსენებ, მერწმუნეთ, სინანულისგან ცრემლებამდე მივდივარ. ბევრი მეუბნება, — ადრე „ავარდნილი“ იყავი, ახლა კი ეკლესიაში დადიხარო... კაცო, გამ-



ახლახან ჩამოვებრძანეთ ანდრია პირველწოდებულის, სიმონ კანანელისა და იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილები, რომლებიც სამების საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული



როგორ მივიღოთ კუთვნილი ქონება

ანდერძის არსებობის მიუხედავად, მემკვიდრეები წილს მიიღებენ

სამწუხაროდ, ხშირად მემკვიდრეებს შორის დავა სასამართლოში ინაცვლებს. იმის ნაცვლად, რომ საყვარელი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ერთმანეთი ანუგეზონ და ქონება უხმაურად გაინაწილონ, ადამიანები ოჯახის წევრებთან საერთო ენის გამოანხვას ვეღარ ახერხებენ. ფაქტია, ქონების გამო დედამიწეილები ერთმანეთს კარგავენ და ხშირად სისხლის სამართლის დანაშაულამდე მიდიან. სამოქალაქო საქმეთა დავებში გამოცდილი იურისტი, ადვოკატი ციცინო ცხვედიანი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში კანონის დაცვით ანდერძის დანერგა, ყველაზე კარგი გამოსავალია. ყველა მშობელს ურჩევს, ქონება შეიღებოს სიცოცხლეში გაუნაწილოს. შესაძლოა, ანდერძის მიუხედავად, ანდერძისმიერ მემკვიდრეს დავამ და იმის მტკიცებამ, რომ ქონება ნამდვილად მას ეკუთვნის, სასამართლოში მაინც მოუწიოს. ადვოკატ ციცინო ცხვედიანის ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიტყობთ.

თბა სურსილავა

— ქალბატონო ციცინო, როგორ რეგულირდება კანონით ქონების გაყვანის საკითხები?

— ამ საკითხს სამემკვიდრეო სამართალი არეგულირებს. ცვლილებები მემკვიდრეობით სამართალში შევიდა და განსაკუთრებით შეეხო მემკვიდრეობას ანდერძით. მოქმედი სამოქალაქო კოდექსით, შინაურული ანდერძის დანერგა დაშვებულია, ადრე ეს ასე არ იყო. შინაურულ ანდერძს მოანდერძე თავისი ხელით წერს და ხელმოწერით ადასტურებს. ასეთ ანდერძს მოწმეები არ სჭირდება, მაგრამ თუ ანდერძი დაბეჭდილია და მასზე მხოლოდ მოანდერძის ხელმოწერაა, მაშინ მოწმეები აუცილებელია. ამიტომ უმჯობესია, მოანდერძემ, შინაურული ანდერძი თავისი ხელით დანერგოს. ადრე ანდერძის ნოტარიალურად დამოწმება აუცილებელი იყო, ასევე ცნობდნენ იმ პირთა მიერ დადასტურებულ ანდერძს, რომელთაც კანონის თანახმად, უფლება ჰქონდათ, შეესრულებინათ სანოტარო მოქმედება. ასეთ ადამიანებში გემის კაპიტნები, საავადმყოფოს ექიმები იგულისხმებოდნენ. როდესაც ადამიანი ექსტრემალურ პირობებშია და იქ ნოტარიუსი არ არის, ამ დროს ანდერძი იმ დანესებულების თანადგობის პირმა უნდა დაამოწმოს, სადაც მოანდერძე იმყოფება. მოქალაქეები მაინც ნოტარიუსს არჩევენ, რადგან უფრო დაცულები არიან. თუ ორი სახის ანდერძია — შინაურული წესით დანერგული და ნოტარიულად დამოწმებული

აგებინეთ, წმინდანს რად უნდა მოქცევა? ცოდვილი უნდა მოქცეს!.. თქვენ იცით, რომ პატიმრები ხშირად ლოცულობენ?! საქართველოს სული რომ უდგას, ეს ალბათ, სწორედ მათი ლოცვის შედეგია (რა თქმა უნდა, უწმინდესისა და ეკლესიის ლოცვის შემდეგ)..

— ახლა ალბათ, ბევრი მკითხველი შეგინანაღმდეგობდათ და გეტყვით: თუკი ადამიანი მორწმუნეა, ღვთისმოსიანია, ის ძალიან მძიმე ცოდვას ვერ ჩაიდენსო...

— ნუ განსჯი სხვებს და არ განსჯები! მერწმუნეთ, ახლა ეკლესიაში შესვლისას უფლის მრცხენია, მაგრამ მაშინ ტაძარში ისე შევდიოდი, როგორც საკუთარ სახლში; ახლა, ლოცვისას კართან ვდგები, — აბა, რა უფლება მაქვს ცოდვილს შიგნით დგომისა? უფალი ბრძანებს: ნეტარ არს ის, ვისაც უფლის შიში აქვს და ძედ უფლისად იწოდება ის, ვისაც უფლის ეშინია.

— შეგიძლიათ, რაიმე ურჩიოთ მათ, ვინც თქვენი წარსულით ცხოვრობს, ახლაც უკუღმართ გზას ადგას?

— მიენდონ უფალს. უფალმა თუ ინება და ციხეში ამოყვეს თავი, ამის გამო გული არ უნდა დასწყდეთ, ყურები არ უნდა ჩამოყარონ... მე ვიცნობ 27 წლის ბიჭს, რომელსაც 22 წელი მიუსაჯეს, მაგრამ ის იმას კი არ დარდობს, რომ ამდენი წელი ციხეში უნდა გაატაროს, არამედ ამბობს: თუნდაც, 50 წელი მოესაჯათ, ეგ არაფერი; მადლობა ღმერთს, აქ მაინც მაქვს შანსი იმისა, რომ ღვთის ცხოვრებით ვიცხოვრო... ძმებო, გთხოვთ, ინამეთ უფალი და მას შემწეობა სთხოვეთ. მერწმუნეთ, უფლის გზაზე სიარულს არაფერი სჯობს.

— საინტერესოა, ჩონულამ მასთან დაბრუნება რომ გთხოვთ, როგორ მოიქცევით?..

— ეს კითხვა მაშინებს... (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) მე ის მართლაც, უზომოდ მიყვარდა და ალბათ, დღემდე მიყვარს. არ ვიცი, ახლა რომ დაბრუნდეს, შესაძლოა, მამაოს ვისოვო, მომცეს კურთხევა და უფლება იმისა, რომ თეთრი სარწმუნოებით წავიდე და არა — შავით... მაგრამ ვიცი, ეს არ მოხდება!..

დაბოლოს, ბერს ჰკითხვს: ბერობა ანუ შავი სარწმუნოება რას ნიშნავს? მან უპასუხა: ნადი სასაფლაოზე, მკვდარს აგინე და მოდიო. ის კაცი წავიდა, მიცვალებულებს აგინა და უკან დაბრუნდა. ბერმა ჰკითხა: რაო, რა გითხრესო? — არაფერიო. — მაშინ ახლა ისევ იქ მიბრუნდი, მიცვალებულები აქე, ადიდე და მოდიო. ის კაცი სასაფლაოზე წავიდა, გარდაცვლილები აქო და კვლავ ბერთან დაბრუნდა. ბერმა ჰკითხა: რა გითხრესო? — არაფერიო, — ჰოდა, სწორედ ეგ არის ბერობაც, რომ მიცვალებულის მსგავსად არაფრის თქმა არ შეუძლია, ამქვეყნიურ სიამოვნებაზე უარს ამბობს, მისი საქმე კი კვლიაში ყოფნა და ლოცვაა.



ამიტომ მეორე მხარეს იმედი აქვს, რომ შეიძლება, ვერ დადგინდეს ანდერძის ნამდვილობა.

— **განსაზღვრულია თუ არა კანონით ანდერძის გახსნის ვადები?**

— როგორც წესი, შინაურულ ანდერძს მოანდერძე სახლში ინახავს. ამიტომ ძნელი სათქმელია, ანდერძს როდის იპოვიან. როცა ნოტარიუსთან ინახება ანდერძი, ნოტარიუსი ვალდებულია, ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს აცნობოს ანდერძის არსებობა და დანიშნოს დღე მის გასაცნობად. პირის გარდაცვალების შემდეგ ვისაც პრეტენზია აქვს მის ქონებაზე, მას ნოტარიუსი სამკვიდრო მონუმობის გაცემას სთხოვს. ნოტარიულად დამოწმებული ანდერძიც ხშირად სადავოა.

— **რატომ? აქ ხომ ყველა პროცედურა დაცულია?**

— როცა მამკვიდრებელი ღრმად მოხუცებული ან ავადმყოფია, მხარე ამტკიცებს, რომ ის იმდენად ავად იყო, არ შეეძლო, გაცნობიერებინა, რას ანერდა ხელს და შეცდომაში შეიყვანეს. ნოტარიუსს ვერ მოვთხოვთ, განსაზღვროს, პირი არის თუ არა ფსიქიკურად განონასწორებული; როცა მოხუცებულია, ნოტარიუსი ითხოვს შესაბამის ცნობას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ამ დასკვნას ეყრდნობა. თუკი მდგომარეობა სადავოა და მოანდერძის ავადმყოფობაზე სამედიცინო დოკუმენტაცია არსებობს, დაინიშნება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც დაადგენს თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა მოანდერძე ანდერძის გაცემის დროს. თუკი ექსპერტი მივა იმ დასკვნამდე, რომ მას არ შეეძლო, თავისი მოქმედება გაეაზრებინა, მაშინ ანდერძს ბათილად ცნობენ. საქართველოში 69 წელს ქვემოთ მყოფი ასაკის ადამიანის ანდერძი არ შემსვენდება. ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ახალგაზრდამ დაწერა და აღმოჩნდა, რომ ის ავად იყო. ვურჩევ მოქალაქეებს, საღ გონებაზე დაწერონ ანდერძი. კანონით, ნებისმიერ დროს შეიძლება დაწერილი ანდერძის გაუქმება და ეს ადამიანებს აზრის შეცვლის შემთხვევაში პრობლემას არ შეუქმნის.

— **ხშირია დავა დედამიწელებს შორის. თუ ანდერძი არსებობს, სასამართლომდე საქმე მაინც რატომ მიდის?**

— დიას, კანონისმიერი მემკვიდრეები დავობენ. ანდერძი რომ არ არსებობდეს, ისინი უპრობლემოდ მიიღებდნენ ქონებას და ყველა შვილზე თანაბრად განაწილებდნენ დანატოვარი. თუ ანდერძი არსებობს, არ აქვს მნიშვნელობა, ვის უტოვებს

ქონებას მოანდერძე — შვილს თუ სხვა ადამიანს. შეიძლება, ანდერძში ეწეროს, რომ მთელ ქონებას უტოვებს ერთ ადამიანს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შვილები მაინც მიიღებენ თავიანთ სავალდებულო წილს, დანარჩენი ქონება კი მოანდერძეს დარჩება. ანდერძზე მალა კანონი დგას. მოანდერძეები იშვიათად წერენ ანდერძს შვილის სახელზე, რადგან იციან, რომ ისინი ისედაც კანონისმიერი მემკვიდრეები არიან. ხშირად შვილიშვილების ან იმ პიროვნების სახელზე იწერება ანდერძი, ვინც მას უვლიდა. მაშინ, როცა შვილები არ ჰყავთ, ქონებას სასურველ ნათესავს უტოვებენ. პირის გარდაცვალებიდან თვის განმავლობაში მემკვიდრე ქონებას უნდა დაეუფლოს. თუ ბინაზეა საუბარი, იქ უნდა იცხოვროს ან გააქირაოს. ან უნდა მიმართოს ნოტარიუსს აღნიშნული ქონების მისაღებად. 6 თვე კანონისგან დაწესებული ვადაა, რადგან შეიძლება, არსებობდნენ სხვა მემკვიდრეები, რომლებსაც გარკვეული დრო ეძლევათ იმისთვის, რომ მიხედონ თავიანთ სამკვიდრო უფლებებს. თუ 6 თვე ისე გავიდა, რომ სხვა მემკვიდრე არ გამოჩნდა, მაშინ ნოტარიუსი სამკვიდრო მონუმობას იმ პირზე გასცემს, რომელმაც განცხადებით მიმართა. თუ 6-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ დააპირებენ მემკვიდრეები ქონება დაიკანონონ და აღმოჩნდება, რომ არ არიან ქონებას დაუფლებულნი, ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსი უარს ამბობს სამკვიდრო მონუმობის გაცემაზე ვადის გასვლის გამო და ასეთ დროს პირმა უნდა მიმართოს სასამართლოს და იურიდიული ფაქტის დადგენის დოკუმენტის მიღების შემდეგ, ნოტარიუსი ქონებას მას გაუფორმებს.

— **მიიმე საყურებელია პროცესზე ქონების გამო გადაკიდებული დედამიწელები. როგორ შეიძლება, ამ უსიამოვნო პროცესს თავი აარიდონ ადამიანებმა?**

— ყველაზე კარგი გამოსავალია, მშობლებმა ანდერძი დაწერონ მანამ, სანამ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ეჭვქვეშ დადგება. ყოფილა შემთხვევები, როცა ანდერძი არ იყო, მაგრამ მემკვიდრეები ფიზიკურ შეხებაზე გადავიდნენ. მამკვიდრებელი სიტყვიერად ეუბნებოდა შვილებს, თუ ვის რა ქონებას უტოვებდა, მაგრამ რადგან ანდერძი არ არსებობდა, შვილებმა ბრძოლა გამართეს. ძმები ამბობდნენ, რომ გათხოვილ დას არაფერი ეკუთვნოდა, ის კი ამტკიცებდა, მამა ქონებას შემპირდაო. მშობლების სიცოცხლეში კარგი და-ძმობა ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ გაუფუჭდათ ურთიერთობა.

ამ შემთხვევაში ქონება სამივე შვილზე თანაბრად განაწილდა. მშობლები ძირითადად ქალიშვილის სახელზე წერენ ანდერძს, ჯაჟიშვილებზე — იშვიათად. ალბათ იმიტომ, რომ ჰგონიათ, ქალიშვილი კანონით უფრო დაჩაგრულია. ერთი ფაქტი მქონდა, როცა მშობელმა ქალიშვილს მთელი ქონება დაუტოვა. ვიფიქრე, მამას ის უვლიდა და ამიტომ მოიქცა მშობელი ასე, მაგრამ ქონებისთვის ძმებიც იბრძოდნენ. ამ შემთხვევაში სავალდებულო წილი მიიღეს ძმებმა და დანარჩენი ქონება დასდარჩა. ადრე პირის გარდაცვალების შემდეგ სავალდებულო წილი ეკუთვნოდა მხოლოდ არასრულწლოვან ან შრომისუუნარო შვილებს, ახალმა კანონმა კი შვილების მდგომარეობა გააუმჯობესა.

— **მემკვიდრეებს შორის როგორ ნაწილდება ქონება?**

— კანონი ხუთი რიგის მემკვიდრეს ცნობს. ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, როცა მამაკაცი გარდაიცვლება და მეუღლე ჰყავს, მიაჩნიათ, რომ მთელი ქონება მისია, არადა, პირველი რიგის მემკვიდრეები არიან გარდაცვლილის მშობლებიც და შვილებიც. ასეთ დროს ისინი თანაბრად მიიღებენ ქონებას. მეორე რიგის მემკვიდრეები — გარდაცვლილის და-ძმა ან დისშვილები, ძმისშვილები არიან. როდესაც არ არსებობენ პირველი რიგის მემკვიდრეები და არ არის ანდერძი, ქონება მეორე რიგის მემკვიდრეებს შორის თანაბრად ნაწილდება. მესამე რიგში ბებია-ბაბუა და მათი დედა-მამა შედიან. ეს იმ შემთხვევაში, როცა მდიდარი მემკვიდრე პატარა ასაკში გარდაიცვლება და მას არ ჰყავს პირველი და მეორე რიგის მემკვიდრე. მეოთხე რიგში შედიან ბიძები, მამიდები, ხოლო მეხუთე რიგში — ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ან მათი შვილები. ასე რომ, ჩვენი კანონი არ არის „ჩასაფრებული“, პირს მემკვიდრეობა წაართვას. სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, ანდერძით იქნება ის თუ კანონით მემკვიდრე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღებაზე, ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მონუმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამას სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლი არგულირებს. ადრე სამკვიდროს მიღებაზე პირს უნდა მიემართა სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით. 2009 წლის 4 დეკემბერს კანონში შესული ცვლილებით, რომელიც 2010 წლის 1 პრილიდან ამოქმედდა, ამო-



ლებულია ეს დათქმა — სამკვიდროს გახსნის ადგილი — სანოტარო ორგანო.

— ანუ დღეს მოქალაქეს შეუძლია ნებისმიერ ნოტარიუსს ამ მოთხოვნით მიმართოს? ადრე ეს ადამიანებს პრობლემებს უქმნიდა?

— ალბათ ადრე საჭირო იყო ეს დათქმა, რადგან ერთიანი ბაზა არ არსებობდა და იმისთვის, რომ არ მომხდარიყო რაიმე გაუგებრობა, კანონში ჩაინერა, რომ სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით ანუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა შეეტანა პირს განცხადება სანოტარო ორგანოში. ახლა უკვე ერთიანი სისტემა არსებობს, აღარ არის ეს პრობლემა. მოქალაქე მიდის იქ, სადაც ფიზიკურად ახერხებს. იყო წლები, როდესაც უძრავ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაც მხოლოდ იმ სანოტარო ორგანოში შეიძლებოდა, რომლის სამოქმედო უბანში მდებარეობდა გასაყიდი ობიექტი. დიდი უხერხულობა ექმნებოდათ მოქალაქეებს და ეს შეზღუდვაც კანონით მოიხსნა. დღეს ნასყიდობის ხელშეკრულებასაც გააფორმებთ ნებისმიერ სანოტარო ორგანოში და საჯარო რეესტრშიც.

— ალბათ ბევრ დავაში მიგილიათ მონაწილეობა. იქნებ გაიხსენოთ კონკრეტული ამბები.

— ძალიან ბევრი დავა მქონია პრაქტიკაში. ფაქტზე ექსპერტიზა უნდა დანიშნულიყო, თვით საქმის გარემოებიდან გამომდინარე, ანდერძი საეჭვო ხდებოდა, შინაურული ანდერძის დამტოვებელი — თბილისში მცხოვრები, მეცნიერი ქალბატონი გახლდათ. ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ლექციებს კითხულობდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ასეთ ქალბატონს შინაურული ანდერძი დაეწერა და სანოტარო წესით ანდერძი გაფორმებული არ ჰქონოდა.

— მის ქონებაზე ვინ დავობდა, შვილები?

— არა, მას შვილები არ ჰყოლია. შინაურული ანდერძი დაინერა ქალბატონის ერთ-ერთი ნაცნობის სახელზე. მას ქალბატონის კანონისმიერი მემკვიდრე ედავებოდა, ის გახლდათ მესხეთე რიგის მემკვიდრე, დეიდაშვილის შვილი. ანდერძი სასამართლოზე ოჯახის ახლობელმა წარმოად-

გინა; ანდერძის თანახმად, ქონება მას დაუტოვეს. მემკვიდრემ კი სადავო გახადა შინაურული ანდერძის ნამდვილობა. მე მას ვიცავდი და გვინდოდა, ამ ანდერძზე ექსპერტიზა ჩაგვეტარებინა. ქალბატონის ხელნაწერები შედარებისთვის გამოვიტოვეთ, ამის მოძიება უნივერსიტეტში პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარემ ცოცხალი თავით, შინაურული ანდერძის დედანი არ წარმოადგინა.

— ამის უფლება მას კანონით ჰქონდა?

— თუკი მხარე არ წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც მას აქვს ან მასთან უნდა იყოს, ასეთ შემთხვევაში მეორე მხარის პოზიცია დამტ-



კიცებულად ითვლება. მან არ წარმოადგინა დედანი, სასამართლომ მიიჩნია, რომ ანდერძი უკანონო იყო, ბათილად ცნო და კანონისმიერმა მემკვიდრემ ქონება მიიღო — თბილისში მდებარე ბინა. როგორც წესი, მემკვიდრეობაზე ოჯახის წევრები დავობენ. ზოგი ფაქტობრივად დაეუფლება ქონებას და მერე მიდის დავა ამ ქონების მიღებაზე. ქართული მენტალიტეტია, გათხოვილ ქალს არ ეკუთვნის მშობლების ქონებიდან არაფერი. კანონით, განსხვავება არ არსებობს, შვილები პირველი რიგის მემკვიდრეები არიან. დები ხშირად ჩივიან ამის გამო. მქონია ასეთი ფაქტებიც, როცა ორი ძმა დავობდა. ამ დავაში ერთგვებიან დები, რომელიმე ძმის სასარგებლოდ, თვითონაც ითხოვენ წილს, რათა შემდეგ რომელიმე ძმას დაუთმონ. ჯერ მამა გარდაიცვალა, შემდეგ დედა. ძმები ქონებას ვერ იყოფდნენ, თუმ-

ცა ფაქტობრივად ქონებას დაუფლებული იყვნენ, მაგრამ წილები ვერ განსაზღვრეს. მამის გარდაცვალების დროს ერთი ფაქტობრივად დაუფლებული იყო, მეორე — არა, დედის გარდაცვალების დროს ორივე დაეუფლა. ეს ძალიან დიდი ხნის საქმეა. დავა 4 ჯერ უზენაესმა სასამართლომ უკან დააბრუნა, რადგან წილები არასწორად იყო განაწილებული. 4 შესაძლებელი ვარიანტი განიხილეს, ქონება თანაბრად არ ნაწილდებოდა, ბევრი ნიუანსის განსაზღვრა იყო საჭირო — სახლი როდის აშენდა, იყო თუ არა დედამამის თანაცხოვრების პერიოდში შექმნილი, დედის წილი რამდენი იყო, მამის — რამდენი. ერთი სიტყვით, კარგი მათემატიკოსი სჭირდებოდა ამ საქმეს, რომ სამართლიანად და კანონიერად გაენაწილებინა ქონება. იმდენად დამაინტერესა ამ ნიუანსებმა, დაჯექი და ანგარიში სახლის აშენებიდან მოყოლებული დავიწყე. საბოლოო ჯამში, ჩემი ანგარიშით, ისეთი ციფრი გამოვიდა, რომელიც ოთხი გადაწყვეტილებისგან აბსოლუტურად განსხვავებული იყო. ორივე ძმას ნამდვილად ეკუთვნოდა სამკვიდრო, მაგრამ არა იმ პროპორციით, რომელიც სასამართლოებმა წინა შემთხვევებში მათ განუსაზღვრეს. კიდევ ერთხელ განიხილა სასამართლომ ეს დავა, მოისმინა ჩემი არგუმენტები და საბოლოოდ გაი-

ზიარა ჩემი პოზიცია, ზუსტად ისე გაყო, როგორც მე დავასაბუთეთქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია ეს გადაწყვეტილება და კანონიერ ძალაში შევიდა განაჩენი. ანდერძის მიუხედავად, სავალდებულო წილი არ შეიძლება იყოს იმ წილის ნახევარზე ნაკლები, ვიდრე მემკვიდრე მიიღებდა ანდერძის არარსებობის შემთხვევაში. ხშირად შვილები ჰყავთ, მაგრამ ანდერძს სხვა, სრულიად უცხო პირის სახელზე წერენ. ასეთ დროს შვილები სასამართლოში ჩივიან და სავალდებულო წილს იღებენ. ისე, რომ მკითხვით, თუ მეცოდინებოდა, რომ ანდერძი ჩემი მშობლების დანერვილია და ქონება სხვას დაუტოვა ანუ ღირსად არ მიმიჩნია, შემრცხვებოდა და სირცხვილით სასამართლოში ვერ ვიდავებდი...

შეათხვეპა ტბაზე

მარი ჯაფარიძე

— ღმერთმა ნუ ქნას, რომ ხვალ იწვი-
მოს. ჩათვალეთ, რომ საქმე ცუდად იქნება,
— ცას ახედა უფროსმა.

— სულ რატომ ბუზღუნებ, დავით? —
ჰკითხა რამაზმა.

— მეშინია, არ იწვიოს. ხედავ, ცაზე რამ-
დენი ღრუბელია? თუ განვიმდებ, ექსკავა-
ტორი დაცურდება თავდაღმართზე და ტბა-
ში ჩავარდება. ამ ტბის ფსკერზე 2 ტრაქ-
ტორი უკვე „განისვენებს“, დაგაინწყდა? ბევრი
ვინწვალეთ, მაგრამ ვერ ამოვართეთ. სამხედრო
ნაწილიდან სპეციალური მანქანაც კი მოვიყვ-
ანეთ, მაგრამ მაინც არაფერი გამოგვივიდა, —
ისევ ცას ახედა, — მიწა კი ისეთია, რომ
იოლია მოცურება, კარაქივითა.

დავითმა ტირიფის ტოტი მოტყვა და
ფეხსაცმლის ძირზე ტალახის მოცილება
დაიწყო.

ტბის ნაპირზე ხალხი შეკრებილიყო და
უფრო და უფრო ახლოს, ტბისკენ მიიწე-
და. ცნობისმოყვარეობამ სოფლის მცხ-
ვრებზე საქმე მიატოვებინა და ტბის ნა-
პირზე შეკრიბა.

უძველესი ტბა ძალიან ლამაზი იყო —
გარშემო უამრავი ტირიფით გარშემორ-
ტყული. ეს ხეები ალბათ 300 წლის მაინც
იქნებოდა. თუ მზიან ამინდში იქვე, მთიდან
გადმოხედავდი, ტბაში არეკლილი სუფთა
ცა ისე ჩანდა, თითქოს ტირიფებს შორის
უსწორმასწორო ნაპირის მქონე სარკე იყო.

ყველაზე ცხელ ამინდშიც კი ტბის წყალი
არ თბებოდა და ყინულოვით ცივი იყო. ადგილობრივი მოსახლეობა მასში საბანაოდ
ვერ ჩადიოდა. სულ რამდენიმე ადამიანი
თუ ბედავდა. თანაც, ამ ტბის გარშემო
უამრავი, იდუმალებით მოცული ამბავი იყო
გავრცელებული და იქაურებს ტბა შიშსაც
კი ჰგვრიდა.

როგორც ამბობდნენ, ეს ტბა ლამაზ ხე-
ვში, იმერეთის მეფის ბრძანებით, ხე-
ლოვურად შეუქმნიათ და ზაფხულობით
აქ ბევრი ადამიანი იყრიდა ხოლმე თავს —
მეფე და მისი მხლებლები ხშირად სტუმ-
რობდნენ ამ ადგილს და ისვენებდნენ. მოგვი-
ანებით, საბჭოთა წყობილების დროს კი
ხევზე ბეტონის დამრეცი კაშხალი ააშენეს,
რომლის ერთი ბოლო ტბაში ჩადიოდა.
მოხუცებს ახსოვდათ, რომ ტბაზე ოდეს-
ღაც ვინრო ხიდიც კი იყო გადებული,
რომელიც მოულოდნელად ჩატყდა და 3
ადამიანის სიცოცხლე შეინარა.

იქვე, ახლოს, სამხედრო ნაწილი იყო
განლაგებული და იმასაც ამბობდნენ, რომ
ერთ საღამოს მთვრალი ჯარისკაცები
სატვირთო მანქანით ტბაში გადაეშენენ...

იმასაც ჰყვებოდნენ, შეყვარებულისგან
მითვალთვამა, თბილისელმა გოგონამაც თავი
დაიხრჩო. თურმე არდადეგების დროს,
ზღვაზე გაუცნია, შემდეგ ბიჭი დაჰპირებია,
რომ თბილისშიც გააგრძელებდა მასთან
ურთიერთობას, მაგრამ დაპირება ტყუილი
აღმოჩნდა. არადა, გოგონა ფეხმძიმედ იყო...
ჰოდა, თავის დედულეთში ჩამოსულა და

ტბაში თავით გადაშვებულა.

ყველაზე სულისშემძვრელი ამბავი კი 1
წლის წინ გავრცელდა: მდიდარ თბილისელ
კაცს ცოლი გაჰქცევია და თან 1 თვის
ბავშვიც წაუყვანია. ატირებულ ქალს ქუჩა-
ში მანქანა გაუჩერებია, მძღოლისთვის თავი-
სი გასაჭირი უამბინა და შველა უთხოვია.
მძღოლი შუა ხნის მამაკაცი ყოფილა, რომელ-
იც წარმოშობით ამ სოფლიდან იყო და
დაკეტილი სახლი ჰქონია. უფიქრია, რომ
ქალსა და ბავშვს დროებით იქ დააბი-
ნავდეს და სოფლისკენ წამოსულა, მაგრამ
ქალს ქმარი დასდევნებია, სოფლის შესას-
ვლელთან წამოსწევია კიდევ. შემდეგ ცოლ-
ქმარს ჩხუბი მოსვლია, მამაკაცს ქალისთვის
ხელი უკრავს, ქალი ფერდობზე დაგორე-
ბულა; ამ დროს ბავშვისთვის ხელი არ
გაუშვია და დედა-შვილი ერთად ჩავარდ-
ნილა ტბაში. ამბობდნენ, ეს ამბავი იმ მძღოლ-
მა გაახმაურა, ვინც დედა-შვილი სოფელში
ჩამოიყვანაო. იმასაც ამბობდნენ, ეს კაცი
შემდეგ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხ-
ვდა, რადგან სულ იმას გაიძახოდა, მკვ-
ლელები მოდიან, ბავშვები გადაშალეთო.

...ახლა კი, წლების შემდეგ, სოფელში
მიმავალი ოჯახი გზიდან ტბაში გადაეშვა
და ვინაიდან მანქანიდან გადმოსვლა ვერ
მოახერხეს, ტბაში ჩაიძირნენ. გადანყდა —
ტბიდან წყალი ამოექაჩათ და დაღუპულე-
ბი ამოეყვანათ.

მეთევზეები ამბობდნენ, როდესაც ქარი
ამოვარდებოდა, ტირიფები წყლისკენ იხრე-
ბოდა და ამ დროს ტბის ნაპირზე ადამი-
ანთა ხმები ისმოდა. განსაკუთრებით მკაფ-
იოდ კი მამაკაცის ხმა ისმოდა, რომელიც
თითქოს შველას ითხოვდა. კაცი მავედრებე-
ლი ტონით ცოლის სახელს გაიძახოდა;
სახელის გარჩევა ძნელი იყო და ისეთი
შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს კაცი
კი არა, ტბა ღრმად „ამოიოხრებდა“... ის
მეთევზეები, ვისაც ამ ხმის გაგონება მოუხ-
დათ, პირჯვრის ნერით გარბოდნენ ხოლმე
ტბის ნაპირიდან და ანკესებსა და დაჭერ-
ილ თევზებსაც კი ადგილზე ისე ტოვებდ-
ნენ, უკან მოხედვისაც ეწინოდათ...

ტბიდან მეზობელ სოფელში საცალფეხო
გზა გადიოდა და შებინდების შემდეგ იქ
გავლას ყველაზე გულადი ვაჟკაცებიც კი
ერიდებოდნენ.

პოლიციის მანქანის სირენის ხმა გაისმა,
რომელმაც ტბასთან, გზაზე შემოუხვია. უკან
დიდი სამხედრო მანქანა, აწნე და ექსკავა-
ტორი მოჰყვებოდა. მანქანიდან ჯარისკა-
ცები გადმოვიდნენ და ნაპირისკენ დაიძრნენ.
ექსკავატორი კაშხალზე გავიდა და ტბა-
ში ჩასასვლელთან გაჩერდა.

— მაღლობა ღმერთს, გაჩერდა და ტბაში
არ ჩაიძირა! — ხელები ცისკენ ალაპყრო
დავითმა.

ექსკავატორმა ციცივით სამჯერ ამოიღო
მიწა ტბის ნაპირიდან და წყალმა წინასწარ
ამოთხრილ ორმოში იწყო დენა. წყლის

დონე ნელ-ნელა იკლებდა. ექსკავატორი
კი ორმოს სულ უფრო აფართოებდა.
ჯერ წყალმცენარეები გამოჩნდა, შემდეგ
— წლების წინ ტბაში ჩაძირული ტრაქ-
ტორის თავი... შემდეგ იმ ადგილზე, საი-
დანაც მეთევზეებს ხმები ესმოდათ, მანქანის
სახურავი, მოგვიანებით კი მთელი ავტო-
მობილიც გამოჩნდა. ყველა მიხვდა, რომ
„ჟიგული“ იყო, რომელიც ყლარტს მთლი-
ანად დაეფარა და არც ფერი და არც
ნომერი აღარ ეტყობოდა.

ჯარისკაცები ტბის ნაპირზე ჩადგნენ და
ხალხის გაფანტვას შეეცადნენ. ცნობისმოყვ-
არეები ტბის ნაპირს მოაშორეს. პოლიციის
მანქანიდან გაისმა მონოტონი: „გთხოვთ,
დაიშალოთ და სახლებში წახვიდეთ“. პო-
ლიციელებმა მყინთავეები, ოპერატორული ჯგუფი,
პროკურორი და ექსპერტი გამოიძახეს.

როდესაც მანქანის თავი გამოჩნდა, ხალხ-
მა ამოიგემინა. ზოგი ატირდა, ზოგი ავიშ-
ვიშდა. შემდეგ ხალხი დაიშალა.

ელენე და მისმა გოგონამ, მაკუნამ,
როგორც იქნა, სახლამდე მიაღწიეს. მინით
მოსვრილი კალოში გაიხადეს და შინ ფეხ-
შიშველი შევიდნენ.

— ელენე, შენ ხარ? — ჰკითხა ბრმა
დედამთილმა, რომელიც აივანზე იჯდა.

ოთახში ელენეს მეორე შვილი, ბარ-
ბარე იდგა, რომელსაც სახელი ბებუის პა-
ტივსაცემად დაარქვეს. ბარბარე და მაკუნა
ტყუპი იყო. გოგონა ჭიჭით რძეს სვამდა.

— ჰო, ბებია, დედა და მაკუნა არიან.
დედა, შენ კი ისევ დაიწყე კოჭლობა? რა-
ტომ არ აქცევ ფეხს ყურადღებას? — მი-
უბრუნდა დედას.

— იპოვეს ტბაში რამე? — იკითხა ბე-
ბიამ.

— კი, დედა, ტრაქტორი და „ჟიგული“
იპოვეს.

— ეჰ, ნეტავ ვინ იყო მაგ „ჟიგულით“?
ისე, მისი ჭირისუფალი ჩემზე ბედნიერია,
თავის მიცვალებულს დამარხავს მაინც... მე
კი ჩემი ავტოს შესახებ ისიც არ ვიცი,
ცოცხალია თუ მკვდარი...

მაკუნა სანოლზე ჩამოჯდა, შემდეგ ბა-
ლიშში თავი ჩარგო და ატირდა. გოგონა
მუნჯი იყო...

ელენე რძიანი ქვაბი ცეცხლზე შემო-
და, თვითონაც იქვე ჩამოჯდა, ცეცხლს თვა-
ლი გაუშტერა და ჩაფიქრდა.

დედამთილისგან განსხვავებით, ის დარ-
წმუნებული იყო, რომ ქმარი ცოცხალი აღარ
ჰყავდა.

ღამდამობით ხშირად ესიზმრებოდა,
როგორ სთხოვდა შველას, ეძახდა და მის-
კენ ხელებს იშვრდა.

სოფელი, სადაც ეს მოვლენები ხდე-
ბოდა, დასავლეთში მიმავალი ტრასის
პირას მდებარეობდა. მის შესასვლელთან,
ნახევრად ჩამონგრეული ეკლესია იდგა,
რომლის უკან, კოხტა, პატარა სახლში
მღვდელი და მისი ოჯახი ცხოვრობდ-
ნენ. მის მეზობლად კი — ერთი ოჯახი,
რომლის ამ სოფელში მოხვედრაც საინ-
ტერესო ამბავს უკავშირდება.



დიდი ხნის წინ, წვიმიან ამინდში მღვდლის სახლის კარზე ვიღაცამ დააკაკუნა და ლამის გასათევი ითხოვა.

— მამაო, იქნებ შეგვიფარო ერთი ლამით? — სთხოვა მამაკაცმა, როდესაც ანაფორაში გამოწყობილი მღვდელი დაინახა.

— საიდან მოხვედით? შემოდით, სულ დასველებულხართ, — მღვდელმა მამაკაცის უკან მორცხვად ატუზული ქალი შენიშნა და დაუპატიჟებელ სტუმრებს გზა დაუთმო.

— თბილისიდან გამოვიქეცი. მამაჩემმა შინიდან გამომაგდო, რადგან რუსი ქალი შევირთე ცოლად. მენალე ვარ და თუ გნებავთ, საბუთებსაც გიჩვენებთ...

მღვდლის ცოლმა ახალგაზრდები დააბურა, გაათბო და მოასვენა. ქალი ფეხმძიმედ იყო და 2 თვეში მშობიარობაც უნევდა.

* * *

დილით მღვდელი კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან წავიდა და შინ მოიყვანა. ჩექმები კართან დააწყვეს... თავმჯდომარემ ხატებთან პირჯვარი გადაინერა და ოთახში შეაბიჯა. სტუმრებს საბუთები შეუმონა და დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო.

— თუ ჩვენს სოფელში დარჩენა გადაწყვიტეთ, წამოდით და გაჩვენებთ, სად უნდა დასახლდეთ, — მხარზე ხელი დაარტყა მამაკაცს.

ისინი გარეთ გამოვიდნენ და თავმჯდომარემ მღვდლის სახლის უკან მდგომი ნასახლარისკენ გაიშვირა ხელი:

— მეტყევეს ვეტყვი, რომ ხის მოჭრის უფლება მოგცეს და სახლისთვის ხის მასალა დაამზადო. გამოტანაში კი ჩვენ მოგებმარებთ, სატვირთოს მოგცემ და ხეტყეს გამოზიდავ.

ასე დასახლდა ალექსანდრე უცხო სოფელში. მთელი სოფელი დაეხმარა, ზამთრამდე ყველაფერი მოასწრეს და ალექსანდრე ახალ სახლში უკვე ცოლ-შვილთან ერთად გადავიდა. ბიჭუნას ავთო დაარქვეს და ძალიან მალე, თვალსა და ხელს შუა, გაიზარდა. მათ მეზობლად მცხოვრებ ოჯახს მისი კბილა გოგონა ჰყავდა — ელენე. ბავშვები ერთად იზრდებოდნენ, და-ძმასავით იყვნენ, სკოლაში ერთ მერსზე იხსდნენ და შინაც ერთად ბრუნდებოდნენ ხოლმე. ავთო ელენეს ჩანთას დიდი სიამოვნებით მოათრევდა და საღამოობით გაკვეთილებსაც ერთად ამზადებდნენ. ერთ დღეს ავთოს მამამ ველოსიპედი უყიდა. ბავშვები რიგ-რიგობით სხდებოდნენ და სეირნობდნენ. სოფლის ბოლოში თავდაღმართი იყო და იქიდან ველოსიპედით დამკვება ყველაზე მეტად მოსწონდათ. ერთ დღეს, მთელი სისწრაფით მქროდა ავთო დაღმართის ბოლოში მდგარ ელენეს დაეჯახა და ნააქცია. გოგონას ფეხი მოსტყდა. მამინევე საავადმყოფოში გააქანეს, თაბაშირში ჩაუსვეს, მაგრამ როგორც ჩანს — არასწორად. ელენე დაკოჭლდა... ამ ამბიდან 2 წელიწადში სკოლა დაამთავრეს და ავთო ჯარში წავიდა. ახალგაზრდები ერთმანეთს წერილებს სწერდნენ... მათ შორის სიყ-

ვარული სწორედ მაშინ გაღვივდა. შინ დაბრუნებულმა ავთომ მშობლებს გამოუცხადა, რომ ელენეზე ქორწინდებოდა. დიდი ქორწილი გადაიხადეს, მთელი სოფელი დააპატიჟეს, წლისთავზე კი ტყუბი გოგონა შექმინათ.

* * *

თავსხმა წვიმა იყო... თითქოს ცამ პირი გახსნაო... ჭექა-ქუხილი აყრუებდა არემარეს. ყველანი სახლებში იყვნენ შეყუჟული, ელენე კი ორღობეში ფეხშიშველი დარბოდა.

— მაკა! მაკუნააა! — მთელი ხმით ყვიროდა ქალი, მაგრამ გოგონას ასავალდასავალი ვერ გაიგო. გადწყვიტა, შინ კიდევ ერთხელ შევრბინა და გაეგო, შემთხვევით მაკა ხომ არ დაბრუნდა, რომ ელვის შუქზე ჭიშკართან რაღაც შენიშნა. ახლოს მივიდა და ტალახში დაგდებულ ადამიანში მაკა ამოიცნო. შველი ხელში აიტაცა და სახლში შევიდა. გოგონა ტალახით ერთიანად ამოსვრილი და გონწასული იყო. როგორც იქნა, მოასულიერეს. თანდათან სახზე ფერი დაუბრუნდა, ჯერ ვარდისფერმა გადაპკრა ლოყებზე, შემდეგ კი აუწითლდა. მაკუნა სიტხისგან იწვოდა...

ის ღამე თეთრად გაათენეს. დილით მზიანი ამინდი გამოვიდა. მაკუნას ექიმი მოუყვანეს. როგორც იქნა, სიცხე დაუგდეს, მაგრამ გოგონას ხმა ვერ ამოაღებინეს. იმ დღის შემდეგ მაკა დამუწვდა. მხოლოდ ღმუხის ხმა ამოსდიოდა პირიდან. ბავშვი ჩაიკვტა, ალარც სკოლაში დადიოდა... შემდეგ შეეჩვია თავის მდგომარეობას და მეგობრებთან სათამაშოდ გასვლაც დაიწყო. სად არ ჰყავდათ ბავშვი, მკითხავენსაც კი მიჰგვარეს, იქნებ ხმა ამოიღოს, მაგრამ არაფერმა უშველა.

* * *

დილით ელენე ადრე ადგა და ძროხებს მიხედა. ის იყო, ახალმონველილი რძე ქვაბში ჩაასხა და ცეცხლზე შემოდგმას აპირებდა, რომ ვიღაცამ დაიძახა.

თავმჯდომარე იყო; რაიონში, მილიციამი გიბარებენო, — უთხრა. ელენე სწრაფად გაეშადა ნასასვლელად, რადგან თავმჯდომარე თან მიჰყვებოდა და გარეთ ელოდა, თეთრი „ვოლგით“, რომელზეც წინათ მისი ქმარი მძღოლად მუშაობდა. თან მაკუნა იახლა და მანქანაში ჩაჯდა.

— ნეტავ, რა უნდა სდებოდეს, რატომ მიბარებენ? — იკითხა ქალმა.

— არ ვიცი, მივალთ და გავარკვევთ, — მიუგო თავმჯდომარემ, მაგრამ სახეზე ეწერა, რომ ყველაფერი იცოდა.

მილიციის განყოფილებაში მამაკაცი დახვდათ, რომელმაც უფროსის კაბინეტში შეიყვანა.

— გამარჯობა, ელენე, — ხელი ჩამოართვა უფროსმა, — თქვენთვის ახალი ამბავი გვაქვს.

— რა მოხდა, ცუდი ხომ არაფერია? — შეშფოთდა ქალი.

— ამას წინათ ტბიდან წყალი რომ ამოტუმბეს, იქ იყავით?

— დიახ.
— „ჟიგული“ რომ იპოვეს, ნახეთ?
— დიახ.

— იმ მანქანაში 2 ადამიანის ჩონჩხი აღმოვაჩინეთ — ქალისა და მამაკაცის. საბუთები არ დაზიანებულა. პასპორტის მიხედვით, მამაკაცი — თქვენი ქმარია. ქალის ვინაობაც დავადგინეთ. ის თბილისელი აღმოჩნდა და უკვე რამდენიმე წელია, უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. მანქანაც მის სახელზე გახლავთ გაფორმებული. ექსპერტების დასკვნით, ეს 2 ადამიანი ტბაში ერთმანეთს ჩახუტებული ჩაიძირა. შესაძლოა, თავი მოიკვლეს... თქვენი მეუღლის გარდაცვალების მონაწილე მოგცემთ და გასვენების ხარჯსაც გავიღებთ.

— თავი არ მოუვლავთ... — ოთახში გოგონას ხმა გაისმა.

ელენემ გაოცებულმა შეხედა მაკუნას.
— ლაპარაკობს! ჩემი გოგონა ლაპარაკობს!.. ხალხო, ჩემი მაკუნა ალაპარაკდა! — ქალს ტირილი აუვარდა. მწუხარება და სინარული ერთად დაატყდა თავს. თუმცა ავთოს გარდაცვალების ამბავს უკვე დიდი ხნის შეგუებული იყო... ელენეს გულის შეტევა დაემართა. „სასწრაფო“ გამოიძახეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს.


პირველმა ემოციებმა ჩაიარა, ყველანი დაშოშმინდნენ.

— შენ რა იცი, რომ თავი არ მოუვლავთ? — ჰკითხა მილიციელმა გოგონას, როდესაც „სასწრაფო დახმარების“ მანქანა ეზოდან გააცილეს და კაბინეტში დაბრუნდნენ.

— მე იქ ვიყავი. ტბის პირას ვიჯექი, როცა ყვითელი მანქანა დავინახე. საჭესთან ქალი იჯდა და ჩემი ყურადღება ამან მიიქცია. გვერდით მჯდომ მამაკაცი კი მამაჩემი ამოვიცანი. შემეშინდა, თუ დამინახავდა, გამიბრაზდებოდა და ბურჯებში დავიშალე. შინ არ წავედი, რადგან მაინტერესებდა, რა უნდოდა მამას იმ ქალის მანქანაში. მანქანა კაშხალზე გაჩერეს. ჩემი სამალავიდან არ ჩანდა, რა ხდებოდა შიგნით. ვერ მოვითმინე და კარგა ხნის შემდეგ გადაწყვიტე, ახლოს მივსულიყავი. ჩუმად მივუბარე და ფანჯარაში შევიხედე. მათ ჩახვეულებს ეძინათ. ტირილი მომინდა და სასწრაფოდ უკან გამოვბრუნდი. ჩემს სამალავში დავვჯექი... ცოტა ხნის შემდეგ კი დავინახე, რომ მანქანამ დაღმართზე დაშვება დაიწყო. ნელ-ნელა ქვევით მიდიოდა. ყვირილი დავინწყე, მაგრამ ვერ გავაგონე, რადგან ხმა აღარ მქონდა, მხოლოდ ხავილი ამომდიოდა ყელიდან. დავინახე, როგორ ჩაეშა მანქანის ცხვირი წყალში, შემდეგ კი მთლიანად დაიფარა... იქიდან გამოვიქეცი, ტყეში რალაცას ფეხი წამოვკარი და დავეცი. ამის შემდეგ აღარაფერი მახსოვს. წვიმამ მომიყვანა გონს. უკვე ბნელოდა. ძლივს წამოვდექი და სახლამდე ძლივს მივალდნიე. ჭიშკართან მოსულმა ვიგრძენი, რომ გონს ვკარგავდი და ღობეს ჩავეჭიდე... სულ ეს იყო.

— საბრალო გოგონა, — ჩაილაპარაკა მილიციელმა.

— ახლა რაც მოგიყვით, ეს მხოლოდ თქვენ იცოდეთ, დედას ნუ ეტყვით, ცოლო, ისედაც მოუმატა კოჭლობას, — გოგონამ თავი ჩალუნა და მისი თვალებიდან ჩამოდენილმა ცრემლმა მაგიდის ზედაპირზე პატარა ტბა დააყენა...



სამყარო

არქიტექტორის „კრიმანჭული“

ანუ „პროვით დაღლილ ხელაზა
უათასი სანახავი არაფარია“



არქიტექტორი დუგლას ზამთარაძე მორიგ ესკიზს ამზადებს

მის ხელში ან ფუნჯია, ან არქიტექტურული ნახაზები, თუმცა კარგი არქიტექტორი ხომ იმავდროულად, პოეტიცაა. „როცა ცხოვრებაზე ან ადამიანებზე ვბრაზდები, მაშინ ვხატავ“, — მითხრა ბატონმა დუგლასმა, როცა მას სახელსონოში ვწვდით...

ბი, რომლებშიც ნაფიქრალი ყველაზე დიდ ადგილს იკავებს, სადაც „უცხო მოყმე“ ანუ ტარიელი არ ტირის. დუგლას ზამთარაძის ტარიელი სიყვარულითა და თავისუფლებითაა სავსე. პირადად მე, ტარიელის ამ მზერამ ცხოვრების ამოება, საკუთარი თავისა და სიკვდილის შიში დამანახვა. ამ შიშს ტარიელის მთელი „ანტურაჟი“ გამოხატავს. ტარიელმა იცის თავისუფლების ფასი. მის მხრებს ცხენი ამშვენებს, იჭვნეული მზერით. თავისუფლების სიმბოლოდ ქცეული ცხოველი აქ თითქოს, ერთი დიდი კითხვის ნიშნითაა წარმოდგენილი: — ხომ არ აპირებს გმირი უკან დახევას?..

დუგლას ზამთარაძის მხატვრობა

„ევას მოვლინება“, „სიკვდილი თუ გარდაცვალება?“, „გახსოვს?“, „ჩემი ცხენი თოხარიკი, ქალს არ იჯენს ულამაზოს“, „კრიმანჭული“, „მეფე დავით აღმაშენებელი“, „თამარ მეფე“, „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“ — ასე უცნაურად და დამაფიქრებლად დაასათაურა მხატვარმა თავისი სურათე-

— მხატვრობა ჩემი სულის ლხინია, — მიაბობს ბატონი დუგლასი. — მინდა, მშვენიერებად გამოვთქვა ის, რაც მანუხებს. ჩემი აზრით, ადამიანი იმისთვის არსებობს, რომ მშვენიერება, სიყვარული შექმნას...

— თქვენი „მეფე დავით აღმაშენებელი“ რას გამოხატავს? — ვეკითხები ბატონ დუგლასს.

— მე არასოდეს ვამბობ იმას, თუ რაზე მეტყველებენ ჩემი სურათები. ალქმა ხომ თავისუფალია!

და ჩემი აზრით, თავისუფლებისთვის მებრძოლია დავით მეფეც, ხმლის შიშველი ვადისთვის ამაყად რომ ჩაუბლუჯავს ხელი, ფიქრები ღრუბლებად ასკდებიან და მლოცველი სული სიმფონიურად ამაღლებს გულს, რომელსაც განგმირული ბოროტება აღიმოლებს. დავით აღმაშენებლის ხელებიც მეფურია, თუმცა აშკარად — ბრძოლით დაღლილი.

საერთოდ, ჩემი აზრით, დუგლას ზამთარაძის სურათებში ხელი მხოლოდ ხელი არაა. ის ესთეტიკური ეფექტის გარდა, მთავარ სათქმელსაც ამბობს. მთავარი სათქმელი კი,

„არქიტექტურა გაყინული მუსიკაა“, — წერდა ფრიდრიხ შელინგი. ალბათ, განსაკუთრებით ლამაზია ეს „მუსიკა“ მაშინ, როცა ის ქართულია, როცა „კრიმანჭულის“ ხლართები სულს ათბობს და გონებასაც აოცებს... ქართული სული და შინაგანი სამყაროს დიდი სილამაზე ბათუმელი მხატვრისა და არქიტექტორის, დუგლას ზამთარაძის შემოქმედების მთავარი სავიზიტო ბარათია; უფრო მთავარი კი ის დედღინარი იუმია, რომელიც საბჭოთა კავშირში ერთადერთი იყო, ახლა მხოლოდ ფოტოებზეა შემორჩენილი...

ჯაბა ანანიძე

„ბევრი? — არასდროს!
არასდროს — ბევრი!
მომხდურზე როდის ვყოფილვართ მეტი?!

მკვდრეთით აღვმდგარვართ, ფეხზე დავმდგარვართ:

ცალ ხელში ხმალით,
ცალ ხელში კავით,
ცალ ხელში ბარით,
ცალ ხელში ფარით,
გვიშენებია მამული ჩვენი!“

ამ ლექსის ავტორი დუგლას ზამთარაძეა, მაგრამ მას ზღვი-სპირეთში პოეზიით არ იცნობენ.





დუგლას ზამთარაძისთვის, მგონი, ერთია: — შრომით დაღლილსა და დაღვარჩნილ ხელებზე უკეთესი სანახავი არაფერია. ხელები, რომლებიც სიკეთეს ქმნიან!

დუგლას ზამთარაძის არქიტექტურა

— ქართულ არქიტექტურაში ევროპული მხარეა აქცენტირებული, — გვიყვება ბატონი დუგლასი, რომელსაც კერძო არქიტექტურული კომპანია აქვს და შეკვეთებზე მუშაობს, — ქართული სული ყველგან და ყველადღერში იკარგება. ბათუმში ბევრი კარგი რამ შენდება, მაგრამ ამით ქალაქი ისე იცვლება, რომ ხშირად, მის ქუჩებში გავლის სურვილი აღარ მაქვს. რა საჭიროა ასეთი მაღალ-მაღალი შენობები?.. ახლა ერთი სასტუმრო შენდება, რომელიც ისეა გადაზნექილ-გადმოზნექილი, რომ შეეშინდება კაცს. ვხუმრობ ხოლმე: — ალბათ, თუკი რამე ჩამოინგრევა, აღარ დაეტყობა-მეთქი. ბათუმში ხომ არაერთი ახალაშენებული კორპუსის კედელი ჩამონგრეულა?! სამწუხაროა, რომ არქიტექტურული ნორმების დაცვას აღარ ცდილობენ.

— ბათუმში ილია ქავჭავაძის ძეგლის ადგილას ნეპტუნის ქანდაკება დადგეს...

— ამ ადგილისთვის შეუფერებელი ქანდაკებაა, ნეპტუნი ჯუჯასავით დგას. თავად ქანდაკება უნივერსალური, კარგია, მაგრამ ასლია და ამიტომ არ მომწონს. ისიც არ მომწონს, რომ ის ილიას ნაცვლად დადგეს. მართალია, ამ ადგილს ილიას ძეგლი არ უხდებოდა, მაგრამ როცა მის ადგილს ნეპტუნი იკავებს, გამოდის, რომ ჩვენ ეროვ-

ნულ ფასეულობებს აღარ ვეთაყვანებით და ეს ჩანს ქალაქის მთავარ მოედანზე.

— თქვენ არაერთი შენობის არქიტექტორი ხართ, მათ შორის: ყოფილი დელფინარიუმის, სამხატვრო სასწავლებლის...

— სამწუხაროდ, ჩემი ლამაზი დელფინარიუმი ახლა მხოლოდ ფოტოებში შემორჩა, — სევდიანად ამბობს ბატონი დუგლასი და დელფინარიუმის ფოტოებს მიჩვენებს. ისე მატკინეს გული, რომ მაგ ადგილას გავლა აღარ მინდა... არადა, რადრო იყო: იქაურობა მხიარულებსა და ყიჟინას ჰქონდა აკლებული. რახანია, ძველის ადგილას ახალი აშენდა, მაგრამ რატომღაც, ჯერ კიდევ ვერ ხსნიან.

ბატონი დუგლასი იმ პროექტებსაც მაცნობს, რომლის მიხედვითაც, ბათუმის ბულვარში პატარა ვენეციის მოწყობაა შესაძლებელია. „არხები გაიჭრება და ნაგებობები სეირნობაც იქნება შესაძლებელი. აქ მრავალი გასართობი ცენტრია გათვალისწინებული“.

ეს პროექტი ასლან აბაშიძეს მოსწონებია, თუმცა მისი განხორცილება არ ან ვერ დაუწყია; ახალ ხელისუფლებას კი, სამწუხაროდ, პროექტის გაცნობის სურვილიც არ გასჩენია.

ალბათ, არცაა გასაკვირი, დღეს ხომ უცხოელი არქიტექტორები არიან მოდამი!..

„ნუ მოვაბახთ ფრთახს მბრანდასი“

— ჩემი უფალი — სიყვარულია! თუკი სიყვარული არ შეგიძლია, მაშინ სხვა პლანეტაზე უნდა გადასახლდე. დაიღალა დედამინა ამდენი ბოროტებით, დამლუპველი იდეოლოგიით, ქაოსით... საბჭოთა ეპოქაში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ სიყვარულით გავიზარდე და მგონი, ჩემს სულში ვერაფერს ხედავთ ისეთს, რაც იმ წლებს შეგაზიზღებთ. დღეს დემოკრატიით ცხოვრებას ვცდილობთ, მაგრამ ვერ გამოიგია, თავისუფლებაა ეს თუ ქაოსი?! მაგალითად, ღვთიური ქართული ენა, ყველაზე უკეთ, ჩვენამდე იაკობ გოგებაშვილმა მოიტანა, დღეს კი მასზე უარს ვამბობთ. რა ხდება? კაცობრიობა იზრდება და „ბრძოლა გადარჩენისთვის“ მძაფრდება. ალბათ, მთავარია, გონივრული ხერხებით ვი-

მოქმედოთ, მაგრამ ვაი, რომ ქართველობას ხშირად გვიჭირს გულიდან გონებისკენ მოგზაურობა. მახსოვს, ჩემს ახალგაზრდობა-



ში მტრედები ისე გამრავლდნენ, რომ მათი შემცირების აუცილებლობა დადგა: მოსკოვში მტრედები სპეციალური მანქანებით ამოჟლიტეს, პარიზში — საკენკში გაურიეს ისეთი წამალი, რომ მტრედები შემანუხებლად აღარ გამრავლებულიყვნენ. ეს ჩემთვის მხოლოდ ისტორია არ არის.

„მხლავით ამოტანილ საპართვალოს ბაუბარჯოსი“

ეს დუგლას ზამთარაძის საყვარელი სადღეგრძელოა, რომლის ფესვებიც გურიშია.

— გურიაში ვიზრდებოდი, სოფელ ნიგოეთში. ერთ დღეს ხარები გამატანეს შეშის მოსატანად. ნაწვიმარი იყო და ხარებს აღმართში ტვირთის ზიდვა გაუჭირდათ. შემეცოდნენ, მაგრამ შეშაც ხომ სჭირდებოდა ოჯახს?.. ხარები მძიმედ და ამაყად შეუდგნენ აღმართს, მაინც ვერ შეძლეს და დაიჩოქეს... არ გაჩერებულან, მუხლებით ამოიტანეს ტვირთი. საოცარი სანახავი იყო. ახლა, სიბერეში, ხშირად მახსენდება ჩემი ბავშვობის დროინდელი ის სცენა, როცა დუგლიკოს მეძახდნენ და „მუხლებით ამოიტანილი საქართველოს“ სადღეგრძელოს ვსვამ.

— როგორი ფერები იყო თქვენს ბავშვობაში?

— ძალიან ნათელი. მამა ადრე გარდამეცვალა, მაგრამ სოფელში ყოველთვის იმდენი სითბოა, რომ შეუძლებელია, სული გაგეყინოს. შეუძლებელია, მრავალფეროვნებით, მწვანე ბალახითა და ცხრათვალა მზით არ გაიხარო.

დუგლას ზამთარაძის მამა — ლევან ზამთარაძე ფერმწერი იყო, ხოლო მამის ძმამ — შოთა ზამთარაძემ გასული საუკუნის 40-იან



დავით აღმაშენებელი



წლებში სამხატვრო სკოლა დააარსა და ეს სკოლა დღესაც, მის სახელს ატარებს. ბატონი დუგლასის დედა — ოლა გოგეიშვილი პედაგოგი იყო. დუგლას ზამთარაძეს ბათუმის №1 საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული, ხოლო შემდეგ, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი.

ბატონ დუგლასს ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი. ამბობს, რომ თავისი ცხოვრების სიყვარულზე ვერაფერს გვეტყვის, რადგან მას ნამდვილად, „მალვა უნდა“.

ჰომრები „კრიმინალით“ და ვფხიზლდება სილაბაზით

„კრიმინალური“ — ამგვარადა დასათავრებული დუგლას ზამთარაძის კიდევ ერთი სურათი. შევეყურებ და თითქოს, ამ სიმღერის ტალღა მოედინება ჩემკენ. ბატონი დუგლასი



დუგლას ზამთარაძის ადამი და ევა

ჩემ გვერდით დგას, ლიმილიანი. თითქოს მეუბნება, რომ სიღრმეებს ასე უცბად ვერ დავეწაფები, ვერ დავთვრები „კრიმინალით“, მაგრამ მე მაშინაც ანუ სურათის პირველად ნახვისას და ახლაც, კატალოგის გაცნობისას, ვხედავ, რომ „კრიმინალური“ ნებისმიერი სულის ადამიანისთვის ცხოვრების ქარბორბალას გამოწვევაა, ჭიდილია, სწრაფვა... სწრაფვა მშვენიერებისკენ, რომელიც ბატონი დუგლასის ტილოებში ლოცვად აპყრობილი ხელებითაა წარმოდგენილი. ეს ის სურათებია, რომლებიც მხატვრის 71-წლიანი ცხოვრების მიუხედავად, ისევ პატარა „დუგლიკოს“ სულისკვეთებითაა სავესე...

ფილიპინელი ხილერები ანუ ოპერაცია – შიშვალდი ხალაბით

ადამიანებს, რომლებიც ოპერაციას შიშველი ხელებით, ანესთეზიისა და სამედიცინო ინსტრუმენტების გარეშე ატარებენ, ხილერები ჰქვიათ. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპინელი ხილერები უხსოვარი დროიდან არსებობდნენ, მათზე დაკვირვება XX საუკუნის 50 წლებიდან დაიწყო. ამ ფენომენის შესწავლა პირველად ბიოლოგმა და მწერალმა, ლაილ უოტსონმა გადაწყვიტა. ის 22 ხილერის მიერ ჩატარებულ, ათასზე მეტ ოპერაციას დაესწრო. ხილერებისადმი მიძღვნილ წიგნში უოტსონი წერს: „ოთახში შემოვიდა ქალი, რომელიც მუცლის ტკივილს უჩიოდა. იგი საოპერაციო მაგიდაზე დააწვინეს. ამასობაში ხილერიც შემოვიდა, ქალს მუცელზე ხელი მოუსვა, ნელ-ნელა, თითები კანქვეშ ჩაუყო და სისხლმაც ამოხეთქა. ხილერმა პაციენტის მუცლიდან ჩოგბურთის ბურთის მსგავსი მასა ამოიღო და ურნაში ჩაგდებამდე, მე გადმომიცა — თბილი და მკვრივი მასა გახლდათ. ოპერაციის დასრულების შემდეგ, ქალს მუცელზე დავაკვირდი



მათი წყალობით, ათეულობით აფერისტი გამოვლინდა, მაგრამ ისეთი პროფესიონალებიც დააფიქსირეს, რომლებიც ნამდვილ სასწაულს ახდენდნენ. გადაღებულია კადრი, სადაც ჩანს, რომ ხილერმა, ხელის ოდნავი შეხებით, ლეიკოპლასტიკური გადაჭრა, ხოლო ერთმა მოხუცებულმა „ქირურგმა“, ერთმანეთზე დაკრული ლეიკოპლასტიკის ექვსი ფენა ენის წვერივით გაჭრა... ცნობილია, რომ ბრაზილიელი „ქირურგი“ ხოსე პედრო დე ფრეიტასი, ტრანსის მდგომარეობაში, პრიმიტიული იარაღით ათასამდე ოპერაციას ატარებდა და მის მიერ ჩატარებულ არც ერთ ოპერაციას გართულება არ მოჰყოლია.



— მას არათუ იარა, ნაკანრიც კი არ ჰქონდა. პაციენტი ადგა და წავიდა“. გასული საუკუნის 70-იან წლებში ფილიპინელი ხილერებით ჟურნალისტები და გერმანელი კინოდოკუმენტალისტები დაინტერესდნენ. სწორედ



არსებობენ სხვა პროფესიის ხილერებიც. მაგალითად, ფიტოთერაპევტი, რომელიც დაავადებულ ადამიანს ბალახეულით მკურნალობს, ზოგი კი პაციენტებს ლოცვებითა და მედიტაციით არჩენს, ზოგიც — მასაჟით ან თეთრი მაგიით.

ქირურგიული ოპერაციები 1-დან 10 წუთამდე გრძელდება. ამ დროს პაციენტი არანაირ დისკომფორტს არ განიცდის, სხეულზე იარები არ რჩება. ხილერები კატარაქტასაც მკურნალობენ, ნალვლის ბუშტიდან ქვებსაც იღებენ და სიმსივნესაც კვეთენ.

მეცნიერების აზრით, ნამდვილი ხილერები კუნძულ ლუსონზე ცხოვრობენ. ეს კუნძული ანომალიური ზონაა. საინტერესოა, რომ ისინი მისამართს არ იცვლიან და ყოველდღე ათეულობით პაციენტს მკურნალობენ.



უსუნარი დედაბი

მრავალშვილიანი

2009 წლის 26 იანვარს, საკეისრო კვეთით, ნადია სულეიმანმა 8 ტყუპი გააჩინა. აღსანიშნავია, რომ ქალს მანამდე 6 შვილი ჰყავდა და ყველა ბავშვი ხელოვნური განაყოფიერების შედეგად გააჩინა.

ბავშვი-ღაღები

1939 წლის 14 მაისს 5 წლის პერუელმა გოგონამ, ლინა მედინამ საკეისრო კვეთით ბიჭი (2,7 კგ) გააჩინა. ორი თვით ადრე მშობლებმა გოგონა საავადმყოფოში მიიყვანეს, რადგან გაზრდილი მუცლის მიზეზი სიმსივნე ეგონათ. გოგონას მამას შვილის გაუპატიურებაში დასდეს ბრალი და დააკავეს, მაგრამ დანაშაული ვერ დაუდგინეს და მალევე გაათავისუფლეს.

1934 წელს ხარკოველმა ლიზამ საკუთარი ბაბუისგან გოგონა გააჩინა, რომელიც მშობიარობის დროს გარდაიცვალა.

2006 წელს 8 წლის პერუელმა გოგონა გააჩინა. იგი საკუთარმა დეიდაშვილებმა გაუპატიურეს.



ლი სიბერეში აისრულა. ფახშიჩა მამა

20 წლამდე თომას ბიტი (ადრე მას ტრეისი ლეგონდინო ერქვა) ქალი იყო, ფოტომოდელად მუშაობდა და სილამაზის კონკურსში „მის ფილიპინიც“ კი გახდა, მაგრამ ქალად ყოფნა მოჰპებრდა და სქესი შეიცვალა. ის ვიტამინებს სვამდა, რათა წვერიც ამოსვლოდა და ხმა დაბოხებოდა. 30 წლის ასაკში თომასმა 46 წლის ნენსიზე იქორწინა. ამის შემდეგ, მისთვის საკვერცხეები და საშვილოსნოც უნდა ამოეკვეთათ, მაგრამ ვინაიდან ნენსის ბავშვის



ყვალა დაბალი დედა

35 წლის ამერიკელი სტივის ჰერალდი ახლახან მესამე შვილის დედა გახდა. თუ ქალის ფიზიკურ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, მისთვის ფეხმძიმობა გმირობის ტოლფასია — გენეტიკური დეფექტის გამო, ქალს განუვითარებელი სხეული აქვს. იგი სიმაღლით 71 სმ-ია.

ჩვილი 1 კგ და 193 გ დაიბადა. დედამისს იმედი აქვს, რომ 27 წლის მეუღლეს შვილებს კიდევ გაუჩენს.

ნამცნას დედა

ჩიკაგოს სამედიცინო ცენტრში ინდოელმა მახაჯაბინ შაიკმა 14 კვირით ადრე, საკეისრო კვეთით გოგონა — რუმაისა გააჩინა. ჩვილი 250 გ-ს იწონიდა და სიგრძით — 25 სმ იყო. სხვათა შორის, 1989 წელს მსოფლიოში პირველი უღლეური ბავშვიც ამ სამედიცინო ცენტრში გაჩნდა — იგი 280 გრამს იწონიდა.

ღაღა-ბავია

ელისაბედ ენ ბატლი ორი შვილის დედაა. მან პირველად 1956 წელს, 19 წლის ასაკში იმშობიარა და გოგონა გააჩინა, ხოლო ვაჟი 1997 წელს, 60 წლისას გაუჩნდა ანუ და-ძმას შორის ასაკობრივი სხვაობა 41 წელია.

ახალგაზრდა ბავია

ყველაზე ახალგაზრდა, 29 წლის ბებია — ჯულია ელია ნეაპოლში ცხოვრობს. ის 15 წლის იყო, როცა დედა გახდა, ხოლო მისმა ქალიშვილმა 14 წლის ასაკში იმშობიარა.

ამ დრომდე იტალიის ყველაზე ახალგაზრდა ბებია 32 წლის მარინა კოსენეზა იყო, რომელმაც ვაჟი 17 წლის ასაკში გააჩინა.

დაბოლოს, გინესის რეკორდების მიხედვით, ყველაზე ბევრი შვილი ვინმე „თეოდორ ვასილის ძის ცოლს“ გაუჩენია — 27 მშობიარობის შედეგად ქალი 69 შვილის დედა გახდა.

ყვალა ხანდაზოული

ინდოელმა ქალმა, რაჯო დევი ლოსანმა 2008 წელს, 70 წლის ასაკში პირველი შვილი გააჩინა. ქალი 30 წლის გათხოვილია.

70 წლის ომკარი პანვარმა 77 წლის მეუღლეს მემკვიდრე გაუჩინა. წყვილს ორი გოგონა და ხუთი შვილიშვილი ჰყავს, მაგრამ მთელი ცხოვრება ვაჟის ყოლაზე ოცნებობდა და სანადე-

გაჩენა არ შეეძლო, ოპერაციის გაკეთება გადაიფიქრა; მან ჰორმონების მიღებაც შეწყვიტა და 9 თვეში გოგონა გააჩინა. უჩვეულო წყვილმა ოპრა უინფრის შოუში მონაწილეობის შემდეგ სახელი გაითქვა.

სუროგატი დედა

41 წლის ინგლისელი კეროლ ჰორლოკი სუროგატი დედაა. უშვილო ოჯახებისთვის მან 13 ბავშვი გააჩინა (ახლახან სამი ტყუპი ეყოლა). პირველი ჩვილი 1995 წელს, ბერძენი უშვილო წყვილისთვის გააჩინა. სუროგატობით ქალმა უკვე 100 ათასი დოლარი დააგროვა და იმედს გამოთქვამს, რომ კიდევ მრავალ უშვილო ოჯახს გააბედნიერებს და უფრო გამდიდრდება.





„ლექსების გამოფენა“ ბათუმში და ასსიფონიანი მოთხრობების კონკურსი

რამდენიმე ხნის წინ ბათუმმა კიდევ ერთ ლიტერატურულ ფესტივალს — „ლექსების გამოფენას“ უმასპინძლა. უკვე 6 წელია, რაც ეს ფესტივალი ბათუმში, ყოველწლიურად ტარდება და მასში უამრავი ცნობილი თუ უცნობი პოეტი მონაწილეობს. წელს, ფესტივალის პარალელურად, „ლექსების გამოფენის“ ორგანიზატორებმა დიდი ველოაქციაც მოაწყვეს, რომლის მიზანი ბათუმის ველოგადაადგილების ქალაქად ქცევა იყო.

ელენე ბასილიძე

ზაზა ფირცხალაიშვილს „ლექსების გამოფენის“ ჩატარების იდეა 2004 წელს გაუჩნდა. თავდა-



პირველად, მის ჩატარებას შინ, სამეგობრო წრეში აპირებდა, მაგრამ მასში მონაწილეობის იმდენი მსურველი გამოჩნდა, რომ დარბაზის დაქირავება გახდა საჭირო... 2009 წლის 21 ნოემბერს „ლექსების გამოფენა“ საქართველოს მასშტაბით ჩატარდა და ცხადია, როგორც ფესტივალის მონაწილეთა, ისე დამსწრეთა რაოდენობაც სულ უფრო გაიზარდა.

— „ლექსების გამოფენა“ ჩემი საავტორო პროექტია. ამ ღონისძიებას, ერთდროულად, გამოფენისა და კონკურსის სახე აქვს. წელს ფესტივალი კვლავ ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტში“ გაიმართა, მაგრამ ამჯერად, კონკურსი პროზაშიც მოვანწყვეთ და მას „ასი სიტყვა“ დავარქვით — პროზაიკოსებმა ზუსტად ასი სიტყვისაგან შედგენილი ნამუშევრები წარმოადგინეს.

— ფესტივალში რამდენი კონკურსანტი მონაწილეობდა?



— წელს კონკურსანტთა რაოდენობა პოეზიაში 568, ხოლო პროზაში — 104 იყო. აღსანიშნავია, რომ გამოფენისთვის ნამუშევრებს საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც გვიგზავნიან.

— როგორი იყო წლევანდელი ჟიურის შემადგენლობა?

— წელს ფესტივალის ჟიურის წარმოდგენდნენ: დათო ტურაშვილი, რატი ამალაშვილი, შოთა გუჯაბიძე (აჭარის ტელევიზიის რეჟისორი), პოეტი ბელა ქებურია, ვახტანგ ღლონტი და 2009 წლის გამოფენის გამარჯვებული — მაია კილაძე.

— ამ ფესტივალის ორგანიზებაში ვინ გეხმარება?

— პროექტის ორგანიზატორია „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი“, აგრეთვე ქალაქ ბათუმის მერია.

— წელს, ფესტივალის პარალელურად, ბათუმში ველოაქციაც ჩატარდა...

— დიას, ჩავატარეთ აქცია, სახელწოდებით — „ბათუმი — ველოგადაადგილების ქალაქი“. გვინდა, ეკოლოგიურად სუფთა ქალაქში ვიცხოვროთ. ველოაქციაში ყველანი — ჟიურის წევრები, პროექტის მონაწილეები, სტუმრები — ვმონაწილეობდით. ასევე, ფესტივალის პერიოდში,

26 მაისის პარკში ხეები დავრგეთ, „პოეტთა ხეივანი“ მოვანწყვეთ.

— რა პრიზები იყო დანესებული გამარჯვებულთათვის?

— პირველ ადგილზე გასულ მონაწილეს 300-ლარიანი პრემია და ანტალიის საგზური გადაეცა. მას აგრეთვე დავუბეჭდეთ საკუთარ წიგნს; II ადგილზე გასულს 200-ლარიანი პრემია ერგებოდა, მესამეზე გასულს — 100 ლარი. გამოვავლინეთ მკითხველის სიმპათიაც, რომელსაც ჯილდოდ ასევე, 100 ლარი გადაეცა. მონაწილეებს ვუსახსოვრეთ „ქართული პროზის საგანძურის“ ხუთი ტომი, რომელიც ფურნალ „გზასთან“ ერთად იბეჭდება. მონაწილეები „ჯეოსელმა“ და „ვისოლმაც“ დაასაჩუქრა.

ლევან მაისურაძე, ლიტერატურული კონკურსის — „ასი სიტყვა“ — გამარჯვებული:

— მეგობარმა მითხრა, რომ ლიტერატურული კონკურსი ტარდებოდა. იმ დღეს ნაწარმოების გაგზავნის ბოლო ვადა იყო, მაგრამ როგორღაც, მოვასწარი და ნამუშევარი გაგზავნე (ილიმის).

— დიდი ხანია, რაც წერ?

— არა, სულ რამდენიმე თვეა... ჩემთვის ეს გამარჯვება მოულოდნელი გახლდათ. საკმაოდ დიდი კონკურენ-





რობორ მივიღოთ კომპლიმენტი

ცია იყო, ისეთი ავტორები მონაწილეობდნენ, ვფიქრობდი: — ათეულში თუ მოვხვდები, ესეც კარგი იქნება-მეთქი (იციან).

— შენი მოთხრობა რის შესახებაა?

— აგვისტოს ომზეა. მას „ცხელი აგვისტო გარაჟებს შორის“ დავარქვი. როგორც ჟიჟურიმ აღნიშნა, ჩემს 100 სიტყვაში ძალიან დიდი აზრი იყო ჩადებული. 100-სიტყვიანი მოთხრობის დაწერა რთული გახლდათ, არც ერთი სიტყვა არ უნდა ყოფილიყო ზედმეტი... ამ ფესტივალის წყალობით საზოგადოება ახალგაზრდა ავტორებს გაიცნობს. პირადად მე, უამრავი ნიჭიერი პოეტი და პროზაიკოსი გავიცანი, რაც ძალიან მასხარებს.

დათო ტურაშვილი, „ლექსების გამოფენის“ ჟიჟურის წევრი:

— ამ კონკურსის ჟიჟურის წევრი შარშანაც ვიყავი. ჩემი აზრით, ასე-



თი ლიტერატურული ფესტივალი ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ავტორებისთვის, რომლებსაც წახალისება სჭირდებათ. ამიტომაც, ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდის იდეის ავტორს, ზაზა ფირცხალაიშვილს, ბათუმის მერიას და ყველას, ვინც ორგანიზატორებს ამ შესანიშნავი ფესტივალის ჩატარებაში დაეხმარა.

— თქვენ რის მიხედვით შეაფასეთ ნამუშევრები?

— პოეზიაში მაღალი ქულები დაუწუნრე საუკეთესო ლექსებს, ხოლო პროზაში — საუკეთესო პროზაულ ტექსტებს (იციან). თქვენ თუ იმის გაგება გასურთ, იყო თუ არა ჟიჟური ობიექტური, შემოიღია დაგამშვიდოთ: ობიექტური ჟიჟური დედამიწაზე არ არსებობს, რადგან ის ადამიანებისგანაა დაკომპლექტებული და ნებისმიერი ადამიანი — სუბიექტურია (ილიმის). ძალიან მეამაყება, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს.

ადამიანებისთვის სასიამოვნო სიტყვების თქმის ხელოვნებას ყველა ვერ ფლობს. ასევე ძალიან ცოტას შეუძლია ქათინაურის სათანადოდ მიღება. „რა კარგად გამოიყურები“, „რა შესანიშნავი ფეხსაცმელი გაცვია“, „რა ბრწყინვალედ გაართვი თავი საქმეს“, — მსგავსი ფრაზები განწყობილებას აგვიძლიებს, განსაკუთრებით, როცა მას თქვენთვის საყურადღებო ადამიანი გეუბნებათ. სამსახურში შექება ხელმძღვანელობის მხრიდან (რომელიც ამ საკითხში სიტყვაძუნობით გამოირჩევა) აძლიერებს თანამშრომლების შრომისუნარიანობას. თუმცა ხშირად, კომპლიმენტის მოსმენისას, სიხარულის ნაცვლად, ვიბნევი და არ ვიცი, როგორი პასუხი გავცეთ.

კომპლიმენტისგან კმაყოფილების მიღებაში ხელს გიშლით რამდენიმე მიზეზი:

- მიგაჩნიათ, რომ არა მარტო შექება დაიმსახურეთ, არამედ ბევრად მეტის ღირსიც ხართ;
- გეჩვენებათ, რომ კომპლიმენტი დაფარული მანიპულაციაა;
- ადამიანი, რომელმაც კომპლიმენტი მოგიძღვნათ, თქვენთვის ძვირფასია;
- გეშინიათ, რომ კომპლიმენტი რაიმე ვალდებულებას დაგაკისრებთ;
- არ გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.

საპასუხო დამცველი მექანიზმი

✓ კომპლიმენტს მაშინვე კომპლიმენტივე პასუხობთ, რითაც ყურადღება ქათინაურის მიქმელებზე გადაგაქვთ;

✓ საკუთარ დამსახურებას სათანადოდ ვერ აფასებთ და დაბალ შეფასებას აძლევთ: „ამას ყველა შეძლებდა“, „არაფერი განსაკუთრებული“, „შემთხვევით გამოვიდა“.

✓ კომპლიმენტის ეფექტს აუფერულებს საპასუხო რეპლიკა, რომელიც თქვენს შეცდომებსა და ნაკლებ მიუთითებს.



პრაქტიკული რჩევა

✓ იგნორირება არ გაუკეთოთ კომპლიმენტს და საქებარ სიტყვებს, არ გაატაროთ ყურს მიღმა; ასევე ზედმეტად არ იამაყოთ, სხვების კეთილგანწყობილება არ ჩათვალოთ საკუთარი ცხოვრების უმაღლეს მიღწევად. ზიანი ორივე შემთხვევაში ერთნაირია.

✓ ზეპირად ისწავლეთ ფრაზა: „სრული უფლება მაქვს მივიღო კომპლიმენტი. ადამიანი, რომელიც მას მიძღვნის, ამას ძალდაუტანებლად და საკუთარი სურვილით აკეთებს. სასიამოვნოა, თუკი სხვებს მოსწონთ ჩემი შესრულებული საქმე ან მოვწონვარ თავად მე“.

✓ თუნდაც ქება გადაჭარბებული გეჩვენებოდეთ, ის მეორე ადამიანის სუბიექტურ შეხედულებად მიიღეთ. მას უფლება აქვს, ვარდისფერი სათვალთ გიყურებდეთ.

✓ კომპლიმენტზე ადეკვატური რეაქცია არის ფრაზა — „გმადლობთ კომპლიმენტისთვის“ ან „გმადლობთ, რა თავაზიანობაა თქვენი მხრიდან“. ზედმეტად ჩაღრმავება არ არის საჭირო.

✓ ქათინაურზე მაშინვე ქათინაურითვე ნუ უპასუხებთ, დაელოდეთ შესაფერის შემთხვევას, როცა თქვენი კომპლიმენტი დროული იქნება.

✓ თუ ძალიან გიჭირთ კომპლიმენტების მიღება, საკუთარ თავთან ბევრი მუშაობა მოგიწევთ თვითშეფასების ასამაღლებლად.

როგორი ფორმის წარბები მოგინდებათ?

თუკი წარბების ფორმა თანამედროვე მოდის მოთხოვნებს არ შეესაბამება, შესაძლებელია მისი კორექცია. თავდაპირველად, საჭიროა წარბების ბუნებრივი ფორმის შესწავლა. სასურველია კონტურული ფანქრის მეშვეობით რამდენიმე ცდის ჩატარება. წარბის შეფერილობის შესარჩევად შავი, ყავისფერი, ნაცრისფერი ან მუქი შინდისფერი ფანქრები გამოიყენება. ამავე დროს, შესაძლებელია, მაკიაჟის მეშვეობით წარბების დამოკლება, დაგრძელება, დაწვრილება ან გასქელება და ამდენად, სასურველი ფორმის მიღება. მაგრამ ამ პროცედურის დაწყებამდე აუცილებელია, ქალმა წინასწარ იცოდეს, სახელდობრ რა უნდა გააკეთოს.

- შეერთებული წარბები სახეს პირქუშ გამომეტყველებას ანიჭებს და თითქოს ავიწროებს; დაშორებული კი ფართო სახის ვიზუალურ ეფექტს იძლევა.

- გრძელი, მორკალული წარბები ასაკს მატებს და სახეს მკაცრ იერს სძენს.

- მაღლა აზიდული, მორკალული წარბები ადამიანს არაბუნებრივ, გაკვირვებულ გამომეტყველებას ანიჭებს; ხოლო დაბალი, თვალბრუნავს ახლოს განლაგებული წარბები გაბრაზებულ იერს აძლევს.

- მრგვალი პირისაბის მქონე ქალმა წარბებს მორკალული ფორმა არ უნდა მისცენ, რადგან ამგვარი კონტური სახეს კიდევ უფრო „ამრგვალებს“. უმჯობესია, წარბებს მაქსიმალურად აღმავალი ფორმა მიეცეს ან მხოლოდ ბოლოებში მომრგვალდეს.

როგორ უნდა

შეიძლება წარბების

არ შეიძლება წარბების ერთ მთლიან ხაზად შეღებვა. ამით სახე არაბუნებრივ იერს იძენს. წარბის დასაწყისი შედარებით ღია ფერის საღებავით იღებება, შუა ნაწილი უფრო მუქით, დაბოლოება კი — წვრილი, მსუბუქი შტრიხით.

შესაღებად გამოიყენება ფანქარი, ტუში ან წარბების სპეციალური საღებავი, რომელიც 3-4 კვირა ძლებს. წარბების შეღებვა თხევადი ტუშითაც შეიძლება. ამ შემთხვევაში ფუნჯი იხმარება.

შეღებვამდე წარბები ლოსიონით ან სხვა კოსმეტიკური საშუალებით უნდა გაიწმინდოთ. ამის შემდეგ, ფუნჯის მეშვეობით, ნელ-ნელა დაიწყეთ საღებავის წასმა წარბის დაბოლოებიდან ცხვირის ფუძისკენ. ღებვის დასრულებისას, საღებავი ჯერ მშრალი, შემდეგ კი საპნიანი ტამპონით მოცილებთ და კანი თბილი წყლით, ფრთხილად დაიბანეთ.

როგორ უნდა განსაზღვროთ

წარბების ფორმა

სანამ წარბების მოსავლელ კოსმეტიკურ საშუალებებს შეიძენდეთ,



აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ წარბები ერთი ტონით მაინც ღია ფერის უნდა იყოს, ვიდრე თმა. მაკიაჟის გაკეთებისას ანგარიშგასწავლია აგრეთვე თვალბრუნავის ფერიც. შავგვრემანთათვის რეკომენდებულია ყავისფერი ან მუქი ნაცრისფერი საღებავი. შავად შეღებილი წარბები სახეს მკაცრ და პირქუშ იერს ანიჭებს. ქერა ქალებმა უმჯობესია, ღია ნაბლისფერი ან ღია ნაცრისფერი საღებავი გამოიყენონ. ცისფერ თვალბრუნავს მოლურჯო ფანქარი მოუხდება; მწვანე თვალბრუნავს — ბრინჯაოსფერი, რუხი ფერისას — ყავისფერი.

როგორ უნდა შეარჩიოთ

წარბების ფორმა

საჭირო ფორმის წარბების მისაღებად ცხვირის ნესტოზე ფანქარი ვერტიკალურად მიიღეთ. ფანქრისა და წარბის გადაკვეთის წერტილი სწორედ ის ადგილია, საიდანაც წარბი უნდა იწყებოდეს. დაბოლოება შემდეგნაირად განისაზღვრება: ფანქრით პირობითად მოინიშნება ხაზი, რომელიც ნესტოსა და თვალის გარეთა კუთხის გავლით წარბისკენ მიემართება. სწორედ ამ ხაზისა და წარბის გადაკვეთის ადგილას უნდა მთავრდებოდეს წარბის რკალი.

თუ სახე მოგრძო ფორმისაა, წარბების დამოკლება არამიზანშენონილია. ამგვარი ფორმის სახე მხოლოდ ზემოთ აზიდულ წარბებს ერწყმის ჰარმონიულად.

ოვალურ სახეს ყველაზე მეტად წარბის სწორი ხაზი უხდება.

ნიკაპთან შევიწროებული სახისთვის ჰორიზონტალური ხაზია გამართლებული.

წარბებისთვის გარკვეული ფორმის მიცემით შესაძლებელია შუბლის ფორმის ოპტიკური შეცვლა. მაგალითად, ცხვირის ფუძესთან წარბების დამოკლებით დაბალი შუბლიც კი შესაძლოა მაღალი გამოჩნდეს.

მათთვის, ვისაც ძალზე მაღალი შუბლი აქვს, რეკომენდებულია წარბების „დაგრძელება“ ცხვირის ფუძესთან.

წარბების ფორმის მეშვეობით ცხვირის ზოგიერთი ნაკლის „გამოსწორება“ შეიძლება. ვისაც მსხვილი ცხვირი აქვს, წარბები ერთმანეთს ოდნავ უნდა დააშოროს. ამის შედეგად ცხვირი უფრო თხელი გამოჩნდება.

ნამსხვარი „იზაქარაჭორი“

ბასალად საჭიროა: 5 ც კვერცხი, 3 ს/კ თაფლი, 4 ს/კ მანონი, 1 კგ ფქვილი, 1 კგ შაქარი, 3 ც მარგარინი, 1 შეკვრა მიწის თხილი, 1 კოლოფი კაკაო, ცოტა ვანილი, 1 კგ ვაშლი, 1 ც მოხარშული შედედებული რძე.

ცომის მომზადება: აიღეთ 7 ჟ ფქვილი, 3 ჟ შაქარი, 3 ს/კ თაფლი, 4 ს/კ მანონი, სოდა ძმრით (1 ს/კ), 5 კვერცხის გული, 2 ცალი მარგარინი. მოზილეთ რბილი ცომი, შედგით მაცივარში 30 წთ. შემდეგ გაყავით 3 ნაწილად, ცხიმნასმულ ქაღალდზე გააბრტყელეთ და გამოაცხვეთ.

კრემის მომზადება: 1 ცალი მარგარინი ათქვიფეთ კარგად (გათერთებამდე), დაუმატეთ ვანილი და შედედებული რძე.

ზაფხუს მომზადება:

5 კვერცხის ცილა კარგად ათქვიფეთ, დაუმატეთ 3 ჟ შაქარი და 1 კგ გახეხილი ვაშლი. I ფენას წაუსვით კრემი, II ფენას — ბუზე; III ფენას — კვლავ კრემი; მოაყარეთ მიწის თხილი და მოასხით მინაქარი.





1918-1919 წლების სოჭის კონფლიქტი

მინილ ლაბაძე

ქალაქი სოჭი, რომელსაც რუსები „შავი ზღვისპირეთის რუსულ მარგალიტს“ უწოდებენ, რუსული სულაც არ არის — ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებამდე, იქ მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. მიუხედავად ამისა, რუსებმა სოჭი და მისი მიმდებარე ტერიტორია 1896 წელს, სოხუმის ოკრუგს ჩამოაცილეს, შავი ზღვის გუბერნიის შემადგენლობაში შეიყვანეს, ხოლო XX საუკუნის I ათწლეულში კი ქართველების შევიწროვებაც დაიწყო — შავი ზღვის გუბერნიის მესვეურებმა, სანქტ-პეტერბურგიდან მიღებული საიდუმლო ბრძანების თანახმად, სოჭის მკვიდრი ქართველები აიძულეს, ზღვის სანაპიროდან მოშორებით გადასახლებულიყვნენ. ამავდროულად, საქართველოს სხვა კუთხეებიდან სოჭში სამუშაოდ ან სავაჭროდ ჩამოსულებსაც იქ სამუდამოდ დამკვიდრება სასტიკად აუკრძალეს.



გენერალი გიორგი მამნიაშვილი

ჩამოსულ ლაზებს ნიკოფსიის ხეობა და მისი მიმდებარე ტერიტორიები ხელისუფლებისგან ოფიციალურად ჰქონდათ შესყიდული; ისედაც, ეს ტერიტორია ისტორიული ქართული მიწა-წყალი იყო.

ტუაფსე-სოჭის მხარეში ქართველთაგან წართმეული მიწები, როგორც წესი, კაზაკ ახალმოშენებს გადაეცათ — აქ ყუბანის კაზაკთა ჯარის ახალი ქვედანაყოფები, ე.წ. „კურენები“ შეიქმნა. სხვათა შორის, მაშინ დასახლებულ პუნქტთა ქართული სახელებიც შეცვალეს — მაგალითად, 1915 წელს ქალაქის სტატუსი მიიღო გელენჯიკის დასახლებამ, რომელიც მანამდე ქართველებით (ლაზებით) იყო დასახლებული და „გალენი ჯიხა“ ანუ „გარეთა ციხე“ ერქვა. ამასთან, უშუალოდ ქალაქ სოჭში ქართველებმა უპირატესობის შენარჩუნება მაინც შეძლეს — სოჭი ქუთაისის გუბერნიასთან ახლოს იყო და თან, მაშინ ამ მხარეს რუსები საცხოვრებლად არ ეტანებოდნენ.

1917 წლიდან, როდესაც ნიკოლოზ II ტახტიდან ჩამოაგდეს, შემდეგ კი ოქტომბრის ცნობილი ბოლშევიკური გადატრიალებაც მოხდა, ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ — ყუბანის კაზაკთა ჯარის მიწებზე ვითარება მეტად დაიძაბა: კაზაკები, როგორც თვით-

XX საუკუნის 10-იან წლებამდე ქართველები სოჭის ჩრდილოეთითაც — ამჟამინდელ ქალაქ ტუაფსესთან ახლოს, ნიკოფსიის (რუსულად — ნეგეფსუხოვესკოე) ხეობაშიც ცხოვრობდნენ. ისინი ძირითადად, ოსმალეთიდან ჩამოსახლებული ლაზები იყვნენ და ტრადიციულად, აქედან სხვა ქვეყნებში თხილი და ბზა გაჰქონდათ. 1910 წელს შავი ზღვის გუბერნიის ხელმძღვანელობამ ნიკოფსიის ხეობიდან ყველა ქართველი გაასახლა, ყველანაირი მათი დიდი ნაწილი ისევ ოსმალეთის ქვეშევრდომი იყო და რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე უარს აცხადებდა. მიუხედავად ამისა, გუბერნიის ხელმძღვანელთა ქმედება, რა თქმა უნდა, არაკანონიერი იყო — თავის დროზე, ოსმალეთიდან



ქართული არმიის სარდლობა სოხუმში, სოჭში შეგვის დაწყების წინ, 1918 წ. ივნისი

მპყრობელობის ოდინდელი მხარდამჭერი, ცარისტული რეჟიმის აღდგენისათვის მებრძოლი „თეთრი მოძრაობის“ მხარეს დადგნენ. ამავდროულად, მათი ერთი ნაწილი 1917 წლის აპრილში შექმნილ უკრაინოფილურ ორგანიზაციას — „ყუბანის რადას“ მიემხრო, რომელიც ყუბანს არც მეტი, არც ნაკლები — უკრაინულ მიწად მიიჩნევდა და შესაბამისად, კაზაკებსაც არა რუსებად, არამედ — უკრაინელებად. „ყუბანის რადა“ „თეთრმა მოძრაობამ“ ჯერ უკანონოდ გამოაცხადა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა ჩრდილო კავკასიაში გარკვეული უპირატესობა მოიპოვეს, „თეთრები“ იძულებული გახდნენ, „რადა“ ეცნოთ.

ასეთ ვითარებაში, სოჭელმა ქართველებმა 1917 წლის 30 ოქტომბერს, თავიანთი ქალაქი ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატს („ოზაკომს“) დაუქვემდებარეს — სოჭელ ქართველთა დელეგაციის მოთხოვნის საფუძველზე, „ოზაკომმა“ საგანგებო დადგენილება მიიღო, რომლის თანახმადაც, საგანგებო კომისარიატის ძალაუფლება სოხუმის ოკრუგის გარდა, ქალაქ სოჭზეც გავრცელდა. ამიერკავკასიასა და ყუბანის კაზაკების მიწებს შორის პირობით საზღვრად მდინარე შახე დადგინდა.

ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე — 1918 წლის მარტში, აფხაზეთში ვითარება უკიდურესად დაიძაბა: აფხაზმა ბოლშევიკებმა, რომლებიც ამიერკავკასიის კომისარიატს არ ცნობდნენ, გუდაუთის მარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აღსანიშნავია, რომ მათ მიერ ჩამოყალიბებულმა „აფხაზეთის რევკომმა“, რომელსაც ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკოზა ხელმძღვანელობდნენ, უბრალო ხალხის აყოლიება მოახერხა და ჩრდილოკავკასიელი კომუნისტების დახმარებით, 1918 წლის 26 მარტს სოხუმში დაიკავა. 8 მაისს აფხაზმა ბოლშევიკებმა „ხალხის სახელით“, საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის დადგენილებაც მიიღეს; ამავდროულად, აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე — სოჭიდან ენგურამდე — ულმოებელი „წითელი ტერორი“ დაიწყო.

ბოლშევიკ მემამბოხეთა რაზმები, რომელთაც ნესტორ ლაკოზა მეთაურობდა, 1918 წლის 15 მარტს სოჭში შევიდა. მათთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია, რადგანაც ქალაქში სამხედრო გარნიზონი არ იდგა. მემამბოხეებს სოჭელი ბოლშევიკებიც შეუერთდნენ და მათი მითითებით, ლაკოზა სოჭში მცხოვრები „ბურჟუაზების“ ქონების დატაცებას ანუ



გენერალი ანტონ დენიკინი



როგორც მაშინ ამბობდნენ — ექსპროპრიაციას შეუდგა. გადმოცემით, ნესტორ ლაკობას ქალაქის ცენტრში მდგარი ერთ-ერთი სახლი მოეწონა, რომელიც ლაზ ვაჭარს, ვინმე ჰუსეინ ფოცხორ-ოღლის ეკუთვნოდა. ლაკობას ბრძანებით, ბოლშევიკებმა ვაჭრის ცოლ-შვილი (ოჯახის უფროსი სახლში არ იმყოფებოდა) გარეთ გამოყარეს და იქვე, ეზოში დახვრიტეს. სწორედ ამ დროს, ჰუსეინ ფოცხორ-ოღლიც მოადგა საკუთარ სახლს და ცხენიდან ჩამოუსვლელად, მომხდურებს ცეცხლი გაუხსნა. მან ლაკობას რამდენიმე თანმხლები შეინირა, თუმცა ცოცხალი ვერც თავად გადარჩა. ამ ინციდენტის მერე, მემბოხეებმა სოჭი ადგილობრივ ბოლშევიკებს ჩააბარეს და სოხუმში გამობრუნდნენ.

ბოლშევიკების პარალელურად, აფხაზეთში პროოსმალურად განწყობილი პირებიც გაძლიერდნენ — 1918 წლის 11 მაისს აფხაზეთის ამიერკავკასიის ფედერაციიდან გასვლას და მთელთა რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის შესახებ თვითნებური განცხადება ოლქის კომისარმა, ჩხოტუამ და პოლკოვნიკმა მარლანიამ გააკეთეს; მათ სოხუმის ოლქის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს — აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრთა ნაწილის მიმხრობაც მოახერხეს; თუმცა საბოლოოდ, აფხაზმა თავად-აზნაურობამ, რომლის წარმომადგენლებიც ხსენებულ ორგანოში უმრავლესობას შეადგენდნენ, მხარი თბილისთან კავშირს დაუჭირა, რადგან მათი განგარიშებით, „წითელი ტერორის“ აღკვეთას მხოლოდ ქართული არმია შეძლებდა.

1918 წლის 16 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის (ფაქტობრივად — საქართველოს) გვარდია, რომელიც თბილისიდან აფხაზთა სახალხო საბჭოს მოთხოვნის საფუძ-

ველზე გამოგზავნეს, მდინარე კოდორს მიადგა. მეთაურმა ვალიკო ჯუღელმა კოდორის მეორე მხარეს დაბანაკებულ ბოლშევიკებს ულტიმატუმი წაუყენა — საღამოს 5 საათამდე იარაღი უნდა დაეყარათ და დანებებულიყვნენ. პასუხად, ბოლშევიკებმა გვარდიელებს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს. ვალიკო ჯუღელმა შეტევის დაწყების ბრძანება გასცა და 17 მაისს სოხუმში დაიკავა. გვარდიამ ქალაქში წესრიგი დაამყარა და პროოსმალურად განწყობილი ჩხოტუა და მარლანიაც დააპატიმრა. გარდა ამისა, გვარდიელებს სოხუმში 300-კაციანი აფხაზური კავალერიაც შეუერთდა. მათ რამდენიმე დღის შემდეგ გუდაუთა და ახალი ათონიც დაიკავეს.

აფხაზმა ბოლშევიკებმა დახმარებისათვის ჩრდილო კავკასიაში მყოფ „წითლებს“, კერძოდ — ახალშექმნილ ყუბან-შავი ზღვის საბჭოთა რესპუბლიკის მესვეურებს სთხოვეს. ყუბანიდან სოჭის გავლით აფხაზეთში 2 ათასამდე წითელარმიელი შემოვიდა, რომლებმაც გვარდიელებს შეუტიეს და ფიცხელი ბრძოლების შედეგად, უკან დაახევინეს. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში ქართული გვარდიის ეს წარუმატებლობა იმხანად დუშეთის მხარაში დაწყებულმა ბოლშევიკურმა ბუნტმა განაპირობა — მისი ჩაქრობის მიზნით, ვალიკო ჯუღელი უკან გაიწვიეს და გუდაუთაში მხოლოდ მცირერიცხოვანი გარნიზონი დადარჩა. 1918 წლის ივნისის შუა რიცხვებში, გუდაუთის გარნიზონის დიდი ნაწილი ყუბანელმა ბოლშევიკებმა გაანადგურეს. მათ ახალი ათონიც აიღეს და სოხუმზე გალაშქრებისთვის მზადება დაიწყეს.

1918 წლის 20 ივნისს სოხუმში აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად დანიშნული გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, ქართული არმიის პირველ მსროლელ დივიზიასთან ერთად, სოხუმში ჩავიდა. ორი დღის შემდეგ, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა (მათ შემადგენლობაში აფხაზური კავალერიის ორი ქვედანაყოფიც შედიოდა) ბოლშევიკთაგან გუდაუთა გაათავისუფლეს. 28 ივნისს, საღამოს 5 საათზე ქართულმა ჯარმა ფსოუს ნაპირებს მიაღწია და შემდგომი ბრძანების მოლოდინში იქ დაბანაკდა.

იმ დროისათვის ჩრდილო კავკასიაში ბოლშევიკებს არცთუ ისე კარგად ჰქონდათ საქმე. შესაბამისად, საქართველოს არა მარტო სოჭზე, არამედ ტუაფსე-ნიკოფსიის მხარესაც კი საკუთარი კონტროლის დაწესება თავისუფლად შეეძლო — მით უმეტეს, რომ იქაური ქართველები ამას კარგახნის განმავლობაში ითხოვდნენ: „როგორც თბილისიდან, ისევე აფხაზეთის ეროვნული საბჭოსგან მივიღებ ბრძანებები — წამენია წინ და

დამეჭირა სოჭი. მიზეზი, როგორც ტელეგრაფის პირდაპირი მავთულით გადმომცეს, თხოვნა-შუადარა იყო სოჭელი ქართველებისა... გარდა ამისა, აფხაზეთის ეროვნული საბჭოს ზოგიერთი წევრი მარწმუნებდა, ძველ დროში აფხაზეთის საზღვრები ანაპამდეც კი მიდიოდაო“, — წერდა მოგვიანებით გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. გარდა ამისა, თუკი სოჭში ბოლშევიკები იქნებოდნენ, საქართველოში შემოჭრის საფრთხეც მუდმივად იარსებებდა.

აქედან გამომდინარე, 1918 წლის 29 ივნისს, ქართულმა არმიამ, სოჭიტუაფსე-ხადიფენსკის მიმართ გრანდიოზული შეტევა წამოიწყო, რომლის შედეგადაც, 5 ივლისს ქართველებმა ხოსტა, სოჭი გაათავისუფლეს, ხოლო ორიოდე კვირის შემდეგ — 23 ივლისს ტუაფსეს მიადგნენ. ერთკვირიანი ფიცხელი ბრძოლის შედეგად, 29 ივლისს, საღამოს 20 საათზე, ქალაქი ქართულ არმიას ჩაჰბარდა.

ტუაფსეს აღების შემდეგ, ქართულმა არმიამ გოითხის უღელტეხილი გადალახა, ჩრდილო კავკასიაში გადავიდა და დაიკავა ქალაქები — ხადიფენსკი და ბელორეჩენსკი. ამრიგად, მაზნიაშვილმა დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია ბრწყინვალედ განახორციელა. მისი აზრით, საკმარისი იყო, ქართულ არმიას სოჭი გაეთავისუფლებინა და მის იქით, მდინარე შახზე თავდაცვითი ზღუდეები მოეწყო, რომ ბოლშევიკების შემოჭრის საფრთხე მოეხსნა, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც გასათვალისწინებელი იყო — იმხანად ქალაქ მაიკოპში მყოფმა „ყუბანის რადას“ მესვეურებმა თბილისს შესთავაზეს, რომ თუკი მაზნიაშვილი მათ „წითლებისაგან“ დაიცავდა, საქართველოს ხორბალს ხელ-



დენიკინელთა პროპაგანდისტული პლაკატი



საყრელ ფასად მიჰყიდდნენ. ამდენად, გენერალ მაზნიაშვილს თბილისიდან შეტევის გაგრძელება და მაიკოპის დაკავება უბრძანეს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული არმიის ძლიერება ყველასათვის აშკარა იყო, მაზნიაშვილი მაიკოპზე გალაშქრებისაგან თავს იკავებდა. მას არ უნდოდა, საქართველო „თეთრ მოძრაობას“ დაჰპირისპირებოდა; ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში საკმაოდ ფართომასშტაბიანი ომი დაიწყებოდა, რომლის სანარმოებლადაც თბილისს საკმარისი სახსრები არ ექნებოდა. ამავდროულად, ბელორეჩენსკში დაბანაკებულ მაზნიაშვილს „თეთრი მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი — „რუსეთის მოხალისეთა არმიის“ მეთაური, გენერალი ანტონ დენიკინი და მისი მოადგილე მიხაილ ალექსევი ეწვივნენ და ულტიმატუმის ფორმით, მდინარე ფსოუმდე ქართული არმიის უკან დახევა მოითხოვეს.

გიორგი მაზნიაშვილმა „თეთრების“ ულტიმატუმი არ შეასრულა, რადგანაც იმავე დღეს ანტონ დენიკინის „მოხალისეთა არმიას“ წითელი არმიის ტამანის ნაწილებმა შემოუტიეს — ამგვარად, საკმაოდ გაურკვეველი ვითარება შეიქმნა, რადგან ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძოდა: დენიკინსა და ქართულ არმიას, რომლებიც ერთმანეთს აშკარად ემუქრებოდნენ, ტამანიდან წამოსულმა წითელარმიელებმა ერთდროულად შეუტყეს. ამ ვითარებაში, ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, გენერალმა მაზნიაშვილმა უკან დახევის ბრძანება გასცა — ქართული არმია გოითხის უღელტეხილზე გადავიდა და ისევ ტუაფსეში დაბანაკდა. ქართველებს წითლები კვალდაკვალ მოჰყვნენ, რომლებმაც ტუაფსეც აიღეს, მაგრამ მხოლოდ ერთი დღით შეინარჩუნეს. კონტრშეტევის შედეგად, ეს ქალაქი ქართველებმა კი დაიბრუნეს, მაგრამ მას მერე, რაც ტუაფსეს მისადგომებთან დენიკინიც გამოჩნდა, ქართველებმა ისევ უკან დაიხიეს და შახეს სანაპიროზე გამაგრდნენ.

ანტონ დენიკინი, რომელიც არა მარტო სოჭის ოლქს, არამედ მთელ საქართველოს „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ნაწილად მიიჩნევდა, ქართულ პოზიციებზე შეტევას ერთი კვირის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა — მან მაზნიაშვილს შახეს სანაპიროდან ფეხიც კი ვერ მოაცვლევინა. ქართველი ჯარისკაცების გმირობის წყალობით, „რუსეთის მოხალისეთა არმიამ“ განუზომელი ზარალი განიცადა — ანტონ დენიკინი იძულებული გახდა, ძალის გამოყენებაზე, დროებით მაინც, უარი ეთქვა.

1918 წლის სექტემბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ევგენი

გეგეჭკორი სოჭში ჩავიდა, რათა ყუბან-შავი ზღვის საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლებას საზღვრის დემარკაციის, საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და ვაჭრობის აღდგენის თაობაზე მოლაპარაკებოდა. გეგეჭკორი სოჭის ოლქის მმართველ გიზო ანჯაფარიძესა და გენერალ მაზნიაშვილთან ერთად, სოჭელ ქართველობას შეხვდა და მათ ქართული მხარის პირობები გააცნო — საქართველოს უნდა მოეთხოვა ტუაფსე, ხოლო სოჭის ოლქი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეთმო. საინტერესოა, რომ სანამ ყუბან-შავი ზღვის რესპუბლიკის წითელი მთავრობა ქართველებთან მოლაპარაკების დაწყებას გადაწყვეტდა, ვითარება შეიცვალა — ყუბან-შავი ზღვის რესპუბლიკის დედაქალაქი ევატერინოდარი (თანამედროვე კრასნოდარი) დენიკინმა აიღო.

ამდენად, ანტონ დენიკინმა ქართველებთან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე უარი თქვა და კვლავ ულტიმატუმის ფორმით, საქართველოს სოჭისა და გაგრის რაიონების დათმობა მოსთხოვა. დენიკინის მტკიცებით, სოჭი რუსული ქალაქი იყო, ხოლო გაგრის რაიონში კურორტების მოსაწყობად, რუსეთს აუარებელი ფული ჰქონდა დახარჯული და ამის გამო, ეს მხარეც რუსეთისა უნდა ყოფილიყო. პარალელურად, დენიკინელები ქართველთა სანაპირომდეგოდ სოჭსა და გაგრამი პროკლამაციებს, პროპაგანდისტულ პლაკატებს ავრცელებდნენ, მათ კონტროლქვემ მყოფი გაზეთები კი მოსახლეობას საქართველოსთან ომში მოხალისედ წასვლისაკენ მოუწოდებდნენ.

ასეთი აშკარა მუქარისა და პროვოკაციების მიუხედავად, სოჭის ოლქში ქართული ხელისუფლება მყარი იყო — საქართველოს მთავრობამ ამ მხარის განსავითარებლად 100 ათასი ოქროს მანეთი გამოყო. აღსანიშნავია, რომ დენიკინსა და საქართველოს შორის წარმოშობილი უთანხმოების მოგვარება დიდმა ბრიტანეთმა იკისრა, რაც სინამდვილეში, ჩვეულებრივი ფარსი გახლდათ — იმხანად ლონდონი დენიკინის უმთავრესი მოკავშირე იყო და საერთოდაც, ინგლისში მეფის რუსეთის აღდგენა უფრო აინტერესებდათ. თბილისს სწორედ დიდი ბრიტანეთის ჯარების სარდლობამ მოსთხოვა, რომ ქართულ არმიას სოჭი და გაგრა დაეთმოებინა, მდინარე მესხადრისკენ გადაეწავლა და ვიდრე დენიკინსა და ქართულ მხარეს შორის მოლაპარაკება დაიწყებოდა, ამ მიზეზზე ბრიტანელები იდგებოდნენ.

თბილისმა, სოჭელი ქართველობის კატეგორიული მოთხოვნიდან გამომ-

დინარე, პოზიციები არ დათმო. ბრიტანულ სარდლობას ქართველებისთვის ძალა არ დაუტანებია, თუმცა 1919 წლის 29 იანვარს, სრულიად მოულოდნელად, დენიკინელებმა თანამედროვე ლოოს ახლოს, გოლკოვნიკის გორაზე მდგარ ქართველ ჯარისკაცებს სროლა აუტყნეს — ასეთი აღმოჩნდა პასუხი ბრიტანეთის მოთხოვნის არდაკმაყოფილებაზე. დენიკინელთა ულტიმატუმის შესახებ სოჭის გარნიზონის უფროსმა, პოლკოვნიკმა კონიაშვილმა და მთავრობის რწმუნებულმა, მურმან ხოჭოვამამ მაშინვე თბილისს აცნობეს, აქედან კი ევგენი გეგეჭკორმა დიდი ბრიტანეთის მისიაც საქმის კურსში ჩააყენა, მაგრამ უკვე გვიან იყო — ანტონ დენიკინის „მოხალისეთა არმიამ“ სოჭი აიღო, მდინარე ფსოუც გადალახა, გაგრა დაიკავა და ბზიფთან შეჩერდა — ამგვარად, ქუთაისის გუბერნიის 1904 წლის საზღვარი აღადგინეს. დაკავებულ ტერიტორიაზე, ტრადიციულად, ქართველთა შევიწროება დაიწყო, რასაც პლასტუნების მოსახლეობის აჯანყება მოჰყვა.

საქართველოს ხელისუფლებამ 1919 წლის აპრილში არმიას კონტრშეტევისა და გაგრა-სოჭის გათავისუფლების ოპერაციის დაწყება უბრძანა. 16 აპრილს ქართველებმა ბზიფი გადალახეს და გაგრა დაიკავეს, ხოლო 18 აპრილს — ად-

დენიკინის „მოხალისეთა არმიის“ ჯარისკაცები მდინარე ბზიფის ნაპირას, 1919 წ.



ლერიც აიღეს. თუმცა, სწორედ ამ დროს, კონფლიქტში ისევ ბრიტანეთი ჩაერია: ქართულ მხარეს მოსთხოვეს, მდინარე ფსოუ არ გადაეღახა მანამ, ვიდრე საქართველოს საზღვრების თაობაზე პარიზში, ანტანტის ქვეყნების საგანგებო კონფერენციაზე არ იმსჯელებდნენ. აღსანიშნავია, რომ თბილისმა ეს მოთხოვნა შეასრულა, რის შედეგადაც, ფაქტობრივად, სოჭი დაკარგა — სულ მალე დენიკინი „წითლებმა“ დაამარცხეს, სოჭიც მათ დაიკავეს და საქართველოს ხელისუფლება აიძულეს, ამ ქალაქზე ხელი აეღო.



გზაში საკითხავი კოლაჟი

ქედვერელი თქუი ივანიძე

1. ადამიანის სხეულში 215 ძვლია.
2. ბენველს რბილ ოქროს ეძახიან.
3. „კონოლა“ და „ოხშივარი“ სინონიმებია.
4. ქამელონი ენას 500 მ/წმ სიჩქარით გამოტყორცნის.
5. საფრანგეთის სარდაფებში 900 მილიონამდე ბოთლი შამპანური ინახება.
6. ცხოვრების მანძილზე ადამიანი დაახლოებით, 40 ტონა საკვებს მოიხმარს.
7. სედი ქალაქადგადაკრული მსუბუქი გასანე-გამოსანევი ტიხარია იაპონურ სახლებში.
8. ჩაპას ტომის ინდიელები მაიას ტომის ერთადერთი პირდაპირი შთამომავალი არიან.
9. ადამიანის თავის ტვინში ერთი წამის განმავლობაში 100 ათასზე მეტი ქიმიური რეაქცია ხდება.
10. მზე რომ ვარსკვლავია, ეს შეერთებული შტატების მოქალაქეთა მხოლოდ 55 პროცენტისთვისაა ცნობილი.
11. საქართველოში ბუმის ვიზიტით გამოწვეული ალფრთოვანება კოტე ყუბანეიშვილმა ორი სიტყვით გამოხატა: „მიშა ბუშუეტი!“
12. „რიჩარდ III სულაც არ ყოფილა კუზიანი და კოჭლი, ისევე, როგორც არ ყოფილა ერთადერთი, ვისაც მისი ძმის, ედვარდის შვილების სიკვდილი ენადა“, — ამტკიცებს თანამედროვე ინგლისელ ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი.
13. მაიმუნებზე ჩატარებულმა ლაბორატორიულმა ცდებმა უჩვენა, რომ ცხოველები საკვებს კოკანის ამჟობინებენ. მაიმუნები მანამ მოიხმარდნენ ნარკოტიკს, ვიდრე შიმშილით არ ილუპებოდნენ.
14. გადაცემაში — „თავზე ხელალებული ტალანტები“ — უჩვენეს ცირკის მსახიობი, რომელიც სრული სიმძლავრით მომუშავე სამი ბენზინის ხერხით უონგლირებდა.
15. პიკასო აბსტრაქტიზმს იზვიათად მიმართავდა, რადგან სურდა, საკუთარ ტილოთა საშუალებით ხალხისთვის რაიმე ახალი მოეთხრო. ამბობდა კიდევ: ფერწერა თხრობის განსაკუთრებული ხელოვნებააო.



16. ცნობილ გამოჩინებულს, რომლის თანახმად, ყველა მამაკაცმა ცხოვრების მანძილზე აუცილებლად უნდა გააკეთოს სამი რამ: დარგოს ხე, ააშენოს სახლი და გაზარდოს ვაჟიშვილი, მიხაილ ზადორნოვი აპროტესტებს: „პო ეტოი ლოგიკე, იესლი ვი ნე პასადილი დერეკო, ნე პასტროილი დომ ი ნე ვირასტილი სინა, ტო ვი ბეზრუკი იმპოტენტი ნე ლიუბიაში პირიროდუ?!“

BMW — კუნის ფრეზი

ცნობილი ამერიკელი მხატვარი ჯეფ კუნსმა სარბოლო ავტომობილის — BMW M3 GT2 — დიზაინი წარმოადგინა. მანქანის გაფორმება პროექტის — BMW Art Car — ფარგლებშია შესრულებული. ეს Car Art-ის კოლექციაში მე-17 BMW იქნება.

მხატვრის მოსაზრებით, უჩვეულო აგრესიული ფერების გამოყენებამ BMW-ს მარკის ავტომობილების მაღალ სავალ თვისებებს უნდა გაუსვას ხაზი. კუნსის ფერებში გადაწყვეტილ ავტომობილს მიმდინარე წლის ივნისში, პარიზის ყოფი პომპიდუს ცენტრში წარადგენენ, ხოლო 12 და 13 ივნისს შედებილი M3 „ლე მანის 24 საათში“ მიიღებს მონაწილეობას. პროექტი BMW Art Cars ფრანგი აუქციონერისა და ავტომობილების, ერვე პულენის ჩანაფიქრის მიხედვით წამოიწყო, რომელმაც ცნობილი მხატვრების მიერ ავტომობილების შეღებვის იდეა წამოაყენა. პროექტის ფარგლებში პირველი მანქანა ალექსანდრ კალდერმა, 1975 წელს გააფორმა, მოგვიანებით კი ავტომობილებზე (რომელთაგან მრავალი ლე მანის შეჯიბრებაში მონაწილეობდა) მუშაობდნენ მხატვრები: როი ლიტენშტეინი, ენდი უორჰოლი, რობერტ რაუშენბერგი და ა.შ.



სათამაშო მანქანის ტარებისთვის დაჯარიმებული

დიდ ბრიტანეთში, ესექსის საგრაფოში მცხოვრებ პოლ ჰატონს, სათამაშო ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის, სასამართლომ მართვის უფლება ჩამოართვა. სამართალდამცავებმა ჰატონი დააკავეს, როდესაც ეს უკანასკნელი საბავშვო ელექტრომობილით სახლთან ახლოს ერთობოდა. მძღოლის თქმით, მან მანქანა 17 წლის ვაჟიშვილის, საიმონის სკოლის პროექტისთვის გადააკეთა და სურდა, ის იქვე მცხოვრები მეგობრისთვის ეჩვენებინა. მას სულ რამდენიმე ბოკალი ლუდი ჰქონდა დაღეული, მაგრამ პოლიციელთა მიერ ტესტის ჩატარებისას, აღმოჩნდა, რომ ალკოჰოლის დონე დაშვე-

ბულს ორჯერ აჭარბებდა. ჰატონის თქმით: „როდესაც პოლიციელებმა გამაჩერეს, დიდხანს კამათობდნენ იმის შესახებ, ვარდევდი თუ არა კანონს. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ სატრანსპორტო საშუალებას არაფხიზელ მდგომარეობაში ვმართავდი. გასაგებია, რომ ქუჩაში სათამაშო ავტომობილით მოძრაობა სისულელეა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეს კანონის დარღვევად მიიჩნეოდა“. გარდა იმისა, რომ ჰატონს მართვის მოწმობა პირობითად ჩამოართვეს, 85 გირვანქა სტერლინგის ანუ სასამართლოს დანახარჯების გადახდაც დააკისრეს.

მოსამართლემ გაითვალისწინა, რომ აღნიშნულ ავტომობილს ძალიან დაბალი სიჩქარის განვითარება შეუძლია და ბრალდებულს 12-თვიანი გამოსაცდელი ვადა მისცა. ამ დროის განმავლობაში ჰატონმა მოძრაობის წესები არ უნდა დაარღვიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მართვის უფლება სასამართლოს მიერ დადგენილი ვადით ანუ 3 წლით ჩამოერთმევა.





მსიკალიტრანი Fiat Uno

ზოგიერთმა უცხოურმა ინტერნეტ-გამოცემამ მომავალი თაობის Fiat Uno-ს ფოტოები გაავრცელა, რომლის პრემიერაც ბრაზილიაში, მაისის დასაწყისში შედგება. სურათებზე წარმოდგენილია ავტომობილის არასაგზაო ვერსია, ძარაზე დამცავი პლასტიკური დეტალებითა და გზის გაზრდილი ხედვით. იგი ძირითადად, სამხრეთამერიკული ბაზრისთვისაა განკუთვნილი, თუმცა მისი გამოჩენა ევროპაშიც არაა გამორიცხული. სავარაუდოდ, ევროპულ და სამხრეთ-



იქნება. ახალი Fiat Uno-ს გაბარიტული სიგრძე 3,77 მ, სიგანე — 1,64 მ, ხოლო სიმაღლე 1,49 მ-ია. ასეთი ავტომობილის საბარგულის მოცულობა, ავეცილი უკანა სავარძლების შემთხვევაში, 290 ლიტრს შეადგენს. მანქანისთვის გათვალისწინებულია 1,0 და 1,4 ლ მოცულობის მობოტორები, რომლებიც შესაბამისად, 75 და 100 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. პირველი მათგანი სიჩქარის გადაცემათა 5-საფეხურიანი მექანიკური კოლოფით, ხოლო მეორე — 6-საფეხურიანი იქნება აგრეგირებული. წინასწარი მონაცემებით, ახალი Fiat Uno-ს წარმოება ევროპისთვის მომავალი წლიდან, სერბეთში მდებარე Zastava-ს ქარხანაში დაიწყება. ■



ამერიკულ ვერსიებს შორის ძირითადი განსხვავება ექსტერიერისა და ინტერიერის გაფორმებას შორის

„მერსედის“ სპორტული უნივერსალი

კომპანია „მერსედეს-ბენცი“ პეკინის ავტოსალონზე სპორტული უნივერსალის პროტოტიპს, Shooting brake-ს ტიპის ძარას მქონე ავტომობილს წარადგინს. სერიული წარმოების შემთხვევაში, ასეთი ავტო BMW 5-Series GT-სა და მომავალ Audi A7-ს გაუწევს კონკურენციას. Mercedes-Benz Shooting Break Concept უნივერსალზე — E-Class — ოდნავ დიდი გამოვიდა: მისი სიგრძე 4,96 მ, სიგანე — 1,95 მ, ხოლო სიმაღლე — 1,44 მ-ია. სიახლის დიზაინი გერ-



მანული მარკის ახალ საფირმო სტილშია შესრულებული. Mercedes-Benz Shooting Break -კლასის უნივერსალისგან მოდერნიზებული ცენტრალური კონსოლითა და მინის პანორამული სახურავით გამოირჩევა. ის 3,5-ლიტრიანი, V6 ბენზინის ძრავათა ალტურვილი და 306 ცხ.ძ.-ს ავითარებს. ეს მობოტორი „სტოპ-სტარტის“ ფუნქციის მქონე 7G-tronic-ის 7-საფეხურიანი სიჩქარის გადაცემათა კოლოფით მუშაობს. გარდა ამისა, მასზე შუქ-დიოდური ელემენტებით შესრულებული განათების დებიუტიც შედგა: სულ 71 დიოდი გამოიყენეს. ამ სიახლის მეშვეობით შესაძლებელი ხდება სინათლის კონის სიშორისა და ფორმის რეგულირება, განათების ინტენსივობის ცვლა მოძრაობის პირობების შესაბამისად.

ბრიტანული ჟურნალის — Autocar — მონაცემებით, თავდაპირველად გაყიდვაში იქნება CLS-ის უფრო ტრადიციული ვერსია — სედანის ძარათი. როგორც მოსალოდნელია, ამ მოდელის დებიუტი მიმდინარე წლის ბოლომდე შედგება. ■

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქეპლერელი თქუპ ივანიძე

17. სპარტელები მონა ჰილოტებს ძალით ათრობდნენ და ახალგაზრდებს უჩვენებდნენ, — ნახეთ, რა ცუდია სიმთვრალეო. მთვრალ ჰილოტებს ნაბრძანები ჰქონდათ, უმსგავსი სიმღერები ემღერათ და გულისამრევი ცეკვები ეცეკვათ; მათ თავისუფალი ადამიანისათვის შესაფერისად მოქცევა ეკრძალებოდათ. ამბობენ, ლაკონიკაში ლაშქრობის ჟამს, თებულებმა ტყვექმნილ ჰილოტებს უბრძანეს, — სპარტელთა სიმღერები გვიმღერეთო. ტყვე ჰილოტები გაჯიუტდნენ: ეს ჩვენს ბატონებს არ სურთო. ისტორიკოსები ამის გამო ამბობდნენ: ლაკედემონიაში თავისუფალი ადამიანი მართლაც, თავისუფალი იყო და მონა მართლაც მონა გახლდათო.



18. პროგრამა „დისკაჟერის“ მიერ გამოცხადებულ საუკეთესო იარაღის ათეულში მეათე ადგილი სამურაის ხმალს ერგო. ამ სიის მიხედვით, მეცხრე ადგილზეა პისტოლეტი „ვალტერ პპკ“, მერვეზე — ანტიკური ხანის გრძელი, ექვსმეტრიანი შუბი, მეშვიდეზე — არკებუზა, მეექვსეზე — საბრძოლო ბუმერანგი, მეუთეზე — ავტომატი „ტომფსონი“, მეოთხეზე — სნაიპერული შაშხანა „ტე 82 ბარეტი“, მესამეზე — დიდი ინგლისური მშვილდი, მეორეზე — ავტომატი „კალაშნიკოვი“ და პირველზე — ხელჩართული ბრძოლის სტილი იუნ ჩუნი, რომელსაც ბრიუს ლი ფილმებში იყენებდა.

19. „რა სონეტი ან რაღა დროს მიძღვნება/ დაგვანებონ თავია თუ თავები/ ოცნებები ცნებებივით ირლვევიან/ უსასრულო დასასრულში გავედი/ მე რა ვიცი, რა ნებოთი გავამთულო/ მე რა ვიცი, დაფუჯერო ვის ზრახვებს/ დაველოდოთ, გასულია საქართველო/ და რომ მოვა, თვითონ გამოგვიძახებს...“ — ეს ლექსი ნიკო გომელაურმა ნანუკა ჟორჯოლიანის გადაცემაში წაიკითხა და არ ამოჭრათო, ითხოვა.

20. იმ გარდაუვალ კატასტროფათა შორის, რომელიც ადრე თუ გვიან, ჩვენს პლანეტას დალუპავს, ყველაზე საშინელი ორი გალაქტიკის შეჯახებაა. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ 4 მილიარდი წლის შემდეგ ჩვენი გალაქტიკა — „ირმის ნახტომი“ „ანდრომედას“ გალაქტიკას შეეჯახება, რაც ერთი აუნერეულ კატასტროფათა სერიას გამოიწვევს. P.S. ამ „მიედიანი“ ინფორმაციის ბეჭდვისას იაროსლავ ჰაშევის ნაწარმოების პერსონაჟი, ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკთან ერთად საგიჟოში მყოფი მეცნიერი გამახსენდა, რომელიც მუდამ დამამშვიდებელი პერანგით ჰყავდათ შეკრული, მსოფლიოს აღსასრულის თარიღი რომ არ გამოეთვალა.



ათეისტური ხანა, ავტოკეფალიის დაკარგვა და თურქთა ბერიტორიებზე აღორძინებული ქრისტიანობა

იმ პერიოდში, როდესაც ათეიზმი ყალიბდება, საქართველო ჯერ სახელმწიფოებრივ, შემდეგ კი ეკლესიის დამოუკიდებლობას კარგავს და რუსეთსა და საქართველოში ურწმუნოების ხანა დგება...

შორენა ბერაქიძე

არქიანდრიტი ბაქარი (აბესაძე):

— როგორც ვიცით, XVI-XVIII საუკუნეებში კათოლიციზმიდან წარმოიშვა პროტესტანტიზმი, რასაც შემდგომ სხვადასხვა მიმდინარეობის ჩამოყალიბებაც მოჰყვა. თვით პროტესტანტიზმის წიაღში წარმოიშვა ათეიზმიც: პროტესტანტები ყველაფერს კრიტიკული თვლით უყურებდნენ და ყველაფერში მიიჩნეოდა მამამტკიცებელ საბუთს ეჭვბუნი. თავდაპირველად, პროტესტანტები ცდილობდნენ, საღვთო გადმოცემები და კანონები მიწიერი თვალთახედვით დაესაბუთებინათ, მაგრამ შემდგომ, ყველა აუხსნელი მოვლენისთვის მიიჩნეოდა ახსნას ესწრაფოდნენ და როცა ეს შეუძლებელი ხდებოდა, საერთოდ უარყობდნენ იმ მოტივით, რომ მოვლენა ფაქტებით ვერ დასტურდებოდა. თვით მეცნიერებაში არსებობდა ორი მიმდინარეობა: მეცნიერთა ნაწილი — ათეისტები აღიარებდნენ, რომ სამყარო შემოქმედის — ღვთის მიერ იყო შექმნილი; არ ვლავარაკობ იმის შესახებ, თუ რამდენად მართლმადიდებლურად, ჭეშმარიტად — ღვთისმეტყველურად აღიარებდნენ ღმერთს, მაგრამ ამბობდნენ, რომ სამყარო ზეადამიანური, გონებისთვის მიუწვდომელი ძალის მიერ იყო შექმნილი ანუ — ღვთის შემოქმედების ნაყოფი გახლდათ. ამ მხარის მიმდევრები იყვნენ ნიუტონი, აინშტაინი და სხვა ცნობილი მეცნიერები; მეცნიერთა მეორე ნაწილი სამყაროს ქაოსურ და თავისთავად წარმოშობას ემხრობოდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სამყარო შემოქმედის მიერ წარმოქმნილი არ იყო...

როგორც ვიცით, ათეიზმი XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, საფრანკეთში გავრცელდა, XIX საუკუნეში კი მთელ ევროპას მოედო. ამ პერიოდში განათლებულ, სწავლულ წრეებში ათეიზმი ერთადერთ ჭეშმარიტებად იქნა აღიარებული. ელიტაში ღვთის რწმენა, რომელიმე სარწმუნოების მიმდევრობა სირცხვილადაც კი მიიჩნეოდა. რაოდენ საოცრადაც უნდა მოგვეჩვენოს, ათეიზმის მარცვლებმა თვით ეკ-

ლესიის წიაღშიც კი შეაღწია, რაც XX საუკუნის საეკლესიო მწერლობაში შეინიშნება კიდევ. არ ვგულისხმობ იმას, რომ საეკლესიო მწერლები თავად იყვნენ ათეისტები, მაგრამ მათ სწავლებებში, ნაშრომებში ისეთი ფაქტებიცაა მოყვანილი, რომელიც ათეიზმისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, როდესაც სამყაროს 7 დღეში შექმნის შესახებ ლაპარაკობენ, XIX-XX საუკუნეების საეკლესიო მწერლები წერენ, რომ აქ იგულისხმება პერიოდები და არა დღეები — თითქოს ერთ დღეში შეიძლება, ათასობით და მილიონობით წელიც კი ვიგულისხმოთ. გამოდიოდა, რომ სამყარო იყო რამდენიმე მილიარდი წლის, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებდა.

ყველაზე მეტად, ათეიზმმა რუსეთის ეკლესიაში შეაღწია. როგორც ვიცით, ამ პერიოდში საბერძნეთის, იერუსალიმის ეკლესიები მიწიერად უსჯულოების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა — თურქეთის იმპერიის ტერიტორიაზე მდებარეობდა, იქ მიმდინარეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ და ამის გამო, ხალხში სარწმუნოება სულ უფრო გაღვივდა. რუსეთი კი არ იდგა ასეთი პრობლემის წინაშე, ეკლესია არ იდევნებოდა. ამ სახელმწიფოში ელიტური ინსტიტუტიც კი იყო და ამიტომაც, მასში ათეიზმის მარცვლებმა ადვილად შეაღწია. ის ფაქტიც, რომ შემდგომ, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში მომხდარი რევოლუციის დროს რევოლუციონერთა უმეტესობა სემინარიადამთავრებული ან ეკლესიის მსახურთა შვილიც კი იყო, მონშობს, რომ ამ დროისათვის მიწიერება მორწმუნე ადამიანებშიც ღრმად გახლდათ გამჯდარი. მართალია, კონკრეტულად ათეიზმი არ ბატონობდა, მაგრამ ეკლესიაში მყოფი პიროვნებები მთლიანად მიწიერებისკენ იყვნენ მიდრეკილნი, რაც ქრისტიანული ცხოვრების არამოშურნეობით გამოისახებოდა. არ ვგულისხმობ, რომ სამღვდლოების ნაწილი ათეისტი იყო; შესაძლოა, კაცი ათეისტი არ იყოს, მაგრამ საეკლესიო წესების აღსრულებ-

ბას, საღვთისმეტყველო კანონებსა და დოგმატებს იმდენად უკეთებდეს იგნორირებას, რომ ამით სხვა ადამიანებში — მრევლში ათეიზმის გავრცელება გამოიწვიოს. სწორედ ეს მოხდა რუსეთის იმპერიაში, რასაც შედეგად, XX საუკუნის დასაწყისში მომხდარი რევოლუცია მოჰყვა. რუსეთში ათეიზმი XX საუკუნის დასაწყისში, იმპერიის დამხობისა და ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ არ ჩამოყალიბებულა — მისი საფუძვლები ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან იჩენდა თავს, რაც XIX საუკუნეში კიდევ უფრო გაღრმავდა ევროპასა და განსაკუთრებით, რუსეთში, სადაც ყველაზე მძიმე შედეგი გამოიღო. თუ ევროპაში ათეიზმი პროტესტანტულ ნიადაგზე ყალიბდებოდა, რუსეთში ეს მოხდა მართლმადიდებლურ წიაღში და სასჯელმაც არ დაახანა — იმპერიამ ის მიიღო, რასაც თვითონ ჩაუყარა საფუძველი: ბოლშევიზმი იყო სასჯელი იმისთვის, რაც მთელი ანთლუგების მანძილზე, რუსეთის იმპერიაში ხდებოდა — ჯერ დადგა ურწმუნოების ხანა და შემდეგ მოვიდა ბოლშევიზმი ანუ — ბოლშევიზმი იყო გვირგვინი ურწმუნოებისა...

იმ პერიოდში, როდესაც ათეიზმი იკიდებდა ფეხს, საქართველომ ერთიმეორის მიყოლებით, ჯერ სახელმწიფოებრივი, ხოლო შემდგომ, საეკლესიო დამოუკიდებლობა დაკარგა: ჯერ — 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერატორ პავლეს მიერ მანიფესტით იქნა გაუქმებული, შემდეგ კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც გაუქმდა. საქართველოს ეკლესია რუსეთის ეკლესიას შეუერთეს და მის წინამძღოლად წმინდა სინოდის წარმომადგენელი — ეგზარქოსი დანიშნეს. პირველი ეგზარქოსის — ვარლამ ერისთავის გარდა, არც ერთი არ გახლდათ ქართველი. გარდა ამისა, აბსოლუტური უმრავლესობა ეგზარქოსებისა, ქართველი ერის მიმართ მტრულად იყო განწყობილი. სწორედ მათი მოღვაწეობის პერიოდში მოხდა ქართველ ერში სარწმუნოების დაცემა, გაიძარცვა ეკლესია-მონასტრები, განადგურდა წმინდა ხატები...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა. 1811 წელს გაუქმდა საქართველოს საკათალიკოსო —




კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II რუსეთში გადასახლეს. ამავე პერიოდში, ერთმანეთის მიყოლებით გაუქმდა იმერეთის სამეფო, გურიისა და ოდიშის სამთავროები. 1818 წელს იმერეთში მოხდა ცნობილი საეკლესიო აჯანყება, რომლითაც ქართველობა აპროტესტებდა იმ ფაქტს, რომ რუსებმა ეკლესია-მონასტრები დახურეს, უამრავი სასულიერო პირი დაითხოვეს. სწორედ ამ აჯანყების შემდეგ იმერეთის ორ მღვდელმთავარს — მიტროპოლიტ დოსითეოსსა და ეპისკოპოს ექვთიმეს (ქუთათელი და გაენათელი) გადასახლება მიუსაჯეს. მიტროპოლიტი დოსითეოზი გზაშივე აღესრულა, ექვთიმე კი — გადასახლებაში ყოფნისას (საქართველოს ეკლესიამ მონამებრივად აღსრულებული მღვდელმთავრები რამდენიმე წლის წინ, წმინდანებად შერაცხა). ამ პერიოდში არა მარტო დოსითეოზი და ექვთიმე, არამედ უამრავი სასულიერო პირი იქნა დევნილი — რომ აღარაფერი ვთქვა საერო მოღვაწეებზე და იმ ქრისტიანებზე, რომლებიც რუსეთის იმპერიის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდნენ. ასე და ამგვარად, ქრისტიანთა დევნა საქართველოში ფაქტობრივად, არა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ, არამედ XIX საუკუნის დასაწყისში — რუსეთის იმპერიის მიერ ჩვენი

რიებზე ქრისტიანობას მძლავრი ბიძგი მიეცა. თუ რუსეთში ათეიზმის გავრცელებას მასობრივი ხასიათი ჰქონდა, ჩამოთვლილ ქვეყნებში პირიქით, ქრისტიანობის აღორძინება დაიწყო. იმის გამო, რომ ამ ტერიტორიებზე არსებული ეკლესიები უსჯულოთა ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული და დევნილებას განიცდიდა, ეკლესია შინაგანად გახლდათ განმტკიცებული. მიწიერი მტრისგან გათავისუფლებამ და დევნის დასრულებამ სარწმუნოების აღორძინება გამოიწვია. ევროპის მართლმადიდებლურ ქვეყნებში მართლმადიდებელ ეკლესიას ხელისუფლებამ ელიტურის სტატუსი მიანიჭა. ამ მხრივ, საბერძნეთი გამოირჩეოდა — ქვეყანაში კანონიც კი მიიღეს, რომლის თანახმადაც, ეკლესიის მსახურნი სახელმწიფოს პირველი რანგის სამოქალაქო მოხელეებს გაუტოლეს და ეს ხდებოდა XX საუკუნის დასაწყისში. სწორედ ამ პერიოდში, საბერძნეთის ეკლესია ახალი სტილის კალენდარზე გადავიდა — მსახურებების ნაწილი გრიგორიანული კალენდრის მიხედვით დაანწესეს. მოგეხსენებათ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ძველი სტილით — იულიუსის კალენდრით ხელმძღვანელობს, საბერძნეთის ეკლესია კი ახალ სტილზე გადავიდა, უფრო

ლესიები მოჰყვნენ. დღესდღეობით, მსოფლიოში რამდენიმე ეკლესიაა დარჩენილი, რომელიც არ არის გადასული შერეულ სტილზე. ესენია: რუსეთის, სერბეთის, საქართველოსა და იერუსალიმის ეკლესიები. ამ ფაქტს საბერძნეთის ეკლესიაში უკუპროცესები მოჰყვა: გამოჩნდნენ ჯგუფები, რომლებიც კალენდარული ცვლილების გამო, ეკლესიის წიაღს ჩამოსცილდნენ და ცალკე საკრებულოები ჩამოაყალიბეს, შემდგომში კი თვით ამ კრებულებს შორის მოხდა განხეთქილება, რომლის შედეგადაც, საბოლოოდ, საბერძნეთში 7 სქიზმატური სინოდი გაჩნდა და თითოეული მათგანი საბერძნეთის ერთადერთ ჭეშმარიტ ეკლესიად აცხადებს თავს. შვიდივე სინოდი დღესასწაულებს ძველი სტილით აღნიშნავს.

თვით ის ფაქტი, რომ საბერძნეთის ეკლესია შერეული სტილზე გადავიდა, არ იყო სათნო, მაგრამ ეს ცვლილება არ უნდა გამხდარიყო იმის საფუძველი, რომ ეკლესიაში განხეთქილება მომხდარიყო და მისი წიაღიდან ვინმე წასულიყო. თუ დაუკვირდებით, გარეგნულად, სქიზმაში მყოფი საკრებულოები თითქოს, ყველაფერს მართლმადიდებლური წესისამებრ აღასრულებენ — ძველი სტილის მიხედვით აღნიშნავენ ყველა დღესასწაულს, — ოფიციალური ეკლესია კი შერეულ სტილს მისდევს, მაგრამ ღვთის წინაშე დამნაშავენი სწორედ სქიზმაში — განხეთქილებაში მყოფი ჯგუფები არიან, რომლებიც ეკლესიას ჩამოსცილდნენ, რადგან კიდევ ვიმეორებ, კალენდრის ასეთი ცვლილება არ შეიძლება გახდეს საფუძველი იმისა, რომ ვინმემ ეკლესია მიატოვოს. ვიცით, რომ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, პირველ მსოფლიო კრებამდე თვით ადდგომის დღესასწაულიც კი სხვადასხვა ადგილობრივ ეკლესიაში სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა, მაგრამ ეს ფაქტი მათ შორის უთანხმოების საფუძვლად არ ქცეულა, ადგილობრივ ეკლესიებს ერთმანეთთან ლიტურგიკული კავშირი არ გაუნყვეტიათ. თანაც, იმ ადგილობრივ ეკლესიებში, რომლებიც შერეულ სტილზე არიან გადასული, არსებობს ასეთი წესი — თუკი რომელიმე სამრევლოს სურს, უძრავი დღესასწაულებიც ძველი სტილით აღნიშნოს, მათ ეს არ ეკრძალებათ. მაგალითად, ათონის მთაზე არსებული მონასტრების უმეტესობა, როგორც მოძრავ, ასევე უძრავ საეკლესიო დღესასწაულებს ძველი სტილით — იულიუსის კალენდრის მიხედვით აღნიშნავს.

ათონის მთაზე არსებული მონასტრების უმეტესობა, როგორც მოძრავ, ასევე უძრავ საეკლესიო დღესასწაულებს ძველი სტილით — იულიუსის კალენდრის მიხედვით აღნიშნავს



ქვეყნის ანექსირების დროიდან დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ეკლესიისა და ქრისტიანთა დევნა ორი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა...
XIX საუკუნეში საბერძნეთის დიდი ნაწილი, სერბეთი, ბულგარეთი, რუმინეთი თურქეთის ბატონობისგან გათავისუფლდნენ და ამ ტერიტო-

სწორად, ეს იყო შერეული სტილი: ადდგომისა და ადდგომასთან დაკავშირებული ყველა დღესასწაულის აღნიშვნა იულიუსის კალენდრის მიხედვით აღესრულება, ხოლო მაგალითად, შობა — გრიგორიანული კალენდრის მიხედვით. საბერძნეთის ეკლესიას შემდგომ, ბულგარეთის, რუმინეთის, ანტიოქიის ეკ-



დღის იდეალური განრიგი

ყველაფერს თავისი დრო აქვს. ექსპერტების აზრით, დღის განსაზღვრული განაწესის დაცვა ორგანიზმს ნორმალური ფუნქციონირების საშუალება მისცემს. მეცნიერები საზოგადოებას ასეთ დღის განრიგს სთავაზობენ:

6:00 — საუკეთესო დროა სექსით დაკავებისათვის. დოქტორ პამ სპური აღნიშნავს: ჩვეულებრივ, ამ საქმიანობისთვის ღამის საათებია გამოყოფილი, მაგრამ სინამდვილეში, იდეალურია დღის 6 საათი, რადგან ამ დროს ორგანიზმში ჰორმონების მნიშვნელოვანი დაგროვება ხდება.

7:00 — საუზმის დროა. ღამის ძილის შემდეგ აუცილებელია კვება. ამ მომენტისთვის ორგანიზმს ცხიმისა და გლუკოზის მთელი მარაგი გამოყენებული აქვს, ამის გამო ტვინი სრულად ვერ მუშაობს, ადამიანი განიცდის სისუსტეს, — აღნიშნა დოქტორმა ენდრიუ მიურეიმ. — ნოყიერი და სასარგებლო საუზმე კი ორგანიზმს ყველა აუცილებელი ელემენტით უზრუნველყოფს და ადამიანი მთელი დღის განმავლობაში, ხალხიანი იქნება.

სპეციალისტები გვირჩევენ, დღის კვების რაციონში აუცილებლად ჩავრთოთ მარცვლეულის ფაფა.

7:15 — მიიღეთ მულტივიტამინები. ზოგიერთ ვიტამინს ორგანიზმზე მასტიმულირებელი გავლენის მოხდენა შეუძლია და ამიტომაც, მათი მიღება დღის საათებში ჯობს.


გაითვალისწინეთ, არ შეიძლება ვიტამინის მიღება უზმობზე — ამ შემთხვევაში, იგი ორგანიზმიდან შარდთან ერთად, თითქმის მთლიანად გამოიყოფა და სისუსტის შეგრძნებას აღძრავს.

7:30 — კბილების გახეხვის დროა. ბრიტანული სტომატოლოგიის ასოციაციის წევრი, პროფესორი დამენ ვოლმსლეი გვირჩევს, კბილები საკვების მიღებიდან 30 წუთის შემდეგ გამოვიხეხოთ — საქმე ისაა, რომ საკვები შეიცავს მჟავებს, რაც კბილის მინარქრის დაზიანებას იწვევს.

8:30 — მიიღეთ მზის აბაზანა. ადამიანები ძირითადად, სამსახურში მიდიან მაშინ, როცა მზე კარგად არ ანათებს და თანაც, მთელ დღეს ოფისში ატარებენ, სადაც მეტწილად, ხელოვნური განათებაა. გაითვალისწინეთ, ადამიანისთვის მზის სხივები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ის ბუნებრივი ანტიდეპრე-

სანტია და ორგანიზმში D ვიტამინის გამოშვებებს უწყობს ხელს, კიბოსა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს ამცირებს. ასე რომ, დღის საათებში გასეირნება ძალიან სასარგებლოა, მაგრამ თუ მზის აბაზანებს ფანჯრის ახლოს მჯდომი მიიღებთ, არც ეს იქნება ურიგო.

10:00 — გაერკვიეთ პრობლემებში. ყველაზე კარგად ტვინი დროის ამ მონაკვეთში მუშაობს.



11:00 — საპირფარეოში შესვლის დროა. ამ დროს თირკმლები ყველაზე აქტიურად მუშაობს და ამიტომაც, მოზარდვა აუცილებელია. მედიცინის დოქტორი სენე კეპა აღნიშნავს, რომ ეს პროცესი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას სვამთ. იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ჩვენგანი დილას ყავით იწყებს, შარდის ბუშტი 3-4 საათში ივსება. ამასთან, მისი შეკავება საშარდებულის სხვადასხვა ინფექციისა და კენჭების განვითარებას უწყობს ხელს.

13:00 — ისადილეთ. დროის ამ

მონაკვეთში საქმლის მომწელებელი სისტემა ყველაზე ეფექტურად მუშაობს. კარგი იქნება მსუბუქი სადილი, ცილების და ნახშირწყლების სწორი ბალანსით.

13:30 — გაგზავნეთ მნიშვნელოვანი წერილები. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ხშირად, ადამიანებს ეწ. EMAIL STRESS აღენიშნებათ და ზოგჯერ, შესაძლოა, ამან წნევის მატებაც კი გამოიწვიოს. თუ წერილებს ნასადილევს გაგზავნით, სტრესის ხარისხი მნიშვნელოვნად დაბალი იქნება.

15:00 — გაისეირნეთ. სადილის გადამუშავების პროცესში შეიძლება, ძილი მოგერიოთ, მაგრამ ამ დროს მოსვენება რეკომენდებული არ არის. ძილიანობასთან გამკლავების საუკეთესო მეთოდი 20-წუთიანი გასეირნებაა. თანაც, თუ მზე ანათებს, თქვენთვის აუცილებელ ულტრაიისფერ სხივებსაც მიიღებთ.

17:30 — ივარჯიშეთ. ამ დროს სხეულის ტემპერატურა მაღალია, ეს ყველაფერი კი კუნთების მაქსიმალურ სიძლიერეს, მოქნილობასა და გამძლეობას უწყობს ხელს.

18:20 — გამოიცვალეთ ფეხსაცმელი. დღის განმავლობაში ფეხები შეიძლება, შეგიშუბდეთ, რაც ქსოვილებში სითხის დაგროვებითაა გამოწვეული. დედაქალაქის მიზიდულობის ძალა ამ სითხეს ფეხებისკენ ჩამოიტანს და ამ შემთხვევაში, ფეხსაცმლის გამოცვლა აუცილებელია.

19:00 — დალიეთ ერთი ჭიქა წითელი ღვინო. ამ პერიოდში ღვიძლი ალკოჰოლის ტოქსიკური მოქმედების ნეიტრალიზებას ასდენს და დროის ამ მონაკვეთში მიღებული ერთი ჭიქა წითელი ღვინო თქვენს ჯანმრთელობას მხოლოდ სარგებლობას თუ მოუტანს.

19:30 — ივარჯიშეთ. კვლევებმა უჩვენა, რომ არასწორ დროს კვებამ შეიძლება, წონის მატება გამოიწვიოს.

სპეციალისტები გვირჩევენ, დაძინებამდე 2-3 საათით ადრე ვივახშმოთ. ამასთან, უნდა გამოვირცხოთ დიდი რაოდენობით შაქრის მოხმარება.

21:30 — მოემზადეთ დასაძინებლად. ადამიანს საშუალოდ, დღეში 7-8 საათი უნდა ეძინოს. კარგია, თუ ყოველდღე ერთსა და იმავე დროს დაიძინებთ და გაიღვიძებთ — ამ განრიგის მისაჩვენებლად 3-4 კვირა დაგჭირდებათ.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დღის ასეთი განრიგის დაცვა ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირების საწინდარია.

P.S. პატივცემული მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



ახალი წიგნები თქვენს მეურნატი



სწავლეთ და მოახერხებთ მათ.

ადამიანი



„გაუცინეთ სამყაროს და ამით ცხოვრება უკეთესი გახადეთ“...



დღეს, როცა ჩვენ გვერდით ცხოვრებაზე ხელჩაქნეული უამრავი ადამიანია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, 30 წლის რატი იონათამიშვილის ცხოვრება მათთვის მისაბაძი მაგალითი შეიძლება გახდეს. მისმა ენერგიულობამ, მიზანდასახულობამ, სიცოცხლის სიყვარულმა, მომავლის რწმენამ, ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. რატი 11 წლის წინ ავტოავარიაში მოყვა... გადარჩა. მაგრამ დამოუკიდებლად გავლა ვეღარ შეძლო. როგორც თავად ამბობს: „ახალ ნაპირზე“ აღმოჩნდა. მომხდარი მალე გააანალიზა და ცხოვრება „ახალი ნაპირიდან“ ძველებური შემართებით დაიწყო... ის მომხდარისაგან ტრაგედიას არ ქმნის და ჩვენც იმავეს გვირჩევს: „გაუცინეთ სამყაროს და ამით ცხოვრება უკეთესი გახადეთ...“ რატი დღეს შეყვარებულია...

თამუნა კვინიკაძე

— უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა ავტოავარიაში მოყვევი... პირველად ამ ეტლში რომ ჩავჯექი, მეგონა, რომ ის ჩემი დროებითი მდგომარეობა იყო და გავლას მალე შევძლებდი. მთელი ენერგია სამედიცინო რეაბილიტაციისკენ მქონდა მიმართული, მაგრამ დადგა მომენტი, როცა მივხვდი, რომ „სხვა ნაპირზე“ ვიყავი და იმ ნაპირიდან ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო.

— ამ ყველაფრის გაანალიზება რთული არ იყო?

— რა თქმა უნდა, რთული იყო. ინვალიდობა ისეთი რამ არის, რაზეც არავინ ოცნებობს. თუ ასე დამემართებოდა, არ მეგონა, მაგრამ ცხოვრებაში არავინ არაფრისგან არის დაზღვეული.

— სასონარკვეთის მომენტი არ გქონია?

— არ ვარ ისეთი ადამიანი, რომელიც შეიძლება, სასონარკვეთა-

ში ჩავარდეს. ჩემი დევიზია: „არასოდეს არაფრისგან არ შექმნა ტრაგედია“; ამ სიტყვებს მათ ვუმეორებ, ვინც იმ გზას ახლა გადის, რომელიც მე უკვე გავიარე. ვურჩევ, ყველაფერი როგორც თავგადასავალი, ისე მიიღონ, რომლის მთავარი გმირებიც თავად არიან. პირადი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრა, ადამიანს ცხოვრებაში როგორი პრობლემაც უნდა ჰქონდეს, თუ ბრძოლის უნარს, სიცოცხლის ხალისსა და ინტერესს არ დაკარგავს, ცხოვრებაში სიხარულის განცდა მუდმივად ექნება. ადრეული ასაკიდან დამოუკიდებელი ვიყავი, ვცდილობდი, ყველაფრისთვის, რაც მაინტერესებდა, სხვისი დახმარების გარეშე მიმეღწია. დღეს ჩემთვის ეტლი იმ ფუნქციას ასრულებს, როგორც, ერთ დროს, ფეხსაცმელს ჰქონდა. იგი გადაადგილების საშუალებაა! სამწუხაროდ, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს, როგორც ავადმყოფს, ისე აღიქვამენ. სამედიცინო დანესებულებებს

ჩვენზე ხშირად, არაინვალიდო ადამიანები აკითხავენ. არ უნდა ვცდილობდეთ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები მოვარგოთ გარემოს, პირიქით — გარემო უნდა მოვარგოთ მათ. გეტყვით, ჩემთვის პრობლემა სად ჩნდება — დილით ვდგები, შევდივარ სააბაზანოში, ვსაუზმობ (ყველაფერს დამოუკიდებლად ვაკეთებ), გამოვდივარ სახლიდან და არ მაქვს არჩევანი — გზა საზოგადოებრივი ტრანსპორტით გავაგრძელო თუ ტაქსი გავაჩერო?!

— ცხოვრება „ახალი ნაპირიდან“ როგორ გააგრძელებ?

— მალევე მივხვდი, სად გადიოდა ზღვარი სამედიცინო და სოციალურ რეაბილიტაციას შორის. ფეხზე გავლის ილუზიით არ მიცხოვრია, თავი „სირაქლემას პოზაში“ კი არ ჩავიყენე, რეალობისთვის თვალის გასწორება შეეძელი. საკუთარ თავს ვუთხარი: კარგი იქნებოდა, ასე არ მომხდარიყო, მაგრამ ამითაც არაფერი დამთავრებულა, მომავალზე უნდა ვიფიქრო-მეთქი!



დამიჯერეთ, წარმატებას ეტლში მჯდომამაც შეიძლება, მიაღწიო. მთავარია, ადამიანი საკუთარ თავში არ ჩაიკეტოს და არ დაითრგუნოს. 30 წლის ვარ, ჩემს განვლილ ცხოვრებას თვალი რომ გადავაგვლო, ვერ ვიტყვი, რომ ის 19 წელი შემდგომ 11 წელზე უკეთესი იყო. იმ დღის შემდეგაც იმდენი დაუვიწყარი და შინაარსიანი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში, მის გარეშე თავი ვერც წარმომიდგენია.

— უნივერსიტეტში სწავლის დასრულება თუ შექელი?

— უნივერსიტეტში ეტლით არ მივსულვარ, უამრავი სხვა დაწესებულების მსგავსად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, იქ არანაირი პირობა არ არის შექმნილი. საერთაშორისო სტანდარტი არ არის დაცული. ამიტომ მეცადინეობა დამოუკიდებლად გავაგრძელე, ბოლოს ლექტორები სახლში მოვიდნენ და გამოცდები ასე ჩავაბარე. ეს ჩემი არჩევანი არ იყო. შეღავათები არ მჭირდებოდა, თანაბარ პირობებში ყოფნა მინდოდა.

— რომ არა ავტოავარია, მომავალი როგორ წარმოგედგინა?

— ძალიან მინდოდა, უნივერსიტეტში ქართულ ლიტერატურაში ან ფოლკლორისტიკაში ლექციები წამეკითხა. 2003 წელს ლექტორად მართლაც მიმიწვიეს, 12 ლექცია ჩავატარე და წამოვედი. ძნელია, გვერდით ყოველთვის გყავდეს ადამიანი, რომელიც კიბეზე ასვლაში დაგეხმარება. ხშირად მეკითხებიან, — რა შეცვალა მომხდარმა ჩემს ცხოვრებაში? პიროვნულად არ შევცვლილვარ, მაგრამ შემიცვალა სამსახური. რომ არა ავტოავარია, ახლა „კოალიციაში“ არ ვიქნებოდი.

— რას გულისხმობ?

— ვმუშაობ „კოალიციაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“, სადაც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერი ვარ. ჩვენი მიზანი შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის თანაბარი პირობებისა და უფლებების შექმნის ხელშეწყობაა.

— საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბევრი ადამიანი ცხოვრობს?

— არაოფიციალური მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა კატეგორიის 240000 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანია. ეს დიდი ციფრია! მათთვის განათლება და დასაქმე-

ბა ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მაგალითად, უსინათლოებისთვის არ არსებობს შესაბამისი შრიფტის მქონე ლიტერატურა, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს გამოადგებოდათ. ამის შესახებ უკვე ვთქვი, საგანმანათლებლო დაწესებულების მენობები ისეა აგებული, ჩემი კატეგორიის ადამიანთათვის შესვლა შეუძლებელია. პანდუსების (შენობაში ეტლის სპეციალური შესასვლელი) გარდა, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, სველი წერტილებიც არ არის დამონტაჟებული. ამ ყველაფრის აღმოსაფხვრელად, აქტიურად ვმუშაობ. საერთო ძალისხმევით უნდა მივალწიოთ იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის პირები მუდმივად დახმარებით არ ცხოვრობდნენ, რომ თვითონ გახდნენ გადასახადების გადამხდელები. უნდა შეიცვალოს კანონმდებლობა და ამ საკითხის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაც.

— მაინც როგორია საზოგადოების დამოკიდებულება?

— უმეტესობას ინვალიდის ეტლში მჯდომი ადამიანი არასრულფასოვანი პიროვნება ჰგონია და ებრალება (ილიმის). ქუჩაში როგორც უცხოპლანეტელს, ისე გვიყურებენ. ვაჩერებ ტაქსის და ათიდან ცხრა შემთხვევაში, მძღოლი მეკითხება: — რა მოგივიდა? გეშველება რამეო? ვილაც გვერდით ჩაგივლის და თავისთვის ჩაილაპარაკებს — „საცოდავი“. ამაზე მეღიშება, მაგრამ ზოგიერთისთვის ასეთი დამოკიდებულება ძალიან დამთრგუნველია. სწორედ ამის გამო ბევრი, სახლში იკეტება და საზოგადოებასთან კონტაქტზე უარს ამბობს.

რატი იონათამიშვილი საოცრად აქტიური ადამიანია, ის ორი პოეტური კრებულის: „წყვეტილი სახეები“ და „ლიმილის ხაზი“ ავტორია. იზიდავს უძველესი ცივილიზაციებისა და კულტურების კვლევა. „კოალიციაში“ საქმიანობის პარალელურად, სიმბოლოების და ნიშნების ქართულ ენციკლოპედიაზეც მუშაობს. ბუნებრივია, ამ ყველაფრის შემდეგ, რატის პირადი ცხოვრებითაც დავიწყებთ; როგორც თავად ამბობს, ის მთელი ცხოვრება შეყვარებულია, ან მასზე არიან შეყვარებული. მაგრამ როგორც დღეს არის, ასეთი ბედნიერი არასდროს ყოფილა. მის გვერდით არსებობს ადამიანი, რომელზეც საუბარს შემდეგი სიტყვებით იწყებს:

— ის ჩემი მეგობარიც არის, მესაიდუმლეს და შეყვარებულაც. მზად ვარ, მას ჩემი ერთგულება მივუძღვნა. მანამდე ერთგულებას ვერავის ვუძღვნიდი. აი, ასეთი „გაფუჭებული“ ვართ (იციან). აი, მისი ფოტოები (შეყვარებულის სურათებს მიჩვენებს). — ავტ.)

— ძალიან ლამაზი გოგოა...

— ამ ადამიანით „გავიცანია“ სიყვარული, ბედნიერება, ერთგულება, სიმშვიდე, სიგიჟე...

— დიდი ხანია, ერთმანეთს იცნობ?

— ასე მგონია, მთელი ცხოვრება ვიცნობ.

— მისი მოხიბვლა როგორ მოახერხე?

— ეს თავად მას ჰკითხე...

— გამაცნობ?

— სიამოვნებით, მაგრამ ამჟამად საქართველოში არ არის, სამსახურიდან მივლინებით საზღვარგარეთ იმყოფება და 2 კვირაში დაბრუნდება. აუცილებლად გაგაცნობ და თუ სურვილი გექნება — ბევრად უფრო საინტერესო ამბებს ის მოგიყვება ჩვენზე.

— ხომ არ ფიქრობ, თქვენს სიყვარულზე რომანი თავად დაწერო?

— ჩვენი სიყვარული ჯერ კიდევ „შექმნის“ პროცესშია. წინ ბევრი ლამაზი და საინტერესო დღე გველის. ახლა ამ ურთიერთობით ვტკბები, სიბერეში კი შეიძლება, რამე დაგვწერო.

— თქვენი ურთიერთობის შესახებ მისმა მშობლებმა თუ იციან?

— რა თქმა უნდა, დასამალი არაფერია. ისინი ჩემი კარგი მეგობრები არიან, რადგან პატივს მცემენ და მაფასებენ.





— ერთმანეთს სიურპრიზს სწორად უწყობთ?

— ერთმანეთის გაოცებას ორივე ვახერხებთ. ერთხელ მასთან დავიჩიველ: სახლში ჩემი ლექსების კრებული საერთოდ აღარ დამრჩამეთქი. სიყვარულის დღეს მიყიდა და მაჩუქა. ასე რომ, ერთმანეთს საჩუქრებითაც ვანებივრებთ და ვჩხუბობთ კიდევ.

— რაზე ჩხუბობთ?

— თავად მეჩხუბება, ეტლში ჩამსვიო. თავიდან უარს ვუბნებდი, ინუნუნებდი, ინუნუნებდი და ბოლოს მაინც თავისი გააქვს. ის ჩხუბი, რომელიც ადამიანს გულში ბოლმას, წყენასა და ტკივილს უტოვებს, ცუდია, ხოლო ჩხუბი, რომლის დროსაც იმ ადამიანს, რომელიც გიყვარს, სხვა კუთხით გაიცნობ, აფასებ და გეძვირფასება — სულ სხვაა. არ მახსოვს, მასთან ისე მეჩხუბოს, რომ მეტად არ შემეყვარებოდა! როცა ორ ადამიანს ერთმანეთი მართლა უყვარს, მათი დაახლოება კოცნასთან და ჩახუტებასთან ერთად, ჩხუბსაც შეუძლია...

— თქვენი ქორწილის დღე როგორ წარმოგიდგენია?

— ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს დღე ლამაზი და შთამბეჭდავი იყოს! დედოფალს სიურპრიზს აუცილებლად მოვუწყობ. ჩემი მომღერალი მეგობრები ჩოხებითა და ხანჯლებით მოვლენ და ხალხურ სიმღერებს გვიმღერებენ. ერთი სული აქვთ, როდის ვიქორწინებ!

— და მართლაც — როდის დადგება ეს დღე?

— (იცინის) ჯერ არ ვიცი...

— ბედნიერებას გისურვებ!

— გმადლობ.



დედოფალს სიურპრიზს აუცილებლად მოვუწყობ

გულუხვი, სიმპათიური ქართველი მამაკაცები ქართველ სტრიპტიზორს ოქროს კოშკებს ჰპირდებიან

მარი ჯაფარიძე

ამბობენ, რომ ცუდი პროფესია არ არსებობს. ჩემი აზრით, სტრიპტიზორი პროფესია კი არა, ცხოვრების წესია, რადგან თუ ამ საქმეს მისდევ, იძულებული ხარ, დღის რეჟიმი ისე შეცვალო, როგორც საქმე მოითხოვს — ღამით გელევიძის, დღისით კი იძინო. „ქალი, რომელიც სახალხოდ იხდის, იმ რეჟისორს ჰგავს, რომელიც ფილმის ბოლოს კვანძის გახსნას გპირდება“, — ეს ჰიჩკოკის სიტყვებია. თუ სტრიპტიზბარში ყოფილხარ და იქ მყოფი ადამიანების, განსაკუთრებით — მამაკაცების სახეებს დაჰკვირვებინარ, დამეთანხმებით, რომ რაც უფრო შიშვლდება მოცეკვავე, მით მეტად უფართოვდება თვალები, უფრო სწირად ყლაპვენ ნერწყვს და აზარტშიც უფრო მეტად შედიან. ასეთი გართობის მოყვარულნი იმაშიც დამეთანხმებიან, რომ სტრიპტიზი სინამდვილეში მაყურებელი მამაკაცის გახდის („ჩახდის“) პროცესია (უკაცრავად ასეთი გამოთქმისთვის) და დარბაზში მყოფთ უფრო „აშიშვლებს“, ვიდრე — მოცეკვავეს. ამ საკითხის გარშემო იმიტომ შეეჩერდი, რომ მინდა, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოცეკვავე, ნინო ჯაშახიშვილი წარმოგიდგინოთ. ჩვენი საუბარი მის საყვარელ ბილიარდის კლუბში შედგა. გარდა იმისა, რომ მისი პროფესიის შესახებ უამრავი საინტერესო რამ შევიტყვე, ახალი ტერმინიც ვისწავლე — „კონსუმატია“. ეს ის გახლავთ, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით და რის გამოც მკითხველს მოვუბოდიშე. უფრო დაზუსტებით კი ინტერვიუდან შეიტყობთ.



— რუსთავში დავიბადე და გავიზარდე... აქ მხოლოდ დედა, ბები და ბიძა მყვანან. მამა 17 წელია, მოსკოვში ცხოვრობს. 3 წლის რომ ვიყავი, იმის მერე თვალთ არ მიჩახავს. მე და დედა მეგობრები ვართ, არაფერს ვუმაღავ და მის აზრს ყოველთვის ვითვალისწინებ.

— შესაბამისად, ალბათ არც ის დაგიმაღავს, სად მუშაობ?

— რა თქმა უნდა, იცის ამის შესახებ. თავიდან ცოტა წინააღმდეგი იყო, მაგრამ უკვე შეეგუა.

— სტრიპტიზის შესწავლა რამ გადაგანწყვეტინა?

— ცეკვა ბავშვობიდან მიყვარდა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, რომ სტრიპტიზს ვიცეკვებდი. სკოლის დამთავრების შემდეგ, კომპიუტერულ-

ლი პროგრამების შესწავლა გადაწყვიტე. კურსები დავამთავრე და სტრიტიკატიც ავიღე, მაგრამ სამსახური ვერ ვიშოვე. შემდეგ სტრიპტიზბარში მიმტანად მუშაობა შემომთავაზეს და დავთანხმდი. რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთ-ერთ დღესასწაულზე გოგონებმა ვიქეიფეთ, ცოტა დავლეე და გადავწყვიტე, ძელზე მეცეკვა. ეს ჩემი პირველი მცდელობა იყო. ვინაიდან ბავშვობაში ტანმოვარჯიშე ვიყავი და 8 წელი ვვარჯიშობდი, სულაც არ გამჭირვება საკმაოდ რთული ილეთების შესრულება. ჩემს ცეკვას თვალი მოჰყრა ბარის მეპატრონემ და მითხრა, ხვალიდან მიმტანად კი არა, მოცეკვავედ იმუშავე. შემდეგ 2 დღე ვცეკვავდი სტუმრებისთვის, მაგრამ არ ვინდიდი. მერე გახდაც გაუბედ. სიმარ-



ტაშასაც კი ვიმსახურებ, რაც სტრიპტიზბარში იშვიათია

თლემ რომ გითხრათ, თავიდან დაძაბული ვიყავი, მაგრამ შემდეგ შევეჩვიე. გამუდმებით ვვარჯიშობდი, ახალ ილეთებს ვეუფლებოდი და რაც ვიცოდი, იმას ვხვდნდი. ახლა ერთ-ერთ პროფესიონალ მოცეკვავედ მიმიჩნევენ.

— მოდი, „ნიჭიერს“ თუბა „მოვილოთ“. როგორ მოხვდი ამ პროექტში?

— როდესაც რეკლამა გადიოდა, გადავწყვიტე, მივსულიყავი და ბედი მეცადა. ვიფიქრე, რომ საქართველო-

ში ჟიურის წინაშე ძირითადად, ხალხურ ცეკვებსა და სიმღერებს წარადგენდნენ, ჩემი გამოსვლა კი განსხვავებული იქნებოდა. გარკვეულწილად მართალიც აღმოვჩნდი. მაყურებელმა იცის, რომ პირველ გამოსვლაზე ანუ კასტინგზე გავიხადე. მაშინ სკამზე ვიცეკვე. ეს პირველი მცდელობა იყო, მაყურებლის წინაშე ძელის გარეშე წარმდგარიყავი და ვფიქრობ — გამომივიდა. შემდეგ ეტაპზე სცენაზე უკვე ძელი დაამონტაჟეს, მაგრამ აღარ გავიხადე.

— საკმაოდ რთულ ილეთებს ასრულებდი. ამას უფრო ტრიუკები შეიძლება, რომ ვუწოდოთ.

— ჩემი ფიზიკური მომზადება იმის საშუალებას მაძლევს, რომ რთული ილეთები შევასრულო. მაგალითად, ფეხით თავქვე ვეკიდები. ეს ძალზე რთულია და ყველა ვერ ასრულებს. როცა ამ ილეთს ვაკეთებ, ტაშასაც კი ვიმსახურებ, რაც სტრიპტიზბარში იშვიათია.

— საქართველოში რამდენიმე სტრიპტიზბარია, სადაც ძირითადად რუსები და უკრაინელები მუშაობენ. სხვა ქვეყნებიდან მოცეკვავეები იმიტომ ჩამოჰყავთ, რომ ქართველი გოგონები სტრიპტიზის ცეკვაზე უარს ამბობენ. ეს ბარიერი როგორ გადალახე?

— ბევრმა არ იცის, რომ ეს სტრიპტიზი კი არა, სტრიპარტია, ხელოვნებაა და არა — მეძაობა. მე ვცეკვავ ანუ ხელოვნებას ვემსახურები. როდესაც „ნიჭიერში“ ჩემი გამოსვლა იხილეს, მამაჩემის ნათესაებმა დამირეკეს და მითხრეს, ჩვენთვის მკვდარი ხარო. მიდი, ახლა და მათ აუხსენი, რომ ხელოვანი ხარ! თუმცა, მათთვის დიდი ხანია, „მკვდარი“ ვარ, რადგან რაც მამაჩემი მოსკოვში წავიდა, ჩემი მონახულებით, თავი არ მოუკლავთ.

— ძელზე შესრულებული ნომრის შემდეგ მაგიდებს შორის აგრძელებ ცეკვას და შესაბამისად, კლიენტებთან ურთიერთობ. წინასწარ არჩევ, ვისთან უნდა მიხვიდე?

— როცა კლიენტთან მიდიხარ და უშუალოდ მასთან კონტაქტობ, ამას კონსუმაცია ჰქვია. ამ დროს, შენი ცეკვით მოხიბლული მამაკაცები ცდილობენ, გასიამოვნონ: ფულს გჩუქნიან, სასმელზე გეპატიჟებიან. მეც იმ სასმელს ვუკვებ, რომელიც ძალიან მიყვარს. საკმაოდ ძვირია, რის გამოც თავს უფლებას ვერ ვაძლევ, რომ ვიყიდო. არადა, შესაძლოა, ისეთი გულუხვი კლიენტი შეგხვდეს, რომ 2-3 ბოთლი ძვირად ღირებული შამპანური გიყიდოს. ზოგიერთი მამაკაცი ძალზე უხეშია, მაგრამ — გულუხვი. ზოგიც საკმაოდ ტაქტიანია.

რადიომკურნალი

იპოვე შენი მკურნალი „წალიცობის“ ეთერში!

ყოველ ოთხშაბათს, 15:30 საათზე სალომი ლილუაშვილთან ერთად





ძირითადად, ისეთ კლიენტებს ვარიდებთ თავს, რომლებიც ვიცი, რომ სექსს შემომთავაზებენ.

— ასეთი შემთავაზებით ხშირად მოგმართავენ?

— უჰ, კი, ძალიან ხშირად. არ ვიცი, ამ მხრივ სხვა კლუბში საქმე როგორაა, მაგრამ ჩვენთან, „დივაში“ აკრძალული გვაქვს კლიენტისთვის ტელეფონის ნომრის მიცემაც კი. თუ ამ წესს არ დაიცავ, შესაძლოა, სამსახური დაკარგო. სურვილიც არ მაქვს, კლიენტს სადმე სხვაგან შევხვდე და მასთან სექსი მქონდეს. ჯერ ერთი, შეყვარებული მყავს და მას არ ვუღალატებ, მეორეც — მოცეკვავე ვარ და არა — მეძავი.

— შეყვარებული სად გაიცანი, სამსახურში ხომ არა?

— არა, რას ამბობთ? ის საერთო მეგობრების წრეში გავიცანი და სურვილიც არ აქვს, ჩემი ცეკვა ნახოს. ის კი არა, ტელევიზიითაც კი არ უნახავს ჩემი გამოხედა. ვერ ეგუება ჩემს სამსახურს, ამის გამო ხშირად ვვამათობთ კიდეც, მაგრამ გარკვეული მიზანი მაქვს, რომელსაც აუცილებლად უნდა მივაღწიო და ცეკვას თავს მხოლოდ იმის შემდეგ დავანებებ.

— რა მიზანია ასეთი?

— მინდა, გარკვეული თანხა მოვაგროვო, რომ რაიმე საქმე წამოვიწყო. მინდა, დედას დავეხმარო, რომ კარგად იგრძნოს თავი და მინდა, ყველამ თქვას, რომ მიზანდასახული ადამიანი ვარ, რომელმაც ცხოვრებაში ბევრს მიღწია!

— კლიენტი ფულს რომ გჩუქნის, ეს ალბათ მხოლოდ შენია, არა?

— დიას, ჩვენ ამას „ჩაის“ ვეძახით. ეს არის გამოუმუშავებული თანხა, რომელიც მხოლოდ შენ გეკუთვნის...

— მაგრამ როდესაც ისდი, მხოლოდ ტრუსის ანუ ტანგას ამარა რჩები, სადაც კლიენტები ფულს გიკუჭავენ, ის კი იმდენად პატარაა, რომ არა მგონია, თანხა ბლომად „დაიტოს“.

— (იცინის) ამაზე ნუ იდარდებთ. ნეტავ, იმდენი მაჩუქონ, რასაც ის პატარა ტრუსი დაიტევს...

— ერთი ლამის განმავლობაში, მაინც რა თანხა გამოგიმუშავებია?

— ერთი ღამე მასხენდება, როცა 1.200 დოლარი გამოვიმუშავე. თვეში საშუალოდ, 2 ათას დოლარს ვშოულობ.

— სარფიანი საქმე ყოფილა...

— კლიენტს გააჩნია. თუ გუ-

ლუხვი კლიენტი შეგხვდა, ჩათვალე, რომ გაგიმართლა. თუმცა ფულის გარდა კლიენტები ხშირად თავიგულს ან ძვირფას საჩუქრებსაც მიძღვნიან. მაგალითად, ერთმა ლეპტოპი მაჩუქა, მეორემ — ოქროს ძენკვი.

— ვიცი, რომ თქვენთან ვიპოვებ, სადაც მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კლიენტისთვის ცეკვამამაკაცები სექსის მოთხოვნით ასეთ დროს არ განუხებენ?

— მამაკაცი ყველგან მამაკაცია, დარბაზშიც და ვიპოვებ... ვცდილობ, რომ ისინი ჩემს სურვილს დაემორჩილონ. თუ ძალიან „გაახურებს“, დაცვას დაუფიქრებ და ყველაფერი მოგვარდება.

— თქვენთან ალბათ ბევრი ცნობილი ადამიანიც დადის...

— დასახელებას ნუ მომთხოვთ, მაგრამ ისე გეტყვით, რომ ძალიან ბევრი დადის, ბევრიც — უცხოელი, მაგრამ ქართველი მამაკაცები გაცილებით გულუხვები არიან და უფრო სიმპათიურებიც. ჰო, მართლა — უცხოეთშიც მიმუშავია სტრიპტიზბარში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს საქმე საქართველოში უფრო სარფიანია, ვიდრე — საზღვარგარეთ.

— შენი დღის რეჟიმი როგორია? ღამისთევა არ გიჭირს?

— უკვე შეეჩვიე. ვიდრე ბოლო კლიენტი არ დატოვებს ბარს, მანამ-



მინდა, გარკვეული თანხა მოვაგროვო, რომ რაიმე საქმე წამოვიწყო



ერთი ღამე მასხენდება, როცა 1.200 დოლარი გამოვიმუშავე

დე ვმუშაობთ, ძირითადად, დილის 6 საათამდე. შემდეგ შინ მივდივარ, ვიძინებ, შუადღისთვის ვიღვიძებ, სალონში მივდივარ და ვარცხნილობას ვიკეთებ. თითქმის ყოველდღე საბილიარდოს ვსტუმრობ და მეგობრებთან ერთად ბილიარდს ვთამაშობ, შემდეგ მძლოლი მაკითხავს და სამსახურში მივდივარ.

— მძლოლიც გყავს?

— დიას, ყოველდღე მაკითხავს ტაქსი. საღამოს შინ, დილით კი — სამსახურში. დაგვიანება არ შეიძლება. ამაზე სასტიკად ვართ გაფრთხილებულნი.

— ბარის ხელმძღვანელობასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ? თქვენს ინტერესებს თუ იცავენ?

— ქალბატონი პატრიციათი მოხიბლული ვარ. ეს არის ქალი, რომელმაც ზუსტად იცის, რა უნდა ამ ცხოვრებისგან და როგორ მიიღოს სასურველი. ძლიერი ნებისყოფის ქალი გახლავთ და ნებისმიერ ქალს მაგალითად გამოადგებოდა მისი შემართება და ჭკუა.

— მოცეკვავეები ერთმანეთს თუ უზიარებთ ხოლმე აზრს, კლიენტებზე თუ ჭორაობთ?

— ქალი ცოტა ჭორიკანაც უნდა იყოს. დიას, ერთმანეთს ვუყვებით, ვის როგორი კლიენტი შეხვდა, ვის რა უთხრა ამა თუ იმ მამაკაცმა და ა.შ. თუმცა, ერთი რამ მინდა აღვნიშნო: კლიენტები მხოლოდ სექსს არ გთავაზობენ. ბევრი მამაკაცი გეუბნება, რომ „ამ ჭაობიდან“ შენი ამოყვანა უნდა (სულაც არ მიიმაჩნია, რომ „ჭაობში“ ვარ); გთავაზობენ — ბინას გიყიდი, რასაც გინდა, ყველაფერს აგისრულებ, ოღონდ აქედან წამოდი და ჩემ გვერდით იყავიო. ყველამ ვიცი, რომ ეს ბლეფია! თან, ვერც ენდობი, ზუსტად იცი, რომ გატყუებს. თუმცა, როცა ამას გეუბნება, ამ დროს გულწრფელია და თვითონაც სჯერა, რომ ამის გაკეთება სურს, მაგრამ დილით რომ გამოფხიზლდება, აზრს შეიცვლის. მას მხოლოდ იმ ნუთში უნდისარ, შენი გულის მოსაგებად ათას რამეს გპირდება. ერთი მამაკაცი ჩემი ცეკვის სანახავად 3 თვის განმავლობაში, ყოველდღე დადიოდა და ყოველდღე უზარმაზარი და უღამაზესი ვარდების თაიგული მოჭიქონდა. ამ ხნის განმავლობაში იმდენი ფული დამახარჯა, რომ იმ თანხით ერთ ბინას მართლა მიყიდდა...



„მიშაკაში“, ჯიუსი, მაგჩემ სოუსჩაჲ ბანათღეაჲლი თარაჲ

„ზოგჯერ ბინდა, შენს ჭკუაზე „გაინავარდო“

თინეიჯერები გვწერენ, რომ მათ მშობლები ვერ უგებენ, რაღაცებს უკრძალავენ, შეყვარებულებს უწუნებენ და ა.შ. უნდა ჩაერიონ თუ არა მშობლები შვილების არჩევანში? — ეს ის კითხვაა, რომელიც ყველა თაობის ადამიანს — მოზარდსაც და ზრდასრულსაც უჩნდება.

ლიკა ქავაია

ღამურა, 17 წლის:

— ზოგჯერ მშობლებზე ვბრაზობ, მაგრამ მერე ვხვდები, რომ ისინი მართლები იყვნენ. ბევრჯერ, სწორედ მათი წყალობით ავარიდე თავი უსიამოვნო სიტუაციას. ისინი გამოცდილი ადამიანები არიან, ჩვენი ასაკი გამოვლილი აქვთ და ცხადია, მათი რჩევა გასათვალისწინებელია. თუმცა, ზოგჯერ გინდა, შენს ჭკუაზე „გაინავარდო“ და თუ ცხვირს ნაიმტვრევ, ამასაც არაფრად აგდებ.

— საინტერესოა, მშობლები ყველაზე ხშირად რას გიკრძალავენ?

— აკრძალვით არაფერს მიკრძალავენ, მაგრამ ხშირად მეუბნებიან, რომ კარგია, ამა თუ იმ ადგილას წასვლისგან თავს თუ შევიკავებ, ვილაცასთან არ ვიმეგობრებ, რადგან ის ცუდ გზას ადგას და ა.შ.

— და ეს არ გალიზიანებს ხოლმე?

— არა. საერთოდ, მშვიდი ბუნების ადამიანი ვარ, იშვიათად ვლიზიანდები. მშობლებს ვუსმენ, მაგრამ უფრო ხშირად, მათ რჩევა-დარიგებას არ ვითვალისწინებ.

— საინტერესოა, გვიან ღამით შინდან თუ გაგიშვებენ?

— თუ საჭიროა, გამიშვებენ! მაგალითად, ერთხელ მეგობარს ჩემი დახმარება დასჭირდა. სასწრაფოდ ჩავიცივი, მერე მშობლებს ვუთხარი, — გიოსთან უნდა წავიდე-მეთქი და სახლიდან წავედი. მართალია, იმ საღამოს ბევრი ინერვიულეს, მაგრამ ამის გამო ნივილ-კივილი არ აუტეხავთ.

— ალბათ იცოდნენ, მეგობართან რისთვისაც წახვედი...

— რა თქმა უნდა, მათ ვუთხარი, რისთვისაც და სადაც მივდიოდი — გიოს დედა საავადმყოფოში წაიყვანეს და მასთან ამიტომაც გავქანდი. აბა, სულ არაფერი რომ არ მეთქვა, სახლიდან ვინ გამომიშვებდა?!

— ვთქვით, მეგობარმა ღამის 2 საათზე დაგირეკა და გითხრა: სახლიდან გამოდი, მაგრამ პონტში

ყველაფერი მშობლების ჩარევის გარეშე მოაგვარონ. შეილებსთვის დედ-მამას მხოლოდ კარგი უნდა და არა მგონია, მათზე უკეთესი რჩევა მეგობარმა მოგცეს.

— მშობლები ყველგან გიშვებენ?

— არის შემთხვევები, როცა რაღაცას მიკრძალავენ, მაგრამ ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ სად და ვისთან ერთად მივდივარ. მათი აკრძალვები არ მაღიზიანებს... ერთხელ კლასელის დაბადების დღეზე შევიკრიბეთ და ვიქეიფეთ. როცა მშობლებმა მომაკითხეს, მათ მაშინვე გავყევი. ბევრი ჩემი კლასელი სხვანიარად მოიქცა — ტირილით თვალები დაისივეს, იყვირეს, მშობლებს ნერვები მოუშალეს, მაგრამ ბოლოს, მანინც მათ დაემორჩილნენ. არ სჯობდა, სახლში მშვიდად წასულიყვნენ?! რა თქმა უნდა, ეს მათთვისაც უკეთესი იქნებოდა და მათი მშობლებისთვისაც, მაგრამ ჩემს თანატოლებს ხშირად, უაზრო პროტესტის გრძნობა უჩნდებათ, ეს კი ძალიან ცუდია.

ნინიკო, 19 წლის:

— მშობლებს ვუჯერებ და ამის გამო არასდროს წამიგია. პირიქით, ყოველთვის მოგებული ვრჩები. არასდროს შევუწუხებია იმ პრობლემებს, რომლებიც ჩემს თანატოლებს აწუხებს. შეყვარებულად მყავს, რომელსაც ჩემი მშობლები იცნობენ და მასთან ურთიერთობას არ მიკრძალავენ, სასიძო მოსწონთ (იცინის).

— მის მშობლებს რომ დაეწუნებინე, როგორი რეაქცია გექნებოდა?

— მაღლობა ღმერთს, ისინი შვილის არჩევანს პატივს სცემენ და ჩემ შესახებ ცუდი არაფერი უთქვამთ (ყოველ შემთხვევაში, მსგავსი რამ არ გამიგია). ალბათ, სადედამთილოს რომ დავეწუნებინე, მის ჯიბრზე ქორწინებას დავაჩქარებდი და გულზე გავხეთქავდი. ახლა კი, როცა თავი ქუდში მაქვს, ქორწილზე მეტად, სწავლა-განათლების საკითხი მადარდებს.



გაგჩითავო, რას იზამ?

— ისეთი ტიპი ვარ, რომ ღამის 2 საათზე გარეთ გასვლა დამეზარება და ცხადია, მას ამ წინადადებაზე უარს ვეტყვი.

— და მანინც, წასვლის სურვილი რომ გაგიჩნდეს, მშობლები გაგიშვებენ?

— (იცინის) ალბათ, შემეწინააღმდეგებიან, მაგრამ სავარაუდოდ, მე ჩემსას გავიტან!

ნათია, 15 წლის:

— ჩემი მშობლები არაფერს მიკრძალავენ, მაგრამ თუ არასწორად ვიქცევი ან რაღაც სისულელეს ვიტყვი, რა თქმა უნდა, მიჯავრდებიან, შენიშვნას მაძლევენ და ეს სულაც არ მწყინს.

— შენი თანატოლების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მშობლები მათ საქმეში არ უნდა ჩაერიონ...

— მაშინ, როცა თავიანთი სისულელების გამო პრობლემები შეექმნებათ,



— მაინც, რა პროფესიის დაუფლება გაქვს გადამწყვეტილი?

— მე და ჩემს საქმროს გვსურს, თეატრალურ უნივერსიტეტში, სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბაროთ, მაგრამ თუ ამას ვერ შევძლებთ, მერე სამედიცინოზე მოვსინჯავ ძალას, ის კი იურიდიულს „დავჯავჯუტებო“. ვნახოთ, ყველაფერი უფლის ნებაა.

ნინო, 16 წლის:

— ჩემი მშობლები ყველაფერს მიკრძალავენ, მეგობრებთანაც არ მიშ-

ლაც არაა აუცილებელი, შეყვარებულს ქუჩაში შეხვედე.

— აბა, შენ და შენი „ლოვე“ ერთმანეთს სად ხვდებით?

— მეგობრის სახლში.

— მერე, მეგობრის მშობლები ამის გამო არ ბრაზობენ?

— ხომ გითხარი, ისინი ყველაფერს გაგებით ეკიდებიან-მეთქი. შენი აზრით, შეყვარებულთან შეხვედრა დანაშაულია? არა მგონია, ამქვეყნად უცოდველი ადამიანები არსებობდნენ.

დროში ცხოვრობდნენ და იმ რალაცების შესახებ, რაც მე მომწონს, წარმოდგენაც არა აქვთ.

— რას გულისხმობ?

— გართობას, ოღონდ — თანამედროვე მეთოდებით. ახლა არ მკითხო, ეგ რას ნიშნავსო!

— რატომ არ უნდა გკითხო?

— თუ ამის შესახებ აქამდე არაფერი გაგიგონია, შენც ვერ გამიგებ და რალაც სისულელეს დანერ... მოკლედ, სულაც არაა საჭირო, მშობლები შვილების საქმეებში ჩაერიონ. ისინი თავადაც გაიკვლევენ გზას.

— მაშინ, მშობლებს არც ფული უნდა სთხოვო და არც იმ შემთხვევაში მიმართო დახმარებისთვის, როცა პრობლემა შეგექმნება.

— ეგრე სად არის?! ისინი ვალდებული არიან, შვილები არჩინონ.

— შვილები მათ წინაშე ვალდებული არ ხართ?

— როცა მოხუცდებიან, მათზე ვიზრუნებ და თან, პირობას ვდებ, რომ მათ არაფერს ავუკრძალავ (იცინის). თუმცა, იმედია, ისინი „საგულაოდ“ სიარულს არ მომთხოვენ...

თამარი, 57 წლის:

— ჩემი შვილი 19 წლისაა. მისი საქციელი ხშირად მალიზიანებს, რადგან ვერ ვხვდები, რა საჭიროა ვთქვათ, პირსინგის გაკეთება წარბზე, ჭიპზე, რაიმეს ამოსვირიგება ყურზე ან ბეჭზე და ა.შ. მაგრამ ყველაზე მეტად, მისი აჩაჩულ-დაჩაჩული ჩაცმულობა მალიზიანებს. მეუბნებიან: შენ დენი-

ადამიანი თუ მოინდომებს, ყველაზე მახინჯ გოგოშიც კი იბოვის რაიმე მომხიბვლელს

ვებენ და ამის გამო, ხშირად სახლიდან გაპარვა მიწევს. ერთი მხრივ, მშობლების მოტყუება არ მინდა, მაგრამ სულ სახლშიც ვერ დავჯდები.

— როგორ ახერხებ შინიდან გაპარვას?

— ხან რას ვიმიზეზებ და ხან — რას. ძალიან მინდა, მშობლებთან მეგობრული ურთიერთობა მქონდეს, მაგრამ ყველა მცდელობა კრახით მთავრდება. ზოგჯერ, მამა ცდილობს, ჩემს ახირებებს გაგებით მოეკიდოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ერთხელ მას გაეუხილე, რომ შეყვარებული ვიყავი და ისე გაბრაზდა, სულ თავზედი ვინყევლე. მას აღარაფერს გაუშხელ! რაც უნდა კარგი შეყვარებული მყავდეს, ჩემს მშობლებს ის მაინც არ მოეწონებათ, რადგან მე მათთვის ის პრინცივა ვარ, რომლის შესაფერისი საქმრო ამქვეყნად ძნელად თუ მოიძებნება... მყავს მეგობრები, რომელთა მშობლებიც შვილების მოსაზრებებს პატივს სცემენ, ყველაფერს გაგებით ეკიდებიან. რატომ არ შეიძლება, რომ ჩემებზეც ასეთები იყვნენ? ეტყობა, ყველაფერს ბედი უნდა.

— იქნებ, ბიჭებთან ურთიერთობას მშობლები იმიტომ გიშლიან, რომ ეშინიათ, სხვებს არ მიჰბაძო და ის არ გააკეთო, რაც ქართულ მენტალიტეტს არ შეჰფერის...

— ალბათ ასეა, მაგრამ რაც მეტს ამიკრძალავენ, ისევე მათთვის არის უარესი. ხომ გაგიგონია — აკრძალული ხილი გემრიელიაო?!

— მოგეწონება, შენმა შვილმა ქუჩაში რომ „იზასაოს“?

— ალბათ, არ მომეწონება, მაგრამ მე ამას როგორ დავინახავ?... ისე, სუ-

თანაც, ოდესღაც ჩემი მშობლებიც ხომ ხვდებოდნენ ერთმანეთს?!

— ეი, მიგაჩნია, რომ მშობლები შვილების საქმეში არ უნდა ერეოდნენ?

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ყველაფერი საკუთარ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ!

ზიო, 18 წლის:

— მშობლებს ვინ ეკითხება, მე სად წავალ?! მიუხედავად მათი პროტესტისა, ღამის კლუბშიც დავდივარ, ქალებშიც და ღვინოსაც ვსვამ. მამა ცდილობდა, სახლში გამოვეკეტე, მაგრამ მიხვდა, რომ მის ამ მცდელობას მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოჰყვებოდა და შეიმეშა.

— მაინც, რა შედეგი მოჰყვებოდა?

— ერთხელ, როცა შინ ჩამეკეტეს, ვენები გადავიტყერი და მას შემდეგ ისე დაშინდნენ, რომ ჩემს ყველა ახირებას გაგებით ეკიდებიან.

— მათ ხშირად ატყუებ?

— როცა რალაცებს მიკრძალავდნენ, ვატყუებდი, მაგრამ ახლა ეს არ მჭირდება (იცინის). ისე კი, მათ ჩემ შესახებ იშვიათად ველაპარაკები.

— მერე, ეს კარგია?

— ჩემთვის — კი, მათთვის — არა. მშობლებს ყველაფერი რომ ვუამბო, ინფარქტი დაემართებათ.

— ასეთს რას აკეთებ?

— განსაკუთრებულს არაფერს, მაგრამ ისინი სხვა





კინის დროინდელი ხარ და შვილს ამიტომაც ვერ უგებო. ჰო, შეიძლება ასეა, მაგრამ რა ვქნა, მინდა, რომ ჩემი ქალიშვილი გოგონას ჰგავდეს და არა — ჯადოქარს.

— შვილი თქვენს გაგებას საერთოდ არ ცდილობს?

— მხოლოდ ჩემს დაბადების დღეზე მდებს პატივს და ისე იცვამს, როგორც მე მსურს, სხვა დღეებში კი თავისას აკეთებს.

— მის გარეგნობას თუ არ გავითვალისწინებთ...

— (მანყევტინებს) მაშინ ნამდვილი ბაჯალალოა! კარგად სწავლობს, ძალიან ნიჭიერია და ტანვარჯიშზეც დადის. მუსიკალურია, მაგრამ რად გინდა, მხოლოდ როკს უსმენს, უკრავს და მღერის. მე კი მინდოდა, კონსერვატორიაში ჩაებარებინა, პიანინოზე კლასიკური მუსიკები დაეკრა... როკის მოსმენა აღარ შემიძლია. დღის ბოლოს თავი ახდაზე მაქვს ხოლმე, მაგრამ რა ვქნა, ჩემს ჯიუტ გოგონას ვერაფერი შევაგნებინე. იცი, რას ვდარდობ? — როცა გათხოვდება, დედამთილი როგორ აიტანს? თუმცა, შეყვარებულს თავისნაირი, უცნაური იპოვა (იციანის).

— პირსინგები მასაც აქვს?

— პირსინგები არ აქვს, მაგრამ მთელი ტანი სვირინგებით აქვს აჭრელებული. ისიც როკის მოყვარულია. პალსტუხი კი უკეთია, მაგრამ დახეული ჯინსი და გაცვეთილირიანი კედი აცვია. ვინმემ რომ შეხედოს, შეეცოდება და იტყვის: საცოდავი, ეტყობა, მის ოჯახს მატერიალურად ძალიან უჭირსო. არადა, საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილია. მოკლედ, არ ვიცი, რა მეშველება. ასეთ უცნაურ შვილს კი აიტანს ადამიანი, მაგრამ სიძე ან რძალი? — ჩემს მტერს (იციანის)!

მამუშა, 39 წლის:

— თინეიჯერი ძმისშვილი მყავს და მისი ნამდვილად არ მესმის. ისეთი ქალები მოსწონს, რომელთაც მე არც კი შევხედავ. ვეუბნები ხოლმე, გემოვნებადაქვეითებული ხარ-მეთქი. ის კი მპასუხობს, — ადამიანი თუ მოინდომებს, ყველაზე მახინჯ გოგონაშიც კი იპოვის რაიმე მოხიბვლელს; კაცების უმეტესობას ამ სილამაზის აღქმის უნარი არა აქვს, მხოლოდ გარეგნულ ბრწყინვალეობას აღიქვამს და ქალის სულში ჩახედვა ეზარებაო. გადამრევენ ეს ახალგაზრდები, რა!

საშა, 60 წლის:

— ახლანდელი ახალგაზრდები ძალიან ნიჭიერები, განათლებულები

არიან. ნებისმიერ კითხვაზე შეუძლიათ, პასუხი გაგცენ. მათ ასაკში მეც ნასწავლს მეძახდნენ, მაგრამ ვალიარებ, 19 წლის ასაკში იმის ნახევარიც არ ვიცოდი, რაც დღევანდელმა 10 წლის ბავშვმა იცის. მაშინ სხვა ცხოვრება იყო, ახლანდელი კი უფრო თავისუფლები, ლალები არიან. მივესალმები ახალ თაობას და სხვებისგან განსხვავებით, მათ უნიგურებად არ მივიჩნევ.

— თქვენი აზრით, დღევანდელი თინეიჯერები არც მიმზამველები არიან?

— თუ მიმზამველობაში იმას გულისხმობთ, რომ უტყობლებივით მათაც, კომპიუტერს აუღეს ალლო, რომ ინგლისურს სწავლობენ და საყურებით დადიან, ძალიანაც ცდებით. ეს მიმზამველობის კი არა, მოდის, ცხოვრების წინსვლის ბრალია. მთელი სამყარო შეიცვალა და როგორ ფიქრობთ, ბავშვების აზროვნება, მენტალიტეტი არ შეიცვლებოდა? მოზარდებმა კომუნისტური აზროვნებით რომ იცხოვრონ, რა ხერი? თქვენი აზრით, დღეს რას მიაღწევს ნაკითხი ადამიანი, რომელმაც კომპიუტერთან მუშაობა არ იცის? — ბევრს ვერაფერს და საბოლოოდ, ჩაიძირება კიდევ!

თინეიჯერები გზარე

ბარუზინა:

„პატიმრის წერილის ნაკითხვის შემდეგ, სიცივემ ამიტანა, ამაკანკალა. არ ვიცი, რა დანაშაული ჩაიდინა ამ ადამიანმა, მაგრამ ღმერთს ვთხოვ, გისოსებს მალე დააღწიოს თავი. ვიცი, რომ თავისუფლება ყველასა და ყველაფერზე მნიშვნელოვანია. ძალიან მინდა, ამ ადამიანმა, თავის ადვოკატთან ერთად, პირადი ცხოვრება აიწყოს. წარმატებები, უცნობო პატიმარო!“

თაისი:

„გამარჯობა. ლიკა, „გზა“ რომ ვიყიდე და „თინეიჯერული პონტების“ სათაური წავიკითხე, თვალებს არ დავუჯერე — ჩემი თხოვნა გაგითვალისწინებია. ჰმ, თურმე, ფულში არ ყოფილა ბედნიერება! მერნ-მუნეთ, ჩვენი დედები საზღვარგარეთ ჯოჯოხეთურ სიტუაციაში იმყოფებიან და ბედნიერების ნატამალიც არ არის იმ ფულში, რომელსაც 5 წლის უნახავი დედა მიგზავნის.“

იუდას კაცი:

„გამარჯობა. გინდ დაბეჭდეთ, გინდ — არა, თქვენი ნებაა, მაგრამ მე ჩემი აზრი აუცილებლად უნდა დამეფიქსირებინა და თუ დაბეჭდავთ, ძალიან კარგი იქნება. ყოველ ხუთშაბათს, დილაუთენია, სიხარულით გავრბოდი საქ-პრესის ჯიხურებში, რათა

„გზა“ მეყიდა, მაგრამ ახლა, ისე შემძულდა, რომ მხოლოდ პარასკეობით ვყიდულობ. რატომ? — იმიტომ, რომ უაზრობებით დაიხუნდა ჩემი უსაყვარლესი (ახლა აღარაა უსაყვარლესი) ჟურნალი. დავინყებ უკანა ფურცლებიდან, რადგან ყოველთვის უკნიდან ვინყებ ჟურნალის დათვალიერებას (და ახლა არ თქვათ, უკუღმართიაო). რას ჰგავს „მობილიზაცია“? — ჭამენ ერთმანეთს და ამის გამო, „გზას“ კარგი ხალხი ტოვებს. დავასახელებ ASHLEY PCD-ს, რომლის წასვლის გამო გული ძალიან დამწყდა. „ყველა ერთისათვის“ — ან ეს რასა ჰგავს? ვილაც წერს: მაქვს სურვილი, ვინმე მიყვარდესო. მაგონი, ამის დამწერს ცოტა უქრის. აბა, ჩვენ, უბრალო მოკვდავები რითი უნდა დავეხმაროთ? გიყვარდეს, ბატონო, დაგინშალა ვინმემ? ვფიქრობ, ამ რუბრიკაში უმეტესობა უსაქმურობის გამო ამესიჯებს და თქვენც უბეჭდავთ. „გზავნილები“ — ამაზე ვერაფერს იტყვი. „თინეიჯერული პონტები“ — შვილებს დედა რომ იტყვის, შვილს ვერ ვიმორჩილებ, ის თავის ჭკუაზე იცვამს და დადისო, აბა, ასეთ ქალს რა უნდა ელაპარაკო? არა, რა, აღარაა ხალხი ჭკუაზე! „მინი“ თუ ისე „რომანები“ — დასაწყისი აქ, დასასრული — იქ, რას ჰგავს ეს? თუ დაინწყე, დაამთავრე რაღა, შე ოჯახსაშენებუ-

ლო, რას მასტუნავებ გვერდიდან გვერდზე?.. შემდეგ ვტოვებ უამრავ ფურცელს და ჩავდივარ პროვოკატორის შემოქმედებამდე — ეს არის ერთადერთი სახალისო და ამავდროულად, კარგი საკითხავი რამ. დაბოლოს, მინდა, რუისპირს ვუთხრა: მაგარი ადამიანი ხარ და ასე გააგრძელე. სიმართლის მთქმელი ბრძანდები და იცოდე, მიზნის მისაღწევად ბოლომდე უნდა იბრძოლო.“

„გზის“ მოყვარული:

„ვეიქდები ამ ჟურნალზე, რა. დანყებული „მინიატიურებიდან“, ყველა სტატიას ვკითხულობ და მინდა ვალიარო, რომ ძალიან მაგრები ხართ. მართალია, იშვიათად ჩემთვის უინტერესო თემაზეც იბეჭდება სტატიები, მაგრამ ეგ არაფერი — ალბათ, ისინიც ვილაცებს აინტერესებთ... გენიოსია ის, ვისაც გაუჩნდა იდეა, „გზასთან“ ერთად „პროზის საგანძურიც“ გამოუშვა. ეს უმაგრესი პროექტია და იმედია, ის ჭორები, რაც ამ პროექტის გარშემო აგორდა, მხოლოდ ჭორია და სხვა არაფერი. „გზას“ ბოროტი ენა არაერთხელ შეეხო, მაგრამ მე მჯერა, რომ ეს „გზა“ სიმართლის მაძიებელია და თავის მკითხველს არასდროს უღალატებს. გაიხარეთ, ყველანი ძალიან მიყვარხართ.“




ბიბლუსი

ბიბლუსი — იკივია, რას პაპირუსი, გრაფილი, წიგნი

წვეთი პოეზია

გაზიარება

(დღეს ბაგრატიონს აღარ მარტყია...)



დღეს ბაგრატიონს
 აღარ მარტყია
 მეფე ერეკლეს
 პირბასრი ხმალი,
 ნაირმალივით
 გულზე მატყვია
 შენი ჰატარა
 ტერფების ქვალი.

არც იერიშით მივსულვარ მტერზე,
 არც შურისგების მითქვამს პირობა,
 არ მიბრძოლია და მაინც მკერდზე
 მაზის მაგ თვალთა მძიმე ჭრილობა.
 და როცა ვინმე შენ, უტიფარი,
 მოგაპყრობს მზეურას აღსავსეს ყინით,
 მსურს დავუღუნო გულის ფიცარი,
 ჩემს წინაპართა ბრძოლის ყიყინით.
 მაგრამ დღეს წელზე აღარ მარტყია
 მეფე ერეკლეს პირბასრი ხმალი,
 ნაირმალივით გულზე მატყვია
 შენი ჰატარა ფეხების ქვალი.

პეტრე გრუზინსკი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანგარტაბითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თეიმურ ივანიძე



დასაწყისი იხ. „გზა“, №2-17

ბელზუბული ებრ. (ძვ.) — ეშმაკთმთავარი.
ბელლარი — 1. ხევზე გადებული ღარი ერთი ნაპირიდან მეორეზე წყლის გადასაყვანად — ღარხიდი (აკვედუკი). 2. წისქვილის ღარი.

ბენეფისი ფრ. — წარმოდგენა, გამართული მისი ერთ-ერთი მონაწილის პატივსაცემად.

ბენტრა (საუბ.) — ჩერჩეტი, ყყეჩი, შტერი.

ბენუარი ფრ. — თეატრში პირველი იარუსის ლოგები პარტერის ან სცენის გასწვრივ.

ბენძი — 1. ძალიან ძველი. 2. (გადატ.) ბებერი.

ბერა — ბერა თითი — ცერი.

ბერა — 1. მოზღუდულში დატოვებული ვინრო გასასვლელი (ჩვეულებრივ ცხვრის სათვლელად და სანველად). 2. (ძვ.) ზე აღმართული და გადაჯვარედინებული ხმლები, შუბები და მისთ., რომელთა ქვეშაც გაატარებდნენ ხოლმე დამარცხებულ მტერს.

ბერა — ბავშვთა ზოგიერთ თამაშში — ამორჩეული ადგილი (ქვა, ხე, კედელი), რომელსაც ბურთს მოარტყამენ, იხუჭებიან და ა.შ.

ბერდანა — ერთვანზინანი შაშხანა, რომელიც იხმარებოდა XIX საუკუნის ბოლოს (გამომგონებლის გვარის მიხედვით).

ბერკაობა (ძვ.) — წარმართული დროიდან მომდინარე თამაშობა-წარმოდგენა ერთგვარი; იმართებოდა ყველიერის კვირაში.

ბერფუცი — დაბერებული და ფუყი, გამოფიტული (მცენარე).

ბერყენა — ველური მსხლის ჯიში; იხმარება მსხლის საძირედ.

ბერწი — დაუმაკვებელი, უნაყოფო (ასაკრული საქონელი).

ბექთარი სპ. (ძვ.) — ჯაჭვის პერანგი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დროს ხომ გაუფუჭე სმენა, ახლა ამას არ მიადგე, თუ მაინცდამაინც ისე ვერ იძინებს, ჩემი დისკი ჩაურთე.

მაია ყოველთვის აპროტესტებდა ჩემს სმენამოკლებულ ლილინსაც კი.

მეგობრები



— შენ გულშიც არ უნდა მღეროდე, რომ არ გაიფუჭო, — დამცინოდა მაია, — პატარა არ გააფუჭო!

— კარგი რა, დიდი ამბავი, მაგანაც ახლა ლა-სკალაში არ იმღეროს, გენშიც არავინ გვყავს მომღერალი, — გამეცინა მე.

მაია მოჰყვა გერმანიაში დაგეგმილი გასტროლების ამბებს და ჩვენც მისი საკონცერტო კაბის დიზაინის შემუშავებას შევუდექით.

— ხომ იცი, როგორ გიხდება კლასიკური სამოსი, თანაც სულ ოდნავ სტრაზებით განყოფილი, — ვეუბნებოდი მე.

— რა ვიცი, იქნებ ძალიან არ გავიპრანჭო?

— რას ამბობ, მთელი მსოფლიოს პროფესიონალები იქ იქნებიან. აბა, გადი მაშინ ფლანელის ხალათით!

— ღმერთო, საიდან მოგაქვს ეს სისულელეები, — ორივეს გაგვეცინა.

— მოჰყევი ახლა შენს ამბებს, რაც ვიცი და რაც არ ვიცი, — მითხრა მაიამ და მე მაშინვე მივხვდი, რისი გაგებაც უნდოდა.

— რა გითხრა, ძალიან ბევრს ვმუშაობ, ვირივით ვიღლები, მე და მიმიკო საბოლოოდ დავშორდით ერთმანეთს.

— ეგ ვიცი, მერე? — მაია კატეგორიული იყო.

— მერე, მგონი, კანდელაკთან რომანი მაქვს.

— მგონი თუ გაქვს? — იკითხა მაიამ და სათვალე ჩამოინია.

— მაქვს.

— იცი, ლალი, არასოდეს არა-

ვის ცხოვრებაში არ ვერევი, მაგრამ შენ ჩემთვის დასავით ხარ, გამაგებინე, რა ხდება? შენ ხომ გესმის, რომ ეს უპერსპექტივო სვლაა? სხვის უბედურებაზე ბედნიერებას ვერ ააგებ, მას ცოლი ჰყავს.

— სვლა კი არა, ვარდნაა, ვარდნა. შენ გგონია, ამდენი არ მესმის? მარიკუნას, ერეკლესა და მანანას გიჟი ვგონივარ. ქეთი ფეხშიმედაა და ნახევარს არ ვუყვები, რომ არ ინერვიულოს, რა ვქნა, ვერაფერს ვუხერხებ თავს, ეს რაღაც მისტიკაა.

— შენ არ ამტიკებდი მთელი ცხოვრება, ასეთი სიგიჟე არ არსებობსო? შენ არ ეჩხუბებოდი უგონოდ შეყვარებულ ქეთის, არ შეიძლება კაცს აჩვენო, რომ გიჟდები მასზეო! რა გემართება?

— მეშლებოდა, არ მესმოდა. არ ვიცი, იქნებ გადამიაროს, თუმცა არა მგონია, პატარა ხომ არა ვარ, რომ მეჩვენებოდეს.

— Но вы люди разного круга!

— მერე რა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— რა და, ადრე თუ გვიან, როცა ეს სიგიჟე გადაგივლის, შეგრჩება ადამიანი, რომელთანაც საერთო არაფერი გაქვს, იმიტომ კი არა, რომ ცუდია, არა, სხვა სამყაროდან არის, სხვა იდეალები აქვს. თქვენ როგორც ცა და დედამიწა ისე განსხვავდებით ერთმანეთისგან, ნუთუ ვერ ხედავ?

— ვხედავ და ამიტომაც მომწონს, აბა, მარტო ვაკულ და ვერულ ბიჭებს აქვთ ცხოვრებაში შანსი? თუ ადგილმდებარეობა რაიმეს ნიშნავს?

— შენი საქმის შენ იცი, ერთს გთხოვ მსოლოდ, — ნუ დაინგრევ ასე სიმწრით აწყობილ ცხოვრებასა და კარიერას, არ გეცოდება შენი მონაპოვარი, თუ ვინმე რამეში დაგეხმარა? დაფიქრდი! ბიჭები გეზრდება. მე მაინც არ ვიცოდე, რა მძიმედ მოგდის ცხოვრებაში ყველაფერი, ეს გარედან ჩანხარ ასეთი უდარდელი. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ? — მაიას ხმა გაეზარა. — ისე კი მე შენ გვერდით ვარ.

— ძალიან კარგი, მაშინ გერმანიიდან რომ ჩამოხვალ, ვარიანში

წამომყევი, გიორგის უნდა ჩავატარებინო საქართველოს ჩემპიონატი კრივში. ოსი მოკრივეები გამოვლენ ცხინვალიდან, წარმოგიდგენია? პირველად ქართული დროშითა და ჰიმნით იბრძოლებენ პლივეი და ფუხავეი — მაგარი ოსი ბიჭები!

სანყალ მაიას ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სასაკლავოზე დავპატიჟე.

— ჰო, მაგრამ იქ მე რა უნდა გავაკეთო?

— ჩემიანები ყველანი უნდა მოემხმაროთ, რაც უფრო მეტი ცნობილი სახე იქნება, ჩემპიონატი მით ფასეული გამოვა, ახლა პირდაპირ ტრანსლაციასა და სპონსორებზე ვჩალიჩობ. შენ, მარიკუნა, რცხილაძეები და კიდეც სხვები მოგებულს მედალს გადასცემთ. აზრზე ხარ, რამხელა სტიმულია მომავალი თაობისათვის? იცი, ბაირონიც და პუშკინიც მოკრივეები იყვნენ, — ვცადე მაიასათვის გასაგები ხერხის მოძებნა.

— По-моему ты рехнулась! — მითხრა მაიამ, — მაგრამ ჩემიანი ხარ და სადაც გინდა, იქ წამოგყვები, იმედია, ჰიგიენის წესები დაცული იქნება!

— გიორგის, — ვუთხარი და წარმოვიდგინე თავადის ქალი მაია სოფლის პირობებში და უნებლიეთ ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენა ამომიტივდა მეხსიერებაში. მაიასა და ჯორჯ დიუკის დუეტი დაუვინყარი სანახაობა იყო. მომაჯადოებელი ჰანგები უხვად იღვრებოდა მსმენელთა გულბეჭეში. მონუსხული საზოგადოება გარინდებული უსმენდა ვირტუოზებს. „ამ ქალბატონმა იცის, რას აკეთებს“, — ასეთი იყო მოგვიანებით დიუკის კომენტარი.

მე კი სოფელში ვეპატიჟებოდი...

მაიკომ ყოველთვის იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ახლაც უმიზნოდ და უპერსპექტივოდ ცაში აჭრილი მეგობრის მიწაზე დაბრუნებას ცდილობდა.

ალაპერიდი

გიორგი პეტერბურგის ბრძოლისათვის ემზადებოდა, მისი დაჟინებული თხოვნით ერთი კვირით წნორის სპორტულ ბაზაში, მინიშეკრებაზე გავეყვი. კახეთის მეფედ ნაკურთხი ქაქუცა ცნობილი ავტორიტეტი იყო, ბაზაც, სასახლეც და ნაკრძალიც მისი პირადი საკუთრება გახლდათ და ამიტომ შვილივით დაახლოებულ გიორგის სანქტ-პეტერბურგამდე კახეთში ჩასვლა შესთავაზა.

— ლალი, რომ იცოდე, რა კა-



ცია, აუცილებლად უნდა გაგაცნო! თან მითხრა, ეს ადგილი, ბოდბეს მონასტერსა და წმინდა გიორგის ეკლესიას შორის, განსაკუთრებული ენერგეტიკით გამოირჩევა და ისე არ ნახვიდე, არ მოილოცო.

მე გიორგისა და მის სპარინგ-პარტნიორებს დიეტურ საკვებს, ნაირ-ნაირ ნატურალურ წვესსა და პიტნის ნაყენს ვუმზადებდი, შუალედებში თბილისში ჩამოვბოდი და საქმეებს ვაგვარებდი. მოკლედ, თბილისი-წნორი ჩვეული მარშრუტი გახდა.

კახეთის წვრთნების შემდეგ გიორგი ბელორუსიის სპორტულ ბაზაში სავარჯიშოდ მიდიოდა. აეროპორტში მე და მისი მეგობარი გელა ვაცილებდით.

— გეხვენები, რამე შარში არ გაყო თავი, დამელოდე, მე ჩამოვალ და ყველაფერში მოგეხმარები, ოღონდ ზედმეტ ინიციატივას ნუ გამოიჩენ. და გთხოვ, ისე განსაზღვრო ყველაფერი, რომ 21 დეკემბერს სანქტ-პეტერბურგში იყო.

— გიორგი, ჩვენ ხომ ვილაპარაკეთ ამაზე. ეს ის სიტუაციაა, როცა მე უფლება არა მაქვს იქ ყოფნის, არც მორალური და არც არანაირი.

— ძალიან გამიჭირდება უშენოდ, დავიფიცე, რომ ეს ბოლო წასვლაა, ამის მერე ყველგან ერთად ვივლით, გპირდები, რომ უბედნიერესი ქალი იქნები...

მე და გიორგი უკანა სავარძლებზე ვისხედით. ამ ადამიანმა რამდენიმე თვეში სავსებით შეცვალა ჩემი სამყარო. გარეგნობის შეუსაბამო, ნაზი, სათუთი და საოცრად მზრუნველი თავბრუს დაამხვევი გრძნობისგან ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა. ხან ერთი მალაზიიდან მირეკავდნენ და ხან მეორიდან. გიორგი ოქროს, სუნამოს თუ სხვა ძვირფასი საჩუქრების სახით ყველგან სიურპრიზებს მახვედრებდა, ერთ-ერთი ასეთი სიურპრიზი ჩემი უფროსი შვილისათვის გამოგზავნილი BMW-ს მარკის სპორტული ყვითელი კუპე იყო. საჩუქრები და პატივისცემა არასოდეს მაკლდა, ჩემი ან უკვე ყოფილი მეუღლეც ყოველთვის მანებვირებდა, მაგრამ ის, რასაც აკეთებდა გიორგი, ენით აღწერელი იყო. სამსახურიდან პირდაპირ ვარიანში ჩასულს ბადუზანიანი ჯაკუზი მელოდა, ლოგინში მორთმეული ვახშამი და გიორგის მოსიყვარულე მზერა თავს მაკარგვინებდა...

სმირად მიფიქრია, რომ ერთი ადამიანისათვის ამდენი ბედნიერება ძალიან ბევრია, რამდენჯერ შემშინებია საკუთარი ნეტარების. ეს

ის იყო, რაზეც უკლებლივ ყველა ქალი ოცნებობს, მაგრამ ხშირად საკუთარ თავსაც ვერ უტყდება ამაში.

და ახლა ეს უზარმაზარი 120-კილოგრამიანი ბედნიერება სადღაც მიდის და ქრება.

„ვაიმე, რომ ვეღარ ვნახო? ან ამასობაში გადავუყვარდე?“ — მოზღვავებული ემოცია ცრემლად იღვრებოდა და გიორგის მაისურს უკანასკნელ ბოჭკომდე ასველებდა.

— თან წავიღებ შენი ცრემლების გემოს, — მითხრა გიორგიმ და თვალზე მომდგარი ცრემლი შემშრალა.

გელამ გიორგი ტრაპამდე მიაცილა და მობრუნდა.

— ლალი, საით? — მკითხა მან.

— ვარიანში, ჩემი და გიორგის ოთახში დავრჩები, — ვთქვი ცივად.

ლოგინს ჯერ კიდევ ასდიოდა გიორგის სურნელი. დილით ადრე, ალიონზე, მაღალი სიჩქარით თბილისისაკენ ვბრუნდებოდი და ღმერთს ვთხოვდი, სადმე გადავჩქვებ.

ეს „ოცნება“ ღმერთმა ოდნავ მოგვიანებით ამისრულა.

* * *

ორ დღეში ცხინვალელი ჟურნალისტების ვიზიტს ველოდებოდი. ისინი ომის მერე საქართველოში ნამყოფი არ იყვნენ და ამიტომ არც არაფერი იცოდნენ დღევანდელი საქართველოს შესახებ. მე დიდი ძალისხმევა დამჭირდა, როგორმე დამერწმუნებინა ისინი, რომ საქართველოში ოსებს არ ესვრიან, თავს არ ესხმიან და საერთოდ, სტუმრობა სრულიად უხიფათოა. ჟურნალისტებმა დამიჯერეს, ოღონდ როგორც მინისტრის მოადგილეს კი არა, როგორც კოლეგას, ჟურნალისტს, რაც ჩემთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა. მე კარალეთის ტექთან ველოდი ჟურნალისტების დელეგაციას, რათა თავი სრულად დამეზღვია უსიამოვნო ექსცესებისაგან.

ისინი ათნი იყვნენ, ხუთი გოგო და ხუთი ბიჭი, გაფართოებული თვალებით ათვალეიერებდნენ თბილისს და მათი წარმოდგენა აშკარად ნანახს არ შეესაბამებოდა. სა-

მინისტროში მისვლისთანავე კასეტა მომაჩქეხს.

— რა არის ეს? — ვიკითხე მე.

— აქ ყველაფერია, როგორ „ასვარკავდნენ“ ქართველი ბოევიკები მილებში ოსებს ცოცხლად, როგორ აჭრიდნენ ჩვენს ბიჭებს თავებს და შემდეგ მოჭრილი ყურებისაგან მძივებს იკეთებდნენ, ჩვენ ამას ბავშვობიდან გვაყურებინებენ. დაგვეხმარე, რომ ეს კადრები ქართველებმაც ნახონ.

— არა, — ვიყვირე მე, — არავითარ შემთხვევაში, გთხოვთ, ახალი ფურცლიდან დავინწყოთ ურთიერთობა. ომს თავისი კანონები აქვს, ორივე მხარეს ბევრი საშინელება მოხდა. ჩვენი ვალია საზარელი წარსულის დავინწყება. თქვენ ხომ დამიჯერეთ და ჩამოხვედით? რისთვის, მტრობისათვის თუ მეგობრობისათვის? არ გვეყო უფროსი თაობის შეცდომები, ახლა რომ ჩვენც დავუშვათ? ყველანაირი აგრესია უკუჩქეცის მოგვცემს. ჩვენ ერთმანეთის სიყვარული უნდა გვაერთიანებდეს და არა მტრობა. ეს ხომ კავკასიაა! ვაქციოთ მშვიდობიან ზონად და არა სასაკლაოდ.

ჩემმა ვედრებამ გაჭრა. ჟურნალისტები დამთანხმდნენ, — ჩვენს თაობას ურთიერთობის ახალი ეტაპი უნდა დაეწყო, უსისხლო და მშვიდობიანი. წინ ერთობლივი პრესკონფერენცია გველოდა.

— ლალი, უპატივცემულოდ არ გაუშვა ოსები, — მომესმა ტელეფონში გოჩა ძასოხოვის ხმა. გოჩა იმ ადამიანებს მიეკუთვნებოდა, რო-

მსოფლიო ჩემპიონი, 2002 წელი, სანკტ-პეტერბურგი



მელთაც თავისი ოსური ფესვებიც და დედასაქართველოც ერთნაირად უყვარდათ, — „ვუღე ვუში“ გაიარე, რალაცები მოვამზადებინე და სტუმრებს მიართვი, — მითხრა მან.

პარფიუმერიულ მაღაზიაში ათი



ლამაზად გაფორმებული შეკვრა მელოდებოდა, ხუთი მამაკაცის პარფიუმითა და ხუთიც — ქალის სუნამოთი. საჩუქრების დარიგების შემდეგ, სტუმრები ქალაქურ რესტორანში დავაპატიჟე. ერთხანს არც ერთს აღარ გვახსოვდა, რომ ჩვენ, ოსებსა და ქართველებს, მრავალწლიანი შუღლი და დაპირისპირება გვყოფდა. იმ დღეს ყველანი ლამაზი, თავისუფალი, გონიერი კავკასიის შვილები ვიყავით.

ამ ვიზიტის შემდეგ თითქმის ერთი წელი ცხინვალში საქართველოზე მხოლოდ დადებითი პუბლიკაციები იბეჭდებოდა.

ახლოვდებოდა 21 დეკემბერი, ნერვიულობა პიკს აღწევდა. მე მოსკოვში ჯამბულატ თედევეთან შეხვედრა მქონდა დანიშნული და გასამგზავრებლად ვემზადებოდი.

მოსკოვში ჩემი დიდი ხნის მეგობარი ზურა დავი დამხვდა.

— **Лалусик, наконец-то.** როგორ მომენატრე, ნამო, შენი ულევო ჩანთები სასტუმროში დაყვაროთ და სადმე ვისადილოთ, თან ყველაფერს მომიყვები. ისე, რას დაგაქვს თან ამხელა გარდერობი?

— ზურიკ, ცოტა მოგვიანებით, კარგი? „დიკის“, უნდა შევხვდე, რაღაც საქმე მაქვს, ცხინვალში ბავშვთა გატაცებული და მარტო მაგას შეუძლია დახმარება.

— გადამრევ, როგორ ახერხებ სულ შარის მოძებნას? ნორმალური ხარ? ამ კრიმინალურ ქალაქში, სადაც ყოველდღე ვიღაცას „უზადი-ეზდებენ“, საეჭვო პირებთან შეხვედრას ეხუმრები?

— ზურ, მე უნდა წავიდე, სხვა გზა არა მაქვს, ადამიანს უჭირს.

— ბაზარი არ არის, მეც მოგყვები და იქნებ გამომჭრან ერთხელაც შენი გულისათვის ყელი.

საყვარელი, ინტელიგენტი ზურა, როგორც ნამდვილი მეგობარი, არასოდეს მტოვებდა მარტო.

ჯამბოსთან შეხვედრა ერთ-ერთი იაპონური რესტორნის VIP-კუბეში იყო დანიშნული. შესასვლელში მიგვანიშნეს, რომ ქვევით უნდა ჩავსულიყავით. მე და ზურა კარგა ხანს ვეშვებოდით.

— აქ ჩვენს ძვლებსაც ვერ იპოვიან, — აღმოხდა ზურას.

— ჰო, იმედია, არაფერში ვჭირდებით, — ვუთხარი მე.

— დედა, რა შეღავათია, — ბუზღუნებდა ზურა.

— **Сестра!** — შემომეგება ფართოკისრიანი ჭიდაობის ფედერაციის შეფი. ზურამ არაფერი იცოდა ცხინვალის ინციდენტის შესახებ, ამიტომ, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ჩემი და „დიკის“ ასეთი შინაუ-

რული შესხვედრა.

ჯამბომ მირეკ-მორეკა და პრობლემაც ოც წუთში გადაიჭრა. ოსმა მოცემული პირობა შეასრულა.

— დიდი მადლობა, — ვუთხარი მე, — თუ შეიძლება, დაგტოვებთ.

— შენ გგონია, ამჯერად გაიქცევი? — იკითხა ჯამბომ, ოღონდ საკმაოდ მეგობრულად, — რომ არ დალიო ჩემთან ერთად, არ ვიცი, რას ვიზამ. ისე, გამოტყდი, რა ქენი იმ დღეს, რომ არ დათვერი? — და გვერდზე მჯდომ მეგობარს ოსურად უამბო ჩემი ცხინვალური ინციდენტი.

— **Секрет фирмы,** — ვუპასუხე მე.

საბრალო ზურა, დაორთქილი სათვალთ, სრულიად გადარეული იჯდა და ვერ გაეგო, რა ხდებოდა.

3-4 არყიანი სადღეგრძელოს შემდეგ, ჯამბომ განსხვავებული ფილა მოითხოვა და სადღეგრძელო შემოგვთავაზა:

— ამ ჭიქით დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთს გაუმარჯოს!

საკმაოდ შეზარბოშებულ დვალს სიმწრისაგან თვალები შუბლზე აუვიდა და ალავერდი მოითხოვა.

— მხოლოდ საქართველოს ფარგლებში! თქვენ არავინ გალიარებთ და დარჩებით ასე, არც იქით, არც აქით, არც მე და არც ერთ ქართველს არასოდეს მოგვებზრდება იმის გამეორება, რომ ცხინვალის საქართველოა, მე კი ჯარში ვიეტნამში ვმსახურობდი, ასე რომ, თუ რამეა, მზად ვარ!

რაც ძალი და ღონე მაქვს, ზურას მაგიდის ქვემოთ ფეხს ვაჭერდი, მაგრამ ის არ რეაგირებდა და თავისას მიერეკებოდა.

„აი, ახლა კი ნაღდად ვეღარ გადავრჩები“, — გავიფიქრე მე.

— **Уважаю достойных и храбрых людей,** — თქვა მასპინძელმა და ზურას ხელი ჩამოართვა.

სამშვიდობოს გამოსულებმა სტრესის მოსახსნელად კიდევ ცოტა დავლიეთ და საღამოს მომხდარის ნაირ-ნაირი ინტერპრეტაცია წარმოვიდგინეთ. გადარჩენის შანსი მართლაც მიზერული იყო, მაგრამ ბრძოლაში ნამდვილ ვაჟკაცს ხომ მტერიც არა ლაჩარი და ფარჩაკი, არამედ საკუთარი თავის საპირწონე სჭირდება.

ოსები ყოველთვის გამორჩეულად მამაცი მეომრები იყვნენ.

ზურას ამოდ ეგონა, რომ ჩემი თავზარდამცემი ისტორიები ამით დამთავრდა.

— მის მოროშკინა, — მომესმა ტელეფონში უცხოური პრონონსი, — მე გიორგის პრომოუტერი ფრენკ მელოუნი ვარ. საქმე ის არის, რომ

გიორგი ძალიან გვიძალიანდება და კატეგორიულად ითხოვს თქვენს ჩამოსვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში რინგზე არ გამოვა და კონტრაქტის შესაბამისად დაისჯება. გთხოვთ, არ დალუპოთ მისი კარიერა და ჩამობრძანდეთ.

საცოდავი ზურა, როდესაც გაიგო, რაში იყო საქმე, ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა:

— წაუსვლელივით ვკარგავთ ახალ მსოფლიო ჩემპიონს, — ზურა ლაკონიური და როგორც ყოველთვის, ძალიან საღად მოაზროვნე იყო.


ჩემიონატი

— ჩამოდი, თორემ რინგზე არ გავალ და ჩემპიონატს ჩავშლი! — ასეთი იყო გიორგი კანდელაკის ზარი რუსეთის ჩრდილო დედაქალაქიდან.

სანქტ-პეტერბურგი ცივად შეგვხვდა. მე ჩემს ისტორიულ სამშობლოში პირველად ვიყავი. საოცარი გრძნობაა! ამ ქუჩებში, ალბათ, ბაბუა დადიოდა, ალბათ, თანაკლასელ და თანაკურსელ გოგონებს ებრანჭებოდა, გეგმებს აწყობდა და უცებ, როგორც მესი მოწმენდილ ცაზე, ბებიჩაჩემი, ქართველი სოფიო ვაჩნაძე დაეცა თავზე. თანაც ისე, რომ მშობლიურ ქალაქში ერთი დღეც არ გაანერა და შორეულ თბილისში გადმოხვეწა. საბრალო სლავი, დიდხანს ვერ გაუძლო კავკასიელთა ყოფას და საკმაოდ ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. ვაჩნაძემ ამ ამბის მერე კიდევ ორმოცი წელი იცოცხლა. აბა, მიპასუხეთ, თუ გინახავთ ქვრივი ქართველი კაცი? ვერც ნახავთ, სანთლით არის საძებარი, იმიტომ, რომ ძლიერი ქართველი მდებრი რამდენიმე პარტიად ისტუმრებს მეორე ნახევრებს იმ ქვეყნად. საბრალო მამაკაცები, მათ ხომ არ შეუძლიათ ასე მძაფრად ემოციის გამოხატვა, სახის დახოკვა ან სისხლის გაჩერება მდე ყვირილი? კავკასიელი ქალი, ცხრა ძმა ხერხეულძიისა და ალგეთის ლეკვების დედა, თავისი უდრეკი ბუნებით ადვილად ინელებს ეგრეთ წოდებულ ძლიერ სქესს და მალევე აცილებს სამუდამო სასუფეველში.

პეტერბურგში კომფორტულ და პრესტიჟულ „პრიბალტიისკაიაში“ უზარმაზარი აპარტამენტები მელიოდებოდა. ზურას ოთახიც არ იყო პატარა. საქმე ის იყო, რომ ზურა დვალმა კვლავაც არ მიმართო „გაჭირვებაში“ და სანქტ-პეტერბურგში გამომყვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სალონალო სუე ეძმაი

ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, №17
რუსულად პერიოდი

მანიაკი ხშირ-ხშირად აჩერებდა მზერას ერთ უღალთმიან, საკმაოდ ნორჩ და ძალიან ლამაზ მეძავეზე, რომელიც აშკარად კოკაინით იყო გაბრუნებული, თავი უკან გადაეგდო, თვალები მიელულა და ისე კისკისებდა. ყველაფერთან ერთად, ბუნებას გოგონა თეთრად მოელვარე უღამაზესი კბილებითაც დაეჯილდოებინა. მაგრამ ამჯერად, მისმა მომხიბვლელობამაც ვერ გაჭრა და კლიენტს ვერაფრით გამოჰკრა ხელი. „დღეს შენი დღე არ არის, ლამაზო!“ — ფიქრში შევეხმიანე მეძავეს, რომელიც ამასობაში წასასვლელად მოემზადა და მალე ბარიც დატოვა. მანიაკი მაშინვე უკან მიჰყვა.

გოგონა ტროტუარს არეული ნაბიჯით მიუყვებოდა. გზადაგზა შემხვედრ მამაკაცებს კვლავაც გამომწვევლი მიიღეს ესროდა, მაგრამ ამჯერადაც — სრულიად უშედეგოდ.

როგორც ჩანს, ერთადერთი მამაკაცი, ვინც ამ საღამოს გოგონათი დაინტერესდა, ჩემი ნაცნობი მანიაკი იყო. ის მსხვერპლს შორიხლოს ფეხაკრეფით მიჰყვებოდა და როგორც კი ამ უკანასკნელმა ჩაბნელებულ

ქუჩაზე გაუხვია, მამინვე დაენია, თავში უზარმაზარი ტორი გამეტებით ჩასცხო და გათიშა. გონწასული გოგონა მანიაკმა სქელ ქსოვილში გაახვია და ტროტუარის გასწვრივ ჩამორიგებული მანქანებისკენ გააქანა. მოძალადემ ვილაცის ფურგონიანი მანქანის კარი მარჯვედ გააღო და მსხვერპლი შიგ შეათრია.

მე კი ამ დროს, ნანახით უკვე მთლად იფლში განურული, კლავიშებს ცოფიანივით ვუკაკუნებდი და მარტო იმის შიშილა მქონდა, რომ სურათი ეკრანიდან არ გამქრალიყო...

ფურგონი მხოლოდ ქალაქგარეთ გასვლის შემდეგ, მალაღ ხეებსა და გაველურებულ ბუჩქნარში ჩაფლულ ერთ ორსართულიან სახლთან გაჩერდა. მანიაკმა მსხვერპლი მანქანიდან ხვნეშით გამოათრია, მხარზე გაიღო და სახლის სარდაფში ჩაიტანა.

სარდაფში სინათლემ იფეთქა და სამასვატიანი ნათურის კაშკაშა შუქზე ყველა საგანი განსაკუთრებულად გამოიკვეთა. ცენტრში გრძელი, მასიური მაგიდა იდგა, რომელსაც თავსა და ბოლოში ტყავის თასმები ჰქონდა დამაგრებული. მოძალადემ გოგონა მაგიდაზე დააწვინა და ხელ-ფეხი თასმებით გულმოდგინედ შეუჭრა. გრძელი მაგიდის გვერდით კიდეც ერთი, შედარებით მომცრო მაგიდა იდგა, რომელზეც სამედიცინო ინსტრუმენტები და მომინაქრებული პატარა ჯამები ეწყო.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე კარგად ვხვდებოდი, სარდაფში რაც უნდა მომხდარიყო, ჩემდა გასაოცრად, მაინც არაფერმა მიზიძგა, სასწრაფოდ პოლიციამი დამერევა და შემეტყობინებინა, თუ სად მდებარეობდა სახლი, სადაც ნუთი-ნუთზე ნამდვილი საშინელება უნდა დატრიალებულიყო. რა მიშლიდა ხელს ყურმილის აღებაში? ვითომ, მწერლის ცნობისმოყვარეობა?! ან იქნებ, კიდეც უფრო მნიშვნელოვანი „ცოცხალი მასალის“ დაკარგვის შიში? არც ერთი და არც მეორე! უბრალოდ, მე უკვე ამ საშინელი კომპიუტერი-მონსტრის თან-

ამზრახველი ვიყავი...

მანიაკმა გოგონას კოფთა სკალპელით ჩაუჭრა, შემდეგ მოკლე ქვედატანისა და წინდების ჯერიც დადგა. მაგიდაზე გოგონას შიშველი სხეული თეთრად გამოიკვეთა. მანიაკმა თავისი გრძელი, კეხიანი, ცხენისნესტოებიანი და ბალანგამოჩრილი ცხვირი გოგონას მთელ სხეულზე მოატარა და ახალგაზრდა კანის მათრობელა არომატი ღრმად შეისუნთქა.

როცა ჯერი მშვენიერი თმის კულულებზე მიდგა, რომელიც მანიაკმა ბასრი მაკრატლით შემოაჭრა, გოგონა გონს მოვიდა. თავიდან ვერაფრით მიხვდა, სად იყო და რა ხდებოდა მის თავს. მაგრამ როგორც კი მანიაკი დაინახა, იქაურობა სულის გამყინავმა კვილიმა აავსო. უმწეო მსხვერპლის კვილიმა მანიაკი კიდეც უფრო გაახვია, სარდაფის კედლები კი ზომაზე მეტად სქელიც კი იყო საიმისოდ, რომ უბედურის კვილი კიდეც ვინმეს სმენას მისწვდომოდა.

როცა საბოლოოდ გამოერევა და იმასაც მიხვდა, თუ რა გამოუვალ მდგომარეობაშიც იყო ჩაფარდნილი, მსხვერპლმა სცადა, მანიაკისთვის თავი შეებრალეზინა. ევედრებოდა, ოღონდ გამიშვი და — სახლში, ტახტის ქვეშ უამრავი ფული მაქვს გადამაღული და სულ შენი იყოსო. მანიაკს კი ამაზე მხოლოდ ბოროტად ელიმებოდა და მახინჯ სხეულზე წინსაფარს ირგებდა.

ამქვეყნად მხოლოდ ერთადერთ ადამიანს — მე შემეძლო საბრალო გოგონას შეველა, მაგრამ თითქოს კლავიატურას ხელებით მთლიანად შევზრდოდი, ადგილიდან არც კი დავძრულვარ. უფრო მეტიც — სმენაც კი განსაკუთრებულად დავძაბე, რომ ჯალათისა და მისი მსხვერპლის ერთი სიტყვა, ერთი ნამოკივლება, ერთი უბრალო ჩქამიც კი არ გამომრჩენოდა. მართალია, ეს ყველაფერი, საინტერესოსთან ერთად, ძალიან მტანჯველიც იყო, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებდი და კომპიუტერთან ჯდომას ზომბივით ვაგრძელებდი...

მანიაკმა კი ნითელი ფლომასტერი მოიმარჯვა და გულმოდგინედ მონიშნა ის ადგილები, სადაც უბედურს თირკმლები, გული და ღვიძლი ჰქონდა. მივხდი, რომ ყველაფერი ნარკოზის გარეშე ჩაივლიდა, რადგან მსხვერპლის ღრიალი და გოდება მითელი ამ ქმედების აპოთეოზად უნდა ქცეულიყო. უკვე ისიც ვიცოდი, რომ გულს ბოლოს ამოუღებდა. და სანამ ჯალათი ორგანოების ადგილმდებარეობას კიდეც ერთხელ საგანგებოდ ამოწმებდა, მე ჩაქუჩივით ერთადერთი კითხვალა მირტყამდა პირდაპირ



ტვინში: „კი, მაგრამ პოლიციამ რატომ არაფერი იცის ამ ურჩხულის შესახებ?“

ამასობაში ბასრმა სკალპელმა თირკმლის მონიშნული ადგილი ღრმად გასერა. გოგონამ პირი ჯერ უმწეოდ დააფრინა და შემდეგ მთელი ხმით იღრიალა. „ქირურგმა“ მსხვერპლის დაკრუნხული სხეული მაგიდას მუხლით „მი-ალურსმა“ და კვლავ თავისი ავი საქმე განაგრძო. მე კი სისხლის სუნზე ისე უცბად წამომაზიდა, რომ სააბაზანომდე მანძილი წინაზე ბევრად უფრო სწრაფად დავფარე...

მცირე ხანში მომიწინა-ქრებულ ჯამში მსხვერპლის ჯერ ერთი, შემდეგ მეორე თირკმელიც აღმოჩნდა. როცა მანიაკი ღვიძლს უღებდა, მსხვერპლს ბედმა გაუღიმა და გონება დაკარგა... მისი ტვინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა ურჩხულმა მკერდიდან მფეთქავი მენაშული გული ამოკვეთა...

კომპიუტერი არ გამო-მირთავს, თავისით ჩაქრა. თუმცა მანამდე მონიტორის ეკრანზე ასეთი წარწერა გამოჩნდა: „ნაშუალამევეს შემოიხედე, მაგრად იმხიარულე...“

კომპიუტერი-მონსტრი უკვე მთლიანად თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, როცა უნდოდა, მაშინ ჩაირთვებოდა და გამოირთვებოდა. ტექსტს რომ ვასწორებდი, მივხვდი, რომ ეს ნამდვილი ბესტსელერი იქნებოდა, რომელშიც, ბოლოს და ბოლოს, უამრავ ფულსაც ავიღებდი. ოღონდ გონივრულად უნდა მოვქცეულიყავი და რაც შეიძლება მეტ გამომცემლობაში მომესინჯა ნიადაგი. თან, ახლა უკვე ვინმეს შესახებ ვინც აღარაფერი მჭირდა... „აქეთ მეხვეწონ!“ — გავიფიქრე კმაყოფილმა და უეცრად, თითქოს თავში ურო ჩამცხესო, ისევ ავ რეალობას დავუბრუნდი. „ნამდვილი არამზადა ვარ!“ — კინაღამ ხმაძალა წამოვიყვირე, როცა სარდაფში მაგიდაზე გაშობილი გოგონას გამოშინებული სხეული გამახსენდა. მას ხომ, ჩემ გარდა, მომკითხველიც კი არაფერს ჰყავდა!..

ამის გაფიქრება და ეკრანის ანთება ერთი იყო. ახმაურდა კომპიუტერის ვენტილატორი და პროცესორის გაგრილება დაიწყო. ამჯერად ეკრანზე სარდაფი აღარ გამოჩენილა, რამაც სინდისი ცოტა დამიშვიდა. მაგრამ

ეს სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელ-ბულა.

ეკრანმა „უქმად“ ცოტა ხანს კიდევ იციმციმა და შემდეგ მასზე ისევ ის გატაცებული ფურგონი გამოჩნდა. მანქანის ოთხივე კარი ბოლომდე



გამოელოთ და გოგონას უსულო სხეული სუფთა ზენარზე დაესვენებინათ. როცა უბედურის სხეულზე დადებული სწორი ნაკერებიც დავლანდე, მანიაკის პროფესიონალიზმში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ნატანჯ სხეულზე სისხლის ერთი წვეთიც კი აღარსად ჩანდა. მის გვერდით, მომიწინაქრებულ ჭურჭელში გოგონას შიგნეულობა, ხოლო თვით ჭურჭელი მისსავე მოჭრილ კულულებზე ეწყო. საათს დახედე. ღამის სამი საათი — ქურდებისა და მკვლელების დრო დამდგარიყო...

მანიაკმა ფურგონი ისევ იქ გააჩერა, საიდანაც გაიტაცა. ამის შემდეგ სურათი გაქრა. მე კი მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვხვდებოდი, მეორე დღემდე მნიშვნელოვანი აღარაფერი მოხდებოდა, კლავიატურას მაინც ძლივს მოვწყდი... თუმცა უეცრად ეკრანი ისევ ანთდა და რომელიღაც ჩაბნელებული ოთახის შუაგულში დაჩოქილი მარი დავლანდე.

— ოღონდ ეს არა! — ახლა კი უკვე ხმაძალა შევყვირე და რატომ-ღაც, პირველ რიგში, მარის ბავშვივით სუსტი და ნაზი კისერი (ვინ იცის, რამდენჯერ მნდომებია მისი მოფერ-

ება!) გამახსენდა. — ამას... რალს ერჩი?! — გაგულისებულმა კინაღამ მუშტები დაეუშინე კომპიუტერის ეკრანს.

— არც არაფერს! — გამოჩნდა წარწერა ეკრანზე. — უბრალოდ, გაერთე!

— გავერთო?! — თვალებით ისევ ეკრანს მივაცივდი მე.

დაჩოქილ მარის მხოლოდ შავი წინდები ეცვა. მის წინ მდგარ სკამზე კი ვილაც შარვალჩახდილი სქელი მამაკაცი იჯდა და... ამჯერად გულისრევა ისე უცბად მომანვა, რომ სააბაზანომდე ნამდვილად, ვეღარ მივალნი.

...ცოტა რომ მოვწესრიგე და ისევ კომპიუტერს დავუბრუნდი, კმაყოფილი მამაკაცი უკვე შარვალს იკრავდა. შემდეგ ჯიბიდან რამდენიმე ბანკნოტი ამოიღო და მარის გაუნოდა. არანაკლებ კმაყოფილმა და ნაზად მოლი-მარმა მარიმ ფული მშვიდად გამოართვა და ოთახიდან ტანის გამომწვევი რხევით გავიდა.

„აი, თურმე, რატომ იცვამს ეს „პატოსანი“ გოგონა ასე მოხდენილად! — გავიფიქრე მე. — არაფრით გამორჩეული, გამომცემლობის თანამშრომლის მოკრძალებული ხელფასი, ცხადია, ამას ვერაფრით გასწვდებოდა. ჰოდა, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, „როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო“...

როგორც იქნა, კომპიუტერი გამოვრთე და დავეწეი, მაგრამ კომპარებმა არ მომასვენა. სიზმარშიც კი მხოლოდ მონიტორის ავისმომასწავებელი მანათობელი თვალი მითვალთვალებდა.

...გაღვიძებულმა, ქვემოთ ჩასვლა და ახალი გაზეთების ყიდვა გადავწყვიტე. დარწმუნებული ვიყავი, პოლიციას ფურგონი უკვე აღმოჩენილი ეყოლებოდა: მისმა პატრონმა ხომ მანქანის დაკარგვის შესახებ მაშინვე განაცხადა. მაგრამ... შინიდან გასვლამდე კომპიუტერისკენ წამით მაინც გამექცა თვალი და თავზარიც დამეცა: მთელ მის მონიტორზე ისევ ის დანყველილი ფურგონი „განოლილიყო“!..

ფურგონის გვერდით დეტექტივები ფაციფუცობდნენ, სანიტრები გვამს პოლიეთილენის ტომარაში ათავსებდნენ... კომპიუტერი, რომელსაც უკვე „ცალთვალა ეშმაკი“ შევარქვი, კლა-



ვიატურასთან მიხმობდა. თან, იმდენად თავაზიანი აღმოჩნდა, რომ დამელოდა, სანამ ყავასა და ბუტერბროდს მოვიმზადებდი...

ეკრანზე ახალი გაზეთების სვეტები გამოჩნდა. თითქმის ყველა მათგანი „ქირურგის“ ახალი მსხვერპლის შესახებ „გაკვირდა“.

„როგორც იქნა, შესაფერისი სახელი მოუძებნეს, — გავიფიქრე მე. — სწორედაც რომ „ქირურგია!“ კირკიტა რეპორტიორები მოღუშულ და გვარიანად დაბნეულ კომისარს წამითაც არ აძლევდნენ საშველს. მათ განსაკუთრებით ერთი საკითხი — ფსიქიატრიულიდან ყოფილი ქირურგის ან პათოლოგანატომის სავარაუდო გაქცევა — აინტერესებდათ. კომისარმა ჟურნალისტების დასანახავად, სახეზე მრავალმნიშვნელოვანი ლიმილი აიწება და შლაპა თვალზე ბამდე ჩამოიფხატა. მაგრამ ვინ, თუ არა მან, უკვე დანამდვილებით იცოდა, რომ არსაიდან არავინ გაქცეულა და ჟურნალისტების შეკითხვა უპასუხოდ მხოლოდ დროის მოსაგებად დატოვა. ბოყეს უკვე აღარც იმაში ეპარებოდა ეჭვი, რომ თუ ამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა, ამდენი წლის თავდადებული სამსახურის მიუხედავად, რიგიან პენსიას ვეღარ ეღირსებოდა...

ამასობაში კი მანიაკზე უკვე მთელი ქალაქი ალაპარაკდა. მეტროს ვაგონებში, პერონზე, სუპერმარკეტებში, ტაქსიში, კაფესა თუ რესტორნებში მხოლოდ მას ახსენებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ქალაქი ჭკუაზე შემელიყო!

განსაკუთრებით დაზაფრულები, მეძავეები ჩანდნენ. ბევრი მათგანი ქუჩაში, კლიენტების ძებნის დროსაც კი აჩრდილივით უხმოდ გადი-გამოდიოდა. არადა, იმ ვინრო ქუჩაზეც კი, სადაც ჩემი დამსაქმებელი გამომცემლობა მდებარეობდა, მანამდე სწირად მომისმენია მათი ხმა-ლალი, „დამტვრეული“ ფრანგული, რომელსაც ზედგემრიელი გინებაც (ზოგჯერ ქართულადაც!) ერთვოდა. ქართულის (თუნდაც გინების!) გაგონებაზე გული ჯერ სისხარულით შემიხტებოდა ხოლმე, შემდეგ კი სვედით მეკუმშებოდა. ასეთ ნუთებში, მარტო უზნეობის ნუშპეში ნებსით თუ უნებლიეთ აღმოჩენილი ჩემი რამდენიმე თანამემამულის კი არა, მთელი ჩემი დაქცეული ქვეყნის მაგივრადაც მრცხვენოდა!.. თუმცა

მას შემდეგ, რაც „პენნიკი“ ფრანგი მარის „ცელქობა“ ვიხილე, მასთან შედარებით, ჩემი უბედური ქართველები კი არა, ქალაქის ყველა ჯურისა და კანის ფერის თვით ყველაზე ხელიდან წასული მეძავეც კი ლამის უფრო ანგელოზად მეჩვენებოდა...

გამომცემელმა, ჩემს ნანერს თვალთ ერთი გადაუბრინა თუ არა, მაშინვე მტაცებლის გამომეტყველება მიიღო... პრინტერზე ამჯერადაც საგულდაგულოდ ამოებჭდილი 20 გვერდის წაკითხვის შემდეგ კი პირდაპირ მკითხა:

— შენ რა, მართლა იქ ხომ არ იყავი? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, საკუთარი თვალთ ნახე ყველაფერი და პოლიციაშიც, იმის მაგივრად, რომ პანდურისკვრით გამოეგდე, დამატებითაც კი ჩამოგიყაჭა რალაც-რალაცები... ყოჩაღ, მაგარი! ყველაფერი ნატურალური სიზუსტით გაქვს აღწერილი. არ გამიკვირდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს ისევ ის პოლიცია გაგსკვანჩავს...

კმაყოფილი გამომცემელი სკამის საზურგეზე გადანვა და საკუთარ ხუმრობაზე თავადვე გაეცინა.

— თუკი ასე მაგრად გაქვს განვითარებული წარმოსახვა, გააგრძელე! ოლონდ იცოდე, ხვალ მეორე მსხვერპლის შესახებ 40 გვერდი უნდა გქონდეს გამანშალებული!.. და მინც... გამოტყდი!.. — სავარძელში ცმუკვას განაგრძობდა იგი. — იქნებ, მორგში ან პოლიციაში გყავს მეგობრები?.. თუმცა საიდან? შენ ხომ გადამთიე-ლი ხარ...

პასუხად მხოლოდ ცალყბად გავუღიძე და ავანსი ვთხოვე. შეფმა ერთი აგდებულად შემომხედა და ფაიფურის კბილებში (აუ, რამდენჯერ მინატრია მათი ჩამოყრეუნიება!) გამოცრა:



— როცა 40 გვერდს მოიტან, ფულსაც მაშინ მიიღებ!

— 40 გვერდი უკვე მზად მაქვს, მუსიე ნოკურ! — მაგიდიდან საქალაქდე მშვიდად ავიღე მე. — თუმცა ვფიქრობ, სხვა გამომცემლობას ხომ არ მივაკითხო?.. რატომღაც მგონია, რომ იქ თქვენზე ბევრად მეტს გადაამიხდიან...

გამომცემელმა ჯერ პირი გაცვებით დაალო, შემდეგ კი, გულისწყრომის დასაფარავად, გალიმებაც სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ერთ-ერთი იმათგანის ასე გათავხედება, ვისაც აქამდე სამადლოდ თუ მიუგდებდა ხოლმე სამუშაოს!

— შენ უკვე „ბიზნესშიც“ წარმატებებს აღწევ, ხომ იცი... რამდენი გინდა? — ბოლოს მაინც ამოღერლა მან.

თანხა დაეუსახელე. ოთახი მამინვე შეფის ღრიალმა გააპო:

— შენ მართლა ხომ არ გაგიჟდი?! თავი ვინ გგონია?! ახლავე აქედან აუსვი და შენი ნაჯღაბნიც თან გაიყოლე!

საქალაქდე ილღის ქვეშ ამოვიჩარე და შეფის კაბინეტი უსიტყვოდ დავტოვე. გამომცემლობის გასასვლელთან აქოშინებული მარი დამეწია.

— ჟორჟ! — ამჯერად ჩვეული, ყალბი თავაზიანობით კი არა, მართლა პატივისცემით შემომხედა მან. — მუსიე ნოკურმა დაბრუნება გთხოვთ, ის ყველაფერზე თანახმაა...

— კარგი, — ჩაიღმუვლა შეფმა ჩემს დანახვაზე, — მაგრამ დაიმახსოვრე — პირველი 60 გვერდი ჯერ გაზეთში გავა, შემდეგ ათიათასიანი საცდელი ტირაჟი იქნება. თუ გაიყიდება, 50 პროცენტს მიიღებ. ამის შემდეგ ხელმეორე გამოცემაზე დავდებთ ხელშეკრულებას და ყველა საავტორო უფლებაც ჩემს ხელში გადმოვა, ოლონდ პირობებზე ცალკე მოვილაპარაკებთ. ახლა ავანსის ნახევარს გაძლევ. მეორე ნახევარს მაშინ მიიღებ, როცა შემდეგ 40 გვერდს აი, აქ ვიხილავ! — საქალაქდეებით გადაძქვილი მაგიდას მუშტი გამეტებით დასცხო მან...

შენ დაბრუნებულმა, სახლის პატრონს ვალი დავუბრუნე. შემდეგ, სამზარეულოს მივაშურე, ორი დიდი ბიფშტექსი დავიბრანე



და ძვირფასი კონიაკის ბოთლიც ამაყად გაუხსენი: მე ხომ უკვე მდიდარი კაცი ვიყავი!..

ოთახში ჩემი შესვლა და მონიტორის თავისით აციმციმება ერთი იყო. მაგრამ მე უკვე ისიც აღარ გამკვირვებია, როცა ეკრანზე წითელი წარწერა — „შეგარგოს!“ — გამოჩნდა, რასაც შემდეგ „ხომ არ დაგავიწყდა, რომ მალე საქმეს უნდა შევუდგეთ?“ — დაემატა.

მალე მართლაც მივუჯექი კომპიუტერს და „ქირურგიც“ მაშინვე გამოჩნდა.

„როგორც ჩანს, ამ ურჩხულს ყველაზე დიდ ნეტარებას უმწეო მსხვერპლის სხეულის ყნოსვა ანიჭებს, — გავიფიქრე, — მაგრამ მაინცდამაინც ჟღალთმიანებს რატომღა ხოცავს, განა სხვა — ვთქვათ, შავთმიანი ანდა სულაც შავ თუ ყვითელკანიანი მძეავი — ცოტაა ამ ქალაქში?“

ამის გაფიქრება იყო და ეკრანზე წარწერაც გამოჩნდა:

— ხა-ხა-ხა! ვითომ თავად ვერ ხვდები!..

— ამით რისი თქმა გინდა, მონსტრო? — საფეთქლებზე ხელები მთელი ძალით მოვიჭირე და ჩავფიქრდი.

— ღმერთო ჩემო! — წამოვიყვირე უცბად. — სოფიკო, ჩემი ყოფილი ცოლიც ხომ ჟღალთმიანი იყო!..

— ყოჩაღ, პირდაპირ ათიანში მორატყვი! — „შემაქო“ მონიტორმა, თუმცა ჩემი ფიქრი უკვე სულ სხვაგან ქროდა...

სოფიკო... ეს ერთი შეხედვით, ბავშვივით ნაზი და უმწეო ქალი ზოგჯერ ისე მაცოფებდა, რომ მზად ვიყავი, ლამაზი ცხვირ-პირით კედელზე მეხახუნებინა. თუმცა უფრო ხშირად, ვნების ისეთ მორევშიც მისროდა, საიდანაც საკუთარი ნებით ალბათ, არც ერთი ჭკუათამყოფელი მამრი არ ისურვებდა ამოსვლას. პოდა, არც მე ამოვდიოდი... მაგრამ საბოლოოდ, ამ ყველაფერმა ჩემს შემოქმედებაზე მსოლოდ ფარყოფითად თუ იმოქმედა. ტყუილად კი არ უთქვამს ბრძენს, — თუ მუხასა და ქალს შორის წონასწორობას იპოვი, მართლაც, რაღაც ღირებულს შექმნიო. როგორც ჩანს, ამ წონასწორობამდე ჯერ კიდევ დიდი გზა მქონდა გასავლელი...

ღმერთო! ნეტავ ვინმემ იცოდეს, როგორ მენატრება ჩემი ნაგიჟარი ცოლყოფილიცა და მთელი საქართველოც! მაგრამ იქ მე, უფულოსა და უსახელოს, არავინ მელოდება. ან თავად რა უნდა ვაკეთო უფულოდ?!

ისევ რომელიმე გაღატაკებული გაზეთის რედაქციას ანდა ანბანის ძალად მცოდნე თარჯიმანთა ბიუროს შევაფარო თავი?.. არა, ბატონებო! ნურას უკაცრავად!... „კი, მაგრამ აქ რაღას აკეთებ?“ — თითქოს საიდანადაც შორიდან ჩამესმა საკუთარი სინდისის ხმა, რომელიც უკვე იმდენ ხანს არ შემხმიანებია, უცბად ველარც კი ვიცანი. „როგორ თუ რას?! — აღვშფოთდი მე. — რომანს ვწერ და ფულს ვშოულობ!“ „მერედა რის ფასად ან ვისი დახმარებით?!“ — აღარ მეუბებოდა სინდისი, უფრო ზუსტად კი ის, რაც მისგან დარჩენილიყო...

„შემევი, რა!.. — შევუღრინე მასაც. — ამ ყველაფერს მე კი არა, აი, ეს სჩადის!“ — ხელი გავიშვირე კომპიუტერისკენ და იმასაც მაშინვე მივხვდი, რომ რკინის ამ უბრალო გროვანზე უკვე, როგორც ცოცხალ არსებაზე, ისე ვფიქრობდი.

ან კი სხვანაირად როგორღა უნდა მოვქცეულიყავი, როცა ცხადად ვხედავდი, ამ მართლაც „ცალთვალა ეშმაკმა“ რომელიღაც ფსიქოფათზე როგორ მოახდინა ჩემი დიდი ხნის ფანტაზიებისა და სურვილების პროექცირება და ახლა ის არამზადა უმწეო მსხვერპლის წამებით ტკებოდა! მაგრამ განა ეს ჩემი დიდი ხნის სურვილიც არ იყო?! განა თავად იშვიათად მომდომებია, საკუთარი, ენამწარე ცოლისთვის თავი კედელზე მერტყმევიწინებინა და პირი ალიკაპით ამეკრა?! ამის სურვილი ხომ განსაკუთრებით მაშინ შემომმიტევდა, როცა ჩემი ერთი სიტყვის პასუხად, თავად ათს და ზოგჯერ მეტსაც (დღემდე ვერ ვხვდები, როგორ ასწრებდა!) ტვიამფრქვევის ჯერივით მომაცრიდა?..

ნახევარი ჭიქა კონიაკი ერთიანად გამოვცალე და ცოტა შვება ვიგრძენი. „მოხდეს, რაც მოსახდენია, — საბოლოოდ გადავწყვიტე და ისევ კომპიუტერს მივუბრუნდი. — ფულს სუნი არ ასდის!“

კომპიუტერის სამუშაო მაგიდის კუთხეში ახალი სურათი გამოჩნდა. „ქირურგი“ სუპერმარკეტში დასერილობდა და სტელაჟებს შორის ურიკათი მოსიარულე, ჟღალთმიან ქალს აკვირდებოდა. ქალი პროდუქტების შერჩევით იყო გართული და ირგვლივ სხვას ვერაფერს ამჩნევდა. ურიკა კი ნელ-ნელა, ნაირ-ნაირი ძვირად ღირებული პროდუქტით ივსებოდა... უეცრად ჩემს სმენას მალაზიის საერთო ხმაურში თითქოს საგანგებოდ გამოკვეთილი, ამ ურიკის ბორ-

ბლების ჭრიალიც კი მისწვდა...

სტელაჟებს შორის უწყინრად მოსიარულე ჟღალთმიანი ქალი უკვე ძალიან მაგონებდა ჩემს ცოლს, თუმცა სოფიკო მასზე უფრო გამხდარიყო იყო. ამასობაში ქალმა ურიკა აავსო და სალაროსკენ გაემართა...

„ვოლვოს“ საბარგულში შენაძენის დაბინავების შემდეგ, ქალმა მანქანის წინა კარი გამოაღო. სწორედ ამ დროს მას უკნიდან სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა ჩემი ნაცნობი ურჩხული, ზურგში ხელი ჰკრა და სალონში შეაგდო. „ქირურგმა“ მსხვერპლი მუშტით გათიშა, პირზე ფართო ნებოვანი ლენტის გადააკრა და ხელ-ფეხიც ასეთივე ლენტით გაუკოჭა. მანქანას ჩამოქებული მინები ჰქონდა და გამველეთაგან არავის შეუნიშნავს, შიგნით რა ხდებოდა. ამის შემდეგ ურჩხული ქალის ხელჩანთას ეცა, ყველაფერი სავარძელზე გამმოყარა და უამრავ ნივთსა და კოსმეტიკას შორის, მანქანის გასადეზბი და მართვის მოწმობა ამოარჩია...

მანქანა საკუთარივით, თავდაჯერებულად მიჰყავდა და ქალის სახლთანაც მალევე აღმოჩნდა. ურჩხულმა ელექტრონული საკეტის ღილაკს თითი დააჭირა და ავტოფარეხის კარიც უპრობლემოდ გაიღო...

სასტუმრო ოთახში შესულმა, ქალი სოფაზე დაანვინა და პირზე გადაკრული ლენტის ისე გამეტიბით მოჰგლიჯა, რომ მსხვერპლი ტვილოლისგან გონს მოვიდა და წამოიკვნესა. ქალს მეტყველ ცისფერ თვალებში გაოგნება და შიში ერთდროულად ჩაუდგა. „მგონი, ფრანგი არ უნდა იყოს“, — გავიფიქრე მე. ამის გაფიქრება და კადრის ქვეშ წარწერის გაჩენა ერთი აღმოჩნდა: „მართალი ხარ, გერმანელია. ქმარი ჰყავს ფრანგი და დღეს სამსახურში გვიანობამდე შემორჩება. ძალიან ბევრი საქმე აქვს... არც ჩვენ გვაქვს ნაკლები საქმე...“

სრულიად უმწეო მსხვერპლის მძიმე, წყვეტილი სუნთქვა და ვედრების სიტყვები ყურებში კი არა, უკვე პირდაპირ ტვინში მირტყამდა. საბრალო ქალი გულუბრყვილოდ ეჭიდებოდა ხავსს და ურჩხულს ყველანაირად აცოდებდა თავს. ეგონა, მოძალადე მსოლოდ მის გაუპატიურებას აპირებდა. რა იცოდა უბედურმა, წინ რა საშინელება ელოდა!

— მადამ, — როგორც იქნა, მანიაკის ხრინწიანი ხმაც გავიგონე, — მე ჩემი საქმე უნდა გავაკეთო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ძლიერი სუსტი ქარი

სვეტა კპარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, №14-17

ვაკო შეეცადა, სუნთქვა შეეკრა და თვალი აურიდებინა სალისთვის, მაგრამ... ეს იგივე იყო, დინების სანინაალმდევ-გოდ ეცურა... ძალიან გაუჭირდა.

— საკმარისად დიდი ხანი დაგჭირდა წონასწორობის შესანარჩუნებლად, — გამოცრა მამაკაცმა, — შენი საქციელი გამონწვევას უფრო ჰგავდა.

სალომე გაშრა. თვალები ბრაზიანად დააკვესა, ვაკოსკენ ზურგით შეტრიალდა და ასე გაჩერდა, პასუხის ღირსადაც არ გახადა. ამწუთას იგი დაჭიმულ სიმს ჰგავდა და ამაში მხოლოდ ვაკო იყო დამნაშავე. მამაკაცმა გულში საკუთარი თავი დატუქსა. დროზე უნდა გასცლოდა გოგოს, სანამ შეეხებოდა და ეს შეხება მასში ვნებას აღძრავდა.

— მანქანა წესრიგშია? — სალის ხმა ოდნავ უკანკალებდა. უკვე ყელამდე იყო ვაკოს პატივისცემით. ერთი სული ჰქონდა, როდის ჩააღწევდა თბილისამდე, მამაკაცის დანახვაც არ უნდოდა. მორჩა! მეტჯერ აღარ დათანხმდება მის შე-

მოთავაზებებს. არავითარი გასეირნება!

ვაკო თითქოს მიუხვდა. უკმაყოფილება აღებეჭდა სახეზე.

— თითქმის. წამით შემოვივრბინე, რადგან წყალი მომწყურდა. შენ არ გწყურია? ერთად დავლიოთ, — რაც შეიძლებოდა თბილად წარმოთქვა მან. ცდილობდა, ბუნებრივად მოქცეულიყო, თუმცა მაინცდამაინც ყოჩაღად ვერ გამოსდიოდა. მაინც არ გაიტეხა ისტობარში, მაცივარი დინჯად გამოაღო, ორ წვენი ქილას ხელი წაავლო. ერთი მარჯვენა ხელში გადაიტანა, მეორე კი ქალს ასე, შორიდან გაუწოდდა.

სალის რეაქცია არ ჰქონია. ისე უკანკალებდა მუხლები, ადგილიდან დაეკრის კეთხვით სავეს მხერა მიაპყრო, რას უცდიო?.. ოციოდე წამის შემდეგ გოგონა შეირხა, ნელა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი

და სანამ ვაკომდე მიაღწევდა, ნაბორძიკებაც მოასწრო და განითლება. მან არ შეიმჩნია.

— თუ მოგინდეს, ერთი ქილა კიდევ არის მაცივარში, — ცივად ესროლა მამაკაცმა, გატრიალდა და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

— მე ესეც არ მინდოდა, საზიზღარო! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა გოგონამ და წვენი კვლავ მაცივარში შეაბრუნა.

ვაკო კიბეზე დაეშვა. რა საშინელი დღეა! დილიდანვე დაითარსა, რა! ყველაფერი მისი იდიოტი ქმრის ბრალია. მას რომ წუხელ არ დაერეკა, სალი უხასიათოდ არ იქნებოდა და ასე არ მოუშხამავდნენ ერთმანეთს გუნებას. რაღა უნდა? ხომ გაეყარა ცოლს? რისთვის ურევავს? რატომ ანერვიულებს? ვერ გრძობს, რომ მის მცდელობას აზრი არა აქვს? იქნებ სალომე ატყუებს?.. ხომ შეიძლება, უყვარდეს ქმარი და მხოლოდ გაკეკლუტების მიზნით უმაღლავდეს მას ამ ამბავს? ქალებს სჩვევიათ ამგვარი გამოსხდომები. როცა გრძნობენ, რომ მამაკაცს მოსწონთ, ათასგვარ სევდიან ამბავს იგონებენ, რათა თავი მოაწონონ ან შეაცოდონ, ტანჯული ქალის იმიჯი მოირგონ. არ არის გამორიცხული — მან ხომ მხოლოდ ნაწილი მოისმინა

სიმართლის. დანარჩენი? იქნებ გოგონა ზედმეტად მუქ ფერებში ხატავს თავის უბედურებას? იქნებ ის კაცი კარგი აღამიანია და სულაც სალის ბრალია, ოჯახი რომ დაანგრია? ხომ შეიძლებოდა, ვერ გაენია კარგი ცოლობა? არ ყოფილიყო მზად ოჯახური თანაცხოვრებისთვის? არიან ქალები, რომლებიც თავისუფლების დაკარგვას ვერ ეგუებიან. არ არის გამორიცხული, სალი სწორედ ასეთების რიგს მიეკუთვნებოდეს. ქალებს რას გაუგებ?! რა, ცოტა ყოფილა ასეთი შემთხვევა?

ვაკომ თავი უკან გადასწია, ქილა მოიყუდა და სულმოუთქმელად გამოცალა ცივი წვენი, მერე კი ცარიელი ქილა ნაგვის ვედროსკენ მოისროლა, მაგრამ ააცილა. რა აუცილებელი იყო, წვენის ასაღებად მაღლა ასულიყო? განა ეზოში არ შეეძლო წყალი დაეღია? ონკანი აქვე არ იყო? იყო, როგორ არა, მაგრამ... გუმანით იგრძნო რაღაც... იცოდა, როგორ ელოდა გოგონა მის გამოჩენას... რისთვის? სწორედ იმისთვის, რაც თავისი შეხებით გამოხატა. მერე რა? ვაკოსაც ეს არ უნდოდა? მთელი ღამე იმაზე არ ფიქრობდა, როგორ მოეწონებინა სალისთვის თავი და როგორ გაეღვიძებინა მასში მამაკაცის სიყვარული? სწორედ ამან დააკარგვინა სიმშვიდე. გულმა თავისით, ჯიუტად გაინია მისკენ. ახლა რატომ არის უკმაყოფილო? იმიტომ, რომ ზედმეტი მოუვიდა. მას მხოლოდ მიახლოება უნდოდა სალისთან და არა მისი ჩახუტება. ცოტა უფრო შორი მანძილის დაცვა იყო საჭირო, რათა მეტი ინტრიგა გამოსულიყო. მან კი ვერ განსაზღვრა ეს... ჯანდაბას, ჯანდაბას! რაც იყო, იყო, დროა, საქმეს მიხედოს!

თავაულებლად მუშაობდა. ცდილობდა, არ ეფიქრა მომხდარზე, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. არა, ასე არაფერი გამოვა. ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება, გოგონა მამიდამის მიუყვანოს და სამუდამოდ დაივიწყოს. უხერხულია... ეს პატარა გოგო უკვე იმდენად უფორი-აქებს სულს, ნამდვილად ვერ შეძლებს მასთან მხოლოდ მეგობრული დამოკიდებულების შენარჩუნებას. არ შეუძლია, მორჩა და გათავდა! თავისი თავის იმედი აღარ აქვს. სალომე „უძალიანმაგრესად“ მომხიზვლელია, ვეღარ გააკონტროლებს თავს. „უძალიანმაგრესად“... მოეწონა ეს სიტყვა. თავისთვის ჩაილიმა. არა, არა, სიყვარული მისი საქმე არ არის, არც ქალთან წრფელი მეგობრობა. ვერ ხედავ? ეცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. ბოლო ინციდენტმა ნათლად დაანახვა, რომ ეს შეუძლებელია. რაც მეტს ფიქრობდა ამზე, მით უფრო უწყნებოდა საკუთარ თავს. თავადაც ვერ გაეგო, რატომ შესთავაზა ამგვარი მეგობრობა. რომელი ქალებთან მეგობრობის გამოცდილება მას ჰქონდა?! მით უმეტეს, ამისთანასთან! როგორც კი პირველად დაინახა, მაშინვე მიხვდა, რა ძლიერად სურდა იგი. ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ როგორ იფიქრა, რომ მასთან ურთიერთობისას მცირედს დასჯერ-



დებოდა?! რა სისულელეა! სალისთან ან ყველაფერი უნდა გამოუვიდეს, ან — არაფერი!

როგორც იქნა, საქმეს მორჩა, ხელე-ბი დაიბანა და კვლავ მალლა ავიდა. სალი უცხოურ ჟურნალს ათვალეირებ-



და. ან იქნებ, არც ათვალეირებდა და მხოლოდ მის დასანახავად ფურცლავდა მას?! როცა ოთახში შევიდა, გოგონამ გულგრილი მზერა მიაპყრო.

— მორჩი?

— ჰო, მაგრამ წყალი უნდა გადავივლო. იმედია, წინააღმდეგი არ იქნები, — მშრალად ესროლა მამაკაცმა, რადგან მიხვდა, რომ ქალს ჯერ კიდევ არ განელეობოდა წელანდელი ბრაზი.

„არც უკანა გზა გვიქადის უკეთეს სიტუაციას“, — გაიფიქრა შუბლშეჭმუნხილმა და სააბაზანოში შეიკეტა.

ყინულივით შხაპმა შეება ვერ მოჰგვარა. სამწუხაროდ, ცივი წყლის შეფხვებს არ შეეძლო გულში შეეღწია, სადაც ვნება დუღდა... დაბანას მორჩა, ლურჯი პირსახოცი წელზე შემოიხვია და, მისაღებ ოთახში გამოსულმა, სანამ საძინებელში გავიდოდა, მაინც ვერ მოითმინა — თვალი მალულად გააპარა გოგონასკენ. სალომე ნაბიჯებით ზომავდა მისაღებს და, როგორც ჩანს, ხმაური გაიგონა, რადგან დაფეთებულმა მოიხედა. მოიხედა და... გაოგნებისგან თვალები გაუფართოვდა. რა თქმა უნდა, მამიწვე აარიდა მზერა ნახევრად მიშველ მამაკაცს, მაგრამ თვალებმა მაინც გასცა.

„კარგი, რა... როგორ იქცევა?! თითქოს ღრმა სოფლიდან იყოს ჩამოსული. თუკი ერთ მამაკაცთან არ გაუმართლა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცხოვრების ბოლომდე არ გაეკაროს სხვას“, — დაძაბული ფიქრობდა ვაკო, თან ენერგიულად იმშრალებდა სველ სხულს. გასაგებია, მაგრამ თავად რა ქნას,

რა გააკეთოს? არაფერი! — იყო პასუხი. ბოლო სიტყვა მაინც სალის უნდა ეთქვა, მასზე იყო ყველაფერი დამოკიდებული.

ჯერ ცალ ფეხზე ამოიცვა შარვალი, მერე — მეორეზე, მერე კარადიდან გაუთოებულ მისსური გამოიღო და ჩაიცვა.

უბედურება ის არის, რომ სამუდამოდ შეიძლება დაკარგოს ეს მშვენიერი ქმნილება. ვაკო გრძობდა, რომ ჯერ კიდევ ჰქონდა სალის „გამოსწორების“ შანსი, თუკი მოთმინებას გამოიჩინდა. მაგრამ განა აქვს აზრი, ხელებდაკაპინებულმა უყუროს, როგორ ცდილობს ის ავთოა თუ ვილაც, კვლავ შემოიჭრას სალომეს ცხოვრებაში? აი, ამას კი არ დაუშვებს... არასდროს, ა-რას-დროს!

ჩაცმას რომ მორჩა, თმაც გადაივარცხნა და მისაღებში გამოვიდა.

— ნავედით, — მოკლედ მოჭრა, ოთახიდან სწრაფად გავიდა და სირბილით დაეშვა კიბეზე.

სალი კი საკუთარ თავზე ბრაზობდა. როგორ ერთი ხელის მოსმით გააფუჭა ვაკოსთან ურთიერთობა! მასთან მეგობრობას ბევრი კარგი რამ შეიძლება მოეტანა მისთვის. რა კრეტინია! რა იქნებოდა, როცა დაეჯახა, უბრალოდ გაეცინა და ეთქვა: „უი, მამაკატი, ვერ შეგამჩნიე!“ — და განზე გამდგარიყო? ხომ მშვიდობიანად დამთავრდებოდა ყველაფერი! ამაზე ბუნებრივი რა უნდა ყოფილიყო? რა ეშველება! როგორი გამოუცდელია ასეთ საკითხებში! ყველა ნორმალური ადამიანი ასე იქცევა მსგავს სიტუაციებში. მან კი... სრული იდიოტობა გამოავლინა, ლამის ტუჩები მიუშვირა საკოცნელად. ახლა კი რა მოხდა?! ვაკომ უხეშად აგრძობინა, მეგობრები ასე არ იქცევიანო. ეს კი არცთუ ისე სასიამოვნოა. რა უიღბლო დღე იყო! რა ქნას გზაში, როგორ მოიქცეს? რაზე ელაპარაკოს? ნეტავ, საერთოდ არ წამოჰყოლოდა...

უკანა გზაზე ვაკოს აღარ გაუგიჟებია სისწრაფით თავი. ნელა, მშვიდად მართავდა საჭეს. კოპებშეკრული ღრმა ფიქრებში იყო ჩაძირული, ერთხელაც არ ამოულია ხმა. სალიმ გადაწყვიტა, ბოდიში მოეხადა. აბა, სხვა რა უნდა ექნა?! ასე, მუნჯებით ხომ არ ივლიდნენ მთელი გზა! მაგრამ რისთვის უნდა მოუხადოს ბოდიში, ასეთი რა ჩაიძინა?! განა თვითონ არაფერი დაუშავებია? რას მოხვია მკლავები? თავად გამდგარიყო განზე, რას უყურებდა მშვიერი მზერი?

— დიდხანს უნდა იყო ასე გაბერილი? — ველარ მოითმინა ბოლოს და ძალიან, ძალიან შინაურულად მიმართა მამაკაცს:

— რას ნიშნავს გაბერილი? — თავი არ მოუბრუნებია, ისე იკითხა ვაკომ.

— რას და... დაბოლმდის, — გაჯავრდა სალი.

— მამაკატი, მაგრამ ამ ყველაფერში თუ ვინმეა დამნაშავე, მხოლოდ შენ, — შენიშნა ვაკომ.

— შენი აზრით, კაცური საქციელია, ყველაფერი ქალს გადააბრალო? — აღშფოთება ვერ დამალა გოგონამ. — გგონია, ყოველთვის მართალი ხარ და შეცდომას არასდროს უშვებ?

მამაკაცმა სვლა კიდევ უფრო შეანელა და მოხედა. ამწუთას მისი თვალები არ იყო ძველებურად დანისლული. პირიქით, ისეთი გაცეცხლებული იყურებოდა, თითქოს ყუმბარის გადაგდება ჰქონოდა განზრახული.

— მოდი, გავანალიზოთ მომხდარი, კარგი? ეს შენ ჩამივარდი მკლავებში, მერე კი გატრუნული მომაჩერდი. მე რატომ ვარ დამნაშავე? ლოგიკა სად არის?

— ძალიან დრამატულად ხატავ სიტუაციას. არ ღირს... ასე ნუ დანვრილმანდები, — შემრიგებლური ტონით ამოთქვა სალიმ, თან ინანა, საერთოდ რომ წამოიწყო ეს საუბარი.

— ვფიქრობ, ორივესთვის აჯობებს, დავივიწყოთ ის, რაც მოხდა.

— მაგრამ შენ კინალამ მაკოცე! ასე არ იყო? — განინშაგდა გოგონა.

— შენ რა, წინააღმდეგი იყავი? მგონი, პირიქით... თუ არ ვცდები, თავადაც ძალიან გინდოდა ეს.

— არაფერიც, — იწყინა სალიმ, — მსგავსი რამ გულშიც არ გამივლია. მე უბრალოდ, ველოდებოდი, როდის გამიშვებდი ხელს. ზრდილობიანი კაცები ასე იქცევიან.

— იცი, რას გეტყვი?.. მე... — წინადადების დამთავრება ვერ მოასწრო მამაკაცმა, რომ მოსახვევიდან საშინელი სისწრაფით გამოვარდა მანქანა...

ვაკო მიხვდა, რომ დამუხრუჭება საქმეს ვერ უშველიდა და საჭე მარჯვნივ შეატრიალა... რალაც სასწაულებრივად გადაურჩინა დაჯახებას. მამაკაცმა დაასიგნალა და ერთი გემრიელად შეუკურთხა თავზე ხელაღებულ მძღოლს, რომელსაც გაჩერება კი არა, სვლის შენელებაც კი არ უცდია.

სალომემ ქვედა ტუჩი მოიკვნია.

— ჩემი ბრაღია ყველაფერი!

— შენ არაფერ შუაში ხარ, — ვაკოს სახე გაჰფითებოდა, — მეტი სიფრთხილე უნდა გამოემჩინა მოსახვევში.

— ღმერთო, მეგონა, შევასკდებოდით. ნამდვილად სასწაულებრივად გადავურჩით სიკვდილს, — ამოიოხრა სალიმ და ჰაერი ღრმად შეისუნთქა.

— კარგად ხარ? — მამაკაცმა მანქანა გზის პირას გააჩერა.

— ერთი წუთის შემდეგ ვიქნები, — სალიმ თავი ხელეში ჩარგო.

ვაკო ერთხანს გოგონას მისჩერებოდა. მერე მისკენ მიიწია.

— მოდი ჩემთან, — თქვა და ხელები



მხრებზე შემოხვია, — ვნუხვარ, რომ ჩემ გამო ასეთ შარში ჩაგაგდე, მაპატიე, კარგი? ჩვეულებრივ, ძალიან ფრთხილი ვარ.

— ძალიან გთხოვ, თავს ნუ იდანაშაულებ, — ჩაიწურჩულა სალომემ, მისკენ გადაჩოჩდა და თავი მშვიდად დაადო მკერდზე, რადგან ამ ჩახუტებაში საშიშროებას ვეღარ ხედავდა, — მე დავინწყე ამ თემაზე ლაპარაკი მაშინ, როცა სჯობდა, გაეწუმებულიყავი. მე ვარ დამნაშავე.

— მაშინ, მოდი, ორივემ ვაპატიოთ ერთმანეთს და ეგ იქნება, — ჩაიბურტყუნა ვაკომ და ქალის შეხებით აგზნებულმა დიდი ნერწყვი გადააგორა, — დავივინყოთ, რაც იყო და ყველაფერი თავიდან დავინყოთ, თანახმა ხარ?

— მშვენიერი აზრია, — თავი დაუქინა გოგონამ.

მას მართლაც არ უნდოდა, მათი მეგობრობა ამ ერთ დღეში დამთავრებულიყო. უკვე გრძნობდა, როგორი დამოკიდებული ხდებოდა ამ კაცზე. და სულაც არ აღიზიანებდა ეს. პირიქით — რაც მეტ დროს ატარებდა მის გვერდით, მით უფრო სიამოვნებდა. ერთადერთი, მხოლოდ მისი ფიზიკური სიახლოვე აგდებდა პანიკაში. ამიტომაც, თუკი ასეთ „ორაზროვან“ სიტუაციებს თავს დააღწევინებდა, მათ მეგობრობას არაფერი დაეშუქებდა. აი, ახლაც, მშვიდად ჩახუტებია მის მკერდს და სულაც არ ღელავს ისე, როგორც წელან. ის კი არა, თანდათან მშვიდდება კიდევ. ასე არ სჯობია?! სწორედ ამას ჰქვია ნამდვილი მეგობრობა.

როგორც იქნა, კანკალმა გაუარა და სუნთქვაც თანაბარი გაუხდა. ვაკომ მხოლოდ ამის შემდეგ შეუშვა ხელი. სალი თავის სავარძელს დაუბრუნდა, თუმცა კი სიამოვნებით დარჩებოდა ადგილზე, მაგრამ ეს უკვე სარისკო იყო. თბილისამდე ისე ჩავიდნენ, ერთმანეთს არ დალაპარაკებინა. სალომე მადლიერიც კი იყო, ვაკო ხმას რომ არ იღებდა.

— ვიმედოვნებ, საერთო ჯამში ჩვენი გასეირნება მოგეწონა... — თქვა ვაკომ, როცა მანქანა მარინას სახლის შესასვლელთან გააჩერა.

— ძალიან. საერთოდ, ძალიან მიყვარს მაღალმთიანი ადგილები.

— ზღვა?

— ზღვა ყველაფერს მირჩევნია, თუმცა არც მთის ჰაერია ურიგო.

— მაშინ მოგვიანებით აუცილებლად გავიმოროთ, რას იტყვი?

— სიამოვნებით, — მორცხვად გაუღიმა გოგონამ და კარი გამოაღო.

სალომე გაულწრფელი იყო. მერე რა, რომ კამათი მოუვიდათ. ბოლოს და ბოლოს, ხომ არ უკოცნიათ ერთმანეთისთვის? მცდელობა არ ითვლება. მართო რომ დარჩება და ამაზე დაფიქრდება, აშეიძლება, ინანოს კიდევ, მაგრამ ამნუთას კარგად გრძნობს თავს.

— დიდი მადლობა იმისთვის, რომ დღევანდელი დღე განსაკუთრებული

გახადე, — წარმოთქვა ვაკომ და ამ სიტყვებით სალისკენ გადაიხარა.

გოგონამ მხოლოდ გაუღიმა, ამჯერად არ დაბნეულა, რადგან მამაკაცის მორიგ პროვოკაციას უკვე მომზადებული შესვდა, ამიტომ არაფრად ჩააგდო მისი მრავლისმეტყველი მზერა და მანქანიდან უსიტყვოდ გადავიდა.

კიდევ კარგი, მამიდა შინ არ დახვდა! ამისთვის ღმერთს მადლობა შესწირა, თორემ მისი შემინებული თვალები და ანითლებული ღანვები ადვილად გასცემდა დღის საიდუმლოს. აი, ახლაც ხომ დაუპირა კოცნა?! კიდევ კარგი, თავი ხელში აიყვანა და თავადაც არ გაინია მისკენ. როგორმე უნდა მოერიოს გამოღვიძებულ გრძნობებს, თორემ ვაკომ ერთხელ მაინც თუ აკოცა, მისთვის ყველაფერი ნათელი გახდება და მერე უკან დასახევი გზა აღარ დარჩება, თავს ვერაფრით გაიმართლებს. არადა, როგორ უნდოდა, ეკოცნა! სალი მზად იყო ამისთვის. კიდევ კარგი, თავის თავთან მაინც რომ შეუძლია, გულახდილი იყო.

როგორც კი ჰოლში შევიდა, კარი მიიხურა და სუნთქვაგახშირებული, ზურგით კედელს მიეყრდნო. ცდილობდა, ნერვები მოეთოკა. მიუხედავად იმისა, რომ ვაკო მხოლოდ წრფელ მეგობრობას სთავაზობდა, სალი ხვდებოდა, როგორ ეუფლებოდა თანდათან მამაკაცი მას გონებით. სწორედ ამიტომაც, ნაკლებად იყო დარწმუნებული, რომ ხვალ და ზეგ ნონასნორობის შენარჩუნებას შეძლებდა.

მხოლოდ მაშინ შეირხა, როცა მანქანის დაძვრის ხმა მისწვდა მის სმენას. მაშინვე სამზარეულოში გავარდა, კარადიდან არყის ბოთლი გამოიღო, ჭიქაში ჩაისხა და გადაკრა. რამდენიმე წუთის შემდეგ მედეას დაურეკავს და ავთოს ამბებს შეიტყობს. ოღონდ ჯერ არა, ცოტა აზრზე მოვიდეს. ამნუთას მხოლოდ ვაკოსთან გატარებული დღე უტრიალებს თავში...

საინტერესოა, მართლა უნდოდა ეკოცნა თუ არა?.. ეკოცნა ისე, როგორც მამაკაცები ქალებს კოცნიან? იქნებ ეს მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია? იქნებ მოეჩვენა და მეტი არაფერი? იქნებ ტყუილად შეშინდა? გარეგნულად ვაკო ძალიან მიმზიდველი მამაკაცია, რომ იტყვიან, ზესიმპათიური. ძნელია, მასთან მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნო. შეხედავ თუ არა, ეგრევე ინუსხები. რატომ გაჰყვა სასიერნოდ? რატომ იქცევა ასე? თავისი ნებით რატომ იგდებს თავს სახიფათო სიტუაციაში? ხომ ხედავს, რომ მასთან შესვედრით ჩიხში ემწყვდევა?! — ეკითხებოდა საკუთარ თავს და არც ერთ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა.

მორჩა მკითხაობა! ახლა დროა, დედინაცვალს დაურევოს.

— მედიკო, საღამო მშვიდობისა, როგორ ხარ? — თბილად მოიკითხა დედინაცვალი.

— სალო! — ქალი აღელვებული ჩანდა. — როგორც იქნა, მეღირსა შენი ხმის გაგონება! მეგონა, აღარასდროს დამირეკავდი. ნანყენი ხომ არ ხარ ჩემზე?

— კარგი, რა, მედი, საიდან მოიტანე?! უბრალოდ, დაკავებული ვიყავი და ვერ მოვახერხე. ხომ კარგად ხარ?

— მე რა მიჭირს, ვარ ძველებურად.

— გავიგე, იმ დეგენერატს დაურეკავს...

— ჰო, დამირეკა, — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უპასუხა ქალმა.

— და რა მინდაო, რა გითხრა?

— უსიამოვნებები მაქვსო, შვილო.

— მართლა? რას მეუბნები-თქო! რა მჭირსო?

— არ დაიჯერებ და... სასამართლოში უჩივიან...

— ამაში დაუჯერებელი არაფერია. დიდი ხანია, სამსახურში ყველაფერი ყირაზე დააყენა.

— არა, არა, დედი, სამსახური არაფერ შუაშია. სხვა რამეში ადანაშაულებენ.

— სხვა რამეში? კიდევ რა ჩაიდინა?

— გაუპატიურებაში სდებენ ბრალს... ჩვენ ორივე ვიცით, რომ ის ამის გამკვეთებელი არ არის, მაგრამ ვილაც გოგო უმტიციებს ამას. უკვე შეიტანა თურმე განცხადება.

„ამის გამკვეთებელი არ არის? სწორედაც რომ არის!“ — გაიფიქრა სალიმ. თავისი გამოცდილებიდან იცოდა, რომ ქმარი მსგავს რამეზე უკან არ დაიხევდა. მათი ურთიერთობა სხვა რამეზე კი არ იყო აგებული. იგი ანგარიშს არასდროს უწევდა, სურდა თუ არა სალომეს მასთან სექსი, როცა მოესურვებოდა და როგორც მოესურვებოდა, ისე ეუფლებოდა ცოლის სხეულს. მერე რა, რომ მეუღლე იყო?! მისი სურვილიც ხომ უნდა გაეთვალისწინებინა! არა, არც ერთხელ! სალომე კი უსუსური იყო, უმწეო და წინააღმდეგობას ვერ უწევდა. არც ჰქონდა აზრი. ამით მხოლოდ უარეს უსიამოვნებას აიკიდებდა. ამიტომაც ითმენდა, სანამ შეეძლო. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა, რომ უნდა გაჰყროდა.

— მთხოვა, სალომე ჩამოვიდეს და გვერდით დამიდგესო. ამბობს, ჩემი ცოლი ერთადერთია, ვისაც ჩემი დახმარება შეუძლიაო. იქნებ...

— მეტი რაქმე არა მაქვს! თუ დაამავა, პასუხიც ავოს! ძალიანაც კარგი, თუკი გაასამართლებენ. მან ეს დაიმსახურა!

— მარინას ნომერი მივეცი, ალბათ დაგირეკავს.

— რა-ა?! — იყვირა სალიმ. — არავითარ შემთხვევაში! მე მას არ დაველაპარაკები. რატომ მიეცი ნომერი, რატომ? შენ არ გქონდა ამის უფლება!

— ნუ ცხარობ, შემოგველე. თუ მონიდომებდა, მაინც გაიგებდა, ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს?! ცოტათი მაინც არ გეცოდება? იქნებ დახმარებოდი? ამისთანა რა დაგიშავა?

— შენ ყველაფერი არ იცი, მედი... მე მას ზუსტად იმიტომ დავმორდი, რომ... არ აღმოჩნდა ის ადამიანი, ვინც მეგონა.



ძალიან გთხოვ, თუ შემოგეხმინაოს, უთხარი, არ დამირეკოს. კარგი?

— რამე დამიმალე, სალო? არის ისეთი რამე, რაც მე არ ვიცი? მამიდაშენს მაინც თუ მოუყვი, სინამდვილეში რა ხდება? მე დედინაცვალ ვარ და შეიძლება, არ მენდობი ბოლომდე, მაგრამ მარინა?.. ის ხომ შენთვის დედასავითაა!.. — შემფოთება გაისმა მედიკოს ხმაში.

— არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი, — მკაცრად წარმოთქვა სალომემ, — გეტყვი მხოლოდ იმას, რომ არცთუ ისე კარგად შექცეოდა და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გავყვარე. ძლივს თავიდან მოვიშორე, მაგას რამეში დავეხმარები?! გამორიცხულია!

მიუხედავად იმისა, რომ დედინაცვალმა კითხვები დააყარა, სალომემ არც ერთზე ამომწურავი პასუხი არ გასცა, მშრალად დაემშვიდობა და ყურმილი დაკიდა.

თერთმეტი საათი იყო, როცა მარინა შინ დაბრუნდა. სალი უკვე ლოგინში იწვა. თავი მოიმძინარა, არ უნდოდა, ახლა მამიდას შეკითხვისთვის გაეცა პასუხი. ისედაც რთული დღე ჰქონდა. კედლისკენ გადაბრუნდა და საბანი თავზე წაიფარა. გონებიდან ყველა აზრი განდევნა, რაც ავთოსთან აკავშირებდა და ფიქრებში ადგილი მხოლოდ იმდღევანდელ სასიამოვნო მოგონებებს დაუთმო. თავიდან არც ვაკოზე უნდოდა ეფიქრა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. მამაკაცი მის გონებაში სრულიად დაუკითხავად შემოიჭრა. ვერ შეძლო, შეკბრძოლებოდა ამ სურვილს... ვაკო-



თი გატაცება ძლიერი იყო. მამაკაცი ისე მოქმედებდა მასზე, როგორც მათრობელა ღვინო. ადრე იქნება თუ გვიან, დარწმუნებულია, რომ მათი „პლატონური მეგობრობა“ რალაც სხვა, უფრო მეტში გადაიზრდება და ვერც ერთი და ვერც მეორე ამას წინ ვერ აღუდგება.

იმის იმედილა აქვს, რომ ეს ძალიან მალე არ მოხდება. სალის დრო სჭირდება, ამ აზრს რომ შეეგუოს, მოეზადოს, გაიაზროს თითოეული ნაბიჯი. ამწუთას იგი კატეგორიულად არ არის მზად სასიყვარულო ურთიერთობისთვის, ამ ეტაპზე მისთვის ფლირტიც კი მიუღებელია.

მეორე დღით, როგორც მოსალოდნელი იყო, მარინა მამიდამ კითხვებით შეუწუხა გული, როგორ გაატარეთ გუშინდელი დღეო? იძულებული გახდა, იმაზე მეტი მოყოლა, ვიდრე აპირებდა, თუმცა ყველაზე საბედისწერო, „კინალამ კონცის“ სცენას არ შეხებია.

— კიდევ როდის დაგპატივებს? — ცნობისმოყვარეობა კლავდა მარინას.

— აბა, რა ვიცი, მამიდა, კიო ხომ არ ვარ, მისი განზრახვა გამოვიცნო? თავისი გეგმების შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს.

— დარწმუნებული ვარ, დაგირეკავს, თანაც, ძალიან მალე, — მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა ქალმა და ძლივს მოასწრო წინადადების დამთავრება, რომ ტელეფონის ზარი გაისმა.

— აი, ესეც მე ვარ? რას ვამბობდი?! — მარინას სახე გაებადრა.

სალის გული ლამის გაუჩერდა. გარეგნულად კი ინარჩუნებდა გულგრილ გამომეტყველებას, მაგრამ შინაგანად... თუმცა ეს ვაკო არ აღმოჩნდა.

— ჩემი კლასელი იყო, — თქვა მარინამ, როცა ყურმილი დაკიდა, — ჩემი გოგო ჩამოდის თბილისში და სანამ ბინას იქირავებს, რამდენიმე დღით შენთან დაიტოვებო. აბარებს თურმე წელს. უარს ვერ ვეტყვოდი. განუყრელი მეგობრები ვიყავით მთელი ათი წელი და შემდეგაც, სტუდენტობისას, სანამ გათხოვდებოდა. შენ ხომ არაფერში შეგიშლის ხელს?

— არა, რა თქმა უნდა.

— მიყვარს, როცა ჩემს სახლში ბევრი ხალხი ტრიალებს, განსაკუთრებით — ახალგაზრდები. როგორ ვნანობ, შვილი რომ არ ავიყვანე. ჩემი ვერ გავაჩინე, სხვისი მაინც გამეზარდა.

— რატომ ვერ გააჩინე, მამი? — თავი ვერ შეიკავა სალომემ და საჭირბოროტო კითხვა დასვა.

მარინამ სევდიანად აიჩეჩა მხრები.

— აღმოჩნდა, რომ უშვილო ვიყავი. მიღების შეეწინააღმდეგებოდა. ბავშვის აყვანაზეც ვიფიქრე, მაგრამ ბიძაშენს მაინცდამაინც არ უნდოდა ეს. მეც აღარ გამოვიდე თავი. ჩვენთვის მთავარი ერთად ყოფნა იყო, დიდად არ გვანუხებდა უშვილობა. ამას ახლა ვხვდები, მარტო რომ დავრჩი.

არ გვანუხებდა უშვილობა. ამას ახლა ვხვდები, მარტო რომ დავრჩი.

— ნუ ამბობ ასე. მე აქ არ ვარ?

— შენ კი ხარ, შვილო, მაგრამ რომ გამიფრინდები, მერე? ხომ დავრჩები ისევ მარტო!

— კარგი, რა...

— აბა, რა, ასეც უნდა მოხდეს. ღმერთმა დაგიფაროს ჩემსავით მარტოსულად დაბრუნება. სამაგიეროდ, შვილი რომ გაგიჩნდება, მე მოვუვლი და გავხალისებდი. ჩემი შეცდომა არ გაიმეორე, სიხარული. უშვილობა დიდი დანაშაულია, ეს იცოდე.

— მამატიე, რომ შენთვის მტკივნეულ თემას შევხე.

— რა სისულელეა! მთლად უბედურად კი არ მივიჩნევ თავს. თავისებურად, ბედნიერიც ვარ. რაც მთავარია, შენ მყავხარ, ახლა სხვა სადარდებელი აღარაფერი მაქვს. შენი ბედნიერებისთვის ვიბრძობ. მერე კი შენი შვილების კეთილდღეობისთვის, შენ ოღონდ გააჩინე და...

— ჰო, როგორც კი მამობისთვის შესაფერისი კანდიდატურას ვიპოვი, — გაიცინა სალიმ.

— მე მგონი, უკვე იპოვე...

სალიმ არაფერი უპასუხა, არც შეხედა გამზრდელს. ჯერ ძალიან ადრეა ასეთი ვარაუდების გამოტანა. რა იქნება ხვალ, არავინ იცის.

ცოტა ხნის შემდეგ ვაკომ მართლა დარეკა. სალიმ იგრძნო, რომ მღელვარებას ვერ მალავდა. გონებაგაფანტულმა ჩამოართვა ეშმაკურად მოლიმარ მამიდას ყურმილი...

— მისმენ, სალი? — ჩაესმა მამაკაცის ხმა.

— ჰო, რა თქმა უნდა... რა მითხარი? — უპასუხა დაბნეულმა.

— ცუდ დროს ხომ არ დავრეკე?

— არა, არა, ყველაფერი წესრიგშია.

— მაშინ მითხარი, რას იტყვი ჩემს წინადადებაზე?

სალომემ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა წინადადებაზე იყო ლაპარაკი. მამიდას ყურმილი რომ გამოართვა, ვაკოს ხმის გაგონებით ისე ათრთოლდა, ერთი სიტყვაც არ გაუგონია, საკუთარი ნერვების დანყნარებით იყო გართული. ახლაც ისეთი გრძნობა დაუფლდა, თითქოს ხალათზე ცეცხლი წაეკიდა.

— ივანეშვიტე ამ სალამოს ჩემთან ერთად? — წინადადება გაუმეორა მამაკაცი.

— არ არის აუცილებელი, ყოველდღე დამპატიყო, — სწრაფად უპასუხა სალიმ, — ისედაც ბევრი საქმე გექნება.


— შენ და მარინას — ორივეს გეპატივებით.

— ა-ა!.. — ამას კი არ მოელოდა სალი. „ჰგონია, რომ მამიდასთან ერთად უსაფრთხოდ ვიგრძნობ თავს და უარს ვერ ვეტყვი!.. თუ ეს მას სჭირდება „მესამე ზედმეტი“, რათა თავისი გრძნობები უკეთ გააკონტროლოს და ჩემზე ხელი არ წაუცდეს?..“ — გაიფიქრა და მსწრაფლ უპასუხა:

— უცებ ვერ მივხვდი, რას მთავაზობდი, ახლავ ვკითხავ მამიდას, — უპასუხა განითლებულმა.

მარინა მამიდა, რა თქმა უნდა, ვაკოს წინადადებაზე თანახმა იყო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დასაწყისი იხ. „გზა“, № 43, 2009 - №17, 2010

მარი ჯაფარიძე

ნატო როგორც იქნა, დაწყნარდა. ანას ბევრი ისეთი რამ უამბო თავისი ცხოვრებიდან, რასაც ალბათ მხოლოდ საკუთარ თავს ანდობდა. მისი დედამთილი სტუმრებს გაუმასპინძლდა და თან ბოდისს უხდიდა, საკადრისი პატივი ვერ გეცითო. ნუგზარი და ანა გვიან წამოვიდნენ კახეთიდან. ქალი ბედნიერი იყო იმით, რომ ძველი მეგობარი უცნებელი იყო და თავს კარგად გრძნობდა.

— ჩვენი მისია შევასრულეთ, — კმაყოფილი სახით უთხრა ნუგზარს, — მაგრამ დედამისს რომ თავიდანვე ეთქვა სიმართლე, არც შენ დაგჭირდებოდა ამდენი წვალე და არც მე ვინერვიულებდი. მაგრამ არა უშავს, რაც იყო — იყო.

— ანა, ხვალ სასამართლოა, ხომ არ დაგავინყდა? — შეასუნა ნუგზარმა, როდესაც ქალმა ის შინ მიიყვანა.

— მახსოვს, არ დამვიწყნია. ბელას დასწრება სავალდებულოა, ხომ?

— რა თქმა უნდა. სასამართლო მას აუცილებლად ჰკითხავს აზრს, უნდა თუ არა, რომ შენი შვილი გახდეს.

— კარგი, მამასადამე, მე და ბელა 12 საათისთვის სასამართლოსთან დაგველოდებით.

ვინაიდან არც მომჩივანი და არც ბელას გაშვილების წინააღმდეგი არავინ იყო, პროცესი მალე დამთავრდა.

— დღეიდან უკვე მართლა ჩემი შვილი ხარ, — ანა გოგონას მოეხვია.

— ახლა ვერაფერს წამიყვანს? — გოგონამ ნაღვლიანი თვალები შეაწათა.

— აბა, რა სისულელეს ამბობ? აქამდეც ვერაფერს წამიყვანდა, არ გავატანდი შენს თავს.

— ახლა ციციოს ბებია რომ დაუფახხო, შეიძლება?

— რა თქმა უნდა, შეიძლება.

გოგონას კმაყოფილი სახე ჰქონდა. თვალებში თითქოს სხივი ჩაუდგა. სახლთან რომ მივიდნენ, მანქანიდან გადასვლისას ანას მოეხვია და მადლიერების ნიშნად აკოცა. ქალს გული შეეკუმშა. გოგონას ასეთმა საქციელმა თითქოს ტკივილი მიჰყენა, რატომ — თვითონაც ვერ მიხვდა.

— დავით, მომილოცე, დღეს დედა გავხდი, — გაღიმებულ შვიდა კახინეტი.

— გილოცავ, ეხერტი და სხვა მრავალი.

— ისე, მართლა არ იქნებოდა ურიგო, რომ კიდევ მყოლოდა რამდენიმე შვილი.

— ანა, მე მგონი სჯობია, რომ შენ გააჩინო ბავშვები და მათი დედა იყო. ბელას საწინააღმდეგო, რა თქმა უნდა, არაფერი მაქვს, ძალიან კარგი ბავშვია და მიხარია, რომ მასთან დაკავშირებით ასეთი გადაწყვეტილება მიიღე, მაგრამ დროა, შენს ცხოვრებას მიხედო.

— დავით, მიკვირს, ამას რომ მეუბნები.

— უბრალოდ, ის მინდა, რომ შვილები გააჩინო და ოჯახი შექმნა. შენი და ირაკლის ურთიერთობა როგორც უნდა დამალო, მე ვერაფერს გამომაპარებ, ხომ იცი. ჰოდა, ჯობია, დაქორწინდე, — უჩვეულოდ მკაცრი ხმა ჰქონდა დავითს.

ანამ გაოცებით შეხედა. ბიძამისისგან ასეთ ტონს არ იყო მიჩვეული. თუმცა, ნერწყვი ხმაურით გადაყლაპა და არაფერი უთქვამს. სხვა რომ ყოფილიყო, მაშინვე თავის ადგილს მიუჩენდა. დავითს კი ვერ გაუბედა.

— ნუ გაიბუხებ, შენთვის გეუბნები, — შემრიგებლური ტონი გაუხდა მამაკაცს.

ანას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვიდრე საჭირო სიტყვებს თავს მოუყრიდა, ოთახში რამაზი შევიდა.

— მოდი, რამაზ, გელოდი, — დავითმა რამდენიმე საბუთის მომზადება სთხოვა.

— რამაზ, რა ხდება, ელიზბარს აღარ დაურეკავს? — ანას თვალებში ეშმაკუნები აცვეკუნდნენ.

— არა, ჩვენ შევთანხმდით, რომ შენთან ექნება კავშირი. რა თქმა უნდა, ჩემთან ურთიერთობას შენთან კონტაქტი ურჩევნია, — ჩაიცინა მამაკაცმა.

— ჰოდა, ურჩევნია და იკონტაქტოს. რა მოხდა ნეტავ? გაცნო თავისი ახალი წინადადება ინგლისელ პარტნიორებს?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა რამაზმა.

— ჯერ მაგ ელიზბარს მიხვებდე, მერე

კი იმ ინგლისელებსაც დაუუცაცხანებ. მოსარიდებელი არაფერი მაქვს. მაგათ საქციელს ლაღატი ჰქვია. თუ პარტნიორები არიან და სხვამ უფრო სარფიანი წინადადება შესთავაზა, უნდა მოვიდნენ, საქმის კურსში ჩამაყენონ და შემომთავაზონ, რომ ძველი კონტრაქტის პირობები შევცვალოთ და მათ მიერ მონონებულ, სხვის შეთავაზებულ პირობებს მივუახლოვოთ. ასე არაა? თუ შევთანხმდებით, გავაგრძელებთ ურთიერთობას, თუ არა და, ადგება და იმასთან ითანამშრომლებს. ახლა რა გამოდის? ჩემს ზურგს უკან საქმეებს აწყობენ და ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა, მითხრან, რომ ჩვენთან ურთიერთობას წყვეტენ. ელიზბარი საგადასახადო შეღავათებით დაინტერესებს. მის ხელში არაა? შეუძლია, საკმაოდ დიდი თანხა დააზოგვის, გადასახადებზე თავის არიდების გზით. ეს ამათაც აძლევს ხელს, რა თქმა უნდა... როცა კომპანია მსხვილ-გადამხდელების სიაშია და წელიწადში თანხის ბრუნვა 80 მილიონზე მეტი აქვს, ამ დროს მცირე შეღავათიც კი რამდენიმე მილიონის დაზოგვის საშუალებას მისცემს.

— სწორია, ელიზბარმა შესაძლოა, მაგით გვაჯობოს, — კვერი დაუკრა რამაზმა.

— ჰოდა, ელიზბარი თუ ცოტა ჭკუას არ მოუხმობს, ცუდ დღეში აღმოჩნდება, — დამეუქრა ანა. — რამაზ, საღამოს ჩვენთან შემოიარე, ტორტზე დაგაბატიყებ, თან იქნებ რამე გაირკვეს მანამდე და თუ არა — მაინც გვაქვს საქმეზე სალაპარაკო.

— მე მგონი, ვერ მოვახერხებ. — რატომ?

— ანას ძიძას დედა გარდაეცვალა და რაიონში წავიდა მთელი კვირით. შესაძლოა, მეორე კვირაც მიამატოს. ამიტომ, ამ დროის განმავლობაში ყოველდღე ადრე მომიწევს შინ დაბრუნება.

— კარგი, მაშინ მე შემოგივლით, — დაჰპირდა ანა.

— ნინოც წამოიყვანეთ, საღამოს ჩემთან გელით.

— დავით, დამსვი კომპიუტერთან, — რამაზი გავიდა თუ არა, ანა ბიძას თავზე დაადგა.

— რა იყო, რა ბზიკმა გიკბინა? — მამაკაცმა ადგილი დაუთმო.

— ახლა თუ გამომართლებს, ძალიან მაგარი იქნება, — ანა გაფაცვიცებით უყურებდა კომპიუტერის ეკრანს.

— ახალი რაღაც მოიგონე, ეტყობა, — ცნობისმოყვარაობა არ ასვენებდა დავითს.

— ამას წინათ ჩვენს ფოსტაზე შეტყობინება მოვიდა, რომ იმ კომპანიებისთვის, რომლებიც მსუბუქი მრეწველობით არიან დაინტერესებული, ფორუმი ტარდება და გამოფენაც, სადაც ახალი ტექნოლოგიები იქნება წარმოდგენილი. ჰოდა, ზუსტი რიცხვი არ მახსოვს, როდის ტარდება. მაშინ ყურადღება არ მივაქციე.

— რად გინდა, ნასვლა გადანყვიტე?



— არა, ახლა კარგი მომენტი. თუ დაგვიანებული არაა, რამაზს გავუშვებ. ანას ძიძაც არაა აქ. რამაზი ნასვლაზე უარს იტყვის იმის გამო, რომ ბავშვს ვერსად დატოვებს, მე კი შევთავაზებ, რომ ჩემთან დატოვოს. აი, ვიპოვე! — ნამ-ოიძახა გახარებულმა, — ხვალა განაცხადის შესატანად ბოლო დღე. ძალიანაც კარგი, ახლავე შევავსებ, — ანა ტელეფონს დასწვდა, — რამაზ, დავითთან შემოდი და პასპორტი ნამოილე, — ჩასძახა ყურმილში.

რამდენიმე წუთში რამაზი გაცივებულ სახით შევიდა.

— რა ხდება, ანა, ხომ მშვიდობაა?

— მივლინებაში უნდა წახვიდე, ისრაელში, — ქალმა თვალი თვალში გაუყარა.

— როდის?

— კვირას გაფრინდები. ერთკვირიანი ფორუმი ტარდება მსუბუქი მრეწველებისთვის.

— ვერ წავალ, ანა, თანაც, მე მგონი ჯობია, რომ მთავარი ტექნოლოგი გავუშვათ.

— არა, მირჩევნია, შენ წახვიდე, — ეს უფრო ბრძანებას ჰგავდა.

— ბავშვს ვერსად დატოვებ, ძიძაც არაა აქ, ხომ გითხარი წელან.

— მარტო ეგ თუ გიშლის ხელს, რამეს მოვიფიქრებთ. მაგალითად, შემიძლია, მე დავიტოვო. არა მგონია, ანამ უარი თქვას.

— ანა, მსგავსი ფორუმი სხვა დროსაც ჩატარდება და მაშინ წავალ.

— რამაზ, ნუ ჯიუტობ, პასპორტი მომეცი, განაცხადი უნდა შევავსო და მივლინება გავაფორმოთ, — ხელი გაუწოდა.

— ჯერ ანას ვკითხავ, დარჩება თუ არა თქვენთან, — არ ნებდებოდა მამაკაცი.

— კარგი, ჰკითხე. განაცხადი კი მაინც გავაკეთოთ, თუ არ წახვალ, ამის გამო არავინ დაგვჯის და ანა თუ დაგეთანხმდა, შესაძლოა, მერე ვეღარ მოვასწროთ.

რამაზი რომ გავიდა, ანამ შვებით ამოისუნთქა და სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

— ნერილის გაგზავნა, — თქვა ხმაშალა და Enter-ის "კლავის" თითი დაარტყა, — ესეც ასე...

დავითმა თავი გადააქანია.

— წავედი, მანქანა გასარეცხად მყავს დატოვებული, უკვე მზად იქნება, უამრავი საქმე მაქვს კიდევ, — დავითს გამოემშვიდობა და გავიდა.

მრეცხავი ბიჭი მის დანახვზე რაღაც-ნაირად აირია. ჯერ გასაღები ეძება კარგა ხანს... ანა ხვდებოდა, რომ ტყუილად აფათურებდა ხელს ყუთებში, მერე მოსასვენებელ ოთახში შევიდა, იქიდან გამოსულმა ისევ ყუთებში ქექვა დაიწყო. როგორც იქნა, გასაღები იპოვა. ამ ხნის განმავლობაში ქალი მოთმინებით ელოდა და მის უცნაურ ქცევას აკვირდებოდა.

ამ სამრეცხავო მუდმივი კლიენტი იყო, სხვაგან მანქანას არ ტოვებდა. ყოველთვის ზედმეტ თანხას იხდიდა და ბიჭებს ლუ-

დითაც ხშირად უმასპინძლებოდა. ამის გამო მის გამოჩენას სიხარულით ხვდებოდნენ ხოლმე. ახლა კი მრეცხავი უცნაურად იქცეოდა.

— რამე მოხდა? — ჰკითხა ანამ.

ბიჭი დაიბნა, თვალი აარიდა, არც ჰოუსხრა, არც — არა.

— შემთხვევით რამე ხომ არ გაუფუჭდა მანქანას? — ჩაკითხა ანა და გასაღების გამოსართმევად ხელი გაუწოდა.

— ქალბატონო ანა, მანქანა გარეცხილი დაგახვედრეთ, — ბიჭმა ეს სიტყვები ხმამაღლა თქვა, თითქოს სხვის გასაგონად და თან მიდამო დაზვერა. ანას გასაღებთან ერთად ხელში დაკეცილი ქალაღი ჩაუდო.

ანამ ქალაღი მუჭში მოიქცია, მანქანაში ჩაჯდა და ადგილიდან დაიძრა.

ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა, რა ენერა ფურცელზე. კარგა მანძილი რომ გაიარა, მანქანა გზის პირზე გააჩერა და ფურცელი გაშალა. იქ მხოლოდ ტელეფონის ნომერი ეწერა და დრო, როცა ამ ნომერზე უნდა დაერევა.

„რა მოითმენს საღამოს 10 საათამდე?“ — გაიფიქრა და ირაკლის ტელეფონის ნომერი აკრიბა.

— გაგახსენდი, როგორც იქნა? — მამაკაცს ხმაზე წყნა ეტყობოდა. — განგებ არ დაგირევე, მაინტერესებდა, როდის მოიცლიდი, ჩემთვის რომ დაგერევა.

— კარგი, რა, ირაკლი, საყვედურების მოსასმენად არ დამირეკავს.

— საქმიანი ქალი ხარ, სად გცალია ჩემთან დასარეკად ან საყვედურების მოსასმენად?!

ანამ ტელეფონი უბოდიშოდ გათიშა.

„არ ვაპირებ საყვედურების მოსმენას“, — გაიფიქრა და ტელეფონი გვერდითა სავარძელზე მიავლო.

სახლის კარი შეაღო თუ არა, რამაზმა დაურეკა და აუწყა, რომ ანა თანახმა იყო, მამა მივლინებაში გაეშვა, თვითონ კი ანასთან დარჩენილიყო.

— ის კი არა და, მგონი, სიხარულითაც შეხვდა ამ ამბავს, — დაასრულა საუბარი რამაზმა.

ამ ამბავმა ქალი გაახარა, მაგრამ გულს უღრღნიდა ახალი, იდეალებით მოცული ამბავი, რომლის კვანძის გახსნაც სავარაუდოდ, რამდენიმე საათში მოხდებოდა. საათს შეხვდა. ჯერ 8 იყო.

ციცომ უგუნებობა შენიშნა შვილს და დოინჯი შემოირტყა.

— ახლა რაღა მოხდა? — ჰკითხა და სამზარეულოში შეუძღვა.

— დედა, ლაპარაკის გუნებაზე არ ვარ, მშინა და დასვენება მჭირდება, — მაცინარი გამოსდო და რამდენიმე პომიდორი გამოიღო, თევზზე დადო, ყველი, პური, მარილი და წყალი ლანგარზე დააღაგა და თავის ოთახში გავიდა. საწოლზე მოეწყო და პულტი მოიძარჯვა. აჰყვა და ჩამოჰყვა ტელეარხებს, მაგრამ საინტერესო ვერაფერი მოძებნა. რომელიღაც არხზე შეჩერდა. ცოტა ხნით ფილმმა ჩაითრია, შემდეგ ისევ თავის საფიქრალს დაუბრუნდა და ძილიც მოერიდა.

თვალები გაახილა თუ არა, დაფეთებული წამოხტა და ტელეფონზე საათს დახედა. „10 წუთში დავრეკავ“, გაიფიქრა და დამშვიდებული ისევ მიწვა.

როგორც იქნა, გავიდა ის 10 წუთიც და ანამ საჭირო ნომერი აკრიბა. პირველივე ზარზე უპასუხეს.

— ქალბატონო ანა, თქვენ ხართ? — მოესმა მამაკაცის ხმა.

— დიახ.

— მე ვანო ვარ, სამრეცხავოდან.

— ჰო, ვანო, გისმენ, მითხარი, რისი თქმა გინდა.

— ტელეფონში ვერ გეტყვით, უნდა შევხვდეთ. ახლა ჩემს მეგობართან ვარ, ჩემი სახლის ნომერს ვერ მოგცემდით. იძულებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავი. შევხვდეთ და ყველაფერს მოგიყვებით.

— კარგი, — ანამ შეხვედრის ადგილი დაუთქვა და რამდენიმე წუთის შემდეგ პირველი მივიდა.

მისკენ მომავალი ვანო შორიდანვე შენიშნა. ბიჭი შორიასხლს გაჩერდა. მიხვდა, რომ მასთან მიახლოებას არ აპირებდა. თვითონ გადავიდა მანქანიდან.

— უცნაურად არ მოგჩვენოთ ჩემი საქციელი, — დაიწყო ბიჭმა, — არ ვიცი, სწორად ვიქცევი თუ არა, შესაძლოა, რამე შეშეშალა კიდევ, რადგან ასეთ საქმეებში გამოცდილება არ მაქვს.

— პირდაპირ მითხარი, რა გინდა, — ანას მოთმინება ლაღატობდა.

— დღეს, მანქანა რომ დატოვებ და წახვედით, მაშინვე დავინყე მისი რეცხვა. ყველა კარი გავაღე და ნოხები გადმოვალაგე თუ არა, უცხო მამაკაცი მოვიდა და სალაპარაკოდ ცალკე გამიყვანა. უაზროდ მეღაპარაკებოდა რაღაცას, რა უნდოდა, ვერ გავიგე. ცალი თვალი მანქანისკენ მეჭირა, რომ მაგნიტოფონი არავის მოეპარა. თანაც, ამ კაცის ქცევა უცნაურად მომეჩვენა. ისეთ ადგილზე დამაყენა, საიდანაც მანქანას ფაქტობრივად ვერ ვხედავდი. მიუხედავად ამისა, მაინც შევინძე, რომ იმ ადგილიდან, სადაც თქვენი მანქანა იდგა, ვილაც მამაკაცი გავიდა და გზა გადაჭრა. უკან მოიხედა და ამას, რომელიც მე მელაპარაკებოდა, რაღაც ანიშნა. უცნაური კაცი მაშინვე დამემშვიდობა და წავიდა. ამ ამბავმა დამეფხვა და მაშინვე მანქანას მივვარდი.

მაგნიტოფონი ადგილზე იყო. სხვა ისეთი არაფერი გაქვთ მანქანაში, რისი მოპარვაც შეიძლებოდა, მაგრამ მაინც ძალიან დავეჭვდი. ვიფიქრე, რომ შესაძლოა, ის მამაკაცი იქვე იყვნენ და მითვალთვალებდნენ. ისეთი სახე მივიღე, თითქოს არაფერი მომხდარა. თან სალონს ვლაგებდი, თან იქაურობას ვთვალავდებოდა, მაგრამ ვერაფერი ვნახე. მაინც გადავწყვიტე, ეს ყველაფერი თქვენთვის მეთქვა, რადგან ვფიქრობ, ამ ადამიანებს თქვენი მანქანის მიმართ რაღაც არაჯანსაღი ინტერესი ჰქონდათ. ესაა სულ, რისი თქმაც მინდოდა.

— იქნებ მოგჩვენა?

— არა, დარწმუნებული ვარ, რომ ერთმა განგებ გამიყვანა, მეორემ კი რაღაც



გააკეთა. გამორიცხულია, რომ მომჩვენებოდა, ისე არაბუნებრივად იქცეოდნენ. განსაკუთრებულ კონსპირაციაზე არ უზრუნიათ, რადგან როგორც ჩანს, მიიჩნიეს, რომ ერთი გაუნათლებელი, უტყუინო ბიჭი ვარ, რომელიც იოლად მოტყუვდება. მე კი ბავშვობაში გამოძიებლობაზე ვოცნებობდი და ბევრი რამ ვიცი, — წაიტრაბახა ბოლოს.

— არ ინერვიულო, აუცილებლად გავიგებ, ვინ იყვნენ და რა უნდოდათ, — დაამშვიდა ანამ.

— ისე, ჩვენთან 2 სათვალთვლო კამერაა. თუ დაგჭირდებათ, ალბათ იცით, როგორ უნდა მოახერხოთ, რომ ფირი ნახოთ.

— გმადლობ, ვანო, კარგი ბიჭი ხარ. წამოდი, სახლში წაგიყვან, სად ცხოვრობ?

— არა, არა, — შეშინებული, ლამის უკან გადახტა.

— ნუ გეშინია, ბოძები ალბათ არ ჩადეს, რადგან აქამდე აფეთქებოდა, — ანამ დაამშვიდა, მაგრამ მაინც ვერ დაითანხმა, რომ მანქანაში ჩამჯდარიყო.

ბიჭს გამოემშვიდობა და პირდაპირ ირაკლისკენ გაემართა.

წინასწარ არ დაურეკა. უნდოდა, სიურპრიზი გამოსვლოდა და მოულოდნელად დასდგომოდა თავზე. თანაც, ასე უფრო იოლად შეირიგებდა.

ირაკლი შინ არ დახვდა. მანქანა იქვე, შორიხლოს გააჩერა, თვითონ კი ჭიშკართან, პირდაპირ მიწაზე დაჯდა და ზურგით ბოძს მიყვარდა. მკლავები მოკეცილ ფეხებს შემოხვია, თავი მუხლებზე დადო და გაირინდა. გადანყვიტა, აქ დალოდებოდა.

ვილაცის ხელის შეხებამ გამოაფხიზლა. წელში გასწორდა და სახეზე ჩამოშლილი თმა უკან გადაიყარა.

— აქ რას აკეთებ, გეძინა? — მის წინ ირაკლი ჩამოხტულიყო და თვალბეჭდით შეჰყურებდა. სახე კი მის სახესთან ისე ახლოს ჰქონდა, რომ ანას მხოლოდ ტუჩების გამობერვა დასჭირდა, მისთვის ცხვირზე რომ ეკონცა.

მამაკაცმა ცალი ხელი მუხლებში ამოსდო, მეორე წელზე მოხვია, ხელში აიყვანა და სანამ მეორე სართულზე არ ავიდა, არც დაუსვამს ძირს. ანას მკლავები ჰქონდა მისთვის მოხვეული, თავი მკერდზე მიყრდნობილი და განაბული უსმინდა მის გულისცემას. მამაკაცმა სანოლზე დაუშვა, ფეხზე გახადა და თვითონაც იქვე ჩამოუჯდა. ანას ძილმა თავი წაართვა. თითქოს ბანგი ჰქონდა დალეული. თვალბეჭდით თავისით ეხუჭებოდა.

ირაკლიმ ხელში შერჩენილი მანქანის გასაღები გამოართვა და დაბლა ჩავიდა, რომ თავისი და ანას მანქანები ეზოში შემოეყვანა.

უკან მობრუნებულს კი ანა უკვე ღრმა ძილში დახვდა. გვერდით ფრთხილად მიუწვა, რომ ქალს არ გაღვიძებოდა, თავი მკლავზე დაადებინა, ჩაიხუტა და თვითონაც ასე ჩაეძინა.

— გაიღვიძე, გათენდა, — დილით ირაკლის ხმამ გააღვიძა. პირსახოცის

ხალათში გამოწყობილი მამაკაცი თავზე დასდგომოდა.

— დიდი ხანია, ასე გულიანად არ მძინებია, — გაიღმა ქალმა.

— ჰო, დიდი ხანია, ჭიშკართან არ გძინებია, არა? რატომ არ დამირეკე, თუ მელოდებოდი?

— მინდოდა, სიურპრიზი მომეცყო.

— გამოგივიდა. მოვადექი ჭიშკარს და მანქანის ფარები რომ მივანათე, რას ვხედავ? ვილაც ზის თავიარგული. შენი მანქანა მამაშენს შევნიშნე. ის კი არ მიფიქრია, რომ გეძინა. მეგონა, თავს იმძინარებდი. შენ კი თურმე ხვრინავ არხეინად, — სიცილით კვდებოდა ირაკლი.

— იცი, რა მაინტერესებს? მოსასმენი აპარატურის აღმომჩენი ხელსაწყო თუ არსებობს?

— რა? — ჩაეკითხა მამაკაცი, რადგან ეს კითხვა უადგილოდ მოეჩვენა.

ანამ გაუმეორა.

— კი, მაგის მოძებნა შეიძლება. ვინმეს გინდა, მოუსმინო?

— მე კი არ უნდა მოვუსმინო, ეჭვი მაქვს, რომ ვილაცას ჩემი მოსმენა უნდა.

— აბა, მოჰყევი რა მოხდა, — ირაკლი მოსასმენად მოემზადა.

კარგა ხანს ფიქრობდა ანას ნაამბობზე...

— რამენაირად უნდა მოვახერხოთ ფირის ნახვა, მაგრამ ვიდრე რამეს მოვიფიქრებ, მანამდე მანქანაში ისეთ საქმეზე ნუ ილაპარაკებ, რაც არ გინდა, რომ სხვებმა გაიგონ. წურც შენს ადგილმდებარეობას დააკონკრეტებ ხოლმე... ისე, შესაძლოა, „უჩოკი“ კი არა, სწორედ ისეთი მოწყობილობა იყოს, რომელიც მანქანის ადგილმდებარეობას განსაზღვრავს. ვილაცას იქნებ სწორედ ის აინტერესებს, სად დადინარ?

— არაფერი ვიცი, ეჭვიც კი არავისზე მაქვს, — მხრები აიჩეჩა ანამ.

— ამის მერე, რომ მოხვალ და შინ არ დაგხვდები, გარეთ აღარ დამელოდო, — უთხრა წასვლისას ირაკლიმ და ხელში სახლის გასაღები ჩაუდო.

ანამ ფეხის წვერებზე აინია, ირაკლის აკოცა და აწკრიანებულ მობილურს უბასუხა.

— გამარჯობა, ელიზბარი ვარ, — გაბრაზებული ხმა ჰქონდა.

— დიას, ბატონო ელიზბარ, — გაეკვილუცა ქალი.

— საქმე მაქვს, — მოკლედ მოჭრა მამაკაცმა.

— გაბრაზებული ხარ თუ მეჩვენება? — ხმა უფრო დაინახა.

— არ გეჩვენება, შენს შეფთან ვიზიტი შემითანხმე, დღესვე!

— რამე გაგაბრაზათ, მოხდა რამე? — ჩაეკითხა ქალი.

— რაც მოხდა, მაგაზე პირადად დაველაპარაკებ.

— იქნებ ჯერ ჩვენ შევხვდეთ? — არ ეშვებოდა ანა.

— კარგი, სამსახურში მოდი ჩემთან, რამდენ ხანში იქნები?

— ძალიან მალე, — ანამ ტელეფონი გათიშა და ეკონომიკის სამინისტროსკენ

აილო გეზი.

ცოტა ხანში კი ელიზბარის პირისპირ იჯდა და ელოდა, როდის ინებებდა, გაბრაზების მიზეზი ეთქვა.

— შენს ქალბატონს ინგლისელი კომპანიონებისთვის დაურეკავს და ისეთი რალაცები უთვამს, ეჭვი მაქვს, რომ რალაც იყნოსა. შენ ხომ არაფერი გითქვამს?

— არა, რას ამბობთ, როგორ გავებდავდი, მაგას როგორ ვეტყუდი, როცა საბუთები მე მოგანოდეთ?

— იმ საბუთებში რალაც არაა ისე, როგორც საჭიროა.

— მე მხოლოდ მაგ დოკუმენტებზე მიმინვდება ხელი და პრინციპში, არც მგონია, რომ კიდევ არსებობდეს.

— მოკლედ, დღეს შეხვედრა უნდა შემითანხმო.

— მე ვერ შეგითანხმებთ, შესაძლოა, რაიმე იეჭვოს. სჯობია, თქვენ თვითონ დაურეკოთ.

— კარგი, ნომერი მომეცი.

ანამ ის ნომერი ჩაანერინა, რომელიც ელიზბარმა არ იცოდა. მამაკაცი ტელეფონს დასწვდა. ქალი ჯერ დაიძაბა, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ ის ტელეფონი მანქანაში ჰქონდა დატოვებული და მოეშვა.

— არ პასუხობს, — ჩაიბურტყუნა მამაკაცმა.

— მე წავალ, ისედაც დავაგვიანე, — ანამ სწრაფი ნაბიჯით დატოვა კაბინეტი.

მამინვე დავითისკენ გაემართა. გზაში ელიზბარმა დაურეკა. ანა ხმაშეცვლილი ელაპარაკა და შეხვედრაზე შეუთანხმდა. მამაკაცი მოითხოვდა, რომ შეხვედრა სალამოს დაენიშნა, მაგრამ ანამ თავისი გაიტანა.

— თუ ნახევარ საათში ჩემთან არ იქნებით, მომდევნო 2 კვირის განმავლობაში არც იოცნებოთ, რომ ჩემს ნახვას მოახერხებთ, — მკაცრი ტონითა და მტკიცე ხმით უთხრა, რითაც მიანიშნა, რომ მამაკაცი მის სურვილს უნდა დაჰყოლოდა.

— დავით, ახლა ჩვენთან ბატონი ელიზბარი მოვა და ღირსეულად უნდა დავხვდეთ, — ანა ქარივით შეიჭრა დავითის ოთახში.

— ეგ როგორ? „ქართველის დედასავით“? — გაეცინა.

— „ქართველის დედასავით“?!

— ჰო, თუ მტერია, ხანჯლით დავხვდეთ და თუ მოყვარე — ღვინით სავსე ფიალით.

— ხანჯლით უნდა დავხვდეთ, — ამოიოხრა ანამ და დავითის სავარძელი დაიკავა, ყელი მოიღერა და ბიძას გახედა.

— აბა, მისდება უფროსის სავარძელში ჯდომა? ნუთი-ნუთზე მოვა, წესით, უკვე აქ უნდა იყოს. მდივანი გააფრთხილე, რომ ცოტა ხანს არ შემოუშვას. ბრძოლის მეორე ეტაპი დაიწყო და მე მგონი, ცხოვრება უფრო საინტერესო გახდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნიღლები

მარი ჯაფარიძე

მივესალმები ყველას, ვინც ახლა ამ სტრიქონებს კითხულობს. ეს იმას ნიშნავს, რომ „გზანიღლების“ ერთგული მკითხველია. ამ კვირაში ისეთი ამბავი გავიგე, რომელიც არ მესიამოვნა... როგორც აღმოჩნდა, ერთ-ერთ მგზანიღს (ვინაობას ვერ არ დავასახელებ) ახალგაზრდა (მართალია, უცნობი, მაგრამ მაინც) მწერლის ნაწარმოები მიუთვისებია და თავის ამბად გაუსაღებია (აბა, რომელს აგენვით სირცხვილით ყურები?). ჰოდა, ეს ჩვენი ახალგაზრდა მწერალი (ვერჯერობით არც მის ვინაობას გაგიმხელთ) რედაქციაში მომადგა, თქვენაო, გენაცვალე, სააგტორო უფლებებს რატომ არღვევთო? დამნაშავედ ვიგრძენი თავი (ვის გამო? თქვენ გამო!) და რაღა უნდა მეთქვა? ვინაიდან თავისი ნაწარმოები ავტორს თან არ ჰქონდა და ვერ გავეცანი, არ ვიქნები მთლად სამართლიანი, დარწმუნებით ვთქვა რამე. ამ კვირაში ელექტრონულ ფოსტაზე გამომიგზავნის აღნიშნულ ნოველას, რომლის გამოც აურზაური ატყდა და როდესაც წავიკითხავ და გზანიღთან შევადარებ, მივხვდები, რომელია მართალი. ჰოდა, მერე კი გავამხელ ნამდვილი ავტორისა და პლაგიატის ვინაობას. ჩემო მეგობრებო, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა საყვედური არ დავიმსახუროთ. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.



„აპოფართხილი“ და „პატიოსანი“ მქარსველები ანუ გიჟი, გაიღვიძე!



ბედს ეწია

„უკვე ბერბიჭას იარლიყმინებებულ ვასოს დაადგა საშველი და ახლობლებ-ის ჩარევით ოჯახი შექმნა, მაგრამ... ნაზი, ანუ მისი მეორე ნახევარი ავადმყოფურად ეჭვიანი და შხამიანი ენის პატრონი იყო. 2 წლის განმავლობაში ჯოჯოხეთში ამყოფა საბარალო ვასო, ის კი ითმენდა, სიბერეში შექმნილი ოჯახის დანგრევას ერიდებოდა. ცდილობდა, ჩხუბის საბა-ბი არ მიეცა, მაგრამ ნაზის საბაბი რად უნდოდა? მეგობრებსაც თითქმის ჩამო-აშორა. ნაწყენმა სამშაპაცომ გადაწყვი-ტა, ნაზი გაებრაზებინათ. ერთ დღეს ვასომ ცოლს აუნყა, გიამ (ერთ-ერთმა ძმაცაცმა) დამიბარა, ვჭირდებო (ვეტე-ქიმი იყო ვასო). გაუშვა ცოლმაც, მა-გრამ სულ ქოქოლა აყარა. იქ მისულს კი მთელი სამეგობრო დახვდა. განვე-გამონევის შემდეგ გაჩაღდა მონატრე-ბული ქეფი. თან დაჰპირდნენ, მანქანი-თ გაგიყვანთ, შინ არ დაგივინებო (მოშორებით ცხოვრობდა). ხუმრობა-ხუმრობით დაათვრეს მაგრად ვასო და შინ წაყვანის ნაცვლად, იქვე დააძინეს. ელოდა ნაზი ქმარს, ელოდა, შებინდებ-ისას იკადრა და დარეკა გიასთან (ვა-სოს გამოურთეს ტელეფონი). გიამ თავი გაიგო, მე არ დამიბარებია, რას ამ-ბობ, შენი ქმარი თვალთაც არ მინახ-ავს, ახლობელთან ვარ სტუმრად, ჩემთან შინ არავინააო. ღამით კი გაოგნებულ ქალს მესიჯი მიუვიდა: „შენს ქმარს შე-ნამდე მე ვყავდი, ახლა ისევ ჩემთანაა და თავი დაანებე, არ უყვარხარ“. ცეცხლისმ-ფრქვეველი დრაკონი გინახავთ? ნაზის მეზობლებმა ნახეს! გაგიყვებულმა ქალმა იმ ხანგრძლივობით და იმ დროში წყველა, მგონი მამაკაცთა დნ-ში ღალატის კო-დის „მიბლოკვაც“ შეძლო. დილით დაბ-რუნებულ ვასოს კი საშინელება ელო-და. არც ძმაცაცების აღსარებამ გაჭრა. ნაზის ვერ დააჯერეს, რომ ვასო არაფერ შუაში იყო. ხელს აფარებთო, — გაპ-კიოდა. არც მეზობლებ-ახლობლების ჩარევამ უშველა. გააგდეს ვასო შინიდან. თავიდან ბრავობდა მეგობრებზე, უჭირ-და, მაგრამ იმდენად ბედნიერად იგ-რძნო შემდეგ თავი, აპატია ყველაფერი. ცხოვრება აინყო, თბილისში ბინაც იყ-იდა და ამბობენ, ცოლის მოყვანასაც აპირებსო. მეგობრების ხუმრობა რომ არა, ვინ იცის, რა სიბერე ელოდა სა-ბრალოს. კამელია“.

„ამოფერთხილი“

„დღეს ფრიად მნიშვნელოვანი მისია დამაკისრეს: ჩემს 9 წლის ნათესავს „ბუნებას“ ვასწავლიდი. თემა გახლდათ „ვულკანები“. მოყოლისას გიომ რატომ-ღაც აიჩემა: „ვულკანმა ამოფერთხა“. არადა, უნდა თქვას — „ვულკანმა ამოხ-ეთქა“. მოკლედ, გაიძახის გიომ — „ვულ-კანმა ამოფერთხა“, „როცა ვულკანი ფერთხავდა“ და ა.შ. მე კი ვკვდები სი-ცილით და რადგან სიცილის დროს ვერ ვლაპარაკობდი, ხელით ვანიშნებდი, გაჩუმდი-მეთქი. ეს ვერ ხვდებოდა, რას ვუბნებოდი და აგრძელებდა. ამ დროს ოთახში შემოდის გიოს 16 წლის და,

თათა და ჩვენს სცენას გაოცებული უყურებს. გიომ, რა თქმა უნდა, ისევ ჩაარაკრავს: „თუ ვულკანი არ ფერთხ-ავს“ და დაილოგიც გაიმართა:

თათა: ფერთხავს რა არის შტერიო?
გიომ: აბა, რა უნდა ვთქვა?
თათა: ფერთხავს კი არა, ფეთქავს!
P.S. XXI საუკუნეში უკვე ვულკანიც, კი აღარ „ამოხეთქავს“, არამედ — „ფერ-თხავს“ ან უკეთეს შემთხვევაში, ვულ-კანი „ფეთქავს“. ბამბუჩა“.

გონიერი ქურდი

„ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყე-ვბით, დიდი ხნის წინ მოხდა. ბაბუას მეზობლად ერთი კაცი ცხოვრობდა. ერთხელ ბაზარში წასულა და ჩვენე-ბურად რომ ვთქვით, ერთი „ხოშიანად“ დაბრანულ — „დატკაცული“ გოჭი მოუპარავს ვაჭრისთვის. ეს ერთ კაცს დაუნახავს და მილიციასთან (თუ, პატრულთან?) ერთად დადევნებია. გოჭის ქურდს უშეშავია და მოკლე გზით წა-სულა სახლში. ეს დაბრანული გოჭუნია თუთრ ქსოვილში გადაუხვევია, ჩვილი ბავშვით, აკვანში ჩაუწვენია და მილი-ციაც მისდგომია კარს. მამინვე მუქარაზე გადასულან. ეს კაცი კი თურმე ხმას არ იღებს, მაგრამ როცა მისვდა, რომ სულს ცემაში ამოხდიდნენ, აკვანი აკანკალე-ბული ხელებით გადაურწევია და გაპარუ-ლი ხმით უთქვამს: ამის ძვლები შემეჭა-მოს, თუ რამე მომეპაროსო. კაცებს ერთმანეთისთვის გადაუხვედავთ და რად-გან ეჭვი არც ერთს არ შეჰპარავია, რომ იმ აკვანში ბავშვი კი არა, გოჭი იყო ჩაკრული, შერცხვენილებს დაუტოვები-ათ, ის „პატიოსანი“ კაცი. აბა, „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. ლუნა“.

„პატიოსანი“ მძარცველები

„ეს ამბავი ახლა ღიმილით მახსენდე-ბა, ალბათ იმიტომ, რომ დრო ყველაფ-რის მკურნალია და ეს ამბავიც დიდი ხნის წინ მოხდა. მე და ჩემი დაქალი პლექსანოვზე მივიწერობოდა. ქუჩაში კანტიკონტად მოძრაობდა ხალხი. ალ-ბათ ამან განაპირობა და იქვე მობირ-უავე ბიჭების ყურადღება მივიქციეთ. მიხვდით, რომ დაგვედევნენ. ასეთ სიტუ-აციაში ალბათ ბევრი თქვენგანი მოხ-ვედრილა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იმ ბიჭებს ჩვენი გაძარცვა ჰქონდათ განზრახული. ისინი თავისკენ ეწეოდნენ ჩვენს ჩანთებს, ჩვენც ცოცხალი თავით არ ვთმობდით ამ ძვირფას აქსესუარს. ჩემთვის კრახით დამთარდა ეს ორ-თ-აბრძოლა, რადგან მხოლოდ ჩანთის საკიდი (ე.წ. ყური) შემრჩა. სამაგიეროდ, ჩემი დაქალი არ თმობდა პოზიციას და წინა დღის ალბებულ ხელფასიც და ჩან-თაც თმლიანად შეინარჩუნა. ეს ამბავი ამით არ დასრულებულა. მეორე დღეს ჩემთვის უცნობმა ადამიანმა დამირეკა, რომელსაც ჩემი „ნაფრონტალი“ და გადა-გდებული ჩანთა უპოვია, სადაც ჩემი ბლოკნოტის პირველ გვერდზე ანკეტი მქონდა შევსებული. „დაუე“ სისხლის ჯგუფიც კი მქონდა მიწერილი. ეს

პიროვნება თან ჩემი მოგვარეც აღმოჩნ-და. იმ „პატიოსან“ ქურდებს არაფერი წაუღიათ. არადა, სომ ვეუბნებოდი, ფული არ მაქვს-მეთქი? არ დამიჯერეს. დიდი გოგო“.

ძველი ამბავი

„მიჰქრის დრო და თავის კვალს ატყობს ყველას და ყველაფერს. ოდნავ შევითლებული ქალადის ფურცლები წლების წინანდელი სიყვარულის ამბავს გიმჟღავნებს და სვედით მეცხება გული... მეორე წერილი გაუგონარი ვერაგობის ამბავს გიმხელს — თუ როგორ მოუს-პეს ამ სიყვარულს მომავალი... სურათებ-საც დასტყობია დროის მსახვრალი ხელი. გაყვითლებულ და გაცრეცილ სურათე-ბზე ძლივს არჩევ ულამაზეს ქალ-ვაჟს. მათი თვალები ბედნიერებასა და სიყ-ვარულს ასხივებს... წლები გავიდა და მათ კი მანაც ისე უყვართ ერთმანეთი, ფოტოზეც ვერ დაშორებინა ერთურთს... ყველაფერს დასტყობია დრო... უფრო კი მათ საფლავებს, ეკლითა და ძეძვით შემოსილს... WHITE ANGEL“.

შოუ-WOMAN

„ე.ი. მამაკაცები ცივისსხილიანი და მატყუარა (ეს ყველაზე კულტურული დახასიათებით) არსებები რომ არიან, ეგ ჩემი კი არა, მთელი ქალთა მოდგ-მის დამტკიცებულა. ჩემი დღევანდე-ლი გზავნილიც ამ არსებების საქციე-ლის მიმოხილვას დაეთმობა, ჩემი მა-გალითებით, რა თქმა უნდა. გიყი რომ ვარ, ჩემმა მეგობრებმა უკვე ძალიან კარგად იციან, მაგრამ ამ მოსაზრების სიმყარეში მას შემდეგ დარწმუნდნენ, რაც აღმამყოფებელი საქციელი ჩავი-დინე. გაზაფხული რომ გრძნობათა ორ-განობის საამურად აუღერების სეზო-ნია, გამოცდილი თუ არა, გაგონილი მანაც გეწენათ. როგორ აგიფრიადება ხოლმე გული მზის თბილი სხივების შემოჭყიტებისას... ყველაფერი ფერადი გეჩვენება და ა.შ. ჰოდა, ეს მეტად თბილი სხივები, როგორც შევატყე, „ყინულისთავიანებზეც“ დადებითად მოქმედებს. ერთი ასეთი „ტვინგამლ-ვალი“ ჩემი ყოფილი სიმპათია აღმოჩნ-და და ერთ მშვენიერ, მზიან დღეს, შერიგების მოთხოვნით მომადგა, რა-მაც ჩემი „მზის დაბნელება“ გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთ-ობის განახლების სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, ისეთი სიგიჟეები გააკეთა, დაქალებმა ეჭვი გამოთქვას ჩემი კარ-დიოლოგიური მხარის მოუწესრიგე-ბლობაზე: ან უგულო ხარ, ან უტვი-ნოო. ჰოდა, გაგიგონიათ ალბათ, „შეძა-ხილმა ხე გახსმო“ და მეც, შეძახილების ხათრით და იმ პრინციპის მიხედვით, რომ რამდენიმე თავი ერთზე უკეთ მუშაობს, დავძლიე ჩემი ფიცი ხასიათი და რქები მოვიმტვრე... მაგრამ ეს ქალური ინტუიცია გულ-სისხლძარღვებს მიღრღნიდა და რატომღაც ეჭვი მე-პარებოდა მის „ნაშუსიანობაში“. „გიყი თავის უფალია“, — უთქვამთ. მეც ვისარგებლე ამ თავისუფლებით და



„ნეტიანი“ იდეებს მიეცევი „გზა ფართო“. პირველ რიგში SKYPE-ში ახალი „იდეა“ შექმენი, „ნეტიდან“ გადმოწერილი გოგონას ფოტო დავედ და ამ ვა-



გრუნინკა
უბატონს გაცნობის სურვილით „მივუკაკუნე“. იმნამსვე გამეცნო და დაინწყო ჩვენი ნაცნობობა... რამდენიმეკვირიანი საუბრების შემდეგ, ვეღარ მოუთმინა გულმა და ჯერ ნომერი მკითხა, შემდეგ კი შეხვედრა შემომთავაზა... ნომერზე უარი იმ მიზეზით ვუთხარი, რომ მამაჩემის სამსახურის ნომერი მქონდა და ადვილად ვერ „გავაჩუქებდი“. შეხვედრაზე კი „დიდი სიამოვნებით“ დავთანხმდი. გათენდა „ნანატრი“ დღეც. „შარვალ-კოსტუმი“ და „მოკლეპრიჩოიანი“ პარიკი მოხდენილად მოვირგე, ფიზიკის პროფესორივით ცხვირზე სათვალეც დავისკოპე და მუხლების კანკალითა და გულის ფანცქალით გავეშურე პაემანზე. რომ მცოდნოდა, ასე საშინლად ვინერვიულებდი, ხელს ავიღებდი ამ განზრახვებზე, მაგრამ უკვე გვიანი იყო და საქმის ბოლომდე მიყვანა ვამჯობინე. დანიშნულ ადგილას მისი მანქანა შევნიშნე. მაინც მქონდა იმედი და ვფიქრობდი, რომ არ მოვიდოდა, მაგრამ... ესეც მამაკაცური ბუნება... როგორც კი მანქანიდან გადმოვბრძანდებოდა, თამამად, ისე, რომ შუქნიშნის ფერებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ქუჩა გადავჭერი და მივუახლოვდი. რომ დამინახა, ლამის გული წაუვიდა... სახეზე ისეთი თეთრი და ტუჩებზე ლურჯი ფერი დაედო, ისიც კი გავიფიქრე, ხელში არ ჩამაკვდეს-მეთქი... თბილად მოვიკითხე და სანამ მოულოდნელობისგან გაშეშებულ ენას აამოძრავებდა სიტყვების წარმოსათქმელად, მშვიდად ვუთხარი: აი, რატომ არ მჯერა შენი-მეთქი და წამოვედი. იმედს ვიტოვებ, რომ ისევე იქ არ დგას, იგივე მდგომარეობაში. მართალია, თავადაც ძალიან განვიცადე, მაგრამ ღირდა... მეგობრებისგან გიჟის სტატუსიც უკვე დამსახურებულად მოვიპოვე და მზად ვარ, არ გავახუნო... SWEET-GIRL“.

გივი, გაილვიძე!

„გივის გადატვირთული დღის გრაფიკი და ისეთი სამსახური აქვს, რომ ღამისთევაც სწორად უწევს. ამიტომაც ქრონიკული „ძილომანია“ სჭირს და „თვალის მოტყუებას“ ხანდახან ფეხზე მდგომიც კი ცდილობს, ტრანსპორტში. ამის გამო უამრავი კურორთია, მისი მგზავრობის „მენიუში“. პლუს ძალიან დაბნეულია. იმდენად, რომ არა მგონია, მართო უძილო ცხოვრება იყოს ამის მიზეზი. ალბათ გენეტიკიდანაც „გადმოუბლუთუზა“ ბუნებამ, კარგა ბლომად. ახლახან თეთრი „ნივა“ იყიდა. ჰოდა, ერთ დღეს მოჰყავს ცოლი ბაზრიდან, თან ჩქარობს და შუა გზაში ქალს გაახსენდა, ბავშვისთვის საფენები არ მიყიდიაო. გაბრაზებულმა გივიმ მანქანა გაგულისებულმა მოაბრუნა, ავტოსადგომზე ძლივს ჩააკვება და აფთიაქში შევიდა. იყიდა და მოდის ჯუჯღუნით, გამოალო მანქანის კარი და არც შეუხედავს ისე, თითქმის სახეში მიაყარა ქალს — აპა და შენი ხმა არ გავიგონოო, მაგრამ გასაღები რომ არ დახვდა, იკადრა ახედვა და მიხვდა, რომ სხვის „ნივაში“ იჯდა, გვერდით უცხო ქალი იჯდა, გაფართოებული თვალებით. გადავიდა, მაგრამ გული დაწყდა, რომ მისი არ იყო მანქანა... მანქანა კი არა, ქალი... ერთ დღით გივი ღამენათევი დაბრუნდა შინ. ის იყო, „გარაჟის“ კარს მიუახლოვდა და მანქანა გააჩერა, რომ წამიერად ჩასთვლიდა. თვალში გაახილა, ისეთი შეგრძნება შექონდა, თითქოს სწრაფად მიდიოდა. იფიქრა, ველარაფერს მოვასწრებ, შევასკვები და დავილუპებო. საცოდავს სიმწრის ოფდასხმულს და „ტორმუზში“ ორივე ფეხგაყრილს, მთელმა განვლილმა ცხოვრებამ გაურბინა თვალნი. პირველად ილოცა გულით როცა გამოფხიზლდა ემოციებისგან და მიხვდა, არაფერი ეშუქებოდა, საჭეზე დამსობილი სისხარულით ატირდა. P.S. თუ თეთრი „ნივა“ შეგხვდათ, უფრთხილდით, შეიძლება საჭესთან მიხინარე მძღოლი იჯდეს. კამელია“.

მზეჭაბუკი თუ გივი?

„მოკლედ, ყველას გსმენიათ FACEBOOK-ის შესახებ. ჰოდა, მეც გავიგე თუ არა, დავრეგისტრირდი და წავიდა თონა-ბარვააა (რა ძერზკობაა)... საქართველოს ყველა ცნობილი FACE დამეგობრებული მყავს და მიდის მერე ერთმანეთთან ცხენ-ძროხების ჩუქება და ა.შ. ქართველებს არც უცხოელები ჩამორჩებიან. მართალია, FACE-ები ნაკლებად არიან, მაგრამ მაინც მიმწვენილებ გვერდს (რა თავმდაბალი ვარ). აქედან გამომდინარე, ჩემს მეგობრებში იპოვი ესპანელ ედუარდს, ამერიკელ მაიკლს, შიგადაშიგ შავ აფრიკელებსაც. მათ შორის არის ერთი ფილიპინელი ORSYL-ი, რომელსაც გოგონას ფოტო უდევს. დარეგისტრირებისთანავე დამიწყო სჯაბაასი. გავუცანი ერთმანეთის ქვეყნების კულტურას და ა.შ (საუბარია, რა თქმა უნდა, ინგლისურად მიმდინარეობდა). მხოლოდ 1 კვირის შემდეგ გავიგე,

რომ ბიჭი ყოფილა (არადა ORSYL-ი, ქართულად ურსულად ვთარგმნე და)... ცოტა ხანში მომწერა, I'M GUY... ვააა, ე.ი. გვივარო, რაა (ჩემი თარგმანით). ჰოდა, ვკითხე, ჰყავდა თუ არა მეგობარი ბიჭი. პასუხად კი მომწერა — WAAAAAT? ალბათ ზესტაფონური „რაიიიიი“-ს პონტში. :) ნუ, ასევე ერთი კვირა, გვი მეგონა და ვუხსნიდი, როგორ არ უყვარდეთ ქართველებს ასეთები და ა.შ. ერთი კვირის თავზე კი ლექსიკონი ჩამვივარდა ხელში და აღმოვაჩინე, რომ ე.წ. GUY ჭაბუკს ნიშნავდა (მყავს ესეც რა, მზეჭაბუკი). ჰოდა, წავიდა იქ SORRY-ები და საქმის გარჩევები. ბოლოს, ყველაფერი კარგად დამთავრდა და ჩემი ნასწავლი ქართულით ისიც კი მომწერა, მე შენ მიყვარხარ, მეგობარო. :) რა არ ხდება... დამავოი“.

„მაპატიე, მამიკო“...

„სახლში მეჩხუბებიან, სულ სხვებზე რომ წერ, ერთხელ შენზეც დანერეო, მაგრამ რაც საკუთარ თავზე ვწერე, მეყო და ახლა სხვების ჯერია. ხუთშაბათს მეგონა, გადავჩი, ჩემი „ბუბოს ნახტომი“ არ დაბეჭდა მარიმ-მეთქი და ნიკის გარეშე დაუბეჭდავს. მამაჩემისგან გავიგე ეს ამბავი, როცა მკითხა, ბუბოსუნმა კარგი ნახტომი იცისო? დედაჩემმა კი დააყოლა, გადაირევა, ეს რომ წაიკითხოსო. ბუბოს რომ არ ეწყინოს, მარტო ჩემზე დანერაო, ჩემი ოჯახის სხვა წევრებიც უნდა „გამოვავანოლსააშკარავო“. დაახლოებით ერთი თვის წინ სახლის ტელეფონმა დარევა და მამაჩემმა უპასუხა. ტელევიზორი ხმადაღდა იყო ჩართული, თან მე ვლაპარაკობდი და რაიმეს გაგონება ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ჰოდა, მამაჩემმა ტელეფონს რომ უპასუხა, უთხრა, გისმენთ, ქალბატონო. ცოტა ხანში ისევე გაუმეორა, გისმენთო და მე რომ თანდათან ხმას აუწნიე, ჩემი მძაც ამყვა და ყურისწამლები გნიასი შეიქნა. მესმის მამაჩემის ხმა: — ვერ გისმენთ, ქალბატონო. ისეთი სიცილი ატყდა ოთახში, სანამ მამაჩემმა არ შემოგვანათა გაბრაზებული თვალები, მანამდე „ვერ უსმენდა“ ჩემი კლასელების დედას, რომელიც მე მირეკავდა. ერთხელ კიდევ, მამიკოს უნდოდა ეთქვა მკაც (დედაჩემი) მიქსერით თქვეფდაო და მკაც მითქვეფით ქსირავდაო. აააა, ესეც ჩემი მამიკო. მა, მიყვარხარ და მაპატიე, ბუბოს რომ არ დასწყდეს გული, მხოლოდ იმიტომ დავწერე შენზე. ეშპაკუნა“.

„გაიმეორე“

„მეგობარი მიყვებოდა, რომ დედამისი და მისი დაქალები სტუდენტობისას ბევრ კურორტს აწყდებოდნენ. ერთხელ, ლექციებიდან გამოსულები უნივერსიტეტის კიბეზე ჩამოდიოდნენ, ერთს მალაქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა, გადაუბრუნდა ქუსლი და კიბეებზე დაგორდა. ნუ, რა თქმა უნდა, მთელმა ეზომ და გამვლელებმა გული იხვერეს სიცილით. მეორედ დღეს ეს გოგო სხვა დაქალბატონთან ერთად გამოვიდა (რომელიც წინა დღეს ლექციებზე არ იყო) და უხსნის: აი, აქ ჩამოვდიოდი, რალაცნარად გადა-



ამიბრუნდა ფეხი და დავგორდიო. ამის თქმა იყო და მეორეჯერ დაგორებულა ის სანყალი. ამის შემდეგ ვცდილობ, თავს გადახდენილის იმიტირება არ გავაკეთო. რა იცი, რა ხდება! :-)

უცნაური ქურდობა

მეფგორიე რუსეთის სრულიად გასაიდუმლოებულ იამანტაუს მთებში მდებარე, დახურული ქალაქია. ის 1979 წელს დაარსდა. აშშ-ის ვარაუდით, ამ ქალაქში მრავალი საიდუმლო ბირთვული ობიექტი და ბუნკერი უნდა იყოს. თუმცა, რუსეთის მთავრობის მიერ სხვადასხვა დროს გაკეთებული განცხადებების თანახმად, იქ ხან რუსეთის განძეულის საცავი, ხან — პროდუქტების შესანახავი ზონა და ხანაც — ბირთვული ომის შემთხვევაში, ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი ბუნკერი მდებარეობს.



მად, იქ ხან რუსეთის განძეულის საცავი, ხან — პროდუქტების შესანახავი ზონა და ხანაც — ბირთვული ომის შემთხვევაში, ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი ბუნკერი მდებარეობს.

ვატიკანის საიდუმლო არქივი (იტალია)

აქ დაცული დოკუმენტების უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, მსურველს თითქმის, ყველაფრის ნახვა შეუძლია, მაგრამ თავად არქივში ვერასოდეს მოხვდება. ვატიკანის საიდუმლო დოკუმენტების სტელაჟები 84 კმ სიგრძისაა და ინდექსების კატალოგში 35 ათას ტომს ითვლის.

CLUB 33 (აშშ)

დისნეილენდს ალკოჰოლური სასმელების გაყიდვის სრული ლიცენზია აქვს. იქ არის დაწესებული — Club 33, რომელიც ყოველთვის

ლია და სადაც ამავე სახელწოდების სასმელი იყიდება. Club 33-ის წევრობის მსურველს საკმაოდ სქელი ჯიბის ქონა და დიდი მოთმინება — 14-წლიანი ლოდინი — მოეთხოვება.

მოსკოვის მეტრო-2 (რუსეთი)

სავარაუდოდ, ის სტალინის დროს, კოდური სახელწოდებით — D-6 აშენდა. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური (ისევე, როგორც მოსკოვის მეტროპოლიტენის ადმინისტრაცია) მეტრო-2-ის არსებობას არც უარყოფს და არც — ადასტურებს. გავრცელებული ხმების თანახმად, მეტრო-2 სიგრძით საზოგადოებრივ მეტროსა და ალემატება. ეს ხაზი კრემლს, ფედერალური სამსახურის შტაბბინას, აეროპორტ ვნუკოვო-2-სა და ნაციონალური მნიშვნელობის არაერთ სხვა ადგილს ერთმანეთთან აკავშირებს.

ჯენტლმენთა კლუბი

White's (ლიდი ბრიტანეთი)

ეს ინგლისელი ჯენტლმენების ექსკლუზიური კლუბია. 1693 წელს, იტალიელი ფრანჩესკო ბიანკოს მიერ დაარსებულ White's-ში თავდაპირველად, მხოლოდ ცხელ შოკოლადს ყიდდნენ, თუმცა საბოლოოდ, ეს დაწესებულება ტიპურ ჯენტლმენთა კლუბად ჩამოყალიბდა. White's-მა, პირველ რიგში, „ფსონების წიგნით“ გაითქვა სახელი, სადაც ჯენტლმენები უცნაურ ნაძლევებს აფიქსირებენ. მათგან ყველაზე პოპულარული 3 ათას გირვანქასტერლინგის ნაძლევი — წვიმის რომელი წვეთი ჩამოსრილდება ფანჯრის მინაზე პირველად. სუსტი სქესის წარმომადგენელი კლუბში ვერასდროს გაწევრდება, მამაკაცებს კი ამის შესაძლე-



ვატიკანი



CLUB 33





მოსკოვის მეტრო-2



№ 39

ბლობა მხოლოდ მაშინ მიეცემათ, თუ კლუბის რომელიმე წევრი გაუნვეს რეკომენდაციას. ერთი სიტყვით, თუ თქვენ სამეფო კარის წარმომადგენელი, პოლიტიკოსი ან საერთოდაც, გავლენიანი ადამიანი არ ხართ, საუკუთა, ამ კლუბში ფეხი შეგადგმევინონ.

ზონა 51 (აშშ)

ზონა 51 ამერიკის ნევადის შტატის სამხრეთ ნაწილში, ქალაქ ლას-ვეგასიდან 133 კილომეტრის მოშორებით მდებარე სამხედრო ბაზის ფსევდონიმაა. ის გრუმის ტბის ნაპირზეა განლაგებული, სადაც დიდი სამხედრო აეროდრომიც მდებარეობს. ბა-



EMERGENCY OPERATIONS CENTER




ერაციებისთვის იყენებს. იმასაც ირწმუნებიან, რომ №39 ნარკოტიკების კონტრაბანდითა და იარაღის უკანონო გაყიდვითაცაა დაკავებული. მისი იურისდიქციის ქვეშ 120 საგარეო ვაჭრობის კომპანიაა მოქცეული და მათ უშუალოდ კიმ ირ ჩენი აკონტროლებს.

ისეს დიდი ტაძარი (იაპონია)

ისეს დიდი ტაძარი მზის ღმერთის — ამატერასისადმი მიძღვნილი იაპონიის ყველაზე დიდი სინმინდია. ტაძარი ყოველ 20 წელიწადში ერთხელ ინგრევა და ისევ აღდგება. მისი შემდგომი აღდგენა 2013 წელს უნდა მოხდეს. ამ ტაძარში მოხვედრა მხოლოდ იაპონიის იმპერატორის ოჯახის წევრ ღვთისმსახურებსა და ქურუმებს შეუძლიათ, ყველა დანარჩენი კი მხოლოდ მისი ჭილის სახურავის ცქერით უნდა დაკმაყოფილდეს.

EMERGENCY OPERATIONS CENTER-ის მთები (აშშ)

ობიექტი 1950 წელს, „ცივი ომის“



RAF MENWITH HILL

გამო შეიქმნა, მაგრამ არსებობას დღემდე აგრძელებს. გასაგები მიზეზების გამო, იქ მიმდინარე ოპერაციები მკაცრად გასაიდუმლოებულია.

RAF MENWITH HILL-ის სახელობა ბაზა (დიდი ბრიტანეთი)

Echelon-ის გლობალურ ჯაშუშურ ქსელთან დაკავშირებული ბრიტანეთის ეს სამხედრო ბაზა მსოფლიოში მონიტორინგის უმსხვილესი ელექტროსადგურის სახელითაა ცნობილი. Echelon-ის ქსელი 1960-იან წლებში, ცივი ომის დროს, საბჭოთა კავშირის სამხედრო და დიპლომატიური საქმიანობის თვალყურის სადევნებლად შეიქმნა, თუმცა დღემდე მოქმედებს და ძირითადად, პოლიტიკური თუ დიპლომატიური დაზვერვითაა დაკავებული. როგორც ამბობენ, იქ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში განხორციელებული სატელეფონო ზარებისა და რადიოკავშირების გაფილტვრა ხდება.



ზის მთავარი დანიშნულება ექსპერიმენტული თვითმფრინავების, შეიარაღების სისტემების შემუშავება და გამოცდაა. ზონა 51-ის გასაიდუმლოებამ ხალხი დააეჭვა, ბაზის შესახებ ყველა საკუთარ ვერსიას გამოთქვამდა. ბევრის აზრით, ამ ადგილას შეთქმულებები მზადდება და ამოუცნობ მფრინავ ობიექტებსაც სწორედ აქ იკვლევენ.

№39

(ჩრდილოეთი კორეა)

№39 ანუ 39-ე ბიურო ჩრდილოეთ კორეაში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე დახურული ორგანიზაციაა. ის 70-იანი წლების ბოლოს შეიქმნა. სავარაუდოდ, ეს ორგანიზაცია ჩინეთსა და შვეიცარიაში გახსნილ 10-დან 20-მდე საბანკო ანგარიშს კონტრაფაქციის, ფულის გათეთრებისა და სხვა უკანონო ოპ-



ისეს დიდი ტაძარი

გულდაწყვეტილი ოლიმპიური ჩემპიონი და სამუოხლოს ნოსტალგია

სეულის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ორი კვირალა რჩებოდა. საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ნაკრები, რომლის შემადგენლობაში თბილისელი ვლადიმერ გოგოლაძეც ირიცხებოდა, მინსკის მახლობლად, „სტაიკების“ ბაზაზე ემზადებოდა. იმ დღეს ლადოს დაბადების დღე იყო — 22 წელი შეუსრულდა და მეგობართან, დიმიტრი ბილოზერჩევთან ერთად, შამპანურით დაილოცა. მათ ლადოს, საქართველოსა და მომავალი გამარჯვებისა თქვეს. სასმელს არც ერთი არ ეტანებოდა, მიუჩვევლები იყვნენ, მაგრამ ქართველს ერთი ბოთლი რას უზამდა?! აი, დიმა კი დათვრა. მას ახალმოყვანილი ცოლი მოსკოვში, მარტო ჰყავდა დატოვებული. ჰოდა, შექეფიფიანებულს სატრფო გაახსენდა; ლადომ კი დაუშალა, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობის დაუკითხავად, ის მაინც, მოსკოვში გაფრინდა...



ოლიმპიური თამაშების წინ სპორტული რეჟიმის ასეთი დარღვევა არავის ევატიებოდა და ორივეს ნაკრებში ყოფნა-არყოფნის საკითხიც მაშინვე, დღის წესრიგში დადგა. თანაგუნდელებმა კომკავშირული კრება მოუწყვეს. ნათელი იყო, დაბადების დღე ლადომ გადაიხადა, ე.ი. მთავარი დამნაშავეც ის არის, ხოლო ბილოზერჩევი — მისი მსხვერპლია, თუმცა ისიც უნდა დაისაჯოს. ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო, როცა დიმა გუნდს ალაღატებდა. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მთვრალი ავტოავარიაში მოყვა და ფეხი მოიტეხა. სეულის ოლიმპიადას მათ გარეშეც მოვიგებთო! — ასეთი იყო კომკავშირული ამხანაგების გადაწყვეტილება.

ვლადიმერ გოგოლაძისნაირი უიღბლო სპორტსმენი ძნელად, რომ მოიძიოს კაცმა, რადგან ყველაზე მნიშვნელოვან ასპარეზობებს სისტემატურად ტოვებდა. ის 1987 წელს, ზაგრების მსოფლიოს უნივერსიადისათვის ჩინებულ ფორმაში იყო, საბჭოთა ნაკრების ლიდერადაც მიიჩნეოდა და სპეციალისტების ვარაუდით, 6 სახეობაში უნდა გამარჯვებოდა. ამ შეჯიბრებას ლადოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ლეონიდ არკავეი საოლიმპიადოდ გუნდის ძირითადი კანდიდატების შერჩევას სწორედ აქ გეგმავდა. ამასთან, გოგოლაძეს თავისუფალ ვარჯიშში თავისი სამმაგი მალაყის შესრულებაც ხორვატიაში ჰქონდა განზრახული და კარგადაც მოამზადა. ნარმატების შემთხვევაში, იგი პირველი იქნებოდა, ვინც ოფიციალურ შეჯიბრებაზე ამ ურთულეს ილეთს გაიტანდა და პირველშემსრულებლის უფლებით, მას ქართველი ტანმოვარჯიშის სახელი დაერქმეოდა.

საუნივერსიადო სტარტებამდე ერთი დღით ადრე, ზაგრებშივე, გუნდი

ბოლო ვარჯიშს ატარებდა. ლადოს პროგრამა თითქმის სრულყოფილი იყო. ერთადერთი ის აწუხებდა, რომ ხორვატიაში პირადი მწვრთნელი, არნოლდ კვეტენაძე ვერ გაჰყვა. იგი ზედმინეწვით იცნობდა ლადოს და ასეთ საპასუხისმგებლო ტურნირზე მისი რჩევებიც ძალზე გამოადგებოდა, მაგრამ მოსკოვმა დელეგაციაში მისთვის ადგილი არ გამოყო და თბილისში დატოვა. დასკვნით ვარჯიშზე გოგოლაძემ ყველა იარაღი გაიარა, ლერძაც მორჩა და სამმაგი მალაყის შესრულება კიდევ ერთხელ უნდოდა, მაგრამ რატომდაც, ნაკრების თავკაცმა — არკავემა ისევ ლერძე დააბრუნა. ჯერ ერთხელ, მერე მეორედ, ბოლოს კი, როდესაც ლადოს ეს გაუთავებელი კომბინაციები მოჰბეზრდა, მოდუნდა და ლერძე ხელი აუცურდა — დახტომისას იდაყვი ცუდად დაარტყა და სახსარში ამოუვარდა. სტუდენტთა მსოფლიოს უნივერსიადისათვის მისთვის ამით დასრულდა...

ვლადიმერ გოგოლაძე ზედიზედ მეორედ ტოვებდა უნივერსიადას: 2 წლით ადრე, ასევე ტრავმის გამო, ვერც იაპონიაში გამეგზავრა, ხოლო შემდეგ, მონრეალის მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოტოვა. ბედის ირონიაც ეს არის — ზაგრებში ქართველი ტანმოვარჯიშისათვის განკუთვნილი ის 6 მედალი, მათ შორის, 5 — ოქროსი, ნაკრების მეორე ნომერს, იური კოროლიოვს ერგო.

ბავშვობაში ლადო ძალიან ცელქი იყო, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა და ახალგაზრდა მწვრთნელს, არნოლდ კვეტენაძესაც სწორედ ამიტომ მოეწონა. პლენხანოვის გამზირზე მას მომცრო დარბაზი ჰქონდა და სხვადასხვა სკოლაში შერჩეულ ონავრებს იქ ავარჯიშებდა. ლადო ნიჭიერი აღმოჩნდა, ტანვარჯიშიც მოსწონდა, ხალისით დადიოდა სექციაში და

მალე, ორმაგი მალაყიც დამოუკიდებლად შეასრულა. თუმცა, ზოგჯერ გაჯიუტება იცოდა. როგორღაც ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე ტაიქიდან ჩამოვარდა. მწვრთნელმა ვარჯიშის გაგრძელება სთხოვა, მაგრამ მან ფეხი არ მოიცვალა და პირველი ადგილის ნაცვლად, მეოთხეზე აღმოჩნდა, რის გამოც, გულნატკენმა, მწარედაც იტირა...

საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელებმა ვლადიმერ გოგოლაძეს პირველად 1982 წელს, თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე დაადგეს თვალი. ლადომ მაშინ თავისუფალ ვარჯიშში გაიმარჯვა. ორი წლის შემდეგ ჩვენს დედაქალაქში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა გუნდების სამატჩო შეხვედრა ჩატარდა. ლადო ამჯერადაც, საუკეთესო იყო. მრავალჭიდის გარდა, მან რგოლებსა და ბჯენით ხტომებში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და საკავშირო ნაკრებშიც მიიწვიეს. იმავე სეზონში 17 წლის ქართველი ტანმოვარჯიშე თანატოლთა შორის კონტინენტის პირველობაში მონაწილეობდა — ტურნირს იტალიის ზღვისპირა ქალაქი, რომინი მასპინძლობდა. ევროპულ სარბიელზე თავისი დებიუტი გოგოლაძემ ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედლით აღნიშნა. ყველაზე კარგად იგი ლერძა და თავისუფალ ვარჯიშში გამოვიდა, მრავალჭიდის ჯამში კი კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა. გარდა ამისა, ლადომ



დასაწყისი იხ. გვ. 14

თავს ყველაფერი. რაც მოხდა ჩემს თავს, ამას ყოველთვის ველოდი. მე არ გავეყევი მათ პოლიტიკურ ვაჭრობაში“ — განაცხადა **გამსახურლიამ**. არც ის დაუმალავს, რომ მოლაპარაკებებისას მის ძმასაც იყენებდნენ, თუმცა დეტალებზე არ შეჩერებულა.

სადავოა, თუ რა ეცვა ცოტნე გამსახურდიას იმ დღეს. როგორც მოწმე საიადოვა ამბობს, მას წითელი სპორტული კოსტიუმი ეცვა და ამას ამტკიცებს პროკურატურაც. ეს არც ფარული ვიდეომასალით დადასტურდა და არც პროკურატურის მიერ ტელევიზიებიდან ამოღებული კადრებით. ამ მასალებში აშკარად ჩანს, რომ ცოტნეს ლურჯი ფერის სპორტული კოსტიუმი აცვია.

„ტელევიზიიდან ამოღებულ კადრებში ჩანს, როგორ წაიყვანეს პოლიციის განყოფილებიდან საავადმყოფოში ცოტნე და მუქი ლურჯი სპორტული აცვია. ამას ადასტურებს გოგიაშვილის ჩვენებაც და მისი უკანონო ფარული ჩანანერიც. მას არ მისცემია სახლში შესვლის საშუალება და ასეთ დროს, ვერც გამოიცვლიდა ტანსაცმელს. „სასწრაფომ“ პოლიციიდან ცოტნე გამსახურდია 18 საათსა და 40 წუთზე წაიყვანა საავადმყოფოში; იქ იყო 21 საათამდე, იქ ჩაუტარდა პროცედურები და ანანშენდებიც იქ აუღეს. ექსპერტი ლისინა საერთოდ არ უნახავს. ლისინას ოქმის მიხედვით, 20 საათზე აქვს ანანშენდები აღებული გალის ქუჩაზე; ეს აბსურდია, ამ დროს ცოტნე საავადმყოფოში იყო და შემთხვევის ადგილზე ვერანაირად ვერ იქნებოდა. საპირისპიროა მეორე ოქმი, რომელიც ცოტნეს საავადმყოფოში ყოფნას ადასტურებს. ამიტომ ხელიდან აღებული დენტის ანანშენდები თავად პროკურატურამ ჩათვალა დაუშვებელ მტკიცებულებად და საქმიდან ამოიღო, თუმცა დატოვეს ტანსაცმელზე ჩატარებული დასკვნა, თითქოს დენტის კვალი იყო საავადმყოფოდან ამოღებულ, წითელი ფერის მოსასხამში, რომელიც 21 საათსა და 15 წუთზე ამოიღეს. ამ დროს ცოტნე უკვე განწერილია საავადმყოფოდან, იქ რატომ დარჩებოდა მისი ტანსაცმელი? ტანსაცმელს ტოვებენ იმ შემთხვევაში, თუ საავადმყოფოში რჩება ავადმყოფი, ან პირი გარდაცვლილია. ცოტნე წამოიყვანეს პოლიციაში და მისი ტანსაცმელი იქ დატოვეს?!. არ არის გამორიცხული,

საიადოვამ მართლაც ნახა ვილაც, წითლებში ჩაცმული, მაგრამ ეს არ იყო ცოტნე გამსახურდია, რადგან იმ დღეს მას ლურჯი ფერის ტანსაცმელი ეცვა. იმის მიუხედავად, რომ მტკიცებულება არ არსებობს, სასამართლომ უპირობოდ გაიზიარა მთელი ბრალდება. როგორც 19-108 მუხლით, ასევე 236-ე მუხლით გამოუტანა განაჩენი და სასჯელები შეიკრიბა. ეს არის უკანონო განაჩენი, რომელსაც აუცილებლად გავასაჩივრებთ. ჩვენ კოლოდიური ქიმიის მიმართულების დასკვნა წარმოვადგინეთ ტექნიკური უნივერსიტეტიდან, სადაც გაშიფრულია, თუ რაში შეიძლება იყოს ნოო-რი. არ არსებობს ნივთიერება, რომელშიც არ არის დენტის კვალი, მათ შორის — საკვებიც. თუ ტრანსპორტით იმოძრავებთ, არ შეიძლება, თქვენს ტანსაცმელში არ იყოს ეს ნივთიერება. ვნახთ, როგორ დაასაბუთებს ამ განაჩენს მოსამართლე; ჯერჯერობით მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილს გავეცანით. ვიბრძოლებთ ბოლომდე. სიმართლე გითხრათ, როცა მოსამართლე ვიყავი, ასეთ საქმეზე უპირობოდ გამამართლებელ განაჩენს ვადგენდი, იმედო მიანიჭებდი, რომ სამართალი გაიმარჯვებდა. ძალიან განბილებული ვარ“, — განაცხადა გამსახურდიას ადვოკატმა, **გიორგი ძოიავამ**. მიაჩნია, რომ იმ პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს, რომლებმაც სასამართლოზე იცურა: „მოვითხოვეთ, საპატრულო პოლიციიდან შემთხვევითა რეგისტრაციის ყურნალი მოეტანათ. ერთი და იმავე დოკუმენტიდან გადაღებულია ორი ქსეროასლი; შესწორებული ციფრები წარმოადგინეს, აშკარად გაყალბებული. ეს მეტყველებს იმაზე, რომ თავის დროზე არც ერთ პირს არ უთქვამს, რომ ცნობილი იყო ეჭვმიტანილი, მაგრამ ამის მიუხედავად, სასამართლომ რეაგირება ამაზე არ მოახდინა. როცა გაუჭირდა ბრალდებას, საქმეში ჩართო პოლიციელები, რომლებმაც ცრუჩვენებები მისცეს. ეს ახალი დანაშაულია და ამას სამსახურებრივი სიყალბე ჰქვია. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსამართლემ უკანონო ფარული ჩანანერები მტკიცებულებად მიიღო“.

მოსამართლემ განაჩენთან ერთად, ორი კერძო განჩინებაც გამოიტანა. ერთ-ერთია — პროკურორ კუპატაძის უკანონო მოქმედებებთან დაკავშირებით. „მიექცეს ყურადღება კუპატაძის უკანონო საქციელს“, —

ნათქვამია სარეზოლუციო ნაწილში. მეორე განჩინება გამომძიებელ სხირტლაძის მიმართ გამოიტანა.

დაზარალებული ბაჯელიძე და მისი ადვოკატი როსტიაშვილი კატეგორიულ უარს აცხადებდნენ ბრალდებაზე, ცოტნე გამსახურდია მომხდარში უდანაშაულოდ მიიჩნიეს. დაზარალებულის ადვოკატმა გამსახურდიას გამართლება მოითხოვა, მაგრამ ეს არ იქნა გაზიარებული: „სასამართლომ უკანონო განაჩენი გამოიტანა. ბრალდებას ბაჯელიძემ მხარი თავიდანვე არ დაუჭირა. რაც განვიხილეთ, ამ მასალებით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა შეუძლებელი იყო. ძალიან გაუგებარია, რას დაეყრდნო მოსამართლე ჯორბენაძე. არავითარი მტკიცებულება, გარდა დარღვევებით მოპოვებული ფარული ჩანანერებისა, საქმეში არ არსებობდა. დავით ბაჯელიძეს, როგორც კი საავადმყოფოში გონზე მოვიდა, არწმუნებდნენ, რომ ეს ცოტნე გამსახურდიაა ჩაიდინა. საპატრულო პოლიცია იმდენად თავხედი აღმოჩნდა, რომ ფაქტობრივად, თავისუფლება აღუკვეთა ანზორ ბაჯელიძეს და საავადმყოფოში ძმასთან წასვლის საშუალებაც არ მისცა. ცოტნეს რომ დაეჭრა იგი, რატომ არ დაადანაშაულებდა, რატომ აპატიებდა?!. ისიც კარგად იცით, თუ რა ზენწილას ხორციელდებოდა დაზარალებულზე. საქმეში მთავარი მტკიცებულება საიადოვას ჩვენება იყო, რომელიც სასამართლოზე მთლიანად „დაიმსხვრა“. ამ ფონზე, ასეთი განაჩენი გაუგებარია. გამსახურდიას გამართლება მოვითხოვეთ, რადგან ის უდანაშაულია“, — აცხადებს დაზარალებულის ადვოკატი **როსტიაშვილი**.

ცოტნე გამსახურდიას ადვოკატი, **ძატი ბაძაური** კი მიიჩნევს, რომ მოსამართლე ჯორბენაძემ სასწრაფოდ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი: „მან კარგად იცოდა, რომ ვიდრე ქართველი საზოგადოებრივი იზეიმებდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღდგენას, ე.ი. 9 აპრილამდე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილისთვის უნდა გამოეტანათ განაჩენი... არანაირად არ ველოდით ამას და ძალიან ვწუხვართ. უკვე გამზადებულია მასალები და ევროსასამართლოში გასაჩივრდება. ცოტნე გამსახურდიას უკანონო დაკავება ევროკონვენციის მეხუთე მუხლის დარღვევით მოხდა. მინდა, იცოდეს მოსამართლე ჯორბენაძემ და ხელისუფლებამ — უმნიშვნელო ნიუანსსაც არ დავტოვებთ საქმეში და ვიბრძოლებთ ბოლომდე სიმართლის მისაღწევად“.



და, მაგრამ სწორედ ამ დროს იფეთქა დიმიტრი ბილოზერჩევის სიყვარულმა...

ჰანს ბურჟანაძე:

— დიმიტრი ბილოზერჩევი მსოფლიოს ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი იყო. ის საბჭოთა ნაკრების ლიდერად მიიჩნეოდა და ლეონიდ არკაევს მის მიმართ დიდი სიმპათია ჰქონდა. სეულში იგი უეჭველად, რამდენიმე ოქროს მედალს მოიპოვებდა. დიმას გამოსვლას ოლიმპიადებზე მთელი ტანვარჯიშული სამყარო ელოდა და ის რომ არ წაეყვანათ, სკანდალი გარდაუვალი იქნებოდა. თუმცა, ასეთ სიტუაციაში ვილაც ხომ უნდა დაესაჯათ?! მაშინ მინსკის შეკრებებზე ლადოს მე ვამზადებდი და ვხვდებოდი, რომ ეს ვილაც გოგოლაძე იქნებოდა, მაგრამ ვინაიდან ლადოს დანაშაული უფრო მცირე იყო, ვიდრე დიმასი, ამიტომ ან ორივე უნდა მოეკვეთათ გუნდიდან, ან — არც ერთი. საბოლოოდ, გოგოლაძეც და ბილოზერჩევიც ნაკრებში დატოვეს.

სეულის თამაშების წინ საკავშირო პრესაში საბჭოთა ოლიმპიელების საერთო სია გამოქვეყნდა. ამ სიაში ვლადიმერ გოგოლაძეც იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირის სპორტსახკომის კოლეგიის დადგენილებით, ოლიმპიურ თამაშებში მისი მონაწილეობის საკითხი სეულში გადაწყდებოდა, სადაც საბოლოო სიტყვა ლეონიდ არკაევს უნდა ეთქვა — მას არჩევანი გოგოლაძესა და მოსკოველ ვალენტინ მოგილინს შორის უნდა გაეკეთებინა.

ლადომ რამდენიმე ლამე თეთრად გაათენა. ბოლოს, როგორც იქნა, არკაევმა არჩევანი ვლადიმერ გოგოლაძეზე გააკეთა, მაგრამ იქვე დასძინა: — გოგოლაძე გამხსნელი იქ-

ნებო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართველ ტანმოვარჯიშეს მსაჯები უმაღლეს შეფასებას არ მისცემდნენ. სპორტის ამ სახეობაში დაუნერეელი კანონი მოქმედებს — ვინც პირველი გამოდის ფიცარნაგზე, ჟიურის წევრები მას მაღალ ქულებს არ უწერენ. ამიტომაც, ლადო იძულებული იყო, მხოლოდ გუნდისათვის ემუშავა. არკაევის ჩანაფიქრი ასეთი გახლდათ: თუ ლადო 9,7-9,8 ქულას დაიმსახურებდა, საბჭოთა ნაკრების სხვა წევრები 10 ქულას მიიღებდნენ და მისი გუნდი პირველ ადგილზე გავიდოდა. გარდა ამისა, იგი პირადი ტურნირის მედლებზეც ფიქრობდა. მოსკოველ სპორტსმენებს ყველაზე მეტი ჯილდო უნდა რგებოდათ, ხოლო ქართველისთვის — ერთიც საკმარისი იქნებოდა.

ვლადიმერ გოგოლაძემ მოვალეობა პირნათლად შეასრულა და საბოლოოდ, გუნდურ ჩათვლაში პირველობა საბჭოთა ნაკრებმა მოიპოვა; ჯერ კიდევ საზეიმო დაჯილდოების წინ, ლეონიდ არკაევმა სხვებთან ერთად, ლადოსაც მიულოცა ეს გამარჯვება. ოლიმპიური ჩემპიონობა ყველასთვის უდიდესი სიხარულია, მაგრამ ლადოს გული მაინც დასწყდა — მას კიდევ ორი ოქროს მედლის დასაკუთრება თავისუფლად შეეძლო.

ვლადიმერ გოგოლაძემ სპორტული კარიერა 1989 წელს დაასრულა, შემდეგ კი ქვეყანა აირია და რადგანაც საქართველოში თავი ვერ დაიმკვიდრა, აშშ-ში წავიდა, სადაც ტანვარჯიშის სკოლა გახსნა, მეგობრებზეც შემოიკრიბა და დღესდღეობით, არც წარმატებები აკლია. ერთი ეგაა, სამშობლოს ნოსტალგია აწუხებს...

„ასტუდიოს“ სოლისტმა, მომღერალმა ქეთა თოფურამ საქართველოდან წასვლის შემდეგ იმიჯი ბევრჯერ შეიცვალა. მის გარეგნულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ჩვენში მრავალნაირი ქორი აგორდა. ზოგი ამბობდა: ქეთამ ცხვირის ოპერაცია გაიკეთაო, სხვები ამტკიცებდნენ, — ცდებით, მხოლოდ ტური დაიბერაო, ვილაც კი გაყვიროდა, — გადიდებული მკერდით გვატყუებს, საქართველოში ყოფნისას ამხელა არ ჰქონდაო!..





ქეთა თოფურის „ახალი სახე“ დაუჩუნეს

თურმე ქეთას ამ ყველაფერზე ეცინებოდა. როგორც ამბობენ, მას დიდი ხანია, ქორები აღარ აშინებს და ხალხის აზრს ყურადღებასაც არ აქცევს. ცოტა ხნის წინ მან გაზეთ „ყველა სიახლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა:

— პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი არ მიყვარს.

— არ გირჩევნია, სიმართლე თქვა, ვიდრე ქორების ობიექტად იქცე?

— საერთოდ არ მალელებს ეს ამბავი. იჭორაონ დაუსრულებლად. ქორები საქართველოშიც არ მალელებდა.

— მოსკოვშიც ქორაობენ შენზე?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ...

თუმცა ქორები მთლად უმიზეზოდაც არ ვრცელდება და თავად მომღერალმაც აღიარა, რომ ცხვი-

რის პლასტიკური ოპერაცია მართლაც გაიკეთა — ახლა ის შედარებით სწორი და ოდნავ აწეულია(!)...

როგორც რუსული პრესა იტყობინება, თოფურის მეგობრებს მისი „ახალი სახე“ დიდად არ მოსწონთ და ამბობენ, რომ ქეთას „ქველი“ ცხვირი უფრო უხდებოდა.

ესტრადის ვარსკვლავი ბუნებისგან ბოძებული ცხვირითაც რომ მიმზიდველი იყო, ამას მისი გახმაურებული რომანებიც ადასტურებს. როგორც ცნობილია, მომღერლის თაყვანისმცემლებს შორის ისეთი ცნობილი ადამიანები იყვნენ, როგორებიც არიან: კახი კალაძე, ვლად ტაპალოვი და იგორ ვერნიკი.

როგორც ქეთა ამბობს, შეეყარებული ჰყავს, რომლის ვინაობასაც საგულდაგულოდ მალავს. მომღერალი გათხოვებას ჯერჯერობით არ აპირებს, რადგან მისი აზრით, ქალ-

მა მამაკაცი კარგად უნდა გაიცნოს და ამის შემდეგ გადადგას ეს საპასუხისმგებლო ნაბიჯი.

გთავაზობთ ფოტოებს, რომლებიც ქეთას იმიჯის მკვეთრ ცვლილებაზე მეტყველებს და თავადვე გამოიტანეთ დასკვნა, რა შეცვალა მან საკუთარ გარეგნობაში და რა — არა.

P.S. როგორც „ინტერფაქსი“ იუწყება, ჯგუფ A Studio-ს სოლისტის, ქეთა თოფურის მამა, კრიმინალური ავტორიტეტი ანდრო თოფურია მოსკოვში დააკავეს. მას თან 2,83 გრამი ნარკოტიკული საშუალება — მეტადონი აღმოაჩნდა.

როგორც რუსული სააგენტო იუწყება, 1960 წელს დაბადებული, საქართველოს მოქალაქე ანდრო თოფურია ორჯერ არის ნასამართლევი. დაკავებულს თან ჰქონდა პასპორტი — ანდრო სანოძის სახელზე...





ლევან წულაძის ნამღერი სერენადა და ადამიანები, რომლებსაც ბედისწერა უზღავნის

რეჟისორ ლევან წულაძეს, ყველაზე მეტად, გერმანული ლიტერატურა იზიდავს, უყვარს ნოველები. კითხვა ადრეულ ასაკში დაიწყო. თავდაპირველად, ლიტერატურას მშობლები ურჩევდნენ; ხედავდა, უფროსი მეგობრები როგორ კითხულობდნენ ნიგნებს და მათგან მაგალითს იღებდა. გერმანული ავტორების გარდა ჩეხოვის, დანტეს, დიკენსის შემოქმედება იზიდავს, ხოლო ქართველი ავტორებიდან, ყველაზე მეტად, დავით კლდიაშვილი უყვარს.

თავშუა კვინიკაჰა

პრუდიციის მანიერა

— ფილოსოფიური ლიტერატურის კითხვაც ადრეულ ასაკში დავიწყე. მერვე კლასში ვიყავი, როცა როვერბახტის „ქრისტიანობის არსი“ წავიკითხე. მართალია, ყველაფერი ბოლომდე ვერ გავიგე, მაგრამ რაც გავიგე, იმანაც იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ოთახში 2 საათის მანძილზე, წინ და უკან დავდიოდი; მომეჩვენა, რომ ჩემი და ავტორის აზრები ერთმანეთს დაემთხვა.

— იგივე განცდა სხვა ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ თუ გქონიათ?

— როგორ არა! მეგონა, გერმან გერსემ „ტრამალის მგელი“ ჩემზე დანერა.

— საერთო პიროვნული თვისებები ბევრ პერსონაჟთან აღმოგიჩენიათ?

— ასე ახალგაზრდობაში უფრო ხდებოდა. შეუძლებელია, ამა თუ იმ პერსონაჟთან რაიმე საერთო არ აღმოაჩინო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნიგნის წაკითხვას ვერ შეძლებ.

— მეგობრად რომელ პერსონაჟს აირჩევდით?

— რემარკის „სამ მეგობართან“ ვიმეგობრებდი. საინტერესო პერსონაჟები არიან. თან, ალკოჰოლთანაც „მეგობრობენ“ და ერთმანეთის გაგება არ გაგვიჭირდებოდა (იციინის).

— ცხოვრებაში მეგობრებს რა ნიშნით ირჩევთ?

— მეგობრები ბავშვობაში ავირჩიე. სამწუხაროდ, დღეს ზოგიერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის. ჩემი მეგობრების უმეტესობა ჩემივე კოლეგაა. თეატრის გარეთ თავგადასავლები ნაკლებად მაქვს და ცხადია, სხვაგან მეგობრებს ვერ შევიძინე; საამისოდ ბედისწერა ადამიანებს თეატრში მიგზავნის ხოლმე.

— რომელმა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ უთხრა საფრანგეთის მოხუცებულ მეფეს, ლუდოვიკო XIV-ს შემდეგ...

— (მანყვეტიანებს) პასუხი უკვე ვიცი. სულხან-საბა ორბელიანმა.

— დიას, ორბელიანმა მას შემდეგი სიტყვები უთხრა: „ისეთი მოხდენით ატარებთ ასაკს, რომ ყველა ინატრებდა თქვენს ადგილზე ყოფნას“.

— ორბელიანისა და ლუდოვიკო XIV-ის შეხვედრის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია.

— იტალიის რომელ ქალაქში მდებარეობს შუა საუკუნეებში აგებული, გვერდზე გადახრილი კოშკი?

— პიზაში.

— ცნობილია, რომ მომთაბარე მონღოლები დაბეგვილ უმ ხორცს მიერთმევენდნენ. როგორ ბეგვავდნენ ისინი ხორცს?

— ისინი ცხენით მგზავრობდნენ, უმ ხორცს უნაგირის ქვეშ დებდნენ და გზაში იბეგვებოდა. რა კარგად დავიწყე, არა?

— ასე თუ გააგრძელებთ, 2010 წლის „ერუდიტი“ გახდებით.

— (იციინის) არა, ასეთი დიდი ამბიცია არა მაქვს.

— რომელ ქალაქში დაიბადა ზაქარია ფალიაშვილი?



— დასავლეთ საქართველოში, არა?

— დიას, ეს ქალაქი დასავლეთ საქართველოშია.

— ქუთაისში დაიბადა.

— რა წოდება ჰქონდა ლავრენტი ბერიას?

— (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ.

— საბჭოთა კავშირის მარშალი გახლდათ. საიდან მოდის გამოთქმა: ცოლმა ქმარს რქები დაადგა?

— ეს გამოთქმა რასაც ნიშნავს, ვიცი, მაგრამ მისი წარმომავლობის შესახებ არაფერი მსმენია.

— გამოთქმა ძველი საბერძნეთის ისტორიიდან მოდის. იმპერატორი ანდრონიკე კომნენოსი ქალების მოყვარული ყოფილა. როცა რომელიმე ქალი მოეწონებოდა, მის ქმარს იმპერატორის მამულში ნადირობის ნებას რთავდა, რაც დიდ პატივად მიიჩნეოდა. ვისაც ნებას მიეცემოდა, მის ქიშკარზე ირმის რქებს მიაკრავდნენ ხოლმე, იმპერატორი კი სანადიროდ წასულის ცოლს ესტუმრებოდა.

— ბერძნებს რა ეშმაკი იმპერატორი ჰყოლიათ (იციინის)...

— რამდენი ფეხი აქვს რვაფეხას?

— რვა, არა?

— რა თქმა უნდა! საიდან გაჩნდნენ საქართველოში აშულები და აშულური პოეზია?

— მუსლიმანური ქვეყნებიდან.

— „მანავი“, „კახეთი, ზამთარი“, „ძველი სამრეკლო“

— რომელი ცნობილი ქართველი მხატვრის ფუნჯს ეკუთვნის ეს ტილოები?

— ელენე ახვლედიანის.

— ის ლექსებსა და სიმღერებს სამ ენაზე წერდა და მღეროდა. ერეკლე II-ის კარზე მსახურობდა...

— საიათნოვა.

— ვინ ასრულებს თიმსალ-მაკოს და ქაბატოს როლებს ფილმებში: „ბაში-აჩუკი“ და „ქეთო და კოტე“?

— დავითაშვილი. რა ერქვა?

— მარიამი. „ვეფხისტყაოსნის“ რომელ გმირთანაა შედარებული ვეფხი ამ სტრიქონებში: „წრმალი გავსტყორცნე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა, მის გამო კოცნა მომიწდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“?

— ნესტან-დარეჯანთან.



— რა ერქვა შუა საუკუნეების იტალიასა და ესპანეთში სატრფოსადმი მიძღვნილ სიმღერას, რომელსაც შეყვარებულის სარკმლის წინ გიტარის ან სხვა სიმებიანი საკრავის აკომპანემენტით ასრულებდნენ?

— სერენადა.
— სერენადა თავად გიმღერაო?
— (იკინის) მიმღერია. ბავშვობაში ჩემს მეგობარს მივცეხოდით ხოლმე და ვღნაოდით. ერთხელ მეზობლები ისე შევანუხეთ, წყალიც კი გადმოგვასხეს, — გეყოფათ, სახლებში წადითო.

— თქვენმა „ლნავილმა“ გაჭრა?
— გაჭრა.
— 1920 წელს ახალგაზრდა პოეტი თავის დღიურში წერს: „ეს იყო 1910 წელს, არასდროს ისეთი მრავალუამიერი არ მასსოვს, ვანო სარაჯიშვილი, პაოლო იაშვილი და მე რომ ვმღეროდით“, — ვინ არის ამ ჩანანერის ავტორი?

— ალბათ, ტიცინი ტაბიძე.
— ცდებით, ავტორი გალაკტიონია. რომელ ქრისტიანულ დღესასწაულს აღვნიშნავთ 28 აგვისტოს?

— მარიამობას.
— საქართველოში არის კუნძული, რომელზეც სოფელია გაშენებული. სად მდებარეობს ეს კუნძული და რა ჰქვია მასზე გაშენებულ სოფელს?

— არ ვიცი.
— დიდსა და პატარა ენგურს შორის არის კუნძული, რომელზეც მეგრული სოფელი — შამგონაა გაშენებული.

— კუნძული იმდენად დიდია, რომ მასზე სოფელი არსებობს?
— დიახ, მისი სიგრძე 10 კმ-ია, სიგანე კი 1 კმ-დან 1.5 კმ-მდე მერყეობს. შამგონიდან ინგლისში გადავინაცვლოთ. რომელ ქალაქში ჩატარდა პირველი მატჩი რაგბიში?

— ქალაქ რაგბიში.
— სიმეონის აზრით: „ამის გაკეთებას იწყებ იმისთვის, რომ დაამტკიცო, შენ ხარ მამაკაცი, შემდეგ ცდილობ გადაეჩვიო, რომ დაამტკიცო, შენ გაქვს დიდი ნებისყოფა“. ემერსონმა კი შენიშნა: „როცა ამას აკეთებ, გგონია, რომ რაღაცას აკეთებ მაშინ, როდესაც არაფერს აკეთებ“. რის შესახებ წერდნენ ამ სიტყვებს?

— ვერ გიპასუხებ.
— თამბაქოს მონევაზე. ფარნავაზი, ერეკლე II, დავით აღმაშენებელი, ვახტანგ გორგასალი — ჩამოთვლილთაგან, რომელი მეფის ძეგლი არ დგას თბილისში?

— არ ვიცი.
— ერეკლე II-ის. მადონა, შერონ სტოუნ, იზაბელ აჯანი, შერი — ამათგან, რომელია სომხური წარმოშობის?

— შერი.
— რა ფერები აიღო სტენდალმა თავისი ცნობილი რომანის სათაურისთვის?
— „წითელი და შავი“.
— რამდენი კილოგრამია ფუთში?

— 16 კილოგრამი.
— ვინ იყო საკუთარი ფილმების სცენარისტიც და მთავარი როლის შემსრულებელიც — ჩარლი ჩაპლინი, სტივენ სპილბერგი, ელდარ რიზანოვი თუ ფედერიკო ფელინი?

— ჩარლი ჩაპლინი.
— რომელი ლიტერატურული გმირია ალონსო კეზადა — დონ-კისოტი, გულივერი, რობინზონ კრუზო თუ გრაფი მონტე-კრისტო?
— დონ-კისოტი.

— აზის რომელ მდინარეს უწოდებენ „ციმბირის მზეთუნახავს“?
— არ ვიცი.
— ლენას. რომელ ქვეყანაში მიმდინარეობდა „ვარდების ომით“ ცნობილი შიდა ომი?
— ინგლისში.

— რომელ ქალაქში მდებარეობს მარაკანას სტადიონი?

— რიო-დე-ჟანეიროში.
— რომელი ხის ფესვები ლაპარაკობენ ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „ფესვები“?

— (ფიქრობს) წიფლის, არა?
— ცდებით, მუხის ფესვები ლაპარაკობენ. რა ერქვა ძველ საბერძნეთში მონას, რომელსაც ბავშვებისთვის თვალყურის დევნება და სკოლაში წაყვანა ევალებოდა?

— არ ვიცი.
— პედაგოგი.
— დღეს რამდენი საინტერესო რამ გავიგე!
— ამბობენ, — სიყვარულის ყიდვის ერთადერთი გზა არსებობსო. რა გზაა ეს?

— არ ვიცი.
— ძალის ყიდვა.
— ლოგიკურია. ძალმა პატრონის დიდი სიყვარული იცის.
— მათზე ფრენსი ბეკონმა თქვა: „ისინი აზრის სომალდები არიან, რომლებიც მოგზაურობენ დროის ტალღებში და თავიანთ ტვირთს სათუთად გადასცემენ თაობიდან თაობას“, — რა იგულისხმა ფრენსის ბეკონმა?

— (ფიქრობს) ალბათ, ამ სიტყვებს წიგნებზე ამბობდა.
— გამოიცანით. „რა დამავინყებს შენს ლამაზ თვალებს,/ რამ დამავინყოს ეს ალუბლები?/ იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ,/ ამ სიყვარულზე ვესაუბრები“ — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ძალიან მეცნობა... იქნებ, გაგრძელებაც მითხრა.
— „— ვეფცვი თუ როგორ გვიყვარდა ძველად/ ჩვენ ტრფიალებსა წრეგადასული,/ თუ როგორ გაქრა ოცნება ყველა/ და მოგონებად დარჩა წარსული“.

— ვერ ვიხსენებ.
— ლადო ასათიანი. რომელი ოკეანის აუზშია ბარენცის ზღვა?

— ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში.
— რიგით მერამდენე ივანე იყო მრისხანე?
— IV.

— ვინ არის ფილმ „უძინართა მზის“ რეჟისორი?
— თემურ ბაბლუანი.
— რა პირობა დაიმსახურა ამ ფილმმა 1993 წლის ბერლინის საერთაშორისო ფესტივალზე?

— „ვერცხლის დათვი“.
— ფრინველთა ოჯახის რომელი წევრია მგალობელი?
— ალბათ, მამალი, არა?
— დიახ. რას იჭრდნენ ბერძნები გლოვის ნიშნად?

— თმას და საფლავეზე ალაგებდნენ.
— დაბოლოს, დაასრულეთ დოსტოევსკის ცნობილი გამონათქვამი: „თუ გინდათ კარგად გაიცნოთ ადამიანი, მიაქციეთ ყურადღება არა იმას, თუ როგორ ლაპარაკობს იგი, როგორ ტირის ან როგორ ალღევებს კეთილშობილი იდეები, დააკვირდით მას, როდესაც ის...“

— (ფიქრობს) არ ვიცი.
— „იციონს“.
— საინტერესოა!
— ადამიანების სიცილს თუ დაჰკვირვებინართ?

— რა თქმა უნდა!
— და საინტერესოა აღმოჩენები თუ გაგვიკეთებიათ?
— არ მომწონდა შევარდნაძის სიცილი. ის თვალებით — არა, მხოლოდ პირით იცინოდა.
— თვალებით ვინ იცინის?

— ბევრ ასეთ ადამიანს ვიცნობ.
— სააკაშვილის სიცილს დაჰკვირვებინართ?
— (იკინის) სააკაშვილს სასაცილო სიცილი აქვს. ძალიან ცუდად იცინიან რუსი ქალები. მათი ბოხი ხმა თეატრში ყურში მხვდება.

— ქართველი მაყურებელი როგორ იცინის?
— ქართველი მაყურებლის გულიანად გაცინება ადვილი არ არის, მაგრამ თუ გულით იცინის, კარგი მოსასმენია.



ბონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პითხვაბი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲნ არ გავაქცეთ თვალი

1. რა თავისებურებით გამოირჩეოდა ლეონარდო და ვინჩის მიერ გამოგონებული მალვიძარა?

2. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ნურასდროს დასცინებ შენ უკან მომავალს“?

3. რა არის „თოქალთო“?

4. ვის ეკუთვნის სიტყვები: „მე შევალ ისტორიაში, როგორც დიდი გერმანელი“?

5. როგორ სჯიდნენ ძველ რომში ექიმს, რომელსაც ოპერაციის დროს პაციენტი შემოაკვდებოდა?

6. რა საერთო ნიშნით შეიძლება გაერთიანდეს ნიუ-იორკელ ტაქსისტა 90 პროცენტით?

7. რა ასაკში გახდა პირველად პეღე მსოფლიოს ჩემპიონი?

8. რა არის „ზინდანი“?

9. რომელი კომპოზიტორის შესახებ ამბობდა ნიცე: „იგი ადამიანი არ არის, იგი დაავადება“?

10. რა მცენარე მოჰყავდა ჯორჯ ვაშინგტონს საკუთარ ეზოში, დეკორატიული მიზნით?

11. სად არის დაკრძალული ივანე ჯავახიშვილი?

12. რვაფეხას სხეულის რომელი ნაწილი არ იჭმება?

ანექლოცენი



* * *

ბავშვი სკოლიდან ატირებული დაბრუნდა და მშობლებს გამოუცხადა, რომ მასწავლებელი ცუდად ექცევა, სულ კრიჭაში უდგას. მეორე დღეს მამა სკოლაში მივიდა და მასწავლებელს უსაყვედურა, — შვილს რატომ მიჩაგრავო?! მასწავლებელი ბავშვს მიუბრუნდა და ეკითხება:

— რამდენი იქნება, ერთს რომ ერთი მივუმატოთ?

— აი, ხომ გითხარი, თავისას მაინც არ იშლიის!.. — აღრიალდა ბავშვი.

* * *

ხომალდი ერთ პატარა კუნძულს მიუახლოვდა. გიდმა მიკროფონში გამოაცხადა:

— კუნძულზე მოსახლეობის ორმოცდაათი პროცენტი შიდსით არის დაავადებული, დანარჩენი ორმოცდაათი — ტუბერკულოზით.

ერთმა ტურისტმა ვერ გაიგო და მეზობელს ჰკითხა:

— რაო, რა გამოაცხადა?

— რაო და იმასთან, ვინც არ ახველებს, სექსუალურ კონტაქტს ნუ დაამყარებთო!..

* * *

— რა განსხვავებაა ეკლესიაში მლოცველსა და კაზინოში მლოცველს შორის?

— კაზინოში მლოცველი უფრო გულწრფელია!

* * *

სიმპათიური გოგონა თანაკურსელ ვაჟს ეუბნება:

— მე კი გეტყვი, როგორ ჩავაბარე გამოცდა, მაგრამ ეს შენ არაფერში გამოგადგება.

* * *

— როგორც იქნა, გადავაჩვიე ჩემი მამამთილი ფრჩხილების კვეტას!

— როგორ?

— კბილები დავუმალე!

* * *

— ექიმო, იმ პაციენტს რა ანუხებდა, ჩემ წინ რომ იყო?

— ორმოცდაათლარიანი.

* * *

შემოდის სახლში მამა დათვი და გაბრაზებული კითხულობს:

— ვინ შეჭამა ფაფა ჩემი ჯამიდან?

შემოდის შვილი დათვი:

— ვინ შეჭამა ფაფა ჩემი ჯამიდან?

შემოდის დედა დათვი:

— რა გაღრიალებთ, ჯერ არაფერი მომიმზადებია!

* * *

ებრავლს ეკითხებიან:

— რატომ გაქვთ ასეთი პატარა ქვეყანა?

— დიდი რად გვინდა, იქ მაინც იშვიათად ჩავდივართ.

* * *

თვითმფრინავი მოსკოვი-კიევი. სტიუარდესა, შთამბეჭდავი დეკოლტეით, ერთ-ერთ მგზავრთან იხრება:

— ჩაის ინებებთ თუ ყავას?

მგზავრი ღიმილით პასუხობს:

— რომელშია ჩაი და რომელში — ყავა?





* * *

გამომძიებელი თანაგრძნობით ეკითხება დაქვრივებულ ქალს:

— მაინც, რა გითხრათ სიკვდილის წინ თქვენმა ქმარმა?
— რა და მაგ თოფით ტყუილად მემუქრები, შიგნით ტყვიები არ დევსო!

* * *

დედა ვაჟიშვილს ეკითხება:

— სად მიდიხარ?
— მინდორში.
— მარტო მიდიხარ?
— არა, მაყვალა მიმყავს.
— სველ ბალახზე არ წამოწვე, იცოდე.
— არა, ხომ გითხარი, მაყვალა მიმყავს-მეთქი.

* * *

ნარკომანი დილით იღვიძებს, ქუჩაში გადის და გამვლელს ეკითხება:

— ბიძაჩემო, ერთი მითხარი, დღეს ოთხშაბათია?
— არა, დღეს კვირაა.
— გუშინ იყო ოთხშაბათი?
— არა, გუშინ შაბათი იყო.
— აბა, ხვალ იქნება ოთხშაბათი?
— არა, ხვალ ორშაბათია.
— ვააა! ვერ გავიგე, ოთხშაბათი, ვსიოოო, აღარ იქნება?!

* * *

განცხადება: სინათლე გვირაბის ბოლოს გამორთულია დავალიანების გამო.

* * *

— გოგონი დაწვები ჩემთან 100 დოლარად?
— რა თქმა უნდა, არა!
— აუ, გთხოვ, რა, ეგ ფული ძალიან მჭირდება!

* * *

— ჭიჭიკია, ჩემო ერთადერთო, მხოლოდ ერთხელ მაკოცე და მთელი ცხოვრება შენი ვიქნები.
— რაია, ახლა, აქედანვე რომ მემუქრები, შენი კი არ მემშინია...

* * *

სიდედრი სიძეს უყვირის:
— ნამდვილი კრეტინი ხარ! შენი მშობლებიც და შენი ნათესავებიც კრეტინები არიან! რასაც აკეთებ, კრეტინულად აკეთებ. კრეტინების კონკურსი რომ ჩატარდეს, მეორე ადგილს დაიკავებ!
— რატომ, მეორეს?!
— იმიტომ, რომ კრეტინი ხარ!



* * *

ჭარბწონიანი ქალბატონი ექიმის კაბინეტში ძლივს შეეგია.
— ცოტა უნდა ჭამოთ, — ეუბნება ექიმი.
— მხოლოდ ქმრისა და შვილების დატოვებულ საქმელს ვჭამ...
— ღორი შეიძინეთ!
— ღორის საქმელს რა მაჭმევს?!

* * *

პოლიციელი ერთ ქალთან მის და აცნობებს:
— ქალბატონო, თქვენი ქმარი ნაგვის ბუნკერში გდია.
— ჩემი ბრალია. დილით შინამოსამსახურეს ვუთხარი, ჩემი საწოლი ოთახიდან ყველაფერი ზედმეტი ნაგავში გადაყარე-მეთქი.

* * *

— დირექტორს სთხოვეთ.
— დირექტორი დაკავებულია.
— მე მისი ცოლი ვარ.
— ყველა მასე ამბობს.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. იგი მძინარეს ფეხის-გულზე უღიტინებდა.
2. შარლ ტალეირანს.
3. ცხენის ზურგზე, უნაგირის ქვეშ დასაფენი ქერა.
4. ადოლფ ჰიტლერს.
5. ხელებს აჭრიდნენ.
6. ისინი ემიგრანტები არიან.
7. 17 წლის ასაკში.
8. ოქრომჭედლის პატარა გრდემლი.
9. ვაგნერის შესახებ.
10. მარისუანა.
11. თბილისის უნივერსიტეტის ეზოში.
12. თავი.

რენიფოსტოგანაა





ჰოროსკოპი

6-12 მაისი

ვიზუი:

ყოველდღიური საქმეებით შემოიფარგლეთ. იურიდიული საკითხები თქვენს სასიკეთოდ მოგვარდება. შუა კვირაში საოჯახო ნივთები შეიძინეთ. კარგია ცურვა და ვარჯიში.

კუჩრ:

მხიარულებისა და წვეულებების შემდეგ განმარტოება, დასვენება მოგიწევთ. დაძაბული სამუშაო კვირის ბოლოს საყვარელ ადამიანთან ერთად, ბუნებაში გაისეირნეთ.

ტყუპ:

ამ კვირაში იდევს განახორციელებთ. გამოგისწორდებათ მატერიალური მდგომარეობაც და საყვარელ ადამიანთან ერთად ახალი ცხოვრების დაწყებას შეძლებთ.

კიჩხობა:

საუკეთესო პერიოდია იდეებისა და გეგმების განსახორციელებლად. მეტი დრო გაატარეთ შვილებთან. შესაძლოა, საზღვარგარეთიდან ნათესავები ან მეგობრები გესტუმრონ.

ღოფი:

ფილოსოფია და მეცნიერება გაგიტაცებთ. საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა გელით. თუ ახლო მომავალში მუშაობის დაწყებას გსურთ, უცხო ენის შესწავლას ახლავე შეუდექით.

ქახუცა:

არა მარტო პროფესიულ საქმიანობაში, არამედ სიყვარულშიც გაგიმართლებთ. კვირის ბოლოს შეეცადეთ, წარსული გააანალიზოთ და დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ.

სახსრძრ:

კოლეგებთან ჭორაობას არ გირჩევთ. ამ კვირაში საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გამოგისწორდებათ. კვირის ბოლოს შესაძლოა, საზღვარგარეთ გაემგზავროთ.

მომხივ:

კოლეგებთან ურთიერთობა გამოგისწორდებათ და მათი დახმარებით წარმატებას მიაღწევთ. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს. უქმე დღეები საყვარელ ადამიანს დაუთმეთ.

მშვიდმოსახ:

ამ კვირაში რომანტიკულ განწყობილებაზე იქნებით და შეყვარებულს სიურპრიზებით, საჩუქრებით გაანებივრებთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

ოხრს ჩუხ:

ზედმეტად გაღიზიანებული ხართ, წვრილმანებიც კი ნერვებს გიშლით. კარგია, თუ რამდენიმე დღით ქალაქგარეთ გაემგზავრებით, დაიცავთ დიეტას და ივარჯიშებთ.

მეჩხუდი:

კვირის ბოლოს რომანტიკული თავგადასავლები გელით, მანამდე კი სამსახურის საქმეები მოაგვარეთ. ხანმოკლე მოგზაურობა დადებითი ემოციებით აგავსებთ.

ოფოხა:

ამ კვირაში მატერიალური მდგომარეობა გამოგისწორდებათ და ეს საშუალებას მოგცემთ, დაასრულოთ სახლის მშენებლობა. კვირის ბოლოს მშობლები მოინახულეთ.

რძეფრეცი რა ჯანმრთელობის ხსენებით

ფსიქოლოგებმა ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოსაცნობი კიდევ ერთი ტესტი შეიმუშავეს. თუ გაინტერესებთ, როგორი პიროვნებაა თქვენი მეგობარი, ის საკონდიტროში წაიყვანეთ და დესერტის არჩევა შესთავაზეთ.

კრემიანი ნამცხვარი მხიარულ, კომუნიკაბელურ ადამიანებს უყვართ. ცხოვრებას ვარდისფერი სათვალთ უყურებენ და ცდილობენ, საკუთარი პრობლემები სხვებს მოაგვარებინონ.

ჭკვიანი და ანგარიშიანი ადამიანები უპირატესობას ბუნეს ანიჭებენ. მათ წარმატებისკენ მიმავალი თითოეული ნაბიჯი გათვლილი აქვთ. შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ ბუნეს მოყვარული ადამიანი კი არა, რობოტია, რადგან ის ემოციებს არ ამჟღავნებს. ეს ტკბილეული ძირითადად, ბიზნესმენებს უყვართ.

ფხვიერი ნამცხვრის მოყვარული ზედმეტად აკურატულია, ფრთხილია და საკ-



უთარ სამყაროში მხოლოდ მას უშვებს, ვინც მის გამოცდას გაუძლებს. ასეთ ადამიანს არასდროს ეკამათოთ.

ჩიტის რძეს ყიდულობს ადამიანი, რომელსაც ლიდერობას სხვათა მითითებების შესრულება ურჩევნია. უყვარს, როცა აქებენ. სწორად შეაქეთ და დაარწმუნეთ, რომ უშეცდომო ადამიანი არ არსებობს.

შოკოლადის ტორტს შემოქმედი, ენერგიული და კომუნიკაბელური ადამიანები მიირთმევენ. მათ უყვართ სიახლე, გამოცდილების მიღება. ფანტაზიორები არიან და ხშირად ეცვლებათ განწყობილება. დეპრესიის დაძლევაში შემოქმედება ეხმარებათ.

ხილის ტორტის მოყვარული გაჭირვებაში არ მიგატოვებთ, მის გვერდით თავს ყოველთვის დაცულად იგრძნობთ. უყვართ ბუნება და ლამაზი ნივთები. იგი ყურადღებითა და საჩუქრებით გაანებივრეთ.



საფინანსო კროსვორდში

ბ	ა	ე	რ	თ	ვ	თ	ლ	ა	ლ	ა	ო	ს	ვ	ე	ნ	ე	თ	ბ	გ	ა	ს	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	ლ
ო	ო	რ	ლ	ხ	ჯ	ქ	ო	ნ	მ	ა	ო	ე	ა	ქ	გ			ა	ო	ნ	ო	ლ	ა	ე	ო	ე	ლ	ო	

- შპს-ების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ.
- კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამოუქვბულ უფრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

ბ. საქადრავო პარტიის ისეთი დასაწყისი, რომელსაც თეთრები შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით წირავენ პაკს ან რომელიმე სხვა ფიგურას; **ა.** ძველგვიტური ღმერთი, რომლის შვილადაც აცხადებდა თავს ალექსანდრე მაკედონელი; **ძ.** მდინარე დასავლეთ საქართველოში; **რ.** შერული და გარეკანში ჩასმული სანერი ქალაღდის ფურცლები; **თ.** გარკვეული ზომის სანერი ქალაღდის ფურცელი; **ე.** მეგრული კერძი, ღომში მოხარული და ჩაზღლილი სულუგუნი; **თ.** ქართველი მომღერალი ქალი, ანსამბლ „ივერიის“ ყოფილი სოლისტი; **ღ.** ზღაბრული ურჩხული; **ა.** ახალი სტრიქონი, რომელიც ოდნავ შეწეულია; **დ.** ფულის ერთეული საბერძნეთში (ევროს შემოღებამდე); **ბ.** მთავარი არტერია, რომელიც არტერიული სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს (ფილტვების გარდა); **ი.** ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომელიც მამის, დედალოსის მიერ გაკეთებული ფრთებით გაფრინდა კრეტის ლაბირინთიდან. ფრენისას ძალზე მიუახლოვდა მზეს, რის გამოც ცვილი, რომლითაც ფრთები ჰქონდა მიმაგრებული, გაღღვა და ზღვაში ჩავარდა; **ს.** რისიმე მოსაზულობა, აღქმული შორი მანძილიდან, ბურუსში ან სიბნელებში; **ჰ.** გერმანიის რესპუბლიკის სახელწოდება 1918-1933 წლებში; **ც.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც გა-

ნაგებს ეპისკოპოსი; **წ.** მაჰმადიანთა ლოცვა; **ძ.** სიღამაზე, მიმზიდველობა; **თ.** რა ცხოველი იყო ამაღთა, რომელმაც კუნძულ კრეტაზე გადაამალული ჩვილი ზევსი საკუთარი რძით გამოკვება; **ბ.** ქალაქი იტალიაში, სადაც დაიბადა ქრისტეფორე კოლუმბი; **ზ.** მთიდან დიდ გროვად წამოსული, ჩამორღვეული თოვლი; **ბ.** ყელის ანთება; **ს.** არხი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ნითელსა და ხმელთაშუა ზღვებს; **თ.** იენისის ქართული ხალხური სახელწოდება; **ა.** კრეტის მეფის, მინოსის ასული, რომელმაც თეზევსს ჯადოსნური ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **წ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ძ.** მაიკლ დუგლასის ეროვნება; **რ.** მდინარე გერმანიაში; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ბ.** რა ჰქვია შვარცენგერს; **ღ.** ღვინისა და დროს ტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

- **შ.** ჟიგოლო; **უ.** ურანოსი; **რ.** რაჭა; **წ.** ნაიკი; **ა.** აბრაგი; **ლ.** ლივრეა; **ი.** იკებანა; **ბ.** გაბელია; **ზ.** ზვარაკი; **ბ.** ათაბაგი; **ს.** სიღნაღი; **ა.** ასმათი; **უ.** უტა; **პ.** კარიესი; **ე.** ერთაოზი; **თ.** თუშეთი; **ძ.** ელიტა; **ს.** სკალპი; **ო.** ორგია; **ბ.** ავანსი; **რ.** რიხარდი; **ჩ.** ჩიტაია; **ძ.** ერუდიტი; **ჰ.** ვენეცია; **ა.** ამერიკა; **წ.** ნობელი; **ი.** იასონი; **ბ.** აბორტი.

გამოქვეყნებული უფრედებში იკითხავა: გაჭირვება აღმართში აბახტუნეასო

იაკონური სენსაცია

სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

5	1	3	8	9	4	2	7	6
8	6	9	7	2	3	4	1	5
2	4	7	5	1	6	8	9	3
9	3	1	4	8	2	5	6	7
4	5	8	9	6	7	3	2	1
6	7	2	3	5	1	9	4	8
1	8	5	6	4	9	7	3	2
7	2	4	1	3	5	6	8	9
3	9	6	2	7	8	1	5	4

8	1	4	9	6	2	5	7	3
5	7	9	4	1	3	6	8	2
3	6	2	5	8	7	4	9	1
2	3	8	6	7	1	9	4	5
1	4	7	8	9	5	2	3	6
6	9	5	2	3	4	7	1	8
7	8	6	3	2	9	1	5	4
4	2	1	7	5	8	3	6	9
9	5	3	1	4	6	8	2	7

6	5	9	3	1	7	4	8	2
8	7	2	9	4	6	5	1	3
3	4	1	8	5	2	6	9	7
1	8	3	4	7	5	9	2	6
9	2	7	6	8	1	3	5	4
5	6	4	2	9	3	8	7	1
2	9	8	1	6	4	7	3	5
7	1	6	5	3	8	2	4	9
4	3	5	7	2	9	1	6	8

* მარტივი

6	7		9		1	8
2			3	7	5	
		5		8		9
	2		1		7	6
6		4				3
5	4		6	3	9	
4			5		6	
	9		3	6		2
3	8		4		5	7

* * საშუალო

		2	7			5
	9			3		6
				5	7	
		6		9		7
	5				1	3
7				8	2	9
		4	8			
	1			5		8
3				9	6	

* * * რთული

		9	2			4
	8			4	6	
			1			2
	6		7	3		4
	4			8		5
2			4			9
5			6			
		3	8			6
	1			7	3	

გამომცემლობა პალიტრა L



თომას თავგადასავალი

ბავშვებო, ეს წიგნი ერთი ბიჭის, თომას, თავგადასავალს მოგიტხრობთ. ის პატარაა, მაგრამ როგორც თქვენ, მასაც უკვე ბევრი რამ გადახდა თავს.

ფასი: 3.50

მეო, დაბრუნდი, დაბრუნდი



ყველასთვის საყვარელი მწერლის ნოდარ დუმბაძის სიტბოთი და საყვარულით სავსე ლექსები პატარა მკითხველისათვის.

ფასი: 8.99



ჩემი პირველი ასოები

ბავშვის ალბომი დაბადებიდან სკოლამდე ასაკამდე. შუასეუთ ალბომი თქვენი პატარის ცხოვრების ამსახველი მნიშვნელოვანი დეტალებით, ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით...

ფასი: 11.99



„დიდი წიგნი ხელოვნებაზე“

გაეცანით მსოფლიოს ხელოვნებას, დაეუფლეთ ხატვას, ჟარიუტურების შექმნას. წიგნი დაგეხმარებათ შემოქმედებითი უნარ-ჩვევებისა და საკუთარი შედეგების შექმნაში.

ფასი: 26.99

ცხოველები

საყვარელილ ანტილოპა




წიგნი გაგაცნობთ ცხოველთა მრავალფეროვან და საინტერესო სამყაროს. წიგნს ახლავს ფერადი ილუსტრაციები, ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი და სახელთა საძიებელი.

ფასი: 32.99

დედამინა

საყვარელილ ანტილოპა



წიგნი მკითხველს გააცნობს დედამინის ზედაპირსა და მის სიღრმეში მიმდინარე პროცესებს, გარემოს და ეკოსისტემებს. წიგნს ახლავს ფერადი ილუსტრაციები, რუკები, ცნობილ მკვლევართა განმარტებები...

ფასი: 32.99

მსოფლიოს დიდი ატლასი



სრული სურათი დედამინის შესახებ. ფერადი ილუსტრაციები და განმარტებითი ტექსტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონზე. იმოგზაურე აღმოჩენათა სამყაროში!

ფასი: 32.99

წიგნების შეკენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზიებში ან პრესის გამავრცელებლებთან... ან დაუპირისპირებით სააბნეტო „ელვა.ჯი“-ს და მიიღეთ წიგნები სახლში, ფასნამატის გარეშე.
ტელ: 38-26-73; 38-26-74 www.elva.ge

შეიძინეთ თქვენი
 ან თქვენი მეგობრის
 ქორწილის დღისათვის
 სადღესასწაულო ყოლაქცია
 და ისარგებლეთ
 ფასდაკლებით სხვადასხვა
 ობიექტაზე.

საქორწინლო საჩუქარი

იმისათვის, რომ ისარგებლოთ აქციით საჭიროა:

ა) შეიძინოთ ქვემოთ მოცემულ ტანსაცმლის მაღაზიებში
 შესაბამისი ღირებულების სადღესასწაულო ყოლაქცია

UN DEUX TROIS
 PARIS

რუსთაველის №24; ტელ.: 99 07 73; ჰეიენის №5; ტელ.: 18 40 93
 შეიძინეთ სადღესასწაულო სამოსი 550 ლარიდან

celio*

ჰეიენის №5; ტელ.: 72 68 48
 შეიძინეთ მამაკაცის პიჯაკები და ჯოსტინგები 250 ლარიდან

Etam
 lingerie

რუსთაველის №26; ტელ.: 99 08 05; ჰეიენის №5; ტელ.: 18 40 94
 შეიძინეთ ქალის თეთრკაღი 250 ლარიდან

JOOP!

რუსთაველის №37; ტელ.: 14 41 19
 შეიძინეთ მამაკაცის პიჯაკები და ჯოსტინგები 600 ლარიდან

- ბ) მიიღოთ ფასდაკლების ვაუჩერი
- გ) ისარგებლოთ ფასდაკლების ვაუჩერით თქვენთვის
 სასურველ მომსახურებასა თუ პროდუქციაზე



საშ. მთავაზა

აქცია ძალაშია 31 მაისის ჩათვლით

თქვენი სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ფასდაკლების ვაუჩერის საჩუქრად გადაცემა თქვენი მეგობრისათვის.

ფოტოკუჩიონები





„კვირის პალიტრის“ კოლექცია „დიდი მხატვრობი“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - მელანკოლიკები და ისტორიები

წიგნი VII

გ ა ე რ ი ა

7 - დან - 24 მარსამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მითხვეულისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!



I, II, III, IV, V და VI ტომი, წიგნის მალაჩიკაში გამოდგება!

„კვირის პალიტრის“ ხელმოწერითა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვაჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ